

იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო  
უნივერსიტეტი

ხელნაწერის უფლებით

ია რჩეულიშვილი

შედარების ენობრივი ექსპრესიის მოდელები სხვადასხვა სისტემის ენებში

(ქართული და ინგლისური ენების მასალის მიხედვით)

დ ი ს ე რ ტ ა ც ი ა

წარმოდგენილია ფილოლოგიის

დოქტორის (1005) აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

სამეცნიერო ხელმძღვანელები: ნუნუ გელდიაშვილი - პროფესორი

მანანა ღარიბაშვილი - პროფესორი

თელავი

2017 წ.

## შინაარსი

შესავალი .....	4
----------------	---

### თავი I

#### ტროპული მეტყველება და ენობრივი ექსპრესია

1.1. ტროპული მეტყველება და ენობრივი ექსპრესია, როგორც ლინგვისტიკის ინტერესის სფერო .....	12
1.2. შედარება, როგორც ტროპული მეტყველების სახე .....	34

### თავი II

#### შედარების გადმოცემის გრამატიკული შესაძლებლობები და მისი ადგილი წინადადებაში

2.1. გრამატიკული მოდელები ქართულსა და ინგლისურში .....	44
2.2. შედარების ადგილი და სინტაქსური ფუნქცია წინადადებაში .....	68

### თავი III

#### შედარების სემანტიკური ასპექტები და ენობრივი ექსპრესია

3.1. შედარების სემანტიკური ასპექტების ტიპოლოგიური ურთიერთმიმართებანი .....	82
3.2. ემოციური დისკურსების ექსპრესიული მოდელები და მათი კონტრასტული მიმართებანი .....	97
3.3. ლინგვოკულტუროლოგიური ასპექტები .....	109

## თავი IV

### შედარების თარგმანში გადატანის პრობლემები და ტიპოლოგიური ურთიერთმიმართებანი

4.1. თარგმანის ზოგადი პრობლემისათვის.....	121
4.2. ლექსიკო-სემანტიკური მახასიათებლები.....	136
4.3. მორფო-სინტაქსური მახასიათებლები .....	139
4.4. უთარგმნელობის პრობლემა .....	142
დასკვნა .....	147
გამოყენებული ლიტერატურა .....	156
საანალიზო წყაროები .....	166

## შესავალი

*“In Argument Similes are Like Songs in Love,  
They describe much, but Prove nothing”*

*Franz Kafka*

*„შედარებები იგივეა საუბარში, რაც სიმღერები სიყვარულში,  
აღწერენ ბევრს, მაგრამ არაფერს ამტკიცებენ“*

*ფრანც კაფკა*

ენათა წარმოშობისა და განვითარების ეტაპები ყოველთვის იყო მეცნიერთა ინტერესის საგანი. სხვადასხვა ერის კულტურული განვითარების პროცესი იწვევდა განსხვავებული ენობრივი სისტემების ჩამოყალიბებას. ამიტომაცაა, რომ გაჩნდა ენის, როგორც საკომუნიკაციო საშუალების, განსხვავებული განმარტებები. ენას ადამიანური წარმოშობა აქვს და ადამიანის გარეშე არ არსებობს, არ მოიაზრება. არ არსებობს ენაში არაფერი, რომ ადამიანის მიერ არ იყოს თქმული, მის მიერ არ იყოს წარმოქმნილი [უზნაძე, 1947: 166].

ენის შესახებ მსჯელობისას მეცნიერები აღნიშნავენ მის უამრავ შესაძლებლობას. სხვა მრავალ თვისებასთან ერთად მას გააჩნია ღრმა სულიერი განცდების გამოხატვის უნარი. ექსპრესიულობა - გამოხატოს ადამიანის სულიერი სამყარო - ენის ერთ-ერთი ფუნქციათაგანია [ჯორბენაძე, 1997: 9]. ექსპრესია, ეს არის ინდივიდის ფსიქიკური მდგომარეობის შესახებ ძირითადი ინფორმაციის წყარო. ის შლის ადამიანის შინაგან სამყაროს მთელი მისი მრავალფეროვნებით და წარმოადგენს ამ სამყაროს შენიღბვის მნიშვნელოვან საშუალებას [ლომია, 2012: 23]. საყოველთაოდ მიღებულია, რომ მეტყველებაში აუცილებლად უნდა გავარჩიოთ, პირველ რიგში, ემოციების გამოხატვა (ვერბალური თუ არავერბალური გზით) და ემოციების აღწერა, რაც მოითხოვს მხატვრულ დისკურსში მათი ლექსიკური საშუალებებითა თუ პუნქტუაციით სპეციალურ აღნიშვნას. ენის ექსპრესიულობას სხვადასხვა ფაქტორი განსაზღვრავს. მათ შორისაა მხატვრული ხერხები - ტროპები, რომელთა დანიშნულებაა, გახადოს თხრობა

მხატვრულად უფრო მიმზიდველი და ნაწერი - უფრო შთამბეჭდავი. ტროპული მეტყველება განსაკუთრებით ამდიდრებს სიტყვაკაზმული მწერლობის ნიმუშებს.

ტროპული მეტყველების შესახებ კვლევები ენათმეცნიერების, როგორც დარგის, ჩამოყალიბებისთანავე გაჩნდა. ჯერ კიდევ ჩვენს წელთაღრიცხვამდე, IV საუკუნეში, მოაზროვნე არისტოტელე ცდილობდა გაერკვია ენის მხატვრული შესაძლებლობების არსი. მისი „პოეტიკა“ და „რიტორიკა“ სადღეისოდ კვლავ აქტუალურ ნაშრომებად ითვლება. სტილისტიკის როგორც ენათმეცნიერების, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დარგის, მიმართ ინტერესმა განსაკუთრებული ინტერესი გამოიწვია გასული საუკუნის 50-იანი წლებიდან. ქართველი ენათმეცნიერები და ლიტერატურის თეორეტიკოსები, ევროპელ და რუს ლიტერატურისმცოდნეთა ნააზრევზე დაყრდნობით, ცდილობდნენ უფრო ღრმად ჩაწვდომოდნენ მხატვრული ტექსტის ენობრივი ქსოვილის სახეს, მისი აგებულების პრინციპებს, რომელიც მიმართული იყო ახალი გამომსახველობითი საშუალებების მოძიებისა და აღმოჩენისაკენ. ცალკეულ სტატიებსა და თეორიულ სახელმძღვანელოებში განიხილებოდა ენობრივი საკითხები, რომლებიც დამახასიათებელი იყო მხოლოდ ქართული ენისათვის, შეინიშნებოდა ის სტილური ნიშნებიც, რომელიც უნივერსალური აღმოჩნდა მსოფლიოს სხვადასხვა ენისათვის. ქართველი ენათმეცნიერები და ლიტერატურისმცოდნეები: ახვლედიანი, ჭილაია, შალამბერიძე, გაჩეჩილაძე, გამყრელიძე, გვენცაძე სამეცნიერო ლიტერატურაში აქტიურად განიხილავდნენ საკითხებს ქართველ მწერალთა და კლასიკოსთა მხატვრული ენის სპეციფიკური ნიშნების შესახებ. სტილისტიკის ზოგადთეორიული და პრაქტიკული საკითხების ჩამოყალიბებაში დიდი წვლილი შეიტანა ალექსანდრე გვენცაძემ. მან ხაზგასმით მიუთითა ქართული ენის განსაკუთრებულ სტილისტიკურ შესაძლებლობებზე, რითაც მეტი სიცხადე შეიტანა ტექსტის იდეურ-მხატვრული ღირსების გაგება-ათვისების საკითხში.

ღირებული ნაშრომი მიუძღვნა ანდრო ჭილაიამ ლიტერატურისმცოდნეობის ცნებებისა და სიტყვაკაზმული მწერლობის საკითხებს. ენათმეცნიერი განიხილავდა ამ ურთიერთობის პოეტურ აზრს, ემოციურ ფუნქციას და მიიჩნევდა, რომ

გამომსახველობითი მიზნების განსახორციელებლად ლიტერატურის მცოდნეობის ცნებები და მწერლობა მჭიდროდაა დაკავშირებული ერთმანეთთან. ნაშრომში ქართული მხატვრული ლიტერატურიდან მოყვანილ საილუსტრაციო ნიმუშებზე დაყრდნობით, ხაზგასმულია ქართული სიტყვიერების სიმდიდრესა და ცხოველმყოფელობაზე.

თანამედროვე ეპოქაში ჰუმანიტარულ დარგში იკლო რიტორიკისადმი ინტერესმა. თუმცა, 1930-იან წლებში ლიტერატორი კენეტ ბურკი კვლავ საუბრობდა რიტორიკის როლზე სოციალურ და ლიტერატურულ კონტექსტში [Rivkin, 2004: 127]. რიტორიკა, შესაძლოა, განვიხილოთ, როგორც ნებისმიერი დისკურსის განუყოფელი ნაწილი [Habib, 2011: 33]. ყოველი ენა მოიცავს დისკურსების კომპლექსურ და ფართო სპექტრს, რომლებიც ერთმანეთისაგან განსხვავდებიან კლასის, რეგიონის, სქესის, სტატუსის და სხვა ფაქტორების მიხედვით. XV საუკუნის ყველაზე პროზაული ტექსტიც კი, დღეს შესაძლოა, მოგვეჩვენოს „პოეტურად“ მისი არქაულობიდან გამომდინარე. თუმცა, ყოველი დისკურსი ვერ მიიჩნევა პოეტურად. როგორცაა, მაგალითად, სლენგი [Eagleton, 1996: 4].

1975 წელს გამოიცა წიგნი „ლიტერატურის თეორიისა და ესთეტიკის საკითხები“, რომელშიც შესულია ჩვენი დროის მკვლევართა მნიშვნელოვანი სტატიები ლიტერატურის თეორიისა და ესთეტიკის ისეთ აქტუალურ პრობლემებზე, როგორც არის მხატვრული აღქმის სპეციფიკა და მხატვრული ენის გამოვლენის კონკრეტული ფორმები, ენის მხატვრულ-ემოციური ფუნქცია. კრებულში აგრეთვე გაშუქებულია პოეტიკის საკითხები.

ტროპის ერთ-ერთ მნიშვნელოვან სახეს - მხატვრულ შედარებას მიეძღვნა თამაზ კვაჭანტირაძის მონოგრაფია „მსგავსებითი შედარება ქართულში“, რომელიც დღეისათვის ერთადერთ ფუნდამენტურ ნაშრომს წარმოადგენს აღნიშნულ სფეროში. მასში დადგენილია ის უნივერსალური მექანიზმი, რომელიც ყოველ შედარებას უდევს საფუძვლად, გამოვლენილია ამ მექანიზმის მამოძრავებელი ენობრივი მოდელები ქართულ ენაში და ამ მოდელების აქტუალიზებაში მონაწილე სინტაქსურ ერთეულთა ურთიერთმიმართებანი. მონოგრაფია ერთგვარი გზამკვლევი აღმოჩნდა ჩვენთვის

რადგან მიზნად დავისახეთ მხატვრული შედარების არსის კვლევა სხვადასხვა სისტემის ენათა მიხედვით.

ტროპი - ენობრივი მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებაა, რომლის ერთ-ერთი ზუსტი განსაზღვრა ჯერ კიდევ ძველ რომში გაჩნდა. იგი ეკუთვნის რომაელ ორატორს მარკუს ფაბიუს კვინტილიანეს: „ტროპი სიტყვის საკუთარი მნიშვნელობის ისეთი შეცვლაა, როდესაც ხდება მნიშვნელობის გამდიდრება“. მთავარია, მკითხველმა შეძლოს „მნიშვნელობის გამდიდრების“ დანახვა, ანუ იმ ახალი აზრის დანახვა, რომელიც ჩნდება მხატვრულ ტექსტში სიტყვის „გარდასახვის“ მეშვეობით. სწორედ ტროპის ექსპრესიული ბუნებიდან გამომდინარე, ის ყოველთვის იყო ენათმეცნიერთა ინტერესის საგანი და დღემდე მრავალი სამეცნიერო ნაშრომი თუ მონოგრაფია მიეძღვნა მის კვლევას.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ჩვენი ინტერესის ობიექტია ტროპის ერთ-ერთი გამორჩეული სახე - შედარება. ის მხატვრული დახასიათების ერთ-ერთი ფორმაა. შედარება ტროპის ისეთი სახეა, სადაც საგნები და მოვლენები შეფარდებულია ერთმანეთთან გარეგნულად მსგავს ან შინაგანად დამახასიათებელ ნიშან-თვისებათა გადატანის საფუძველზე. ყოველ შედარებაში შესადარებელი დახასიათებულია შედარებულის თვისებებით. მისი უმთავრესი ფუნქციაა საგნის, მოვლენის, ადამიანის სახის თვალსაჩინოდ დახატვა და ემოციურად წარმოდგენა [ჭილაია, 1971: 498]. შედარება ენის ევოლუციის პროცესში არსებით ტრანსფორმაციას განიცდის. ესაა ცვალებადი, ეტაპობრივად ახალი შინაარსობრივი დატვირთვის მიმღები არამუდმივი კატეგორია. ჩვეულებრივ, შედარების რამდენიმე ტიპს გამოყოფენ. ესენია: მარტივი, ანუ მოკლე და რთული შედარებანი. სადღეისოდ, შედარების რთულ სახეებში განიხილავენ მის სხვადასხვა ტიპებს. მათ შორის მსგავსებით და შინაარსობრივ შედარებებს.

სადისერტაციო ნაშრომი მიზნად ისახავს შედარების, როგორც ტროპის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სახის, ფუნქციის განსაზღვრას სხვადასხვა სისტემის ენებში. კერძოდ, ქართულსა და ინგლისურში. აგრეთვე, შედარების გადმოცემის გრამატიკული საშუალებების ანალიზს და თარგმანზე დაყრდნობით, ტიპოლოგიური

ურთიერთმიმართებების გამოვლენა/დადგენას, ენობრივი ექსპრესიის მოდელების შექმნას.

ნაშრომის მიზნებიდან გამომდინარე, დავისახეთ კონკრეტული ამოცანები. კერძოდ, მიმოვიხილეთ ტროპული მეტყველების თავისებურებანი და ენობრივი ექსპრესიის არსი. ამასთანავე, გამოვკვეთეთ შედარება, როგორც ტროპული მეტყველების თვალსაჩინო სახე; შევისწავლეთ შედარების გადმოცემის გრამატიკული საშუალებები ქართულსა და ინგლისურში, ხაზი გავუსვით ამ მხრივ არსებულ იზომორფიზმებსა და ალომორფიზმებს; გავანალიზეთ შედარების ადგილი წინადადებაში და მისი სინტაქსური ფუნქცია; მხატვრული შედარება წარმოვადგინეთ, როგორც ენობრივი ექსპრესიის გარანტი წინადადებაში. საკითხი შევისწავლეთ ლინგვოკულტუროლოგიურ ჭრილშიც; ენობრივი ექსპრესიის მოდელების შექმნით გამოვკვეთეთ ძირითადი ემოციები და ხაზი გავუსვით ამ მიმართებით ორ ენაში არსებულ მსგავსება-განსხვავებებს. საკითხი ორიგინალისა და თარგმანის ურთიერთმიმართებებზე დაკვირვებით შევისწავლეთ. შევძელით, ყურადღება გავვმახვილებინა იმაზე, თუ როგორ ითარგმნება შედარება ქართულიდან ინგლისურად და პირიქით. შევხებით უთარგმნელობის შემთხვევებსაც, რომლებიც არცთუ იშვიათია ჩვენ მიერ მოხმობილ საანალიზო წყაროებში.

ნაშრომის მეცნიერულ სიახლედ მიგვაჩნია ის ფაქტი, რომ შედარების ენობრივი ექსპრესიის მოდელების ტიპოლოგიურ ჭრილში კვლევა სადღეისოდ არ არის სათანადო სიღრმით განხორციელებული. ამიტომ მისი კომპლექსურად შესწავლა და ამ თვალსაზრისით ორ, სხვადასხვა სისტემის, ენაში მსგავსებებისა და განსხვავებების გამოვლენა/დადგენა, რის მოკრძალებულ მცდელობასაც წარმოადგენს ჩვენი სადისერტაციო ნაშრომი, მეტად მნიშვნელოვანია.

პირველად ხორციელდება მხატვრული შედარების ანალიზი შეპირისპირებით ასპექტში ინგლისურ და ქართულენოვან მასალებზე დაყრდნობით, რაც, ერთი მხრივ, აღნიშნული ფენომენის საფუძვლიან შესწავლას შეუწყობს ხელს და, მეორე მხრივ, გარკვეულ წვლილს შეიტანს კონტრასტული ლინგვისტიკის პრობლემატიკის კვლევისა



და ამ მიმართებით არსებული სამეცნიერო ბაზის განვრცობის საქმეში. აღნიშნულ პრობლემათა გადაჭრისას მიღებული დასკვნები, უდავოდ, განსაზღვრავს **საკითხის აქტუალობას**, რამდენადაც სხვადასხვა ენის ფართოდ შესწავლა იწვევს უნივერსალური ფაქტების დადგენას და იმის გამოვლენას, თუ რა არის თავისებური თითოეულ ენაში [კოდუხოვი, 1982: 378].

ენათმეცნიერების დარგი, ტიპოლოგია, XIX საუკუნიდან იღებს სათავეს და შეპირისპირებითი მეთოდის გამოყენებით მკვლევარს საშუალებას აძლევს, უფრო ზუსტად და ნათლად ახსნას საკვლევი მოვლენის ენობრივი არსი, აღნიშნოს მისი სპეციფიკური გამოხატვა სხვადასხვა ენაში. რაც უფრო ღრმავდება ენობრივი ფაქტების ტიპოლოგიური შეპირისპირებითი ანალიზი და რაც მეტი ყურადღება ექცევა თითოეული ფაქტის მიმართებას სხვა ენის ფაქტებთან, მით უფრო მეტი შესაძლებლობა იქმნება ამ ენებში ახლის, ადრე უცნობი მოვლენის დანახვისა. მრავალი ლინგვისტი აღნიშნავს, რომ შეპირისპირებითი ანალიზის განხორციელება სასარგებლოა, როგორც უცხოური, ასევე მშობლიური ენის სრულყოფის მიზნით [შელია, 2007].

**ლინგვისტიკური ტიპოლოგია**, როგორც კერძო სფერო, განიხილავს ენის შიდა აგებულებას, სისტემას, რაც ჩამოყალიბებულ სტრუქტურას ქმნის. სისტემა ისეთი ელემენტებისაგან შედგება, რომლებიც ერთმანეთთან მოწესრიგებულ ურთიერთობებში, კავშირებში იმყოფებიან. ტიპოლოგიური ლინგვისტიკა განსაკუთრებულ ინტერესს იჩენს ნაკლებად შესწავლილ ენებსა და მათთან დაკავშირებული საკითხების მიმართ. ეს ინტერესი აიხსნება უნივერსალური ენობრივი პარამეტრების გადამოწმების მიზნით [გამყრელიძე, 2003: 11]. ამ თვალსაზრისით დიდ ინტერესს იწვევს ქართული და ინგლისური ენები, რასაც წინამდებარე ნაშრომიც დაადასტურებს. იქიდან გამომდინარე, რომ ლინგვისტიკური ტიპოლოგია განვითარებადი დისციპლინაა, ვფიქრობთ, ჩვენ მიერ ჩატარებული კვლევა ერთობ წაადგება მომავალში დარგის განვითარების პროცესს.

ნაშრომს, თავისთავად, ექნება როგორც **თეორიული**, ისე **პრაქტიკული დირექტულება**. მაშინ, როდესაც საყოველთაო ხასიათს იძენს ინტერესი უცხოენოვანი

კულტურისადმი, დიდი მნიშვნელობა ენიჭება მსოფლიოს ხალხთა ენებს შორის არსებულ მსგავსება-განსხვავებების კვლევასა და შესწავლას. ამ მიზანს ემსახურება ენათმეცნიერების ახალი დარგი - კონტრასტული ლინგვისტიკა, რომლის კვლევის შედეგებიც დიდ დახმარებას გაუწევს ნებისმიერი ერის ენობრივი საკითხებით დაინტერესებულ მკვლევრებს.

ჩვენი აზრით, ინოვაციური კვლევის დამოუკიდებლად დაგეგმვა და კვლევითი, ანალიტიკური მეთოდების შემუშავება, დაგვეხმარება მეცნიერული კვლევის ცოდნის შეძენაში და სათანადო ასახვას პოვებს სადისერტაციო მასალების დამუშავებისას. ყოველივე ეს კი ხელს შეუწყობს ისეთი ღირებული თეორიების შემუშავებას, რომლებიც თავის წვლილს შეიტანს ზოგადად დარგის განვითარებაში. რთული და წინააღმდეგობრივი იდეების კრიტიკული ანალიზი და შეფასება ახალი მეთოდოლოგიის განვითარებას შეუწყობს ხელს. ამ მოსაზრებით, წარმოდგენილ ნაშრომში დიდი მნიშვნელობა ენიჭება თეორიული და პრაქტიკული საკითხების დამოუკიდებლად მიღებასა და ეფექტურად გადაჭრას.

ნაშრომის **პრაქტიკული ღირებულება** კი იმაში მდგომარეობს, რომ თეორიულად ღირებული და თვისობრივად ახალი ინფორმაციის შემცველი კვლევა დაგვეხმარება ცალკეული ენების სიღრმისეულ შესწავლაში, გარკვეულ წვლილს შეიტანს ლინგვისტიკის განვითარებაში და, შესაძლოა, გამოდგეს, როგორც დამხმარე სახელმძღვანელო მომავალი მკვლევრებისათვის. ნაშრომი საინტერესო იქნება მთარგმნელებისათვის და უცხო ენის შესწავლით დაინტერესებული ფართო წრეებისათვის. კვლევის შედეგები შეიძლება გამოყენებულ იქნეს უმაღლეს სასწავლებლებში თეორიულ კურსებთან დაკავშირებულ სპეცკურსებსა და სასემინარო მუშაობაში.

**კვლევის მეთოდები:** ნაშრომის სპეციფიკიდან გამომდინარე, კვლევის მეთოდები ინტერდისციპლინარულია და შეპირისპირებით ხასიათს ატარებს. ესაა ლინგვისტური კვლევა, რომელიც მოიცავს ლინგვო-კულტურულ ასპექტებსაც. უპირველესად გამოვიყენეთ კვლევის ტიპოლოგიური მეთოდი. მისი საშუალებით გამოვკვეთეთ

მხატვრული შედარების ენობრივი სტრუქტურის მახასიათებლები ქართულსა და ინგლისურში. ხაზი გაუსვით ორი ენისათვის დამახასიათებელ ზოგად უნივერსალიებსა და მათ განმასხვავებელ ნიშან-თვისებებს. შედარების ფენომენის კომპლექსურად შესწავლის, მისი სემანტიკური პოტენციალის დადგენის, სტრუქტურულად განსხვავებულ ენებში ობიექტივაციისა და დაფიქსირებული მსგავსება-განსხვავებათა განმაპირობებელი კანონზომიერებების გამოვლენის მიზნით, მივმართეთ ლინგვოკულტუროლოგიურ მიდგომათა სინთეზს. აღნიშნული მეთოდის ამოსავალია შეპირისპირებითი, დესკრიფციული და კომპონენტური ანალიზის მეთოდები. აგრეთვე გამოვიყენეთ კვლევის ისტორიული, ტიპოლოგიური, თვისობრივი, კონტრასტული და რაოდენობრივი მეთოდები. აღნიშნული მეთოდები დაგვეხმარა ზოგადი ენობრივი უნივერსალიების დადგენაში. კვლევა ძირითადად დაეფუძნა თანამედროვე კომუნიკაციური ლინგვისტიკის, ლინგვოკულტუროლოგიისა და კონტრასტივიკის თეორიულ მონაცემებს.

მოძიებული სამეცნიერო ლიტერატურის კრიტიკული, შედარებითი ანალიზისა და არგუმენტირებული დასკვნების საფუძველზე, შევეცადეთ დაგვედგინა საკვლევი თემის აქტუალობა, ხოლო ინფორმაციის კრიტიკული ანალიზითა და შეჯერებით შესაძლებელი გახდა დაგვეგმილი კვლევის ეფექტურობის განსაზღვრა.

კვლევის რაოდენობრივი მეთოდი დაგვეხმარა ქართულ და ინგლისურ საანალიზო წყაროებში მოძიებული მხატვრული შედარების მაგალითების რაოდენობრივ შედარებასა და პროცენტული მაჩვენებლების დადგენაში.

სადისერტაციო ნაშრომის კვლევის ობიექტად გამოვიყენეთ მასალები XIX-XX საუკუნეების ქართველ და ინგლისურენოვან მწერალთა შემოქმედებიდან.

**ნაშრომის სტრუქტურა და მოცულობა:** ნაშრომი შედგება შესავლის, ოთხი თავისა და დასკვნითი ნაწილისაგან. მოიცავს 167 გვერდს. ერთვის გამოყენებული ლიტერატურის, საანალიზო წყაროებისა და ინტერნეტმასალის ელექტრონული ბმულების ჩამონათვალი.

## თავი I

### ტროპული მეტყველება და ენობრივი ექსპრესია

#### 1.1. ტროპული მეტყველება და ენობრივი ექსპრესია, როგორც ლინგვისტიკის ინტერესის სფერო

ენათმეცნიერების ისტორია საუკუნეებს ითვლის. თანამედროვე ენათმეცნიერულ კვლევებში წარმოჩენილი მრავალი პრობლემა ჯერ კიდევ უძველეს ხანაში იყო დასმული. ჩვენს წელთაღრიცხვამდე, IV საუკუნეში, ბერძენმა ფილოსოფოსმა და მოაზროვნემ არისტოტელემ საგულისხმო ტრაქტატი შექმნა პოეტური ხელოვნების ისტორიაში. მისი აზრით, „განსჯისეულია ის, რაც სიტყვის საშუალებით უნდა იქნეს გამოთქმული... იმ დარგში, რომელიც სათქმელს ეხება, განხილვის ერთი საგანია სიტყვის გარეგნული ფორმა“ [არისტოტელე, 1944: 40]. სწორედ ეს პრობლემა გახლავთ ენათმეცნიერების განხილვის საგანი, რომელიც ჩაისახა და განვითარდა ძველ აღმოსავლეთში, მესოპოტამიაში, სირიაში, ეგვიპტეში, ინდოეთსა და საბერძნეთში. მეცნიერულ კვლევებს კი მე-19 საუკუნის დასაწყისიდან ჩაეყარა საფუძველი ზოგადი და შედარებით-ისტორიული ენათმეცნიერების ფორმით, რაც ახალი ეტაპი იყო დარგის განვითარებაში. აღნიშნული მეთოდის გამოჩენა არ იყო შემთხვევითი, რადგანაც ენათა შედარების იდეა XIX საუკუნეზე ადრე გაჩნდა სხვადასხვა ქვეყანაში. ამ დროისათვის დიდი რაოდენობით იყო მოპოვებული ინდოევროპულ ენათა მასალა და, შესაბამისად, მეცნიერების განვითარების დონე XX საუკუნის ევროპაში მაღალ დონეზე იდგა. თავდაპირველი შედარებები ძირითადად შემთხვევითი ხასიათის იყო. ემყარებოდა სემანტიკურ და ფონეტიკურ მსგავსებებს, ფორმათა ისტორიული ანალიზის გაუთვალისწინებლად [გიგინეიშვილი, 1972: 265]. ენათმეცნიერება განიხილება როგორც კულტურულ-ისტორიული მეცნიერება. ზოგადად, ენის, როგორც ცნების, განსაზღვრა გულისხმობს მთელი ენათმეცნიერების შინაარსს. ამიტომაც, ენათმეცნიერებაზე სრული წარმოდგენის შესაქმნელად გათვალისწინებული უნდა იქნეს საზოგადოდ ენის ბუნება, რომელიც არსებითად ერთია ყოველი ხალხისა და დროისათვის. ენა, ეს არის იარაღი

აზრთა გასაზიარებლად. ენათმეცნიერები ამტკიცებენ, რომ ენა არის განუყოფელი მოქმედება, ის არ არის უცვლელი, უძრავი, არამედ ის არის მუდმივად ცვალებადი, ბგერათა, სიტყვათა, ფორმათა და გამოთქმათა ერთობლიობა.

ენა უმთავრესად მწერლის იარაღია. როგორც მიხეილ ჯავახიშვილი წერდა: „ენის უცოდინარი მწერალი სამფეხა ცხენსა ჰგავს, გენიოსიც რომ იყოს, ვერც გაიქცევა და ვერც დაიძვრება“ [ჯორბენაძე, 1987]. ეს ხატოვანი ნათქვამი ბევრ ზუსტ მეცნიერულ განსაზღვრაზე უკეთ წარმოაჩენს ენის დანიშნულებას მწერლობისათვის. ენაში ინახება ის შესაძლებლობები, რომელთა საშუალებითაც შემოქმედი ხატოვან აზროვნებას უყრის საფუძველს. ამიტომაც, სიტყვათშემოქმედებას ყველაზე ფართო გამოყენების არეალი მხატვრულ ლიტერატურაში აქვს. სწორედ აქ ხდება ენის შინაგანი პოტენციის მაქსიმალური გამოვლენა და გამოყენება.

განასხვავებდა რა, ურთიერთისაგან მეტყველებას და ენას, სოსიური მიუთითებდა, რომ მეტყველება ჰეტეროგენულია, ენა კი განიხილება როგორც ერთგვაროვანი. ის არის ნიშნების სისტემა, სადაც გადამწყვეტია მნიშვნელობების ერთიანობა და ბგერები, ორივე ნიშანი კი კავშირშია ფსიქოლოგიასთან [Saussure, 2004: 59].

ნებისმიერი ტექსტი მიზნად ისახავს გადმოსცეს გარკვეული ინფორმაცია. მხატვრული ტექსტისათვის კი ნებისმიერი ინფორმაცია მხოლოდ საშუალებაა მხატვრული სახის შესაქმნელად, რაც გულისხმობს კონკრეტულის წარმოდგენას განზოგადებულის სახით. ორივე ტიპის ტექსტს - მხატვრულს და არამხატვრულს, განაპირობებს რეალური სიტუაცია ან მოვლენა. ეს მათი მსგავსებაა. იკვეთება განსხვავებაც, რაც გულისხმობს, რომ არამხატვრული ტექსტი ბოლომდე ინარჩუნებს კავშირს ასახულ რეალობასთან. წინააღმდეგ შემთხვევაში, მას შემეცნებითი და ემოციური ღირებულება არ ექნებოდა. მხატვრული ტექსტი კი წყვეტს კავშირს კონკრეტულ მოვლენებთან და ენიჭება დამოუკიდებელი, თავისთავადი ღირებულება, რითაც მეტად თვითმყოფადი ხდება.

აქედან გამომდინარე, მხატვრული ტექსტი ენობრივადაც სხვაგვარ ელფერს იძენს: სიტყვები, შესიტყვებები, ფრაზა ან ტექსტის მონაკვეთები ახალ, დამატებით

მნიშვნელობებს იძენენ, ერთმანეთთანაც ახლებურ კავშირს ამყარებენ და აყალიბებენ ახალ სისტემას. არამხატვრული ტექსტის ღირებულება მის რეალობასთან სიახლოვეში გამოიხატება. მხატვრულ ტექსტს კი, რეალურ მოვლენათაგან დამოუკიდებელი ღირებულება აქვს მოპოვებული. ბესარიონ ჯორბენაძე მიიჩნევს, რომ ემოციური შეიძლება იყოს მხატვრული ტექსტიც და არამხატვრულიც. მაგრამ ამ შემთხვევაშიც არსებითი ხასიათის განსხვავებაა მათ შორის: მხატვრული ტექსტი თავისთავად არის ემოციური, არამხატვრული ტექსტის ემოციურობა კი განპირობებულია თვით გადმოსაცემი ამბით და ინფორმაციით [ჯორბენაძე, 1987: 24].

ანდრო ჭილაია ექსპრესიულ მეტყველებას განმარტავს, როგორც სინამდვილის გრძნობად ფორმაში ღრმა ემოციური ძალით გამოხატვას სიტყვების საშუალებით, როგორც ზოგადად მაღალმხატვრულ მეტყველებას. ყოველი ენის ექსპრესიულობისა და გამომსახველობითი ძალის საფუძველს ქმნის ამ ენის პოეტური მარაგის ხასიათი, სიტყვების ემოციურ ჩარჩოში ჩასმის შესაძლებლობის ხარისხი, მწერლის ოსტატობა, ნიჭი და წარმოსახვის უნარი. როგორც ენათმეცნიერი აღნიშნავს, პოეზიის თვისებაა ექსპრესიულობა, რაც იწვევს მაღალ ემოციურობასა და ესთეტიკურ ტკბობას. წარმოსახვა და პოეტური ინტონაცია ერწყმის ერთმანეთს და მკითხველს, თუ მსმენელს ანიჭებს დიდ სიამოვნებას. ექსპრესია მხატვრულ ლიტერატურაში ძლიერდება გამომხატველ საშუალებათა ოსტატურად გამოყენების ხარისხით [ჭილაია, 1971: 148]. მიუხედავად იმისა, რომ ემოცია ფსიქოლოგიური კატეგორიაა, მისი გადმოცემა ენობრივი საშუალებებით ხდება და, შესაბამისად, ემოცია ტრანსფორმირდება ენაში [თუთბერიძე, 2005: 105].

მწერლები ხვეწენ და ამდიდრებენ ენას, შემოაქვთ ფორმები, რომლებიც მეტნაკლებად მკვიდრდება ენაში და ენა იძენს სიძლიერესა და მოქნილობას. ამიტომაც მიჩნეულია, რომ მწერლის ენის შეფასება ამა თუ იმ ორთოგრაფიული თუ სხვა ნორმების თვალსაზრისით მიზანშეწონილი არ არის [ჯორბენაძე, 1987]. ზოგადად, ენებს მეტად რთული მექანიზმი აქვთ. ინგლისელი ენათმეცნიერი ჟოფრი ლიჩი მიიჩნევს, რომ არ

არსებობს რომელიმე ენის სისტემის სრულყოფილი დახასიათება, თუნდაც ისეთი კარგად შესწავლილი ენისა, როგორცაა ინგლისური ენა [Leech, and Short, 2007: 36].

სალიტერატურო ენა, რომელსაც ქმნის მწერლობა, მეცნიერება, პრესა, კინო, თუ თეატრი, ხალხურ ენას ემყარება. მისგან გამოირჩევა ფორმათა სიმყარითა და დახვეწილობით. მხატვრული ენა სალიტერატურო ენის ჩარჩოებში ვერ თავსდება, რადგანაც ის ხასიათდება საგანთა და მოვლენათა მხატვრულ-ემოციური წარმოსახვით. არამხატვრული მეტყველებისაგან განსხვავებით ის ესთეტიკური ფუნქციის მატარებელია.

მხატვრული ენის პარალელურად იხმარება ტერმინი პოეტური ენა. თუმცა, რადგანაც დღეისათვის მხატვრული მეტყველების უმთავრესი ფორმა ლექსითი მეტყველება აღარ არის, ეს ტერმინიც პირობითად იქცა. რაც ფერია მხატვრობისათვის და ბგერა მუსიკისათვის, იგივეა სიტყვა ლიტერატურისათვის. მხატვრული ენის სპეციფიკური ფუნქცია იმაში მდგომარეობს, რომ ნათქვამმა საგანი გააცოცხლოს, სიმკვეთრით გამოხატოს, რომ მკითხველი მარტო კი არ ხედავდეს, არამედ განიცდიდეს და გრძნობდეს საგანს. მხატვრული ენის სწორედ ეს მხარე ხდის მას მხატვრული ფორმისა და მხატვრული სტილის ერთ-ერთ ძირითად კომპონენტად [ხინთიბიძე, 1978: 270].

ჩეხი ენათმეცნიერი მურაკოვსკი განასხვავებდა სტანდარტულ ენასა და პოეტურ ენას. პოეტური ენის მკვლევარს აინტერესებს, რამდენად უნდა იყოს პოეტი სტანდარტული ენის ნორმებს დაქვემდებარებული, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, რამდენად უნდა ემორჩილებოდეს პოეზია ენობრივ ნორმებს. სტანდარტული ენის მკვლევარი კი არკვევს, თუ რამდენად უნდა იყოს პოეტური ენა სტანდარტულ ენაში ასახული. ზოგადად კი, პოეტური ენის თეორია იკვლევს სტანდარტულ ენასა და პოეტურ ენას შორის არსებულ განსხვავებებს. თანამედროვე კვლევები კი ადასტურებს, რომ ერთიანი ნორმის დადგენა მიზანშეწონილი არ არის და ურთიერთობა პოეტურ ენასა და სტანდარტულ ენას შორის დროთა განმავლობაში უნდა იცვლებოდეს. პოეზია უფრო და უფრო იხვეწება და ენას საშუალებას აძლევს, ახალ მოთხოვნებს

დაექვემდებაროს, რასაც მდიდარი გამომხატველობითი საშუალებების დახმარებით ახერხებს [Murakovski, 1932: 42-52].

პოეტური შემოქმედების პროცესში დიდი მნიშვნელობა ენიჭება მხატვრული აზროვნების ფენომენს, ენის სიტყვიერ მასალას. შემოქმედის სამყარო ამ დროს ვლინდება უფრო მაღალი ექსპრესიით, აქტიურობით, რომელიც დამყარებულია სიტყვათა მასალის მოწესრიგების მეთოდზე. პოეტური აღქმის გამოვლენას მოსდევს მისი ფსიქიკის გამომსახველი სიტყვები, რომელთა ერთობლიობაც გრძნობათა გამოხატვის ფუნქციას ავლენს. ამიტომ მხატვრული ენა, ანუ პოეტური ენა, ძირითადად ინდივიდუალური სახეა და შემოქმედის აზროვნების კონკრეტულობა. „ის ფუნქცია, რასაც სიტყვის სემანტიკური არსი ასრულებს, ერთნაირად ეხება დასახელებულ საგანს და თვითონ მთქმელს. სიტყვის ყოველ მნიშვნელობასთან დაკავშირებულია არა მხოლოდ საგნის გამოსახვა, არამედ მწერლის მხატვრულ-იდუური პოზიცია და, მაშასადამე, გარკვეული ემოციური განწყობაც. ორივე მხარეს აქვს ესთეტიკური მნიშვნელობა. მათ ურთიერთმიმართებაში იძენს სიტყვა მხატვრულ ემოციურ ელფერს“ [ჭოხონელიძე, 1975: 118]. არსებობს აზრთა სხვადასხვაობა პოეზიის არსთან და მის მნიშვნელობასთან დაკავშირებით. XIX საუკუნის განმანათლებელი მეთიუ არნოლდი (1822-1888) წერდა: „რაც დრო გავა, კაცობრიობა მიხვდება, რომ დროა დავუბრუნდეთ პოეზიას და მოვახდინოთ სიცოცხლის ინტერპრეტაცია ჩვენში. ის უნდა დაგვეხმაროს და გადაგვარჩინოს. პოეზიის გარეშე ჩვენი მეცნიერება არასრულფასოვანი იქნებოდა [Arnold, 1970: 340]. ელიოტი კი თვლიდა, რომ პოეტის მთავარი მიზანი უნდა იყოს მკითხველის ყურადღების გადატანა თვითონ პოეზიაზე და არა ისეთ ფაქტებზე, როგორცაა, მაგალითად, პოეტის პირადი და სოციალური მდგომარეობა. ის თვლიდა, რომ სჯობია პოეზიაში ემოციურ ფონს არ ქმნიდეს ავტორის ცხოვრებისეული ფონი. ემოცია პოეზიაში ირიბად უნდა იქნეს გადმოცემული [Bertens, 2001: 12]. ქართული ენა მეტად თავისებურია, ამიტომაც მისი გრამატიკული სტრუქტურა ლინგვისტიკაში დიდ ინტერესს იწვევს. ქართული ენის ფონეტიკა, მორფოლოგია და სინტაქსი ხასიათდება ისეთი სპეციფიკური ნიშნებით, რომლებიც სხვა ენებისათვის უცხოა. შესაბამისად,



ქართული ენა მეცნიერებისათვის მეტად საინტერესოა, როგორც კულტურულ-ისტორიული, ისე ლინგვისტური თვალსაზრისით. მრავალი უცხოელი მეცნიერი დაინტერესებულია ქართული ენის სტრუქტურით [ძიმიგური, 1975: 212]. „ლინგვისტიკას აინტერესებს, - როგორ, რა გზით, რისთვის, რა მიზნით და ა.შ. აღნიშნავს თუ გამოხატავს ენისა და მეტყველების ესა თუ ის ერთეული ემოციას“ [თვალაძე, 2002: 138]. ემოცია განმარტებულია, როგორც დიდი მგრძობელობა, მაღალი განცდა, ამაღლებული განწყობილება, პოეტური სიტბო. ემოციის არსის გარკვევაში ორი მომენტი ხაზგასმული: ა) ემოცია, როგორც შიშის, სიხარულის, სიყვარულის, გრძობის, შინაარსის გამოხატულება, ბ) ემოცია, როგორც მხატვრული გამოსახვის ფორმა, გადმოცემის პოეტური ჩარჩო. ემოციურობა დიდ როლს ასრულებს პოეტურ ენაში და ზოგადად მხატვრულ ლიტერატურაში [ჭილაია, 1971: 126].

მხატვრულ შემოქმედებაში მოვლენის არსის, ან მისი რომელიმე თვისების გამოსახატავად განუსაზღვრელი მრავალფეროვნება გვაქვს მოცემული. ჩვეულებრივ, მწერალი არ იფარგლება მხოლოდ პირდაპირი მნიშვნელობით ხმარებული სიტყვებით. იგი მოვლენის რომელიმე გარკვეული თვისების წარმოსახვას იძლევა. ხშირად წარმოსახვა ემყარება გადატანითი მნიშვნელობით ნახმარ სიტყვებს, რომელთაც ტროპი ეწოდება. ტროპი (ბერძნ. Tropos - შექცევა, შებრუნება) ყველა გადატანითი მნიშვნელობით ხმარებული სიტყვა თუ წინადადებაა. ტროპის ბუნება სიტყვის არაპირდაპირი მნიშვნელობით გამოყენების ხასიათით ისაზღვრება. სიტყვის გადატანითი მნიშვნელობით ხმარება სიტყვას ხდის ფორმით პოეტურს, მეტყველებას ექსპრესიულს და აზრს მრავალფეროვანს. სიტყვათა გადატანითი მნიშვნელობით გამოყენება ცვლის სიტყვის შინაარსს, თუმცა აზრი გასაგებია საგნის ან მოვლენის სახეობრივი ჩვენებისათვის. მწერალი ერთი საგნის ემოციურად დასახატად მეორე საგნის თუ მოვლენის თვისებას იყენებს. შესაბამისად, ერთი საგნის თვისების მეორეზე გადატანით წარმოქმნილია შორეულ საგანთა დაახლოება, პოეტური წარმოსახვის გაფართოება. ამიტომაც ვამბობთ, რომ სიტყვის არაპირდაპირი მნიშვნელობით გამოყენება იწვევს: სიტყვის შინაარსობრივ გამდიდრებას, ანუ მნიშვნელობის

გაფართოებას და პოეტური წარმოსახვის გაძლიერებას. გადატანითი მნიშვნელობით გამოყენებული სიტყვა სხვადასხვა ფუნქციას ასრულებს მხატვრულ მეტყველებაში.

ჩვენთვის სასვებით მისაღებია სტილისტური ხერხის გალპერინისეული განმარტება, რომლის თანახმადაც, იგი წარმოადგენს განზოგადებული სტატუსის მქონე მოდელს, რომელიც წარმოიქმნება ამ თუ იმ ენობრივი ერთეულის ტიპობრივ-სტრუქტურული და სემანტიკური თვისების გაცნობიერებული და მიზანდასახული ინტენსიფიკაციის შედეგად [Galperin, 1977: 30].

ტროპის სახეებია: შედარება, მეტაფორა, გაპიროვნება, ეპითეტი, სიმბოლო, ირონია, ალეგორია, პერიფრაზი, მეტონიმია, სინეკდოქე. შედარება, ეპითეტი და ჰიპერბოლა ტროპის შედარებით მარტივ სახეებადაა მიჩნეული. თავდაპირველად ტროპის ყველა სახეს ლექსიკის შესავსებად გამოიყენებდნენ. შემდეგ კი ისინი სამკაულებად, პოეტურ-ემოციური ძალის მქონე გამოსახვის საშუალებებად იქცნენ. ტროპულ სიტყვას, ამას გარდა, წმინდა ენობრივი მნიშვნელობა აქვს. მისი საშუალებით იქმნება სიტყვის მრავალმნიშვნელობა და ამით მდიდრდება ენის ლექსიკური მარაგი. ტროპის სახეები განსაკუთრებულად მაღალი პოეტური ხარისხით მხატვრულ ლიტერატურაში გვევლინება. ინგლისელი ენათმეცნიერი პოლ დე მანი მიუთითებს, რომ ტროპული მეტყველება (Figurative Language) მოიცავს მხატვრული ხერხების ფართო არეალს. იგი განმარტავს, რომ ტროპი არ არის წარმოებული, მარგინალური ან შემოკლებული ენის ფორმა, არამედ ესაა ბრწყინვალე ენობრივი პარადიგმა [Man, 1982: 129-130].

ტროპი ექსპრესიული მეტყველების სასიცოცხლო ელემენტია. ყოველი დიდი მწერლის შემოქმედებაში იგი უხვადაა წარმოდგენილი. მხატვრული სიტყვის ოსტატიც კი ძნელად მოახერხებს ტროპის გამოყენების გარეშე მძაფრი ემოციური გავლენა მოახდინოს მკითხველზე. ტროპის პოეტურ ბუნებას დაკისრებული აქვს ამსახველობითი, შემეცნებითი, ესთეტიკური და ემოციური ფუნქცია: ეს ფაქტორები განსაზღვრავს ტროპის ადგილს, როლსა და მნიშვნელობას ზოგადად მხატვრულ მეტყველებაში. ტროპული მეტყველების შინაარსეულ ბუნებას, ესთეტიკურ ფუნქციას

და ემოციურ ფორმას პოეტური სტილისტიკა და მისი ერთ-ერთი დარგი - პოეტური სემანტიკა შეისწავლის.

ტროპები განაპირობებენ ენის მხატვრულ ბუნებას. მხატვრული ენა ვერ თავსდება სალიტერატურო ენის ჩარჩოებში. მისი დამახასიათებელი ნიშანი, რაც საგანთა და მოვლენათა მხატვრულ-ემოციური ელფერით წარმოჩენაში მდგომარეობს, ვერ იქნება სალიტერატურო ენის თვისება. ემოციური სიმძაფრე, გამოთქმის უშუალოება და ბუნებრიობა მხატვრული ენის დამახასიათებელი ნიშნებია. წერა ემოციების, გრძნობების, საკუთარი თავის გამოხატვის საუკეთესო საშუალებაა. ყველას როდი შეუძლია, წერის დროს მხატვრული ხერხები გამოიყენოს და თხრობა უფრო მიმზიდველი გახადოს. ნაწარმოები ძალზე ღირებულია მაშინ, როდესაც ექსპრესიულია, მხატვრულ-გამომსახველობითია. ექსპრესიულობას კი ტროპული მეტყველება განაპირობებს. ხშირად თვლიან, რომ მხატვრულმა ენამ შესაძლოა, შეცდომაში შეგვიყვანოს, რადგანაც მას ორი მნიშვნელობა აქვს. მრავალი წლის განმავლობაში ტექსტები ან ლიტერატურული კრიტიკა გამოიყენებდა ამ ტერმინს, რათა აღენიშნა ლიტერატურული სამკაული ან სტილისტური ხერხი. საბოლოოდ მხატვრული ენა დავიდა „პოეტური ენის“, ან „რიტორიკული ენის“ ტერმინების დონეზე. მეცნიერები განასხვავებენ მხატვრულ ენასა და ჩვეულებრივ ლიტერატურულ ენას [Wellek and Warren, 1956: 23].

სიტყვის ხელოვნებას რიტორიკას უკავშირდებდა მკვლევარი დუპრიეზი (Dupriez, 1991), როცა წერდა, რომ ყოველივე, რაც სიტყვის ხელოვნებას უკავშირდება, რიტორიკულია. რიტორიკული ფენომენი არც თავისთავადია, არც მსოფლიოს კუთვნილებაა და არც ენისა. მაგრამ ვერც სიტყვა და ვერც ენა მის გარეშე ვერ იარსებებს. „რიტორიკული“ აუცილებლად არ ნიშნავს თავისებურ ან ზედაპირულ ლინგვისტურ ხერხს. რიტორიკულ იმპულსებს უფრო ღრმა და დიდი ხნის ისტორია აქვს [Dupriez, 1991, 17-19].

ტროპი - ენობრივი მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებაა, რომლის ერთ-ერთი ზუსტი განსაზღვრა ჯერ კიდევ ძველ რომში გაჩნდა. იგი ეკუთვნის რომაელ

ორატორს მარკუს ფაბიუს კვინტილიანეს: „ტროპი სიტყვის საკუთარი მნიშვნელობის ისეთი შეცვლაა, როდესაც ხდება მნიშვნელობის გამდიდრება“. მთავარია, მკითხველმა შეძლოს „მნიშვნელობის გამდიდრების“ დანახვა, ანუ იმ ახალი აზრის დანახვა, რომელიც ჩნდება მხატვრულ ტექსტში სიტყვის „გარდასახვის“ მეშვეობით [გობაძე, 2013].

ბერძნული განსაზღვრების თანახმად, ტროპი არის მხატვრული ეფექტის მომხდენი ფიგურა, შექმნილი მნიშვნელობის გადატანით აშკარად ნასესხებიდან ნაგულისხმევზე, ანუ ერთ მოვლენაზე მითითებით და მეორეს გულისხმობით. თანამედროვე დაზუსტებით, ესაა მნიშვნელობის „გადანაცვლება“, თანაარსებობა ერთ აღმნიშვნელთან ორი მნიშვნელობისა - „პირდაპირის“ და „გადატანითის“, „ცენტრალურის“ და „გვერდითის“, მნიშვნელობის „გაორება“, „გახლეჩა“, „სემანტიკური პარალელიზმი“.

ტროპების ფუნქციების განსაზღვრისას გამოყოფენ მათ გამომსახველობით, ექსპრესიულ, შეფასებით და კონცეპტუალურ ფუნქციებს.

ალექსანდრე გვენცაძე შენიშნავს, რომ ყოველი სრულმნიშვნელოვანი სიტყვა მიუთითებს ერთ „ობიექტურ სინამდვილის გარკვეულ მონაცემზე“; ეს არის მისი ჩვეულებრივი მნიშვნელობა. მაგრამ მეტყველებას აქვს „უფლება“ ნებისმიერად მოიხმაროს თავისი რესურსები, რა თქმა უნდა, მოიხმაროს კანონზომიერების შესაბამისად. მოხდება ისე, რომ ადამიანი ენის ფაქტში შეუცვლის სიტყვას პირდაპირ მნიშვნელობას და „ჩასვამს“ იმავე ფორმაში სრულიად ახალ ფუნქციას. ეს იმას ნიშნავს, რომ სიტყვამ თითქოს დაკარგა პირველადი მნიშვნელობა და შეითვისა ახალი ფუნქცია... მნიშვნელობის ასეთ შენაცვლებას ეწოდება ტროპიზაცია, მის ცალკეულ ნიმუშს კი ტროპი [გვენცაძე, 1991: 22]. გვენცაძე შენიშნავს, რომ ტროპიზაციის სახეობების გამოყენებით მდიდრდება მეტყველების სიტყვიერი ფონდი. მაშასადამე, გარეგნულად ერთსა და იმავე ლექსიკურ ერთეულს ენიჭება ორგვარი ფუნქციის შესრულება: ჩვეულებრივის და დამატებითის. ენათმეცნიერი ანგარიშს უწევს იმ გარემოებას, რომ მრავალი მნიშვნელობით მოხმარებულ სიტყვას მხარში უდგას სათანადო მსაზღვრელიც. აქედან ირკვევა, რომ მსაზღვრელ-საზღვრული ერთად ქმნის ახალ მნიშვნელობას და იგი

ტროპიზაციის მაგალითად არ ითვლება. განიხილავენ სხვაგვარ მოვლენასაც, როდესაც გარეგნულად სავსებით ერთნაირი სიტყვები სხვადასხვა მნიშვნელობებს გამოხატავენ. ისინი არ საჭიროებენ მსაზღვრელებს. ამ კატეგორიას ომონიმია ეწოდება [გვენცაძე, 1991: 23].

ინგლისელი ენათმეცნიერების განმარტებით, ლინგვისტიკაში არსებულ ტერმინებს, რომლებიც რაიმე მნიშვნელობას აღნიშნავენ, გამომსახველობითი საშუალებები (expressive means), სტილისტიკური საშუალებები (stylistic makers), სტილისტიკური მოწყობილებები (stylistic devices), ტროპები (tropes) ეწოდება. აქ ლინგვისტიკები გამოყოფენ ჩვეულებრივ სემანტიკურ და სტილისტიკურ განსხვავებებს მნიშვნელობაში. ფაქტობრივად, ყოველ ენაში არის ცნობილი და აღიარებული გრამატიკული და ლექსიკური მნიშვნელობები, ზოგიერთ მათგანში კი არსებობს სპეციფიკური მნიშვნელობები, რასაც სტილისტიკას უწოდებენ.

კითხვაზე, რა არის მხატვრული ხერხი? - ინგლისელი ენათმეცნიერები პასუხობენ, რომ ეს არის შეგნებული და მიზანმიმართული გამლიერება ენის გარკვეული სტრუქტურული თუ სემანტიკური კუთვნილებისა. შესაბამისად, მათი განმარტებით მხატვრული ხერხი აბსტრაქტული ფენომენია. ის ყოველთვის დამატებით ინფორმაციას შეიცავს, ემოციურს ან ლოგიკურს. ისინი თანხმდებიან, რომ ზოგადად მხატვრული ხერხების გაჩენა ენის განვითარების პროცესში სრულიად ბუნებრივი მოვლენაა.

რადგანაც ადამიანთა კონტაქტი საუბრის საშუალებით ჩამოყალიბდა, ბუნებრივია ის განპირობებული იყო გრძნობებით. შესაბამისად, ივარაუდება, რომ პირველ გამონათქვამებს, რამდენადაც ისინი გამოხატავენ ადამიანის ძლიერ შთაბეჭდილებებს, ანუ ექსპრესიულობას, უკვე ტროპების სახე ჰქონდათ. სწორედ ასე დამკვიდრდა მხატვრული მეტყველება. თავდაპირველად, მხოლოდ პოეტურად მეტყველებდნენ და ენა მოკლებული იყო ახსნა-განმარტებებს [Rousseau, 1966: 12].

როგორც მეცნიერი და მკვლევარი საჩკოვა (Sachkova, 2012) აღნიშნავს, პოეტური და ლიტერატურული სიტყვები სალიტერატურო ლექსიკონში არცთუ მნიშვნელოვან როლს

ასრულებენ. ისინი ძირითადად არქაული წარმოშობის არიან და იშვიათად გამოიყენებიან თანამედროვე მწერლობაში [Sachkova, 2012: 10].

ენათმეცნიერი გ. შალამბერიძე მიუთითებდა: „მხატვრული ნაწარმოების ექსპრესიულობა დიდად არის დამოკიდებული იმაზე, თუ რა საშუალებებით აძლიერებს ავტორი ამა თუ იმ სიტყვით გადმოცემულ შინაარსს. ამ მხრივ განსაკუთრებული როლი აკისრია ატრიბუტულ ზედსართავ სახელებს არსებით სახელებთან, ხოლო ვითარების ზმნიზედებს - ზმნებთან [შალამბერიძე, 1966: 200].

მეტყველების ფაქტში მეტყველების ერთეულების გადატანითი მნიშვნელობით მოხმარებას გარკვეული წესები და საფუძველი გააჩნია, ამიტომ ტროპი მეტყველების კანონზომიერი მოვლენაა. მათი დახმარებით ადამიანი ამდიდრებს სიტყვათა მარაგს და, ამასთან ერთად, აძლიერებს და ალამაზებს ისეთ იარაღს, როგორცაა ენა. ტროპად გამოყენებული სიტყვა ინარჩუნებს იმ გარეგნობას, რომელიც მას აქვს ჩვეულებრივი მნიშვნელობისას. ტროპი ომონიმია. არსებობს ომონიმები, რომლებსაც სხვადასხვა წარმოშობის ძირების ერთნაირი ბგერითი სახე აქვთ, მაგრამ სხვადასხვა ობიექტზეა მითითება: ბარი - დაბლობი ადგილი და ბარი- სამუშაო იარაღი. ასეთი სახის ომონიმებს შეიძლება ვუწოდოთ - იდეოგრაფიული ომონიმები. თუმცა, ტროპი, როგორც ომონიმი, სხვა ხასიათისაა. ტროპისათვის გამოყენებულია ჩვეულებრივი მნიშვნელობის სიტყვა რაიმე საერთო ნიშნის საფუძველზე. ამიტომაც ერთი ძირის სიტყვა გვევლინება სხვადასხვა მნიშვნელობით. ასეთი წარმოშობის ომონიმ-ტროპს - სტილისტიკური ომონიმი უნდა ეწოდოს. ტროპის სახეები მხატვრული აზროვნებისათვის საუკეთესო საშუალებებია. როდესაც ვამბობთ, რომ მწერლები ერთმანეთისაგან განსხვავდებიან წერის მანერით, ინდივიდუალური სტილით, ქვეცნობიერად იგულისხმება ტროპის სახეების გამოყენების შემოქმედებითი უნარი. იგი ხელს უწყობს აზრის ემოციურად, ექსპრესიულად დატვირთვას. ეს უკანასკნელი სტილისტიკის შესწავლის ობიექტია.

ზოგადად, ტექსტის ლინგვისტიკა მჭიდროდაა დაკავშირებული სტილისტიკასთან, რადგანაც ტექსტში გამოყენებული სხვადასხვა კონოტაციის (ფუნქციონალურ-სტილისტური, ემოციონალურ-ექსორესიული) საშუალებები, შეისწავლება

ფუნქციონალურ სტილისტიკაში, და ასევე „კულტურულ მეტყველებაში“, რომლის ნორმების ცოდნის გარეშე წარმოუდგენელია კულტურული ურთიერთობის დაუფლებაც და გრამატიკულად და კომუნიკაციურად ადეკვატური ტექსტების შედგენა [დემეტრაძე, 2013: 22].

ტროპული მეტყველების ბუნებიდან გამომდინარე, ლინგვისტიკა მეტად დაინტერესებულია მისი სტრუქტურითა და მომავალი განვითარებით. მხატვრული ლიტერატურის ლინგვისტური კვლევისას გვერდს ვერ ავუქცევთ იმ ენობრივი შესაძლებლობების შესწავლას, რომლებიც ქმნიან ტროპულ მეტყველებას და ტექსტის მხატვრულობის გარანტს წარმოადგენენ. აქედან გამომდინარე, ჩვენთვის საინტერესოა თითოეული მათგანის გადმოცემის საშუალებების განხილვა. ვრცლად კი შევხებით ჩვენი საკვლევი ობიექტის, ტროპული მეტყველების მეტად გამომსახველი სახის - შედარების გადმოცემის შესაძლებლობებს და მის ადგილს ზოგადად მხატვრული აზროვნების რეალობაში. გამომსახველობითი ხერხები და საშუალებანი დამოკიდებულია მწერლის შემოქმედებით ინდივიდუალობაზე. მხატვრული ენის თავისებურება გამომსახველობით და ესთეტიკურ თავისებურებათა და ფუნქციათა ერთობლიობას მოიცავს... რადგან მწერალი არა მარტო ახალ ტროპებს, ფიგურებს, საერთოდ, ენობრივ სახეებს ქმნის, არამედ სიტყვის, ფრაზის ყველა მხარეს ტვირთავს გამომსახველობითი ფუნქციით, ამიტომ, მხატვრულ ნაწარმოებში არსებითად ფართოვდება და ღრმავდება ენის გამომსახველობა [ჭოხონელიძე, 1975: 130].

ალექსანდრე გვენცაძე მიუთითებდა, რომ მეტყველების ერთეულების გადატანითი მნიშვნელობით მოხმარებას გარკვეული წესები და საფუძველი გააჩნია. ამის შესაბამისად, გამოიყოფა ტროპების სახეობები: მეტაფორა, ეპითეტი, შედარება, პერიფრაზი და სხვანი [გვენცაძე, 1991: 24].

ტროპისათვის დამახასიათებელი ნიშნები ყველაზე სრულად მოცემულია **მეტაფორაში**. მეტაფორა ბერძნული სიტყვაა და ნიშნავს გადატანას. ძველი ბერძნები და რომაელები მეტაფორას განიხილავდნენ, როგორც ტროპის ყველაზე ამაღლებულ, ღირსეულ სტილისტიკურ შესაძლებლობას. არისტოტელე წერდა: „დიდი საქმეა

შესაფერისად ისარგებლო ორმაგი სიტყვებით და უცხო სიტყვებით, მაგრამ უდიდესი საქმეა მეტაფორებით ოსტატურად გამოყენება. ვინაიდან მხოლოდ ეს არ შეიძლება სხვისაგან იქნას გადმოღებული და იგი არის ბუნებრივი ნიჭის ნიშანი. კარგი მეტაფორის შექმნა იგივეა, რაც მსგავსების ხილვა“ [არისტოტელი, 1944: 49]. მეტაფორა ავტორის უშუალო შემოქმედების ნაყოფია და ხშირად ზმნით გამოხატული ფორმაა. მეტაფორა უნივერსალური სახეა და ვხვდებით სხვადასხვა ტიპის ენაში, უპირატესად კი მხატვრული მწერლობის სამკაულად მიიჩნევა. მეტაფორა პოეტურად შესაძლებელს, დასაშვებს, ანალოგიებით წარმოსადგენს ემყარება ან აგებულია სიტყვათა გადატანით მნიშვნელობაზე. ის მხატვრულ ტექსტს ანიჭებს განუმეორებელ, ინდივიდუალურ ელფერს.

მეტაფორა არის მოვლენა, როდესაც რომელიღაც კლასის ნიშან-თვისებები გადატანილია მეორე კლასის საგნებსა და მოვლენებზე. მაშინ, როდესაც მხატვრული შედარება მიუთითებს ერთი ობიექტის მსგავსებაზე მეორესთან, განავრცობს მას და იყენებს კავშირებს, თანდებულებს და პრედიკატებს, მეტაფორა ლაკონურია, გამოხატავს მთავარ მსგავსებას და ამოკლებს მეტყველებას [ცანავა, 2009: 7].

თანამედროვე დასავლეთ ევროპულ ენათმეცნიერებაში გააზრებულია მეტაფორის განსაკუთრებული სახე. მეტაფორას აქვს უნიკალური სტრუქტურა, მაგრამ აქვს ორი ფუნქცია: რიტორიკული და პოეტური. ზოგადად, მეტაფორის უმთავრესი მახასიათებელი ისაა, რომ მეტაფორა არის ის, რაც ემართება არსებით სახელს. მეტაფორა ერთი საგნის სახელის მეორე საგნისათვის მინიჭების საშუალებაა [Ricoeur, 2004: 12].

ჭოხონელიძის აზრით, მეტაფორა არ წარმოადგენს ზოგადენობრივ საშუალებას, იგი ისეთი ენობრივი საშუალებაა, რომელიც მხოლოდ გარკვეული ფორმით აძლიერებს ენის მხატვრულ შესაძლებლობებს. მეტაფორის ჩამოყალიბებაში გარკვეულ როლს თამაშობს შედარება, მაგრამ ეს მომენტი არ შეიძლება გადაჭარბებით შევაფასოთ და განვაზოგადოთ [ჭოხონელიძე, 1975: 126].

მეტაფორის ნიმუშები უმეტესად კლასიკოს პოეტთა შემოქმედებაში გვხვდება „წარსულ- ნერგზედ ახალ ნამყნის ველოდებით შეხორცებას“ (აკაკი წერეთელი), „ზეცა



დაჰყურებს ქვეყანას თვალითა ლმობიერითა“ (აკაკი წერეთელი), „ქუჩებს ცეცხლი გასჩენია“... (გრიგოლ აბაშიძე), „ფრინველივით დავჯდებოდე ნეტა ღამის უბეში“ (გურამ გეგეშიძე), „და ცხენების ფეხთა მტვერსა აღმა ჰყრიდა ღრუბლად ქარი“ (აკაკი წერეთელი), „ღელეს ჩავიდა მწუხარე ვარდი, ვარდისწყლით ნაბანი“ (ვაჟა).

მეტაფორასა და შედარებას შორის მსგავსება-განსხვავებაზე საუბრობს ენათმეცნიერი რიკური (Ricoeur, 2004). მისი აზრით, მეტაფორა და შედარება ერთმანეთთან ახლოს მდგარი მხატვრული ხერხებია. თუმცა, შედარება ამბობს: “this is like that” „ეს არის იმის მსგავსი“, ხოლო მეტაფორა ამბობს: “this is that” „ეს არის ის“. იქიდან გამომდინარე, რომ შედარება განვითარებული მეტაფორაა, გამოდის, რომ ყველა ტიპის მეტაფორა არის დაფარული მსგავსება ან შედარება [Ricoeur, 2004: 26]. განსხვავებული აზრი აქვს ამერიკელ ენათმეცნიერს ჯონსონს. იგი მეტაფორას ელიპტიკურ შედარებად მიიჩნევს. მიუხედავად იმისა, რომ შედარებას მეტაფორული ხასიათი აქვს, ყველა მეტაფორა შედარება არ არის [Johnson, 1981: 7].

თანამედროვე ლიტერატურისმცოდნეობაში მეტაფორის განსაზღვრებას უფრო ფართო მნიშვნელობა მიეცა. მეტაფორად მიიჩნევენ მხატვრული ნაწარმოების სიმბოლურ და ალეგორიულ სახეებსაც. გალპერინი მეტაფორას განმარტავს, როგორც ძალას, რომელშიც ორი ლექსიკური მნიშვნელობა ხვდება ერთმანეთს. ამიტომაც ითვლება იგი სურათების შექმნის ძლიერ საშუალებად. ისევე როგორც სხვა მხატვრული ხერხები, მეტაფორების კლასიფიცირება შესაძლებელია მათი მოულოდნელობის ხარისხის მიხედვით. ამიტომაც მეტაფორები, რომლებიც მოულოდნელებია, იწოდებიან როგორც „genuine“ (ნამდვილი) მეტაფორები, ხოლო ის მეტაფორები, რომლებიც ხშირად გამოიყენება მეტყველებაში, იწოდებიან როგორც „dead“ (მკვდარი) მეტაფორები. შესაბამისად, ისინი პროგნოზირებად მეტაფორებად ითვლებიან [Galperin, 1997: 141]. როგორც ვინოგრადოვი წერს, „მეტაფორა, თუ ის კლიშე არ არის, სამყაროს ხედვის ინდივიდუალური ფორმაა... სუბიექტური ხედვის აქტია... ამიტომაც, სიტყვა მეტაფორა ვიწროა და მეტად სუბიექტურია... ის მკითხველზე ახდენს სუბიექტური აზრის

გავლენას საგანზე ან მოვლენაზე და მის სემანტიკურ კავშირებზე“ [ვინოგრადოვი, 1945: 89].

უცხოელი ენათმეცნიერები მეტაფორას სხვადასხვა სიტყვებით განმარტავენ. შოუ (Shaw, 1972) წერდა, რომ მეტაფორა ტროპის სახეობაა, რომლის საშუალებითაც მწერალი ცვლის, აბრუნებს სიტყვის მნიშვნელობას. ნიუმარკი (Newmark, 1988) კი მეტაფორას განმარტავდა, როგორც აბსტრაქტულობის პერსონიფიკაციას. ის არის ისეთი მნიშვნელობა, რომელიც სიტყვას ლიტერატურულად არა აქვს. მისივე განმარტებით მეტაფორის მთავარი მიზანი საგნისა თუ მოვლენის უფრო რთულად წარმოჩენაა [Fadaee, 2011: 21].

- „In the slanting beams that streamed through the open window **the dust danced and was \_\_\_\_\_ golden**” {[http://www.mr-oscar-wilde.de/works/stories/dorian\\_gray\\_chapter02.htm](http://www.mr-oscar-wilde.de/works/stories/dorian_gray_chapter02.htm)] - „ღია ფანჯრიდან შემოსულ მზის სუსტ სხივებში, **ქროსფერი მტვერი ცეკვავდა**“.
- „It was a dull, grey, autumn day, ... **the leaves fell sorrowfully**” [<https://books.google.ge/books?id=HeDDCwAAQBAJ&pg=PT63&lpg=PT63&dq=It+was+a+dull,+grey,+autumn+day,+%E2%80%A6+the+leaves+fell+sorrowfully&source>] - „შემოდგომის მშრალი და ნაცრისფერი დღე იყო, ... **ფოთლები მწუხარედ ეცემოდნენ** დაბლა“.

ინგლისელი ენათმეცნიერი პოლ სიმპსონი აღნიშნავს, რომ მეტაფორა და მეტონიმია განსაკუთრებულად მნიშვნელოვანი ტროპის სახეებია და შესაბამისად, ღირებულ კვლევით ნაშრომსაც უძღვნის აღნიშნულ მხატვრულ ხერხებს. მისი განმარტებით, მეტაფორა - ეს არის ორი განსხვავებული კონცეპტის დამაკავშირებელი. ერთი მათგანი სამიზნეა, ხოლო მეორე წყაროა. სამიზნე კონცეპტი არის საგანი, რომელიც გვინდა, რომ მეტაფორის საშუალებით დავახასიათოთ, ხოლო წყარო კონცეპტი ის საგანია, რომლის საშუალებითაც სამიზნე საგანს ვახასიათებთ და ვაგებთ მეტაფორულ კონსტრუქციას. მეტაფორისაგან განსხვავებით, მეტონიმია ერთ კონცეპტულ საგანს ეხება. მეტონიმიაში, რომელიც, ასევე, ცნობილია სინექდოქეს სახელით, ძირითადად

ერთმანეთთან დაკავშირებული კონცეპტების ასოციაციებზეა აგებული. მაგალითად, “hored hand” ან “fresh pair of legs”. ხშირად რთულდება ორ სტილისტურ ხერხს შორის ზღვრის გავლება. ამ შემთხვევაში ენათმეცნიერი გვირჩევს, რომ აზრი გადავიყვანოთ შედარებაში. შედარება ორ კონცეპტს შორის საკმაოდ მკაფიო ზღვარს ავლებს ფორმულა “like” -ის საშუალებით. ეს ხერხი დაგვეხმარება მეტაფორის ამოცნობაში, რასაც ვერ ვიტყვით მეტონიმიაზე [Simpson, 2004: 41-43].

წინადადებაში სახელით გამოხატულ წევრს ხშირად განსაზღვრება ახლავს. განსაზღვრებად გამოყენებულია ზედსართავი სახელი, არსებითი სახელი, რიცხვითი სახელი, ნაცვალსახელი, აგრეთვე, მიმღობაც. ამ განსაზღვრებას ალექსანდრე გვენცაძე ამხსნელს უწოდებს და შენიშნავს, რომ იგი ზმნით გამოხატულ წევრს, ანუ შემასმენელსაც მოეპოვება. ეპითეტი არის მხატვრული განსაზღვრება. იგი ბერძნული სიტყვაა და ნიშნავს ზედდართულს, დამატებულს. გვენცაძე მას სტილისტიკურ ამხსნელს უწოდებს. ეპითეტი მოვლენის თვისებას უპირატესად ზედსართავი სახელით წარმოგვიჩვენს. მას ესთეტიკური ფუნქცია ახლავს. და მასში, როგორც სტილისტიკურ კატეგორიაში, ჩანს მთქმელის შემფასებლობითი დამოკიდებულება საგნებისა და მოვლენებისადმი. ამიტომაც უფრო ხშირად მას მხატვრულ ლიტერატურაში იყენებენ და ნაკლებად სამეცნიერო სტილში. ეპითეტი საგანსა თუ მოვლენას მეტაფორულად გამოსახავს [გვენცაძე, 1974: 50]. სიტყვათა მოულოდნელი, გემოვნებით შერჩეული შეხამებანი ემოციურად ტვირთავს შესიტყვებას, რაც მხატვრული აზროვნების სიცხადეში გარკვეულ როლს ასრულებს.

გაჩეჩილაძე ეპითეტს მხატვრული და არამხატვრული სტილის განუყოფელ ნაწილად მიიჩნევს. ფართო მნიშვნელობით, იგი ყველანაირი სახის განსაზღვრებას გულისხმობს, ხოლო ლიტერატურათმცოდნეობაში ის ისეთი მხატვრული განსაზღვრებაა, რომელიც ხაზს უსვამს მოვლენის თვისებას და გამოიყენება შთაბეჭდილების გაძლიერების მიზნით [გაჩეჩილაძე, 1957: 306-307].

„არსებობს საერთო აღიარება, რომ ეპითეტი არის უძლიერესი სტილისტიკური კატეგორია; იგი ანიჭებს მეტყველების დასრულებულ ფაქტს ლოგიკურ-ემოციურ ძალ-

ლონეს; ეპითეტი მკვეთრად გამოხატავს მთქმელის იდეურ თვალსაზრისს და სუბიექტური მრწამსის ნიუანსებს. ეპითეტი, ამასთან ერთად ალამაზებს და ამკობს საგნისა და მოვლენის სახეს, ან უარყოფითად ამდაბლებს და აკნინებს მას“ [გვენცაძე 1991: 33].

„შემოდგომისა ველურ ჰანგში ჭკნება ფოთოლი“ (გალაკტიონი) - აქ „ველური“ ეპითეტია, ჰანგის ველურობა კი პოეტური აღქმაა. „ეგ ცრემლიანი ცოდნა, თუ ცოდნიანი ცრემლი უკანისა, შუქია წინასი...“ (ილია ჭავჭავაძე), „ის თბილ-გრილი, ის მშრალ-სველი, ის ციაგ-ლურჯი შემოდგომა, რომელიც ჩვენმა დალოცვილმა ქვეყანამ ასე ტკბილად, ასე ლბილად იცის, მიჰბერდა და ჭადარა მოერია“ (ილია ჭავჭავაძე), „მოვიდა დიდი თოვლი და სოფლის გზებსა და ორღობეებში თეთრ უმტვერო სუფრასავით დაეგო და დაეფინა“ (ილია ჭავჭავაძე), „ნელად მოღელავს მოდუდუნე მტკვარი ანკარა“ (ნიკოლოზ ბარათაშვილი), „ველარ ვიხილავ ჩემსა ტურფას და ტკბილს მგოსანსა“ (ნიკოლოზ ბარათაშვილი), „სუმბულო ტურფავ, მოიგონე მკაცრი ზამთარი“ (ნიკოლოზ ბარათაშვილი).

გალპერინი ეპითეტს მოიხსენიებს, როგორც დახვეწილ და ნაზ მხატვრულ ხერხს, იგი ყოველთვის ემორჩილება მწერლის სუბიექტურ განწყობას. ეპითეტი ძლიერ გავლენას ახდენს მკითხველზე, იმდენად, რომ ის იწყებს საგნებისა თუ მოვლენების შეფასებას მწერლის გადმოსახედიდან. ენათმეცნიერი გვთავაზობს ეპითეტების კლასიფიცირების მოდელს - სემანტიკური და სტრუქტურული ეპითეტები. სემანტიკურად ეპითეტები შესაძლოა დაიყოს ორ ჯგუფად: ისინი რომლებიც ასოცირდებიან არსებით სახელებთან და ისინი, რომლებიც არ ასოცირდებიან არსებით სახელებთან. „Bright face“ - „ნათელი სახე“, „valuable connections“ - „სასარგებლო კავშირები“, „sweet smile“ - „ტკბილი ღიმილი“, „thirsty deserts“ - „მწყურვალე უდაბნოები“ ნიმუშებია პროგნოზირებადი ეპითეტებისა [Galperin, 1997: 158].

ინგლისურ ენაში ეპითეტს მხატვრული დატვირთვა აქვს. მისი ემოციური მნიშვნელობა ზოგჯერ კავშირშია დენოტაციურ მნიშვნელობასთან, ან დამოუკიდებლად არსებობს. ეპითეტს შეუძლია წარმოქმნას მკვიდრი შესიტყვებები იმ არსებით სახელთან

ერთად, რომელსაც განსაზღვრავს. ასეთი სიტყვათშეხამებანი შეიძლება იყოს: “true love” „ნამდვილი სიყვარული“, „Eng-land” „ინგლისი“. ეპითეტი განსაკუთრებულად პოეზიისათვისაა დამახასიათებელი. ის მეტად მოსახერხებელი საშუალებაა მწერლისათვის მოსაუბრის პირადი ემოციური მდგომარეობის გადმოსაცემად. თანამედროვე ინგლისურში ეპითეტები გამოიხატება სხვადასხვა მორფო-სინტაქსური კატეგორიით. უფრო ხშირად კი ეპითეტი გვხვდება ზედსართავი სახელის ფორმით, ატრიბუტული ფუნქციით. ასევე არსებითი სახელით, რომელიც წინ უსწრებს ატრიბუტულ ზედსართავს და მიუთითებს ფერზე, ფორმაზე და ა.შ. [Lehtsalu, Liiv, Mutt, 1973: 30-34].

სიტყვას განსაკუთრებულ სიმახვილესა და სინათლეს ანიჭებს ტროპის სხვა სახეობანიც: მეტონიმია, სინექდოქა, ლიტოტესი, გამეორება, ჰიპერბოლა, გაპიროვნება, სიმბოლო, ალეგორია, პერიფრაზი, ორინია, იდიომა, ფრთიანი გამოთქმები, მონოლოგი და დიალოგი და ჩვენთვის ყველაზე მეტად საინტერესო შედარება, როგორც მეტყველების შესაძლებლობა. აკაკი ხინთიბიძე მეტონიმიას განიხილავს როგორც ტროპის სახეობას, რომელშიც თვისებათა გადატანა ერთი მოვლენიდან მეორეზე ხორციელდება არა მსგავსების საშუალებით, როგორც ეს მეტაფორაშია, არამედ მოვლენათა შორის რეალური კავშირის საფუძველზე. მეტონიმია ბერძნული სიტყვაა და ქართულად გადასახელებას ნიშნავს. ამგვარი ხასიათისაა გამოთქმები: რუსთაველი ზეპირად ვიცი, ე.ი. რუსთაველის პოემა „ვეფხისტყაოსანი“ ზეპირად ვიცი. პუშკინი ვთარგმნე, ანუ პუშკინის ნაწარმოებები ვთარგმნე და სხვა. როგორც გალპერინი შენიშნავს, ხშირად ერთმანეთთან აიგივებენ მეტაფორასა და მეტონიმიას. მათ შორის ის განსხვავებაა, რომ მეტაფორაში ერთი განმარტება გამორიცხავს მეორეს, ხოლო მეტონიმიაში როდესაც ერთ საგანს წარმოვიდგენთ გონებაში, მეორე საგანს არ გამოვრიცხავთ. ენათმეცნიერი წარმოადგენს მაგალითს სადაც მკითხველის მიერ ორივე საგანი ადვილად აღქმადია: „Then they came in. Two of them, a man with long fair moustaches and **a silent dark man**... Definitely, the moustache and I had nothing in common” (Doris Lessing, “Retreat to Innocence”) - შემდეგ ორივენი შემოვიდნენ - ერთი მათგანი,

გრძელი, პატიოსანი უღვაშით, ხოლო მეორე, **გაჩუმებული, შავი კაცი...** რა თქმა უნდა, უღვაშიანსა და მე არაფერი გვქონდა საერთო [Galperin, 1997: 146].

ასევე საინტერესოა ინგლისელი ენათმეცნიერების აზრი მეტონიმის შესახებ. ისინი გამოყოფენ ორი სახის მეტონიმას: 1. ლინგვისტური მეტონიმია (მეტონიმიური წარმოშობის სიტყვები) და 2. მეტონიმია, როგორც სტილისტური ხერხი. ლინგვისტურ მეტონიმიაში სიტყვის შეძენილი მნიშვნელობა გადაზრდილია სემანტიკურ მნიშვნელობაში. დროთა განმავლობაში მისი მხატვრულობა და ემოციური ელფერი ქრება. ხოლო იმ შემთხვევაში, როცა მხატვრული მნიშვნელობა კვლავ იგრძნობა, მეტონიმია, შესაძლოა, ჩათვალოს სტილისტურ ხერხად [Lehtsalu, Liiv, Mutt, 1973: 22]. ადარებდა რა ერთმანეთს მეტონიმასა და მეტაფორას, ენათმეცნიერი ლაკოფი (Lakoff, 2003) ასკვნიდა, რომ მეტონიმია თითქმის იმავე მიზნებს ემსახურება, რასაც მეტაფორა და მათი გამოხატულება დაახლოებით ერთი და იგივეა, თუმცა, მეტონიმია უფრო მეტად იმ საგნის კერძო ასპექტებზე აკეთებს აქცენტს, რომელზეც საუბარი გვაქვს [Lakoff, 2003: 30].

**სინექდოქა**, როგორც ტროპის ერთ-ერთი სახე, მეტონიმას უახლოვდება და მასში უფრო რიცხვითი შეპირისპირება ქმნის სიტყვის გადატანით მნიშვნელობას. მაგ: „**ლევის პირდაპირ ვიყავი, ოცი ტყვია მომარტყესა**“ (ხალხური). ინგლისელი ენათმეცნიერების ფორმულირებით, სინექდოქაში ერთი მთლიანობის ერთი ნაწილი გულისხმობს მთლიანობას, ან მთლიანობა გულისხმობს ერთ ნაწილს, მხოლოებითი მრავლობითს, ან პირიქით, მრავლობითი მხოლოებითს. მეტონიმამ, და განსაკუთრებით სინექდოქამ, საგრძნობლად გაზარდა ენაში ფრაზეოლოგიური გამოთქმანი [Lehtsalu, Liiv, Mutt, 1973: 24-25].

**ჰიპერბოლა** საგანსა თუ მოვლენას გაზვიადებულად წარმოგვიდგენს. ისევე როგორც მეტონიმიაში, ჰიპერბოლაშიც ერთ საგანთან გვაქვს საქმე. თვისებათა გადატანა საგნიდან საგანზე არ ხერხდება, მაგრამ იმ ერთი საგნის გაგება პირდაპირი მნიშვნელობით შეუძლებელია. ჰიპერბოლა განსაკუთრებული სიმკვეთრით გამოხატავს მოვლენის დამახასიათებელ თვისებას. ჰიპერბოლით ნათქვამში ასახული გაზვიადება

პირდაპირი მნიშვნელობით არ უნდა იქნეს გაგებული. ჰიპერბოლა ხშირად გამოიყენება სიტყვაკაზმულ მწერლობაში. ჰიპერბოლის საპირისპირო მხატვრულ ხერხს წარმოადგენს **ლიტოტესი**. ჰიპერბოლა თუ გაზვიადებაა, ლიტოტესი, პირიქით, დამცირებას ნიშნავს (წარმოდგება ბერძნული სიტყვიდან - მცირე). მაგ. „შუა ალში ისე გადაგისვრი, თითქოს კენჭი ქვა გადამიგდია“ (ლეო ქიაჩელი), „სუტკენინა ისე მოიკუნტა, ისე მოიკუნტა, რომ მუშტის ოდენა გახდა“ (ილია ჭავჭავაძე). ლიტოტესი გულისხმობს ზომის, ძალის, მნიშვნელობის, რომელიმე მოვლენის მცირედ წარმოდგენას. ჰიპერბოლისა და ლიტოტესის დროს მხატვრულ აზროვნებასთან გვაქვს საქმე. ისინი განსაკუთრებით ეფექტურია ორატორულ ხელოვნებაში. ამიტომაც, რომ არისტოტელე სწორედ რიტორიკის კურსში განიხილავდა ჰიპერბოლას.

მწერლები ხშირად მიმართავენ წინადადების წევრთა **გამეორებას**, რასაც სიტყვისა და გამოთქმის მეტობას უწოდებენ. ასეთ შემთხვევაში აზრი ძლიერდება, მეტყველებას მეტი გამომსახველობითი ძალა ენიჭება. გამეორებას მაშინ მიმართავენ, როდესაც სურთ რომელიმე საგანს, მოვლენას მეტი მნიშვნელობა მისცენ. მაგ. „ქარი ჰქრის, ქარი ჰქრის, ქარი ჰქრის, ფოთლები მიჰქრიან ქარდაქარ... ხეთა რიგს, ხეთა ჯარს რკალად ხრის, სადა ხარ, სადა ხარ, სადა ხარ?... (გალაკტიონი). **ირონია** ბერძნული სიტყვაა და ნიშნავს გარეგნულად სერიოზულად გამოხატულ ფარულ დაცინვას. იგი შეიძლება გადმოიცეს სიტყვით, ან წინადადებით. გულისხმობს შენიღბულ დაცინვას, გადაკვრით ნათქვამს. დამცინავი გარეგნულად ინარჩუნებს სიმშვიდეს, სერიოზულ ტონს, პატივისცემას მოსაუბრის მიმართ. ირონია ყოველთვის ითხოვს მკითხველის გარკვეულ ინტელექტს, რადგან ირონიულად ნათქვამი პირდაპირ არ შეიძლება იქნეს გაგებული. გალპერინის განმარტებით ირონია სტილისტური ხერხია, რომელშიც რეალიზებულია ორი ლოგიკური მნიშვნელობა - ლექსიკური და კონტექსტური, რომლებიც ერთმანეთთან დაპირისპირებულნი არიან. მაგ: „It must be delightful to find oneself in a foreign country without a penny in one's pocket” - „ძალიან სასიამოვნო უნდა იყოს უცხო ქვეყანაში მოხვედრე, ჯიბეში კი ერთი პენიც არ გედოს“. ენათმეცნიერი განმარტავს, რომ ერთმანეთში არ უნდა აგვერიოს ირონია და იუმორი, თუმცა მათ ბევრი აქვთ საერთო. იუმორი

ყოველთვის სიცილს იწვევს, ორინია კი უფრო ნაზი და დახვეწილია [Galperin, 1997: 146]. უცხოელი ენათმეცნიერები მიუთითებენ, რომ ირონია ფართოდ გამოიყენება სასაუბრო ენაში. მასში გადამწყვეტია ინტონაცია. სამეცნიერო პროზაში ირონია ნაკლებად გამოიყენება. თავისი გამომსახველობითი ბუნებიდან გამომდინარე, ირონია დამახასიათებელი არ არის ასევე პუბლიცისტური და პროზის სტილისათვის [Lehtsalu, Liiv, Mutt, 1973: 29].

**ალეგორია** ბერძნული სიტყვაა და ნიშნავს აზრის იგავით, ქარაგმით, გადაკვრით გამოთქმას. გადაკრულად ნათქვამი სიტყვა, თუ სიტყვათა რიგი, გამოიყენება ანდაზაში, გამოცანაში, იგავ-არაკში... ცენზურის სიმკაცრე მწერლობაში იწვევს ალეგორიის მომძლავრებას. სტილისტიკას ალეგორია აინტერესებს ემოციურობის თვალსაზრისით. ალეგორია იგივე მეტაფორაა, ოღონდ უფრო გავრცელებული სახეობა. **გაპიროვნება** იგივე პერსონიფიკაციაა. მისთვის დამახასიათებელია საგნებისა და მოვლენებისადმი ადამიანური თვისებების მიწერა, უსულო საგნების გასულიერება, ცხოველთა, ფრინველთა გაადამიანება. გაპიროვნებისას უსულო საგანი წარმოგვიდგება, როგორც ადამიანი, რომელიც გრძნობს, მსჯელობს, მოქმედებს [ჭილაია, 1984: 55-56]. გაპიროვნებას განსაკუთრებული და ფართო ადგილი უკავია ხალხურ სიტყვიერებაში. ეს ხერხი მხატვრულობისა და სახეობრიობის გამაძლიერებელ საშუალებად იქცა ლიტერატურაში. მხატვრული ლიტერატურა წარმოუდგენელია გაპიროვნების გარეშე. მისი უმთავრესი მიზანია, მკითხველზე მოახდინოს შთაბეჭდილება. იგი ემსახურება ადამიანის ესთეტიკურად აღზრდის საქმეს. ალ. გვენცაძე გაპიროვნებას უწოდებს „სულიერის ნიშან-თვისებების გადატანას უსულო საგნებსა და მოვლენებზე“ [გვენცაძე, 1991: 45]. თუმცა, „სულიერი“, ამ შემთხვევაში ზოგადი შესატყვისია, რადგან პერსონიფიკაცია კონკრეტულად ადამიანური თვისებების გადატანას გულისხმობს. მეტაფორისაგან სწორედ იმით განსხვავდება, რომ მხოლოდ ადამიანური თვისებების გადატანა ხდება, მეტაფორაში კი ყველა თვისების გადატანა შეიძლება ერთი საგნიდან მეორეზე [ჭილაია, 1984: 55-56].



სიმბოლო ბერძნული სიტყვაა და აღნიშნავს საგანს, მოქმედებას, რომელიც რაიმე ცნების, იდეის პირობით ნიშანს წარმოადგენს. იგი არის აგრეთვე რაიმე სიდიდის პირობითი აღნიშვნა, რაც მიღებულია რიგ მეცნიერულ დარგებში. იგი არის აგრეთვე ნამდვილისა და შესაძლებლის მისანიშნებლად ნახმარი სიტყვა. სიმბოლო და ალეგორია გამოსახვის მონათესავე ფორმებია, მაგრამ განსხვავება მათ შორის ის არის, რომ სიმბოლო განასახიერებს განყენებულ, ზოგად იდეას კონკრეტულად, ალეგორიაში კი ერთი კონკრეტული საგნის თვისება გადატანილია მეორე კონკრეტულ საგანზე [ჭილაია, 1971: 421]. სიმბოლოთა შესახებ საკმაოდ ჩამოყალიბებული მოსაზრება აქვს გამოთქმული შამისას (Shamisa, 2004). მისი აზრით, როდესაც 1880 წელს სიმბოლოზმის სკოლა ჩამოყალიბდა საფრანგეთში, სიმბოლოებს ადამიანები უკვე იყენებდნენ საკუთარი გრძნობებისა და ფიქრების გამოსახატავად. სიმბოლო მხატვრული ხერხია და უზრუნველყოფს ტექსტის გამომსახველობითი უნარის ამალვებას. ლიტერატურული მნიშვნელობის პარალელურად, მას სიმბოლური მნიშვნელობაც აქვს. მრავალ პოეტს გამოუყენებია ვარდი, როგორც ახალგაზრდობისა და სილამაზის სიმბოლო. დროშა კი ეროვნების სიმბოლოდაა გამოყენებული სხვადასხვა ლიტერატურულ ნაწარმოებში. შამისა (Shamisa, 2004) განასხვავებს ორი ტიპის სიმბოლოს: თვითნებურსა და პერსონალურს. თვითნებური სიმბოლოები კარგად ნაცნობია და მათი მნიშვნელობა ადვილად მისახვედრია. პერსონალური სიმბოლოები კი ის ახალი სიმბოლოებია, რომლებსაც ავტორი თავისით ქმნის და მათი მნიშვნელობების მიხვედრა რთულია მკითხველისათვის [Fadaee, 2011: 20].

## 1.2. შედარება, როგორც ტროპული მეტყველების სახე

მხატვრული შედარება ტროპის ისეთი სახეა, სადაც საგნები და მოვლენები შეფარდებულია, შეპირისპირებულია ერთმანეთთან გარეგნულად მსგავს ან შინაგანად დამახასიათებელ ნიშან-თვისებათა გადატანის საფუძველზე. ყოველ შედარებაში შესადარებელი დახასიათებულია შედარებულის თვისებებით. ანდრო ჭილაია მას მიიჩნევს სტილისტიკურ ხერხად და მხატვრული დახასიათების ერთ-ერთ ფორმად. შედარების მხატვრული ფუნქცია ისაა, რომ საგანი, მოვლენა, ადამიანის სახე, ცხოვრების სურათი თვალსაჩინოდ დაგვიხატოს და ემოციურად წარმოგვიდგინოს [ჭილაია, 1971: 498]. შედარება ძალზე გავრცელებულია ენის ყველა ტიპსა და გადმოცემის სახეში. უმრავლეს შემთხვევაში შედარება დასრულებულ ფრაზას (წინადადებას) წარმოადგენს. გვენცაძე შენიშნავს, რომ ზოგჯერ შედარებაში ერთი მხარე ნაცნობია, ხოლო მეორე ახალია, უცნობია და ნაცნობთან უცნობის შეპირისპირება გვეხმარება მის გაცნობიერებაში. მაგრამ ასეთი გაგება არ უნდა იყოს შედარების ფუნქციის ჯეროვნად შეფასება. პირიქით, შედარებაში შესადარებელი მხარეები გაცნობიერებულია მთქმელისათვის. წინააღმდეგ შემთხვევაში, შედარება შეუძლებელი იქნებოდა [გვენცაძე, 1974: 52]. შედარება გულისხმობს მთელი წინადადების ფარგლებში აზრის გამოხატვის ერთობლივ საშუალებებს. ის ძალზე მოხერხებული საშუალებაა სახეების შესაქმნელად და ახასიათებს საგნის, მოვლენის ემოციური წარმოსახვა სხვა საგნის, მოვლენის, რომელიმე თვისების ხაზგასმით [ხინთიბიძე, 1986: 319]. შედარების შესაქმნელად ენაში შეიძლება გამოყენებული იქნეს მეტყველების ყველა მასალა, განსაკუთრებით კი ლექსიკური ფონდის მრავალფეროვნება. ამიტომ იგი ფართოდ მოიხმარება სიტყვიერი ხელოვნების ძეგლების ენაში, განსაკუთრებით კი - პოეზიის ენაში. მწერალი შედარებას მაშინ მიმართავს, როცა უნდა ცხოვლად გამოხატოს საგანი. გაიხსენებს რომელიმე მის მსგავს საგანს და მას ადარებს. აქედან გამომდინარე, ჩანს, რომ შედარებას ძირითადად მხატვრული აზროვნების დროს იყენებენ. ლიტერატურის თეორიაში შედარება განიხილება, როგორც ძალზე მნიშვნელოვანი პოეტური ხერხი მეტაფორასთან, ჰიპერბოლასთან და ეპითეტთან ერთად. იგი არკვევს მსგავსებას, განსხვავებას, ან

იგივეობას საგნებსა და მოვლენებს შორის. ტროპის ამ სახეობაში შეინიშნება მცირე გადაჭარბების ნაწილიც, რომელიც შეიძლება ჰიპერბოლაშიც გადაიზარდოს. ეს მომენტი მოხმობილია შთაბეჭდილების გასაძლიერებლად და ამდენად, გამართლებულია მისი ხმარება.

მხატვრული შედარების რაობის გარკვევას ჯეროვან ყურადღებას უთმობს თანამედროვე ინგლისური ენათმეცნიერება. ენათმეცნიერთა აზრით, შედარების მთავარი მიზანი ერთ-ერთი შესადარებელი საგნის უფრო მხატვრულად და გრაფიკულად წარმოჩენაა. უნდა აღინიშნოს, რომ შედარება გამომსახველობითი ფუნქციის გარეშე მხატვრული შედარება არ არის. მხატვრული შედარება წარმოსახვითი შედარებაა. შედარება ყოველთვის სამი კომპონენტისაგან შედგება: ა) რა არის შედარებული; ბ) რასთან არის შედარებული (შედარების ობიექტი); გ) შედარების საფუძველი; ორ საგანს შორის არსებული საერთო თვისება შედარებაში ყველაზე ხშირად გამოხატულია ზედსართავი სახელით. ზოგჯერ კი შედარების საფუძველი არ ჩანს წინადადებაში და მკითხველი საკუთარი წარმოსახვით უნდა მიხვდეს მას. ზოგადად კი, შედარებები ამდიდრებს ინგლისური ენის ფრაზეოლოგიას. ისინი პოეზიის მარკერებად არიან მიჩნეულები. თავისი გამომსახველობითი ბუნებიდან გამომდინარე, შედარება ეფექტურ სტილისტურ ხერხადაა მიჩნეული [Lehtsalu, Liiv, Mutt, 1973: 47-50].

მხატვრული შედარება მეტაფორასთან ახლოს მდგომი ენობრივი მოვლენაა და გარესამყაროს შემეცნების ერთ-ერთ უნივერსალურ მეთოდს წარმოადგენს; მხატვრული შედარებით მიღებული მსგავსება „ადამიანის წარმოსახვის“ შედეგია და ამიტომ მას ხშირად განიხილავენ, როგორც ფარულ-რედუცირებულ შედარებას [დანელია, 2002: 72-73]. შედარების დროს ხშირად ხდება სიტყვათა განკერძოება: მაგ: „თოვლი, როგორც მტვერი, ისე დაიკარგა“ (გალაკტიონ ტაბიძე). შეიმჩნევა, რომ მწერლები ხშირად მიმართავენ კონსტრასტებს, ანტითეზას, საპირისპირო აზრს. მაგ: „გავქრე, ისე, როგორც ნისლი, როგორც ღამის მოჩვენება“ (გალაკტიონ ტაბიძე). როგორც თენგიზ სანიკიძე მიუთითებს, „შედარების გადმოსაცემად ქართულ ენაში არსებობს სხვა საშუალებებიც. საინტერესოა შედარება, თუ ის განკერძოებულ განსაზღვრებაში გამოიყენება.

განკერძოებული განსაზღვრებით გადმოცემულია საზღვრული სახელის შედარება სხვა საგანთან, თუ მოვლენასთან“ [სანიკიძე, 1999: 330].

მეტაფორისაგან გასხვავებით, რომელიც ფარული შედარებაა, შედარება აშკარად გამოხატავს ორ საგანს შორის არსებულ მსგავსებას. ის მეტად მოსახერხებელი საშუალებაა ხატოვანი სახეების შესაქმნელად პროზაში, პოეზიაში და, ჩვეულებრივ, დიალოგებშიც კი [Fadaee, 2011: 22].

მხატვრული შედარების შესახებ წერდა არისტოტელე: „შედარება მეტაფორაა, რადგან მცირედ განსხვავდება მეტაფორისაგან; როდესაც პოეტი ამბობს აქილევსზე, რომ „ის, როგორც ლომი, ისე ეკვეთა“, - ეს შედარებაა. მაგრამ თუ ვიტყვით „ლომი ეკვეთა“ - ეს მეტაფორაა, რადგან ორივენი მამაცნი არიან. ამიტომ პოეტმა აქილევსს გადატანითი მნიშვნელობით ლომი უწოდა“ [არისტოტელე, 1981: 174]. ჭოხონელიძის აზრით, შედარება იწყება მოვლენათა დაპირისპირებით, რის საშუალებითაც ხდება შესადარებელ საგანთა, ან მოვლენათა მხატვრული ანალიზი, მათი საერთო, მსგავსი ან განსხვავებული ნიშნის გამოყოფა-გამლიერების მიზნით. შედარება უნდა ხდებოდეს არსებითი ნიშნების მიხედვით და შესადარებლად უნდა იქნეს არჩეული ისეთი საგნები და მოვლენები, რომელთა შედარებაც შეიძლება [ჭოხონელიძე, 1975: 49]. შედარებისათვის მწერალმა შეიძლება გამოიყენოს ყველა საგანი და მოვლენა, რომელნიც უშუალოდ იქნებიან დაპირისპირებულნი ერთმანეთთან. მკითხველმა უნდა იგრძნოს, რომ შედარება მხოლოდ საგანს არ გვიხატავს, არამედ ავლენს ავტორის დამოკიდებულებას ამ საგნის მიმართ.

როგორც გვენცაძე შენიშნავს, შედარება რთული ერთეულია, რადგან მას შეუძლია შეასრულოს არა მარტო აღწერით-გამომხატველობითი, არამედ ემოციურ-გამომეტყველებითი ფუნქციაც [გვენცაძე, 1974: 52]. შედარება სტილისტური გამოსახვის ხერხი და მხატვრული დახასიათების ერთ-ერთი ფორმაა. მხატვრული შედარება ტროპის ისეთი სახეა, სადაც საგნები და მოვლენები შეფარდებულია ან შეპირისპირებულია ერთმანეთთან გარეგნულად მსგავს ან შინაგანად დამახასიათებელ ნიშან-თვისებათა გადატანის საფუძველზე. შედარებაში შესადარებელი

დახასიათებულია შედარებულის თვისებებით. მისი მთავარი მხატვრული ფუნქცია ისაა, რომ საგანი, მოვლენა, ადამიანის სახე თვალსაჩინოდ დაგვიხატოს და ემოციურად წარმოგვიდგინოს.

შედარების, როგორც პოეტური გამოსახვის ხერხის გამოყენებით, მწერალი არა მარტო თვისებათა ერთგვარობაზე მიუთითებს, არა მხოლოდ ამკობს შედარებულს, არამედ საგანთა შორეულ მოვლენებს უნათესავებს ერთმანეთს. მხატვრულ ნაწარმოებში ეს მომენტი მეტად დიდი შემეცნებითი და ესთეტიკური მნიშვნელობის შემცველია.

შედარება ტროპის არცთუ ისე მარტივი სახეა, როგორადაც ზოგჯერ მას მიიჩნევენ. ის შეიძლება იყოს ეპითეტური, მეტაფორული, კონტრასტული, ჰიპერბოლური, სიმბოლური, ალეგორიული და სხვა [ჭილაია, 1971: 501]. ამერიკელი ენათმეცნიერი ნიუსელი გვთავაზობს შედარების მარტივ განმარტებას, რომლის მიხედვითაც ის წარმოადგენს აშკარა შედარებას სიტყვებით “like” ან “as” [Nuessel, 2006: 231]. აღნიშნული წინდებულების საშუალებით შედარება გამოხატავს მნიშვნელობას, რომელიც მასში დევს. სემიოტიკაში აღიარებულია, რომ მეტაფორის, შედარების და სხვა ტროპების გამოყენება სცდება ლიტერატურის საზღვრებს [Cary, 1998: 193]. შედარებას სხვადასხვა ფუნქცია აქვს: უპირველესად, ის ორი მცნების მოკლედ და ეფექტურად დაკავშირების საშუალებაა, ასევე შედარება წარმოადგენს შემეცნებით იარაღს. მისი დახმარებით მკითხველი შეიცნობს ავტორის მიერ ჩადებულ აზრს სხვადასხვა ნაწარმოებში [Hussain, 2014: 1].

როგორც აღინიშნა, შედარებისას საგნები ან მოვლენები უპირისპირდება, ევარდება ერთმანეთს. სწორედ ამიტომ აღნიშნავენ, რომ „შედარების დროს აუცილებელია ორი ან მეტი მოვლენა: რა უნდა შევადაროთ და რას უნდა შევადაროთ“ [გაჩეჩილაძე, 1957: 294]. ალ. გვენცაძე შედარების საკლასიფიკაციოდ შესადარებელ მხარეს არჩევს და გვთავაზობს შემდეგ ჯგუფებს:

„ა) შესადარებლად გამოყენებულია ადამიანური, საზოგადოებრივი ხასიათის საგნები და მოვლენები, ე.ი. ყველაფერი, რაც ადამიანთა მოქმედებისა და ურთიერთობის ნაყოფია ;

ბ) შესაძარებლად გამოყენებულია ბუნების საგნები და მოვლენები; მაგალითად მნათობები, ბუნების მოვლენები, ცხოველთა სამყარო, მცენარეთა სამყარო და სხვ.“ [გვენცაძე, 1974: 53].

როგორც ფრიმენი განმარტავს, შედარება, მეტაფორასთან შედარებით, უფრო კონკრეტულია. მეტაფორის შემთხვევაში მკითხველმა უნდა დაინახოს შედარებითი დამოკიდებულება ორ საგანს შორის, რათა გაიაზროს ავტორის ასოციაციური ხედვა, რაც შეიძლება ზოგჯერ აბსტრაქტულიც კი იყოს. მწერლები ორივე მხატვრულ ხერხს იყენებენ როგორც მხატვრულ, ისე არამხატვრულ ლიტერატურაში, რითაც პერსონაჟს, საგანსა თუ მოქმედებას ფერადოვნებას მატებენ [Freeman, 2006: 71]. იქიდან გამომდინარე, რომ მეტაფორა და შედარება ბევრ მსგავსებას ამჟღავნებენ, ზოგჯერ მეცნიერები მათ ერთ ფენომენადაც კი მიიჩნევენ. ჯერ კიდევ არისტოტელე წერდა თავის რიტორიკაში, რომ შედარებები იგივე მეტაფორებია. ორივე მათგანი თანაბრად მოქნილია, თუ სწორადაა გამოხატული. შედარება მეტაფორისაგან მხოლოდ იმით განსხვავდება, თუ რა სახითაა წარმოდგენილი. ის მეტაფორასთან შედარებით დიდია და ნაკლებად „ტკბილი“ (Aristotle, Rhetoric 3.10.3). თანაც მეტაფორა გულისხმობს, რომ ერთი საგანი მეორეა. მას შედარების შექმნა არ შეუძლია [Gargani, 2014: 6-7].

ირა დანელია განიხილავს რა მხატვრული შედარების როლს მთლიანი ტექსტის ორგანიზებაში, ასკვნის, რომ მხატვრული შედარება გარესამყაროს შემეცნების ერთ-ერთი უნივერსალური საშუალებაა, რომლითაც „მომხდარი ფაქტების ლოგიკური, თანმიმდევრული შეტყობინებით ავტორი დისტანციურად თუ კონტაქტურად ერთი ზეფრაზული ერთეულიდან გადადის მეორეში და ამყარებს მათ შორის კავშირს [დანელია, 2002: 73-74]. ბოლო წლების განმავლობაში შედარების მიმართ იმატა ლინგვისტებისა და ლექსიკოგრაფების ინტერესმა, რადგანაც საბოლოოდ გაირჩა ის მეტაფორისაგან და დადგინდა, რომ შედარებას უფრო ღრმა მნიშვნელობა აქვს. არსებობს შედარებები, რომელთა მეტაფორის საშუალებით პერიფრაზირება შეუძლებელია [Niculae, Danescu, 2014: 2008-2009].

იმის გამო, რომ შედარება მოცემულია წინადადების სახით, მას განიხილავენ სინტაქსის ნიშნების თვალსაზრისით. ასეთი ნიშნებია მაკავშირებლების მოხმარება. ქართულში ეს მაკავშირებლებია: **მსგავსი, როგორც, ებრ, ისე...** შედარების დროს იყენებენ აგრეთვე „ვით“ თანდებულს, ზოგიერთ შემთხვევაში კი „ვით“ და „როგორც“ გართულელებულია „ისე“ ნაცვალსახელით - **ისე ვით** და - **ისე როგორც**. შედარების დროს ხშირად ხდება სიტყვათა განკერძოება, მაგ: „თოვლი, როგორც მტვერი, ისე დაიკარგა“ (გალაკტიონი). საინტერესოა აგრეთვე შედარება, თუ ის განკერძოებულ განსაზღვრებაში გამოიყენება. განკერძოებული განსაზღვრებით გადმოცემულია საზღვრული სახელის შედარება სხვა საგანთან თუ მოვლენასთან [გვენცაძე, 1991: 34]. ცხადია, სინტაქსურადაც შეიძლება შედარება-წინადადების დახასიათება, მაგრამ შედარება არის ტროპის ერთ-ერთი სახეობა და გარკვეული თვალსაზრისით იგი სტილისტიკის ობიექტია. რა თქმა უნდა, შედარებაში ბევრი რამ ლექსიკოლოგიისა და სემასიოლოგიის ჩარევასაც საჭიროებს.

ქართულ ენაში შედარება ორგვარად გამოიხატება. იგი შეიძლება იყოს კავშირიანი და უკავშირო. კავშირებად გამოყენებულია:

1. მაკავშირებელი სიტყვები: **-როგორც (ვითარცა), -ვით:**  
„**როგორც** ნისლის ნამქერი, ჩამავალ მზით ნაფერი,  
ელვარებდა ნაპირი სამუდამო მხარეში“ [გალაკტიონი, 1973: 71].  
„არ იყო ხნიერ, მაგრამ **ვით წმინდანს** სულის სიმაღლე ზედ დასჩენოდა“  
[ჭავჭავაძე, 1985: 148].
2. თანდებულები: **-ვით, -ებრ:**  
„მერცხლის **ბუდესავით** ერთი მცირედი ფიცრული“ [ჭავჭავაძე, 1985: 271].
3. ცალკეული სიტყვები: **მსგავსი, მგონია, ისე, თითქოს, ვითომც...**  
„აქ რომ თაღებია, -  
სვეტთა შეკონება, -  
ისე ნაგებია,  
სიზმრის გეგონება“ [გალაკტიონი, 1973: 491].

ჩვენ მიერ მოყვანილი შედარების მაგალითები მარტივი, ანუ მოკლეა. არსებობს აგრეთვე რთული შედარებები, რომლის ნიმუშად წარმოვადგენთ ნიკოლოზ ბარათაშვილის „საყურის“ პირველ აბზაცს:

„ვითა პეპელა,

არხევს ნელ-ნელა

სპეტაკს შროშანას, ლამაზად ახრილს,

ასე საყურე,

უცხო საყურე,

ეთამაშება თავისსა აჩრდილს“ (ნიკოლოზ ბარათაშვილი).

ამ შემთხვევაში საყურე და პეპელა უშუალოდ არაა ერთმანეთთან შედარებული, რაც მარტივი შედარებისთვისაა დამახასიათებელი, არამედ თავის აჩრდილთან მოთამაშე საყურეა შედარებული პეპელასთან. ასევე, პეპელას შეხებით შერხეული შროშანა მოქანავე საყურესთანაა შედარებული. პოეტს ამ შემთხვევაში საგანთა ეს ორმხრივი შედარება ან მსგავსება არ აინტერესებს, რამდენადაც შერხევისა და თამაშის ეს მოხდენილი ანალოგია.

ინგლისურ ენაში შედარება (**similie**) გადმოიცემა ისეთი მაკავშირებელი სიტყვებით, როგორებიცაა „**such as**“, „**as**“, „**like**“, „**so**“, „**than**“, ან ისეთი ზმნით, როგორიცაა მაგალითად - **resemble** - მიემსგავსება). მაგ: „ერთმა მეზობელმა უთხრა მაგდანს: -ქეთო შენ ძლიერ გგავს, სულ პირწავარდნილი დედაა“, - a neighbor of theirs said to Magdani: Keto **resembles** you very much, she is the very image of you“. „**as**“ მაკავშირებლით გამოხატული შედარება ინგლისურში ყველაზე მიახლოებითი და გამომხატველობითია. როდესაც არსებითი სახელი ედარება არსებით სახელს, ინგლისურში გამოიყენება მაკავშირებელი კავშირი „**like**“, ხოლო, როცა ზმნა ედარება ზმნას, კავშირი „**as**“ გამოიყენება.

“The man took strong sharp sudden bites, just **like the dog**” [Dickens, 2009: 25]. - „კაცმა **ძალღივით** ღონივრად დაიწყო კბეჩა“.



„You'd be but a fierce young hound indeed if at your time of life you could help to hunt a wretched warmint, hunted **as** near death and dunghill **as** this poor wretched warmint is” [Dickens, 2009: 25]. - „თქვენ იქნებოდით სასტიკი მონადირე ძაღლი, თუ თქვენს ცხოვრებაში შეძლებდით მოგენადირებინათ ისეთივე უვარგისი ნანადირევი, როგორც ეს საწყალი ხორცის ნაჭერია“.

“He called to his men,... and then they stood about, **as soldiers do**” [Dickens, 2009: 35]. - „მან თავის კაცს დაუძახა,... ისინი ისე დადგნენ, როგორც ჯარისკაცები დგანან ხოლმე“.

ინგლისელი ენათმეცნიერები შედარებას მიიჩნევენ როგორც საშუალებას ერთი საგნის მეორესთან დასაკავშირებლად. მისი საშუალებით ერთი საგანი ხასიათდება სხვა საგანთან მსგავსების საფუძველზე. შედარების ნათელსაყოფად, მეცნიერებს მოჰყავთ მაგალითი XVIII საუკუნის ცნობილი შოტლანდიელი პოეტის რობერტ ბერნსის ლექსიდან:

“O my Luve is like a red, red rose

That's newly sprung in June;

O my Luve is like the melody

That's sweetly played in tune“ -

[<https://www.poetryfoundation.org/poems-and-poets/poems/detail/43812>].

„ჩემი სიყვარული წითელი ვარდია,

ბაღნარში ლამაზად გადაშლილი,

ჩემი სიყვარული ნაზი მოტივია,

მელოდია, ჰარმონიით აღვსილი“ -

[<http://literatura.mcvane.ge/main/literatura/poezia/32166.html>].

ლექსის პირველი და მესამე ტაეპები შედარებაა. თავისი გრძნობების გადმოსაცემად პოეტი მკიხველს სთავაზობს ასოციაციური კავშირები გაავლოს მის სატრფოსა და ვარდს შორის. მათი საერთო მახასიათებლები შესაძლოა იყოს: სილამაზე, სურნელი, იშვიათობა, სილაღე და განსხვავებულობა. მკითხველი კონტექსტიდან

გამომდინარე, უნდა მიხვდეს, რომ პოეტი ვარდის დადებით მახასიათებლებს მიაწერს თავის სატრფოს [Thornborrow, Wareing, 1998: 95-96].

ინგლისურ ენაში შედარება, შესაძლოა, არ შეიცავდეს შედარების გამომხატველ სიტყვას. მაგ: “He reminded me of a hungry cat” „ის მე მაგონებდა მშიერ კატას“ [Sachkova, 2012: 38].

მაია და გიორგი ნათაძეები ტროპის სახეთა დახასიათებისას მნიშვნელოვან ყურადღებას უთმობენ მხატვრული შედარების აგებულებისა და სემანტიკური მნიშვნელობის თავისებურებებს. ეს თავისებურებანი გამოკვეთილია სხვადასხვა სისტემის ენებში მათი ურთიერთშედარებისას. განხილულია ორნაირი აგებულების შედარება. პირველში შედის შედარების ხატები, რომლებიც საერთო და თავისუფალი ნიშნებით ასოციაციების ოჯახებს ქმნიან. მეორე სახისაში კი, მხოლოდ თითო მაკავშირებელი ნიშნით... რომელიც იმდენად მკვეთრად და ერთმნიშვნელოვნად შემოიჭრება ჩვენს აღქმაში, რომ თავისუფალ ნიშნებს ჩრდილავს. შედეგად, პირველი სახის შედარებები გამოდის ასოციაციურად მდიდარი და ესთეტიურად ინტენსიური, მეორე ჯგუფისა კი, ასოციაციურად ღარიბი და ესთეტიურად უფრო სუსტი [ნათაძე, ნათაძე, 1988: 215].

დასკვნისათვის, შევნიშნავთ, რომ ტროპული მეტყველება მეტად მნიშვნელოვანია სალიტერატურო ენისათვის. რაც უფრო ფართოა ტროპების სახეობანი, მით ღირებულია ენის ექსპრესიული ფუნქცია. ექსპრესიულ-გამომსახველობითი უნარი კი ენას ანიჭებს უნივერსალურ შესაძლებლობას, სათქმელი უფრო შთამბეჭდავად და ემოციურად გამოხატოს. ქართულ ენაში არსებული მხატვრული ხერხები მეტად მრავალფეროვანი და მოქნილია. სიტყვაკაზმული მწერლობის ოსტატები ხშირად მიმართავენ მეტაფორას, ეპითეტსა თუ შედარებას, რითაც საკუთარ სამწერლო სტილს აყალიბებენ და თავისთავადობას იძენენ. თუ შევადარებთ ქართული და ინგლისური ენების მხატვრულ გამომსახველობით საშუალებათა გამოყენების ინტენსივობას, ადვილად შევნიშნავთ, რომ ქართულ ენაში მისი არეალი გაცილებით ფართოა და ექსპრესიულად გამომსახველობითი, რაც ქართული ენის სტილურ შესაძლებლობას უნდა მივაწეროთ.

ვიხილავთ რა მხატვრული შედარების კვლევის ისტორიას, აშკარა ხდება, რომ იგი განიხილება, როგორც ძალზე მნიშვნელოვანი და ექსპრესიის შემცველი პოეტური ხერხი. არკვევს რა მსგავსებას, განსხვავებას, ან იგივეობას საგნებსა და მოვლენებს შორის, მასში, შესაძლოა არსებობდეს მცირე გადაჭარბების ნაწილიც, რომელიც შეიძლება ჰიპერბოლაშიც გადაიზარდოს. ეს მომენტი აიხსნება მკითხველზე შთაბეჭდილების გასაძლიერებლად. ინგლისურ ენასთან მიმართებაში შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ქართულში შედარების გამოყენების ზღვარი უფრო ფართოა და მეტი გამომსახველობითი უნარით გამოირჩევა. ინგლისურისაგან განსხვავებით, ქართული ენა შედარების გამოხატვის გრამატიკული საშუალებების ნაირგვარობითაც გამოირჩევა. ინგლისურში აღნიშნული არეალი უფრო კონკრეტულია.

## II თავი

### შედარების გადმოცემის გრამატიკული შესაძლებლობები და მისი ადგილი წინადადებაში

#### 2.1. გრამატიკული მოდელები ქართულსა და ინგლისურში

ტროპს გამომსახველობითი უნარი აქვს, რაც განაპირობებს მის შემეცნებით, ესთეტიკურ და ემოციურ ფუნქციას. სწორედ ეს ფაქტორები განსაზღვრავს ტროპის ადგილს და სემანტიკურ დატვირთვას ლიტერატურაში. აღნიშნული სტილისტიკისა და სინტაქსის ინტერესის საგანს წარმოადგენს. ჩვენი კვლევის მიზნებიდან გამომდინარე, აუცილებლად მივიჩნიეთ კონკრეტული ამოცანების გადაჭრა, კერძოდ: მხატვრული შედარების გადმოცემის გრამატიკული საშუალებების გამოკვლევა ქართულსა და ინგლისურში. აღნიშნული მიზნების მისაღწევად საკითხი შევისწავლეთ ტიპოლოგიურ ჭრილში, ქართულ და ინგლისურენოვან საანალიზო წყაროებზე დაყრდნობით, რამაც საინტერესო შედეგი და ღირებული დასკვნების გაკეთების საშუალება მოგვცა. საკითხის კონტრასტულ ჭრილში შესწავლამ შესაძლებელი გახადა ორ ენაში არსებული იზომორფიზმებისა და ალომორფიზმების გამოვლენა.

როგორც აღვნიშნეთ, ენაში მოცემულ ინფორმაციას, მხატვრულ სახესა და რეალურ ვითარებას დამატებით ექსპრესიულ-ემოციურ ელფერს სხვადასხვა გამომხატველობითი საშუალება ანიჭებს. ამგვარ საშუალებებს განეკუთვნება ტროპი. მხატვრული აზროვნების დროს მწერლები ტროპის სხვადასხვა სახეს მიმართავენ და ამით თხრობას ხატოვანს ხდიან. მათ შორისაა ტროპული მეტყველების ერთ-ერთი სახე - შედარება, რომლის დროსაც ხდება ორი საგნის, ორი მოვლენის შეპირისპირება. ამ დროს ერთი საგანი ხასიათდება მეორის მეშვეობით. მას ნებისმიერი მწერალი იყენებს, რათა უფრო ცხოვლად გამოხატონ საგანი და შექმნან გამორჩეული მხატვრული სახეები.

შედარება მხატვრული სახის შექმნის საუკეთესო საშუალებად მიიჩნევა. ერთი ობიექტის მეორესთან შედარება-შეპირისპირება, მათი საერთო და განმასხვავებელ ნიშან-თვისებათა დადგენის მიზნით, სამყაროს შემეცნების ერთ-ერთ უნივერსალურ

მეთოდს წარმოადგენს. ეს ყოველივე ხელს უწყობს მოცემული ობიექტის არსში წვდომას და მის ახლებურად დანახვას.

მხატვრული შედარების ლინგვისტური ბუნების განხილვისას, საჭიროა გაივლოს ზღვარი ჩვეულებრივსა და ხატოვან შედარებას შორის, რადგანაც ისინი ორ განსხვავებულ პროცესს წარმოაჩენენ. ჩვეულებრივი შედარება მიიღება ჰომოგენურ ობიექტთა შეპირისპირების გზით და იგი მათ ყველა თვისებას მოიცავს, მაგრამ ხაზს უსვამს მათგან ერთ-ერთს. ხატოვანი შედარება გამორიცხავს შესადარებელ ობიექტთა ყველა თვისებას, გარდა იმისა, რომელიც საერთოა მათთვის. მასში მოცემულია მსჯელობის საგნის დახასიათება მისი შეპირისპირების გზით ონტოლოგიურად ჰეტეროგენულ საგანთან ან მოვლენასთან, რის შედეგადაც იქმნება რეალობისაგან განსხვავებული, სრულიად ახალი ავტორისეული სახე. ხატოვან შედარებებს ახასიათებთ ასოციაციურ კავშირებზე დაფუძნებული საგანთწვდომის ერთ-ერთი ხერხი, რომელიც სამყაროს სუბიექტურ აღქმაზე, ადამიანის ცნობიერების ინდივიდუალურობასა და მეტაფორული აზროვნების უნარზეა დამოკიდებული. სწორედ ჩვენ მიერ აღნიშნული თვისებებია მთავარი მიზეზი იმისა, რომ მწერლები ხშირად უპირატესობას სწორედ ხატოვან შედარებებს ანიჭებენ. მათი საშუალებით გამონათქვამს ექსპრესიულობასა და განუმეორებელ ინდივიდუალურობას სძენენ. ხატოვანი შედარება უდიდესი შემეცნებითი და ესთეტიკური მნიშვნელობის შემცველია მხატვრულ ნაწარმოებში [კობახიძე, 2004: 11-15].

ძალზე საინტერესო აღმოჩნდა საკითხის შესწავლა კონტრასტულ ჭრილში. ენობრივ მოვლენათა შედარებით-ტიპოლოგიური კვლევა თანამედროვე ენათმეცნიერების ერთ-ერთი აქტუალური პრობლემაა. ტიპოლოგიური კვლევა თანხვედრათა დაძებნის გარდა განსხვავებების წარმოჩენასაც გულისხმობს. მხატვრული ხერხების შედარების დროს აგრეთვე მიზანშეწონილია იმის გარკვევა, თუ რამ გამოიწვია ესა თუ ის მსგავსება თუ განსხვავება. ამჯერად მიზნად დავისახეთ ხატოვანი შედარებების მოდელების გამოვლენა - შესწავლა ქართულსა და ინგლისურში.

ამ მიზნით საანალიზო წყაროდ მოვიხმეთ ქართველი და ამერიკელი მწერლების პოეტური ნაწარმოებები. დაკვირვებამ საინტერესო შედეგი გვიჩვენა.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, შედარებისათვის დამახასიათებელია საგნის, მოვლენის ემოციური წარმოსახვა სხვა საგნის, მოვლენის რომელიმე თვისების ხაზგასმის მეშვეობით. შესაბამისად, გრამატიკული წყობის მიხედვით, ქართულ ენაში შედარება ორგვარია: კავშირიანი და უკავშირო. კავშირებად გამოყენებულია მაკავშირებელი სიტყვები, ლექსიკური საშუალებები: „როგორც“, „ვით“, (ვითარცა); თანდებულები: „ვით“, „ებრ“; აგრეთვე ცალკეული სიტყვები: მსგავსი, მგონია, ისე, თითქოს, ვითომც, ისე როგორც, ისე თითქოს, მსგავსად.

ინგლისურ ენაში შედარება გადმოიცემა ისეთი მაკავშირებელი სიტყვებით, როგორებიცაა „such as“, „as“, „as...as“, „like“, „so“, „so...as“, „than“. „as“ მაკავშირებლით გამოხატული შედარება ინგლისურში ყველაზე მიახლოებითი და გამომხატველობითია. როდესაც არსებითი სახელი ედარება არსებით სახელს ინგლისურში უფრო ხშირად მაკავშირებელი „like“ გამოიყენება, ხოლო როდესაც ზმნა ედარება ზმნას, უმეტესწილად კავშირი „as“ გამოიყენება.

**„ვით“ თანდებულებით გამოხატული შედარებები:**

„ვით“ თანდებული მსგავსებაზე მიუთითებს და სახელს ორ ბრუნვაში დაერთვის - სახელობითსა და მიცემითში. მიცემითში დაერთვის როგორც თანხმოვანფუძიან, ისე - ხმოვანფუძიან სახელებს. ბრუნვის ნიშანი გავრცობილი სახითაა წარმოდგენილი (მაგ: რუმბსა-ვით, გორგალსა-ვით).

მოძიებულ მაგალითებზე დაკვირვება საინტერესო აღმოჩნდა, უპირველესად, იმ თვალსაზრისით, თუ რომელ ბრუნვაში დაერთვის „ვით“ თანდებული სახელს უფრო ხშირად - სახელობითსა თუ მიცემითში.

„ვით“ თანდებული სახელობით ბრუნვასთან:

1. „რაკი, ბატონო, კნინა თვალს გააჭყეტდა, შავარდენივით გადმოფრინდებოდა ტახტიდამ, გადაიკრავდა შუბლსაფენსა, ზედ წაიკრავდა ჩითმერდინსა, გადაიცვამდა ჩითის კაბასა...“ [ჭავჭავაძე, 1985: 277]. - „Whenever the princess opened her eyes wide she flew out from the divan like a falcon, fastened her petticoat, tied a kerchief round her neck, put on a chintz gown...” [http://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/3771/1/Works.pdf] - „ვით“ თანდებული ერთვის არსებით სახელს სახელობით ბრუნვაში (შავარდენი-ვით), თარგმანში კი შედარება გამოიხატება მაკავშირებელი სიტყვით - **like**.

2. “- არტალაზედ? ვაცივითა ვარ, ვაცივით...“ [ჭავჭავაძე, 1985: 304]. –“About a calf? – I am like a goat, a goat” [http://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/3771/1/Works.pdf] - „ვით“ თანდებული ერთვის არსებით სახელს სახელობით ბრუნვაში (ვაცი-ვით), თარგმანში ამ შემთხვევაშიც, შედარებას გამოხატავს მაკავშირებელი სიტყვა - “**like**”. ექსპრესიის გასაძლიერებლად ავტორი შედარების გამომხატველ სიტყვას იმეორებს, რაც მთარგმნელსაც უცვლელად გადააქვს.

3. „თავი ისეთი მსხვილი, რომ თითქო იმის სიმძიმეს მორგვით სქელი კისერი მხრებში ჩაუძვრენიაო“ [ჭავჭავაძე, 1985: 273]. - “A head so big that it seemed as if by its weight his thick neck was fixed in his shoulders like a nave in a wheel” [http://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/3771/1/Works.pdf] - არსებით სახელს „მორგვი“ სახელობით ბრუნვაში დაერთვის „ვით“ თანდებული (მორგვი-ვით), თარგმანში შედარება გამოხატულია მაკავშირებელით “**like**”.

5. „ქმრის გამოხმაურებაზე ცოლმა მხოლოდ გადმოიხედა და ცეცხლივით შავი თვალეზი გადმოანათა“ [ვაჟა-ფშაველა, 2012: 36]. – “At her husband’s question the wife only gazed with her black eyes ablaze like fire...” [ვაჟა-ფშაველა, 2012: 127]. - არსებით სახელს დაერთვის „ვით“ თანდებული სახელობით ბრუნვაში (ცეცხლი-ვით), თარგმანში შედარება გადმოცემულია “**like**” მაკავშირებელი სიტყვით.

6. „მუხლები ეკვეთებოდა, წელში მოიხარა ასის წლის მობუცი-ვით“ [ვაჟა-ფშაველა, 2012: 37]. – His knees failed him and he bent down like a hundred-year-old man” [ვაჟა-

ფშაველა, 2012: 127].- „ვით“ თანდებული ერთვის არსებით სახელს სახელობით ბრუნვაში (მოხუცი-ვით), თარგმანში შედარება გამოხატულია მაკავშირებელი სიტყვა “like” მეშვეობით.

**„ვით“ თანდებული მიცემით ბრუნვასთან:**

1. „მოაჯირს ეკრა ზედ მერცხლის ბუდესავით ერთი მცირედი ფიცრული, რომელიც საქვეშაგებოსა ჰთამაშობდა“ [ჭავჭავაძე, 1985: 271]. –“On the balustrade, like a swallow’s nest, there, was fixed up a narrow plank which played the part of a bed” [http://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/3771/1/Works.pdf]. - „ვით“ თანდებული ერთვის არსებით სახელს „ბუდე“ მიცემით ბრუნვაში (ბუდე-ს), თარგმანშიც დაცულია შედარების, როგორც მხატვრული ტროპის ტრანსფორმაცია სამიზნე ენაში, რომელიც გამოხატულია “like” მაკავშირებელი სიტყვით.

2. „მისი ბუჩო ერთ მხრივ მთელ კალოს სამხრეთის ნაპირზედ გორასავით გაწოლილი იყო, ასე რომ იმისი ბოლო ზედ საბძელთან დააწყდებოდა“ [ჭავჭავაძე, 1985: 271]. – “The straw of it was lying spread like a hillock on the southern side of the chaff-place” [http://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/3771/1/Works.pdf] - „ვით“ თანდებული დაერთვის არსებით სახელს (გორა) მიცემით ბრუნვაში (გორა-ს), ინგლისურ თარგმანში კი შედარება გადმოიცემა მაკავშირებელი სიტყვით “like”.

3. „წითელი, თურაშაულ ვაშლსა-ვით ხაშხაში ლოყები“ [ჭავჭავაძე, 1985: 274]. – “His poppy cheeks were ruddy as Turashian apples” [http://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/3771/1/Works.pdf] - „ვით“ თანდებული არსებით სახელს „ვაშლი“ დაერთვის მიცემით ბრუნვის ფორმაში (ვაშლ-ს-ა-ვით), ინგლისურ ნათარგმანში კი შედარება გამოხატულია მაკავშირებელით – “as”.

4. „ლუარსაბის ტანისა კი რა მოგახსენოთ და გული კი, რო გენახათ, ღორის ჯაგარსავით მოდებული ჰქონდა, ასე რომ მრავალ საეჭვო სულიერებს შეეძლოთ შიშინაობის დროს აქ თავი შეეფარათ, მაგრამ...“ [ჭავჭავაძე, 1985: 276] – “What can we say



about Luarsab's body? As for his chest it was covered with bristles like a pig, so that many doubtful creatures were able in times of alarm to find shelter there, but..."

[<http://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/3771/1/Works.pdf>] - „**ვით**“ თანდებული ერთვის არსებით სახელს „ჯაგარი“ მიცემით ბრუნვაში (**ჯაგარ-ს-ა-ვით**), თარგმანში კი შედარება გამოხატულია მაკავშირებელი სიტყვით **“like”**.

5. „სთქვა და გაცრუებული ლუარსაბი შაქარსა-ვით გაუტკბილდა თავის ამ ჟამად გამარჯვებულს მეუღლესა“ [ჭავჭავაძე, 1985: 280]. –“Thus spoke the deceitful Luarsab, and became sweet as sugar to his consort who had won on this occasion”

[<http://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/3771/1/Works.pdf>]. - „**ვით**“ თანდებული სახელს „**შაქარი**“ ერთვის მიცემითი ბრუნვის ფორმაში (**შაქარ-ს-ა-ვით**), თარგმანში შედარება გამოიხატება მაკავშირებელი სიტყვით **“as”**.

6. „ღვთის სახესავით გარს შუქმოსხმული“ [ჭავჭავაძე, 1985: 154]. –“Twas like God's face that beamed so fair on high” [<http://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/3771/1/Works.pdf>] - „**ვით**“ თანდებული სახელს „**სახე**“ ერთვის მიცემითი ბრუნვის ფორმაში (**სახე-ს-ა-ვით**), თარგმანში კი შედარება გამოიხატება მაკავშირებელი სიტყვით **“like”**.

7. „გველ-ხოკერასავით სქელი, შავი ნაწნავები ზოგი უკან ბეჭებზე ჰქონდა გადაყრილი, ზოგიც წინ, გულ-მკერდზე ელაგა“ [ვაჟა-ფშაველა, 1985: 36]. –“Her thick black braids seemed like grass-snakes spread on her breasts, some were laid at the back on her shoulders” [ვაჟა-ფშაველა, 1985: 127]. - არსებით სახელს ერთვის „**ვით**“ თანდებული მიცემით ბრუნვაში (**გველ-ხოკერასა-ვით**), თარგმანში კი შედარებას გამოხატავს მაკავშირებელი სიტყვა **“like”**.

დაკვირვება გვიჩვენებს, რომ „**ვით**“ თანდებული დაერთვის, როგორც ხმოვანფუძიან, ისე თანხმოვანფუძიან სახელებს. თუმცა, შევნიშნავთ, რომ ჩვენ მიერ მოძიებულ მაგალითებში ის უფრო ხშირად თანხმოვანფუძიან სახელებთან გვხვდება.

„**ვით**“ თანდებული თანხმოვანფუძიან სახელებთან: **შევარდენი-ვით, ვაცი-ვით, მორგვი-ვით, ვაშლსა-ვით, ჯაგარსა-ვით, შაქარსა-ვით, მოხუცი-ვით, ცეცხლი-ვით, აღმასი-ვით.**

„ვით“ თანდებული ხმოვანფუძიან სახელებთან: **ბუდესა-ვით, გორასა-ვით, სახესა-ვით, გველ-ხოკერასა-ვით.**

„ვით“ თანდებული სახელს დაერთვის როგორც მიცემით, ისე - სახელობით ბრუნვაში, თუმცა, უფრო ხშირად ის მიცემით ბრუნვაში მდგარ არსებითთან გვხდება.

რაც შეეხება თარგმანს, შედარების გადმოსაცემად გამოყენებულია ძირითადად **“like”** მაკავშირებელი, რომელიც გვხვდება „ვით“ თანდებულის როგორც ხმოვანფუძიან, ისე თანხმოვანფუძიან სახელებზე დართვის შემთხვევაში. მაგ: **„შევარდენი-ვით“ – “like a falcon”, „ბუდესა-ვით” – “like a nest”.** ზოგჯერ კი ვხვდებით **“as”** მაკავშირებელსაც, რომელიც გამოყენებულია ძირითადად თანხმოვანფუძიან სახელებზე **„ვით“** თანდებულის დართვის შემთხვევაში. მაგ: **„ვაშლსა-ვით” - „as Turashian apples”, „შაქარსა-ვით” – “as sugar”.**

რაც შეეხება შესადარებელი სიტყვისა და მაკავშირებელი სიტყვის წყობას, ნიმუშები ადასტურებს, რომ უმრავლეს შემთხვევაში მაკავშირებელი სიტყვა უსწრებს შესადარებელ სიტყვას, ხოლო – „ვით“ თანდებული – ყოველთვის მოსდევს სახელს:

- **„მაღალსა და კამეჩივით ღონიერ ჯორჯს“** (გოლზუორთი) - **„The tall bull-like George“.**
- **„მაგრამ ჯუნი მუხლებზე შემოეხვია, ზედ ნიკაპს უცაცუნებდა და თან კატასავით კრუტუნებდა“** (გოლზუორთი) - **„But she rubbed her chin against him, making a sound like a purring cat“.**

ასე რომ, „ვით“ თანდებულიანი შედარების გრამატიკული მოდელია:

ა) ქართულში:

- არსებითი სახელი სახელობით ბრუნვაში + „ვით“ თანდებული;
- „ისეთი“ + ზედსართავი სახელი + „თითქო“ + „ვით“ თანდებული;
- არსებითი სახელი მიცემით ბრუნვაში + „ვით“ თანდებული

ბ) ინგლისურში:

- **“like”** მაკავშირებელი + არსებითი სახელი

- “so” + ზედსართავი სახელი + “as if” + არსებითი სახელი + “like”  
მაკავშირებელი + არსებითი სახელი;
- “like” მაკავშირებელი + ზედსართავი სახელი + არსებითი სახელი;
- “as” + არსებითი სახელი

**„ებრ“ თანდებულით გამოხატული შედარებები:**

ვხვდებით თანდებულ „ებრ“-ით გამოხატულ შედარებებსაც:

1. „გაიფიქრა, ისიც ჩემებრ ტირის ცრემლებშეუმშრალი“ (გ. ტაბ.) – „ებრ“ თანდებული ერთვის მიცემითი ბრუნვის ფორმას.
2. „მისებრ პოეტი ვიყავ უცნობი“ (გ. ტაბ.) - „ებრ“ თანდებული მოსდევს მიცემითი ბრუნვის ფორმას.
3. „ყველაფერს ქვეყნად  
მზეებრ ანათებს  
ისევ და ისევ  
პატიოსნება!“ [ტაბიძე, 1977: 7]. - „ებრ“ თანდებული მოსდევს მიცემითი ბრუნვის ფორმას. გვაქვს პრეპოზიციური წყობა.
4. „მე ერთი მქონდა მგოსანს ქონება, -  
კადნიერება არწივებური“ [ასათიანი, 1984: 393]. - „ებრ“ თანდებული დაერთვის ნათესაობითი ბრუნვის ფორმას.
5. „კვლავ ისმოდა ცხენისებური თქარუნი“ [გამსახურდია, 1959: 473]. – „ებრ“ თანდებული მოსდევს ნათესაობითი ბრუნვის ფორმას.
6. „თავისი ჭრუტა თევზისებურ თვალებს მიაშტერებდა მამამზეს“ [გამსახურდია, 1959: 480]. - „ებრ“ თანდებული მოსდევს ნათესაობითი ბრუნვის ფორმას.
7. „მოსთქვამდა თავად ბორდოხანი და ნაზად ეფერებოდა შორენას ჭავლისებრ მღელვარე დალალებს“ [გამსახურდია, 1959: 509]. - „ებრ“ თანდებული მოსდევს ნათესაობითი ბრუნვის ფორმას.

8. „უმცროს ქალიშვილს ბებიასებური ნადირობის ჟინი ჰქონდა“ [გამსახურდია, 1959: 32]. - „ებრ“ თანდებული მოსდევს მიცემითი ბრუნვის ფორმას.
9. „სიყვარულითა და ღვინითა ჩემებრ დაითვერ“ [ორბელიანი, 1989: 127]. - „ებრ“ თანდებული მოსდევს მიცემითი ბრუნვის ფორმას.
10. „წყალნი მთით დაქანებულნი, ალმასებრ უფსკრულს ცვივიან“ [ორბელიანი, 1989: 157]. - „ებრ“ თანდებული მოსდევს მიცემითი ბრუნვის ფორმას.
11. „რომ მშვენი მისებრ ჯერ არ მენახა მე ცისარტყელა“ [ჭავჭავაძე, 1985: 85]. - „ებრ“ თანდებული ერთვის მიცემითი ბრუნვის ფორმას.
12. „ამენთო გრძნობა მადლითა ცეცხლებრ“ [ჭავჭავაძე, 1985: 85]. - „ებრ“ თანდებული ერთვის მიცემითი ბრუნვის ფორმას.
13. „მეც შენებრ მიწას დავყურებ თვალით,  
რადგანაც ზეცა წამართვეს ძალით;  
შენებრ მეც მელის მიწა, ვით მსხვერპლსა,  
სიკვდილის შემდეგ დასავიწყელსა“ [ჭავჭავაძე, 1985: 31]. - ლექსის ტაეპში ორჯერ ვხვდებით შედარებას. „ებრ“ თანდებული ორივე შემთხვევაში მოსდევს მიცემითი ბრუნვის ფორმას.
14. „მისებრი შვილი ბევრიც ინატროს,  
ეხლანდელ დედამ ველარ გაზარდოს“ [ჭავჭავაძე, 1985: 101]. - „ებრ“ თანდებული ერთვის მიცემითი ბრუნვის ფორმას.
15. „და მე მეგონა, რომ ჩემებრ ყველა,  
მადლიერია თავის ბედისა“ [ჭავჭავაძე, 1985: 104]. - „ებრ“ თანდებული ერთვის მიცემითი ბრუნვის ფორმას.
18. „ფრიალოსებრ ჩამოთლილი აქვს იმ წმინდანთ სადგურს  
ყინულის ზღუდე“ [ჭავჭავაძე, 1985: 145]. - „ებრ“ თანდებული მოსდევს მიცემითი ბრუნვის ფორმას.
19. „უცებ შემემთხვა იქავ ავდარი,

სეტყვა ტყვიასებრ წამოუშინა“ [ჭავჭავაძე, 1985: 154]. - „ებრ“ თანდებული მოსდევს მიცემითი ბრუნვის ფორმას.

„ებრ“ (ებრივ) თანდებული მსგავსებაზე მიუთითებს და დაერთვის ნათესაობით, ან მიცემით ბრუნვაში მდგარ სახელს. აღნიშნულს, ჩვენ მიერ მოძიებული მაგალითებიც ადასტურებენ: ფრიალოსაებრ, ტყვიასებრ, ცეცხლებრ, მისებრ, თევზისებურ.

„ებრ“ თანდებულიანი შედარების გრამატიკული მოდელები ქართულში შემდეგნაირად ჩამოყალიბდა:

- ნაცვალსახელი + „ებრ“ თანდებული + შემასმენელი;
- არსებითი სახელი + „ებრ“ თანდებული + შემასმენელი;
- შემასმენელი + არსებითი სახელი + „ებრ“ თანდებული

„ვით“ მაკავშირებელი სიტყვით გამოხატული შედარებები:

გამოვკვეთეთ „ვით“ მაკავშირებელი სიტყვით გამოხატული შედარებები, რომლებიც, როგორც საანალიზო მასალაზე დაკვირვება ცხადყოფს, უმეტესად პოეზიისათვისაა დამახასიათებელი.

1. „ვით კლდის ნაპრალებზედ არწივის ბუდე“ [ჭავჭავაძე, 1985: 145]. - “And, like an eagle’s eyrie on the cliff [http://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/3771/1/Works.pdf]. -

„ვით“ მაკავშირებელით გამოხატული შედარება ინგლისურ თარგმანში გადმოცემულია “like” მაკავშირებელი სიტყვით.

2. „განშორებია ვით ცოდვის სადგურს“ [ჭავჭავაძე, 1985: 146]. - “Far from the dwelling of the sinful man” [http://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/3771/1/Works.pdf].

- ქართულ ენაში „ვით“ თანდებულით გამოხატული შედარება (ვით ცოდვის სადგურს) ინგლისურ თარგმანში დაკარგულია.

3. „ვით სამეფოს ბოროტისასა“ [ჭავჭავაძე, 1985: 146]. - “Far from the realm where wretchedness holds sway” [http://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/3771/1/Works.pdf]. -

„ვით“ თანდებულით გამოხატული შედარება (ვით სამეფოს) ინგლისურ თარგმანში დაკარგულია.

4. „ვითა მპარავი და მტაცებელი“ [ჭავჭავაძე, 1985: 147]. - “Man is pursued by evil, like a thief” [http://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/3771/1/Works.pdf] - „ვით“ მაკავშირებლით გამოხატული შედარება ინგლისურ თარგმანში გადმოცემულია „like“ მაკავშირებელი სიტყვით.
5. „და მყინვარიდამ ვითა ვეშაპი“ [ჭავჭავაძე, 1985: 149]. - “And like a serpent, over Kazbek’s peak” [http://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/3771/1/Works.pdf]. - „ვით“ მაკავშირებლით გამოხატული შედარება ინგლისურ თარგმანში გადმოცემულია „like“ მაკავშირებელი სიტყვით.
6. „ვით ლოცვა, ედება საღამო მთის კალთებს“ (გ. ტაბ.) - შედარება გამოხატულია „ვით“ მაკავშირებელი სიტყვით, რომელიც წინ უსწრებს სახელს.
7. „ვით გოეთე, ზის იქ სატანა“ (გ. ტაბ.) - „ვით“ მაკავშირებელი სიტყვა წინ უსწრებს სახელს.

გვაქვს შემთხვევები, როდესაც „ვით“ მაკავშირებელი სიტყვით გამოხატული შედარება თარგმანში გადმოცემულია მაკავშირებლით „like“, რომელიც მოსდევს შესადარებელ სიტყვას:

1. „არ იყო ხნიერ, მაგრამ ვით წმინდანს სულის სიმაღლე ზედ დასჩენოდა“ [ჭავჭავაძე, 1985: 148]. - “He was not old-upon his saint-like face his soul’s nobility was pictured fair” [http://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/3771/1/Works.pdf].
2. „ვით სიკვდილი გაფითრებული“ [ჭავჭავაძე, 1985: 162]. - “O’er his pale face a death-like spread”.  
[http://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/3771/1/Works.pdf].

ჩვენს საანალიზო წყაროებზე დაკვირვება ცხადყოფს, რომ „ვით“ მაკავშირებელი სიტყვით შედარების გამოხატვის მოდელს აქვს შემდეგი სახე:

ა) ქართულში:

- „ვით“ მაკავშირებელი სიტყვა + სახელი;
- „ვითა“ მაკავშირებელი სიტყვა + სახელი

ბ) ინგლისურში:

- “like” მაკავშირებელი + სახელი;
- სახელი + “like” მაკავშირებელი

„როგორც“ და „ისე როგორც“ მაკავშირებელი სიტყვით გამოხატული შედარებები:

ავლნიშნავთ „როგორც“ და „ისე როგორც“ მაკავშირებელი სიტყვებით გამოხატულ შედარებებს:

1. „... ისე წაიყვანა ეკლესიაში მარგარიტა ყაფლანიშვილი, როგორც უცხო და ოდნავ ნაცნობი საბედო“ [ჯავახიშვილი, 2000: 22]. მაკავშირებელი სიტყვის „ისე როგორც“ მეშვეობით პერსონაჟი შედარებულია უცხოს და საბედოს. არსებითი სახელი „მარგარიტა“ ედარება ზედსართავ სახელს „უცხო“ და არსებით სახელს „საბედო“.
2. „თეიმურაზს მისი სიცოცხლე კისერზე ისე ეკიდა, როგორც ლეკვის აყროლებული ლეში“ [ჯავახიშვილი, 2000: 28]. არსებითი სახელი „სიცოცხლე“ მაკავშირებელი სიტყვის „ისე როგორც“ საშუალებით შედარებულია არსებით სახელს „ლეშს“.
3. „ისიც მშვიდად შედიოდა ხანში, როგორც თეიმურაზი მარგოს საწოლში ფრთამოტეხილი ბატვიტ“ [ჯავახიშვილი, 2000: 26]. „როგორც“ მაკავშირებელი სიტყვის საშუალებით პერსონაჟის ხანში შესვლა შედარებულია თეიმურაზის ცოლთან ერთად დაძინების პროცესს. ზმნა „შედიოდა“ შედარებულია ზმნას, თუმცა, ამ შემთხვევაში, წინადადების დამოკიდებულ ნაწილში ზმნა „შედიოდა“ აღარ მეორდება, მაგრამ იგულისხმება.
4. „წიგნსა და თეიმურაზს ისე უყვარდათ ერთმანეთი, როგორც მამა-შვილს“ [ჯავახიშვილი, 2000: 30]. მაკავშირებელი სიტყვის „ისე როგორც“ მეშვეობით წიგნსა და თეიმურაზს შორის არსებული სიყვარული შედარებულია მამა-შვილის სიყვარულს. ზმნა „უყვარდათ“ ედარება ზმნას და ამ შემთხვევაშიც წინადადების დამოკიდებულ ნაწილში ზმნა „უყვარდათ“ აღარ მეორდება, მხოლოდ იგულისხმება.

5. „ისეთი ლამაზი ხარ, ისეთი ლამაზი რომა, როგორც მთვარე...“ [ჯავახიშვილი, 2000: 37]. პერსონაჟი სილამაზით შედარებულია მთვარეს. შედარება „ისეთი როგორც“ მაკავშირებელი სიტყვითაა რეალიზებული. არსებითი სახელი ედარება არსებით სახელს.
6. „ბიწები ჩემისთანა ვაჟკაცები გამოხვალთ, ქალები კი ისეთი ლამაზი ვიქნები, როგორც ნათლია მარგო, მამა! [ჯავახიშვილი, 2000: 51]. „ისეთი როგორც“ სიტყვების საშუალებით გამოხატულია შედარება და შვილები შედარებულია მარგოს. არსებითი სახელი შედარებულია არსებით სახელთან.
7. „ისე უნდა გაგასუქებდე, როგორც სააღდგომო ინდაური“ [ჯავახიშვილი, 2000: 52]. ადამიანი დარდება სააღდგომო ინდაურს, გამოყენებულია კონსტრუქცია „ისე როგორც“. არსებითი სახელი ედარება არსებით სახელს.
8. „ჯაყო ჯივაშვილი ისე დასტრიალებს ჩვენს ღარიბ-ღატაკ გლეხობას, როგორც კარგი მეოჯახე თავის კერას“ [ჯავახიშვილი, 2000: 53]. ჯაყო შედარებულია მეოჯახე კაცს. შედარება მიღებულია „ისე როგორც“ კონსტრუქციით. არსებითი სახელი შედარებულია არსებით სახელთან.
9. „ქართული კალამი, რომელიც ორეულია გოლგოთის ჯვრისა, ხოლო მისი პატრონი ყოველთვის ჰგავდა იმ მთაზე ამავალ მაცხოვარს იმ კალმითაც ისე ინგრეოდა ძველი ქვეყანა, როგორც ჰინდენბურგის ზარბაზნებით“ [ჯავახიშვილი, 2000: 90-91]. ქვეყნის ქართული კალმით ნგრევა შედარებულია ჰინდენბურგის ზარბაზნებით ნგრევას. ზმნა „ინგრეოდა“ ედარება ზმნას, რომელიც წინადადების დამოკიდებულ ნაწილში არ ფიქსირდება, მაგრამ იგულისხმება. შედარება რეალიზებულია „ისე როგორც“ მაკავშირებელი სიტყვებით.
10. „ისე შეჰყურებს ნაცოლარს, როგორც დაჭრილი შველი შესცქერის მოღერებულ ხანჯალს“ [ჯავახიშვილი, 2000: 134]. „ისე როგორც“ მაკავშირებელი სიტყვებით პერსონაჟის გამოხედვა შედარებულია დაჭრილი შვლის გამოხედვასთან. არსებითი სახელი ედარება არსებით სახელს.



11. „ისე დგებარ შენი მამის საფლავზე, როგორც წიწილა დევის მკერდზე“ [ჯავახიშვილი, 2000: 135]. პერსონაჟის დგომა შედარებულია წიწილის დგომას. ზმნა ედარება ზმნას. შედარება მიღებულია „ისე როგორც“ მაკავშირებელი სიტყვების მეშვეობით.
12. „წყალი შავია, როგორც მელანი“ [ტაბიძე, 1977] - წყალი შედარებულია მელანს მაკავშირებელი სიტყვის „როგორც“ საშუალებით. არსებითი სახელი ედარება არსებით სახელს.
13. „ეხლა მარტოდმარტო ვარ, როგორც მთის ეკლესია“ [ტაბიძე, 1977] - ავტორი საკუთარ თავს მთაში მარტოდმარტო მდგარ მთის ეკლესიას ადარებს. გამოყენებული მაკავშირებელი სიტყვა „როგორც“. არსებითი სახელი შედარებულია არსებით სახელს.
14. „შენ იქ გეძინა, როგორც დედოფალს“ [გრანელი, 1972] - ადამიანი შედარებულია დედოფალს „როგორც“ მაკავშირებელი სიტყვის საშუალებით. არსებითი სახელი ედარება არსებით სახელს.
15. „როგორ შეენის ველზე ნამი, გამჭვირვალე, როგორც ბროლი“ [ტაბიძე, 1977: 13] - ნამი შედარებულია ბროლთან. შედარება გამოხატულია „როგორც“ მაკავშირებელი სიტყვის საშუალებით. არსებითი სახელი ედარება არსებით სახელს.
16. „გამოჭრილი აქვთ ყელები მინდვრებს, როგორც დაღუპულ ადამიანებს“ [ტაბიძე, 1977: 155] - მინდვრები შედარებულია გარდაცვლილ ადამიანებთან. გამოყენებულია „როგორც“ მაკავშირებელი სიტყვა. არსებითი სახელი ედარება არსებით სახელს.

საანალიზო მასალაზე დაკვირვება ცხადყოფს, რომ „როგორც“ და „ისე როგორც“ მაკავშირებელი სიტყვებით გამოხატული შედარების მოდელები ქართულში შემდეგნაირად ყალიბდება:

- „ისე როგორც“ + სახელი;
- „როგორც“ + სახელი;

- „ისეთი როგორც“ + სახელი

„მსგავსი“ და „მსგავსად“ მაკავშირებელი სიტყვებით გამოხატული შედარებები:

ცალკე გამოვყავით „მსგავსი“ და „მსგავსად“ მაკავშირებელი სიტყვებით გამოხატული შედარებები:

1. „ერთ დღეს ის გაქრა და გულის შიგნით

ჩაგვიდგა რაღაც ნაღველის მსგავსი..“ [ასათიანი, 1984: 406]. - გვაქვს პრეპოზიციური წყობა.

2. „მე ქალის თმების სურნელის მსგავსად,

მათრობს სიმინდის ულვაშის სუნს“ [ასათიანი, 1984: 340]. - გვაქვს პრეპოზიციური წყობა.

3. „სწორი ნაძვი არის ალვის მსგავსი“ [ტაბიძე, 1966: 107].

„მსგავსი“ და „მსგავსად“ დამხმარე სიტყვებით გამოხატული შედარების მოდელები შემდეგნაირად ყალიბდება:

- სახელი ნათესაობით ბრუნვაში + „მსგავსი“;
- სახელი ნათესაობით ბრუნვაში + „მსგავსად“

„იმგვარი“, „იმგვარ“, „სადარი“ მაკავშირებელი სიტყვებით გამოხატული შედარებები:

1. მაშ, გაუმარჯოს იმგვარ სიცოცხლეს,

სიცოცხლეზე რომ უტკბოესია [ტაბიძე, 1966: 91].

2. „იმგვარის დროშებით და შრომით ავსება

როგორც ჩვენშია ვუსურვოთ ესპანეთს“ [ტაბიძე, 1966: 95].

3. „ო, ეშინოდეთ იმგვარ სიცოცხლის,

ის ხომ სიკვდილზე უარესია“ [ტაბიძე, 1966: 63].

4. „იმ ვარდისფერ ატმებს მოვიგონებ კვლავ,

იმგვარადვე მდეგ... იმგვარადვე მკლავ.

ო, როგორ მომწყურდი! მწუხარეა დღე,

იმგვარივე ცა, იმგვარივე ხე...

იგივე ქარი დაჰქრის, ილუნება ბზა,

იმგვარივე მზე, იმგვარივე გზა.

ძლიერ... ძლიერ... ძლიერ... ვეტყვი ზენა ქარს,

იმგვარივე ხმით, იმგვარივე ზარს“ [ტაბიძე, 1973: 141].

5. „გროვა იფანტებოდა,

ლანდთა სადარი“ [ტაბიძე, 1966: 16].

„იმგვარი“, „იმგვარ“, „სადარი“ მაკავშირებელი სიტყვებით გამოხატული შედარების მოდელები ჩამოყალიბდა როგორც:

- „იმგვარ“ + სახელი მიცემით ბრუნვაში;
- „იმგვარ“ + სახელი ნათესაობით ბრუნვაში;
- „იმგვარის“ + სახელი მოქმედებით ბრუნვაში;
- „იმგვარადვე“ + ზმნა-შემასმენელი;
- „იმგვარივე“ + სახელი მოქმედებით ბრუნვაში;
- „იმგვარივე“ + სახელი მიცემით ბრუნვაში;
- „იგივ“ + სახელი სახელობით ბრუნვაში;
- სახელი + „სადარი“

„თითქოს“ (თითქო) მაკავშირებელი სიტყვით გამოხატული შედარებები:

გამოვყავით „თითქოს“ (თითქო) მაკავშირებელით გამოხატული შედარების ნიმუშები:

1. „ქვეყანაც იყო დადუმებული,

თითქო ღუმლით ყურს უგდებს ცასა“ [ჭავჭავაძე, 1985: 68]. - შედარება „თითქო უგდებს“ გარემოების ფუნქციას ასრულებს. მაკავშირებელი სიტყვა წინ უსწრებს ზმნა-შემასმენელს.

2. „მაგრამ მის სრბოლა ცაში უეცრად,

თითქო განგებით შეყენებულა...

ქვეყანას მშიშარს მის ფრთეთა ზვავი,  
დასცქერის რისხვით და მუქარებით

თითქო ელისო განკითხვის დღესა“ [ჭავჭავაძე, 1985: 67]. - შედარებები „თითქო შეყენებულა“ და „თითქო ელისო“ გარემოების ფუნქციას ასრულებენ. გვაქვს პრეპოზიციური წყობა.

3. ყური ათხოვა და თითქო ვიღაც ჰკივის,

იძახის ზღუდისა ძირსა [ჭავჭავაძე, 1985: 150]. - შედარება „თითქო ჰკივის“ გარემოების ფუნქციას ასრულებს. დასტურდება პრეპოზიციური წყობა.

4. დახე მის ტუჩთა! თითქო თვით ტრფობას

თვის ნაზი კოცნა ზედ დარჩენოდეს“ [ჭავჭავაძე, 1985: 153]. - შედარება „თითქო დარჩენოდეს“ გარემოების ფუნქციას ასრულებს. მაკავშირებელი სიტყვა წინ უსწრებს ზმნა-შემასმენელს.

5. „თითქო მის შექმნას ერთაც ცდილანო,

თვით სიყვარული და ნეტარება.

თითქო თვით მაღლსა შვენებისასა,

თვისი საუნჯე აქ დაჰბნევია“ [ჭავჭავაძე, 1985: 159]. - შედარებები „თითქო ცდილანო“ და „თითქო დაჰბნევია“ ლექსის სტროფში გარემოების ფუნქციას ასრულებენ. მაკავშირებელი სიტყვები წინ უსწრებს ზმნა-შემასმენელს.

6. „ეხლა მის გული თითქო ებანს სცემს

და ისმის ჩუმი ებნის სიმთ ჟღერა“ [ჭავჭავაძე, 1985: 160]. - შედარება „თითქო სცემს“ გარემოების ფუნქციას ასრულებს. გვაქვს პრეპოზიციური წყობა.

7. „თითქო იქიდან გამოელისო

თვის უკანასკნელს ნუგეშს და ბედსა“ [ჭავჭავაძე, 1985: 162]. - შედარება „თითქო გამოელისო“ გარემოების ფუნქციას ასრულებს. მაკავშირებელი სიტყვა წინ უსწრებს ზმნა-შემასმენელს.

8. „უფრო და უფრო ხმაურობს ქარი,

თითქო იმ მწარე დღეებს იგონებს“ [ტაბიძე, 1966: 113]. - შედარება „თითქო იგონებს“ გარემოების ფუნქციას ასრულებს. გვაქვს პრეპოზიციური წყობა.

საანალიზო მასალაზე დაკვირვებამ გვიჩვენა, რომ „თითქოს“ (თითქო) მაკავშირებელი სიტყვა წინ უსწრებს ზმნა-შემასმენელს და ქმნის შემდეგ მოდელს:

- „თითქოს“ (თითქო) + ზმნა-შემასმენელი

ცალკე გამოვკვეთეთ **ზმნა-შემასმენლის სემანტიკით** გამოხატული შედარებები:

1. „მე მეშინია იმგვარ სიცოცხლის,  
სიკვდილს რომ ჰგავს და უარესია...“  
.....
2. „დღევანდელი დღე მიაგავდა  
ამ კინოსურათს, რომელსაც ასე გულდადებით  
გვიჩვენებს ტილო“ [ტაბიძე, 1966: 13].
3. „რა სასაცილო იყო ის გზა,  
რა სასაცილო,  
დღევანდელი დღით ამ კინოფირს  
რომ მიაგავდა“ [ტაბიძე, 1966: 13].
4. „მეფე ბრწყინვალე ქვეშ მოექცა  
ტალღას ბობოქარს  
ოდეს პარიზი მიაგავდა  
ცეცხლოვან ოქროს“ [ტაბიძე, 1966: 68].
5. „ამ წამს უხილავს  
ვადარებ თივთიკს“ [ტაბიძე, 1966: 14].
6. „მასხოვს, ქარი სძრავდა  
ჩვენი სახლის ლანდურს,  
ხმა ხან ჩონგურს ჰგავდა,  
ხან სევდიან ფანდურს“ [ტაბიძე, 1966: 19].

7. „თეთრთა ღამეთა რკალებს  
დღე ეღარება სრული [ტაბიძე, 1966: 23].
8. „ჭავჭავა კონგრესის კულუარები  
ჯერ დამშვიდებულ სტიქიის მორევს“ [ტაბიძე, 1966: 64].
9. „ჩანგო, ბევრი კარგი დრო  
ქვეყნად გვიტარებია,  
მძიმე, ძველი ცხოვრება  
ჩალას გვიდარებია“ [ტაბიძე, 1966: 73].
10. „რაგვარად მიაგავს ქართველს ესპანელი -  
არც ბორდო ათრობს და  
არც ცეკვა აოსებს“ [ტაბიძე, 1966: 94].

საანალიზო მასალაზე დაკვირვების შედეგად გამოიკვეთა ზმნა-შემასმენლის სემანტიკით გამოხატული შედარების მოდელები:

- სახელი მიცემით ბრუნვაში + ზმნა-შემასმენელი;
- „მიაგავს“ + სახელი მიცემით ბრუნვაში;
- სახელი მიცემით ბრუნვაში + „მიაგავდა“;
- სახელი სახელობით ბრუნვაში + „მიაგავდა“;
- „ვადარებ“ + სახელი მიცემით ბრუნვაში;
- სახელი მიცემით ბრუნვაში + „გვიდარებია“

რაც შეეხება ინგლისურ ენას, ცნობილია, რომ ხატოვან შედარებებში კომპარატიული ურთიერთობები რეალიზებულია ისეთი სტრუქტურული ელემენტებით, როგორცაა: “like”, “as”, “as...as”, “as if”, “as though”, “so...as”, “to seem” და ა.შ. თანამედროვე ენათმეცნიერები მარკერს „like”, ხატოვანი შედარების რეალიზაციის უნივერსალურ საშუალებად განიხილავენ.

- “Black shoe in which I have lived like a foot for thirty years”  
[<https://www.poetryfoundation.org/poems-and-poets/poems/detail/48999>] - „შავი ფეხსაცმელი, რომელშიც ვიცხოვრე როგორც ფეხმა 30 წლის განმავლობაში“.

- “He sways his head from side to side, with movements like a snake” [http://monologues.co.uk/Childrens\_Favourites/Macavity.htm] - ის თავს გველივით აქნევს აქეთ-იქით.

თუმცა, ამერიკულ პოეზიაზე დაკვირვების შედეგად იკვეთება, რომ ამერიკელი მწერლები მეტწილად უპირატესობას ანიჭებენ მარკერებს “so”, “as” და “as...as”. როგორც ჩანს, ამერიკული ლექსის რითმას სწორედ აღნიშნული მაკავშირებელი საშუალებები ხდიან შთამბეჭდავს და სიტყვაკაზმულს:

- “Life is fine! Fine as wine!” [https://www.poets.org/poetsorg/poem/life-fine] - „ცხოვრება მშვენიერია! მშვენიერია როგორც ღვინო!“
- “I wondered lonely as a cloud” [https://www.poetryfoundation.org/poems-and-poets/poems/detail/45521] - „მე ღრუბელივით მარტოხელა ვიყავი“.
- “And your voice as hollow as the hollow sea” [https://genius.com/Christina-rossetti-the-poor-ghost-annotated] - „და შენი ხმა, ისეთივე ღრმა, როგორც ზღვა“.
- “And your face as white as snowdrops on the lea” [https://genius.com/Christina-rossetti-the-poor-ghost-annotated] - „და შენი სახე, ისეთივე თეთრია, როგორც თოვლის ფიფქები მწვანე მოლზე“.

ამერიკულ პოეზიაში მოძიებულ საანალიზო მასალაზე დაკვირვების შედეგად ჩამოყალიბდა შედარების გამოხატვის შემდეგი მოდელები:

- “like” + სახელი (noun);
- “as” + სახელი (noun);
- “as” + ზედსართავი სახ. + “as” + ზედსართავი + სახელი (noun);
- “as” + ზედსართავი სახ. + „as” + სახელი (noun)

„Like” მარკერით გამოხატული შედარებების მოდელები ინგლისურში შემდეგნაირად ყალიბდება: “Like” + სახელი (noun)

1. “When he came to the low church wall, he got over it, like a man whose legs were numbed and stiff” [Dickens, 2009: 14]. – „ეკლესიის დაბალ კედელთან მომდგარი კაცი, მან მიიღო ისე, როგორც ფეხებნატკენი, მაგრამ მაინც ძლიერი პიროვნება.”

2. “I saw the damp lying on the bare hedges and spare grass, **like a coarser sort of spiders’ webs**” [Dickens, 2009: 23]. - „მე დავინახე ღობეებზე და ბალახზე ჩამოწოლილი ნესტი, როგორც უხეში ობობის ქსელი“.
3. “Something clicked in his throat, **as if he had works** in him **like a clock** and was going to strike” [Dickens, 2009: 23]. - რაღაცამ გაჰკრა ყელში, თითქოს საათის ისარი ჰქონდა გაჩხერილი და უნდა დაერეკა“.
4. “In all of which particulars he was very **like the dog**” [Dickens, 2009: 25]. - „ყოველი ნიშნით ჰგავდა ძაღლს“.
5. “Middle-aged slow man, with a mouth **like a fish**, dull staring eyes” [Dickens, 2009: 30]. – „შუა ხნის ზანტი მამაკაცი იყო, რომელსაც პირი თევზს უგავდა, თვალები კი მშრალი და გაშტერებული ჰქონდა“.
6. “With that, she pounced upon me, **like an eagle** on a lamb” [Dickens, 2009: 55]. - „თქვა ეს და მომახტა, როგორც არწივი კრავს“.

“As” მარკერით გამოხატული შედარებები:

1. “Ours was the marsh country, down by the river, within, **as the river wound**, twenty miles of the sea” [Dickens, 2009: 11]. - ჩვენი ქალაქი დაჭაობებული იყო, მდინარის ნაპირზე გაშენებული, ისე იყო მდინარეზე შეჭრილი, როგორც 20 მილის სიგრძის ჭრილობა.
2. “You never dare ... to make a sign concerning your having seen **such a person as me**” [Dickens, 2009: 14]. – „ვერასოდეს ბედავ აღიარო, რომ ჩემისთანა პიროვნებას შეხვდი“.
3. “I always treated him **as a larger species of child**, and **as no more than my equal**” [Dickens, 2009: 16]. - „მე ყოველთვის ისე ვექცეოდი მას, როგორც ჩვეულებრივ ბავშვს და ისე, როგორც ჩემს ტოლს“.



4. “He held my head under her arm, **as a boot** would be held in a boot-jack” [Dickens, 2009: 20]. - „ისე მოიქცია ჩემი თავი თავისი მკლავის ქვეშ, როგორც ფეხსაცმელი სპეციალურ ფეხსაცმლის სამაგრზე“.
5. “He called to his men, ... and then they stood about, **as soldiers do**” [Dickens, 2009: 35]. - „მან თავის კაცს დაუძახა,... ისინი ისე დადგნენ, როგორც ჯარისკაცები დგანან ხოლმე“.

“as” მარკერით გამოხატული შედარების მოდელები ინგლისურ ენაში შემდეგნაირად ჩამოყალიბდა:

- “as” + noun (სახელი);
- “such” + noun (სახელი) + „as“;
- “as” + noun (სახელი) + verb (ზმნა-შემასმენელი)

“As...if” კონსტრუქციით გამოხატული შედარებები:

1. “He hugged his shuddering body in both his arms – clasping himself, **as if to hold himself together**” [Dickens, 2009: 14]. – „მან თავისი მოკანკალე სხეული ისე მოიქცია თავის მკლავებში, თითქოს ერთიანობის შენარჩუნებას ცდილობს“.
2. “He looked in my young eyes **as if he were eluding** the hands of the dead people” [Dickens, 2009: 14]. - „ისე შემომხედა ახალგაზრდულ თვალებში, თითქოს მიცვალებულთა ხელებიდან გათავისუფლებას ლამობს“.
3. “Lord bless the boy! – exclaimed my sister, **as if she didn’t quite mean that**, but rather the contrary” [Dickens, 2009: 21]. – „ღმერთო, დაიფარე ეს ბიჭი! - აღმოხდა ჩემს დას, ისე თითქოს ამას კი არ გულისხმობდა, არამედ პირიქით“.
4. “The cattle, their heads turned from the wind and sleet, stared angrily **as if they held us responsible** for both annoyances” [Dickens, 2009: 39]. – „პირუტყვმა ქარს მოარიდა სახე და ისე შემოგვხედა, თითქოს ჩვენ გვთვლიდნენ დამნაშავეებად ორივე უსიამოვნებაში“.

5. “Somebody in the boat growled **as if to dogs**, “Give way, you!” which was the signal for the dip of the oars” [Dickens, 2009: 44]. - ვილაცამ ნავზე ისე დაგვიღრიალა, როგორც ძაღლებს, „ეი, თქვენ, მიეცით გზა!“ რაც იმის მანიშნებელი იყო, რომ ნიჩბები უნდა მოგვესვა“.

“**as if**” კონსტრუქციით გამოხატული შედარების მოდელები ინგლისურ ენაში ჩამოყალიბდა როგორც:

- “**as if**” + verb (ზმნა-შემასმენელი);
- “**As if**” + noun (სახელი)

„**As...as**” კონსტრუქციით გამოხატული შედარებები:

1. “He took me by both arms, and tilted me back **as far as he could hold me**” [Dickens, 2009: 13]. - „ორივე მკლავით ამიყვანა და გადამაწვინა იქამდე, სადამდეც შეეძლო ჩემი დაჭერა“.
2. “Didn’t you ever go to school, Joe, when you were **as little as me?**” [Dickens, 2009: 50]. - „არასოდეს გივლია სკოლაში ჯო, როცა ისეთივე პატარა იყავი, როგორც მე?“
3. “But the child is small, and its world is small, and its rocking-horse stands **as many hands high**, according to scale, **as a big-boned Irish hunter**” [Dickens, 2009: 65]. - „მაგრამ ბავშვი პატარაა, და მისი სამყაროც პატარაა, მისი სათამაშო ცხენიც იმდენად მაღალია, რამდენადაც ირლანდიელი ძლიერი მონადირე“.
4. “This was a case of metaphysics, at least **as difficult** for Joe to deal with, **as for me**” [Dickens, 2009: 72]. - „ეს იყო მეტაფიზიკის შემთხვევა, ჯოსთვისაც ისეთივე რთული, როგორც ჩემთვის“.
5. “Because I’ll never cry for you again”, said I. Which was, I suppose, **as false a declaration as ever was made**” [Dickens, 2009: 82]. - „რადგანაც მე შენს გამო აღარასოდეს ვიტირებ“, ვთქვი მე. რაც, ვფიქრობ, ისეთივე მცდარი განაცხადი იყო, როგორც ყოველთვის“.


6. “And your voice as hollow as the hollow sea” - [\[https://theliterarysisters.wordpress.com/tag/christina-rossetti/\]](https://theliterarysisters.wordpress.com/tag/christina-rossetti/) - „და შენი ხმა ღსევე ღრმა, როგორც ზღვა“.

“as...as” კონსტრუქციით გამოხატული შედარების მოდელი შემდეგნაირად ჩამოყალიბდა:

- “as” + adjective (ზედსართავი) + “as”

გრაფიკული სახით თუ წარმოვადგენთ კვლევის შედეგს, შემდეგ სურათს მივიღებთ:

დიაგრამა №1



## 2.2. შედარების ადგილი და მისი სინტაქსური ფუნქცია წინადადებაში

შედარების სინტაქსური ასპექტების ტიპოლოგიურ ჭრილში შესწავლას დიდი მნიშვნელობა აქვს ზოგადად ტროპის ამ სახეობის უკეთ გააზრებისათვის. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ტიპოლოგიური ლინგვისტიკის დანიშნულებაა ენობრივ სისტემებს შორის იზომორფიზმისა და ალომორფიზმის დადგენა, ანუ ენათა შორის იგივეობისა და განსხვავებულობის გამოვლენა. ამ მიზანს ემსახურება სხვადასხვა ენობრივი სისტემების ურთიერთმიმართება, რაც საშუალებას აძლევს მკვლევარს, გამოავლინოს ის განსაკუთრებული, სპეციფიკური და დამახასიათებელი ნიშნები, რომლებიც თითოეულ ენას გამოარჩევს სხვა ენისაგან.

ცნობილია, რომ სიტყვათა დაჯგუფება სხვადასხვა ნიშნის მიხედვით წარმოებს. გამოყენებულია: სემასიოლოგიური (რას აღნიშნავს სიტყვა?), სინტაქსური (რა ფუნქცია აქვს სიტყვას წინადადებაში?) და მორფოლოგიური (სიტყვათა ფორმაცვალებადობა) კრიტერიუმები. ამჯერად ჩვენი ამოცანა იმ სიტყვათა სინტაქსური ფუნქციების კვლევაა წინადადებაში, რომლებითაც მხატვრული შედარებაა გადმოცემული. ამ ყოველივეს საანალიზო წყაროების ორიგინალებისა და ასევე მათ თარგმანებზე დაყრდნობით შევეცდებით, რადგან ჩვენი ამოცანაა, გავარკვიოთ მხატვრული შედარების სინტაქსური თავისებურებანი როგორც ქართულ, ასევე ინგლისურ ენაში და აგრეთვე, საინტერესოა, რამდენადაა შენარჩუნებული სიზუსტე თარგმანში და რა მსგავსება-განსხვავებები იკვეთება ამ მიმართებით.

საინტერესო აღმოჩნდა მხატვრული შედარების ადგილის გარკვევა წინადადებაში. დადგინდა, რომ ის ძირითადად წინადადების დამოკიდებულ ნაწილში გვხვდება, რადგანაც ყოველთვის წინადადების არამთავარი წევრის როლშია. თარგმანი სემანტიკურად მეტად ახლოს დგას ორიგინალთან. ცვლილებები არ დასტურდება რომელიმე ნიშნით.

გაცილებით საინტერესო აღმოჩნდა მხატვრული შედარების კვლევა სინტაქსური თვალსაზრისით პოეზიაში. პოეზია საუკეთესო საშუალებაა სათქმელის მკაფიოდ გამოხატვისათვის. მას შეუძლია ორიგინალური, ცოცხალი და რეალისტური

შედარებების თხზვა. მისი საშუალებით მკითხველს უკეთ შეუძლია პოეტურ სამყაროში შეღწევა, მისი ფიქრების, ემოციების, ასოციაციებისა და გრძნობების წვდომა. შესაბამისად, ღირებულია პოეტური ნაწარმოები, რომელიც გამოირჩევა მდიდარი და მაღალმხატვრული შედარების ნიმუშებით.

მხატვრული შედარების ფუნქციის და მისი სტრუქტურულ-სემანტიკური ასპექტების გარკვევის მიზნით, საანალიზოდ შევარჩიეთ ნიმუშები მე-20 საუკუნის ქართველი და ამერიკელი პოეტების: ლადო ასათიანის, გალაკტიონ ტაბიძის, მირზა გელოვანის, სილვია პლათის, ლენგსტონ ჰიუზის და თომას ელიოტის პოეტური მემკვიდრეობიდან. მოძიებულ მასალაზე დაკვირვებამ საინტერესო შედეგებამდე მიგვიყვანა. ყურადღება გავამახვილეთ ლექსის ტაეპში შედარების ადგილმდებარეობის განსაზღვრაზე. ვფიქრობთ, განსხვავება საგულისხმოა იმის გათვალისწინებით, თუ სად მიუჩენს პოეტი ადგილს ჩვენთვის საყურადღებო მხატვრულ ხერხს - ტაეპის თავკიდურ, თუ ტაეპის ბოლოკიდურ პოზიციაში.

**მხატვრული შედარება ტაეპის თავკიდურ პოზიციაში:**

1. „სულიერით დარბოდნენ ხენი“ [ასათიანი, 1984: 340]

ვით თანდებულიანი შედარება - **სულიერი-ვით** (არსებით სახელს ერთვის -**ვით** თანდებული) გვხდება თავკიდურ პოზიციაში.

2. „ზამთრით ბუხარში გააჩენს ხანძარს,  
ოცნებასავით ნელ-ნელა იწვის“ [ასათიანი, 1984: 353]

ტაეპის დასაწყისში ვხვდებით -**ვით** თანდებულით გამოხატულ შედარებას - **ოცნებასა-ვით** (არსებით სახელს ერთვის -**ვით** თანდებული),

3. „უეცრად ვნახე თქვენი ბარათი,  
თქვენსავით მკრთალი და ფერმიხდილი“ [ასათიანი, 1984: 336]

-**ვით** თანდებულით გამოხატული შედარება -**თქვენსა-ვით** თავკიდურ პოზიციაში ფიქსირდება.

4. „მაგრამ სულ სხვაა სიყვარული უკანასკნელი,

როგორც ყვავილი შემოდგომის -

ხშირად პირველს სჯობს“ [ტაბიძე, 1966: 19]

შედარება გამოხატულია მაკავშირებელი სიტყვით -**როგორც**, რომელიც არსებით სახელს ერთვის და ტაეპის დასაწყისშია - **როგორც ყვავილი**,

საინტერესოა, რა ვითარება იკვეთება ამ მხრივ ამერიკულ პოეზიაში მოძიებულ მაგალითებში:

1. „The eyes reappear

As the perpetual star” (Eliot) „თვალეები ხელახლა ჩნდებიან, როგორც მუდმივი ვარსკვლავები“.

შედარება გამოხატულია მაკავშირებელი „as” და არსებითი სახელით „star”, ის ტაეპის დასაწყისშია.

**მხატვრული შედარება ტაეპის ბოლოკიდურ პოზიციაში:**

1. „ხომ ლამაზია ეს საქართველო,

მაგრამ მე უფრო ლამაზი მინდა, -

ფართოდ გაშლილი და მოხატული

თამარ დედოფლის დარბაზივითა“ [ასათიანი, 1984: 356]

შედარება, რომელიც არსებით სახელზე -**დარბაზი-ვით** თანდებულის დამატებით არის გამოხატული (**დარბაზი-ვითა**) ტაეპის ბოლოკიდურ პოზიციაშია.

2. „შორს მიქანავდა ორთქლმავალი, **როგორც**

ირემი,

და მეც - ესოდენ ახლობელი მთაწმინდისათვის“ [გელოვანი, 1972: 18].

ტაეპის ბოლოკიდურ პოზიციაში ვხვდებით „**როგორც**” მაკავშირებელი სიტყვითა და არსებითი სახელით „**ირემი**“ გამოხატულ შედარებას (**როგორც ირემი**),

ამერიკულ პოეზიაში მოძიებულ მაგალითებზე დაკვირვება კი გვიჩვენებს, რომ შედარება უმეტესად ტაეპის ბოლოკიდურ პოზიციაში იკავებს ადგილს.

1. „Black shoe

In which I have lived like a

Foot” (S. Plath) - „შავი ფეხსაცმელი, რომელშიც ვცხოვრობდი, როგორც ფეხი“.

შედარება გამოხატულია მაკავშირებლით „like” და არსებითი სახელით “foot” (ფეხი), ის ტაეპის ბოლოკიდურ პოზიციაშია.

2. „When I was home de

Sunshine seemed like gold” (L. Hughes). - „როდესაც სახლში ვიყავი, მზე ჩამოჰგავდა ოქროს“.

„like” მაკავშირებლით გამოხატული შედარება ტაეპის ბოლოში ფიქსირდება.

3. „When we whisper together

Are quiet and meaningless

As wind in dry grass” (Eliot) „მხოლოდ ერთმანეთთან საჩურჩულოდ გავჩენილვართ, უნაყოფო ველზე რხევად ისმის ბერწი კითხვა“ .

შედარება გამოხატულია მაკავშირებლით „as” და არსებითი სახელით „wind”, ის ტაეპის თავკიდურ პოზიციაშია.

დაკვირვება ცხადყოფს, რომ ქართულ და ამერიკულ პოეზიაში მხატვრულ შედარებას ვხვდებით ტაეპის როგორც თავკიდურ, ისე ბოლოკიდურ პოზიციაში. ქართულში უფრო ხშირად ის თავკიდურ პოზიციაშია, როდესაც უმეტესწილად გამოხატულია „ვით” და „როგორც” მაკავშირებლებით. ნაკლებად ხშირია მხატვრული შედარება ტაეპის ბოლოკიდურ პოზიციაში. ამ შემთხვევაში ის უმეტად სახელზე „ვით” თანდებულის დართვითაა ნაწარმოები.

ვხვდებით ისეთ გამონაკლის შემთხვევასაც, როდესაც ის სახელზე „ებრ” თანდებულის დართვით იწარმოება.

- „ყველაფერს ქვეყნად

მზეებრ ანათებს

ისევ და ისევ

პატიოსნება“ [ტაბიძე, 1966: 7].

ჩვენ მიერ შერჩეული ამერიკელი პოეტების შემოქმედებაზე დაკვირვების შედეგად ირკვევა, რომ შედარება იშვიათ შემთხვევებში ადგილს ტაეპის თავკიდურ პოზიციაში იკავებს. ძირითადად მას ბოლოკიდურ პოზიციაში ვხვდებით. ორივე შემთხვევაში მის გამოსახატავად გამოყენებულია „as“, „as...as“ და „like“ მაკავშირებლები. თუმცა, როგორც თავკიდურ, ისე ბოლოკიდურ პოზიციაში, ჭარბობს „like“ მაკავშირებელი.

მოძიებულ მაგალითებზე დაკვირვება საინტერესო აღმოჩნდა აგრეთვე იმ თვალსაზრისით, თუ როგორ წინადადებებში გვხვდება ძირითადად შედარება. ირკვევა, რომ ძირითად შემთხვევებში მხატვრული შედარება მარტივ და რთულ ქვეწყობილ წინადადებებში დასტურდება. თუმცა, ვხვდებით შემთხვევებს, როდესაც ის შერწყმულ წინადადებაშია.

1. “Reaching one hand, shaking like a tule reed, for the lantern hanging on its nail” - ლერწამივით ათრთოლებული ხელით ლურსმანზე დაკიდებულ სანათურს მისწვდა (ო. ჰენრი) - შედარება „like a tule reed“ - „ლერწამივით“ მოცემულია მარტივ წინადადებაში.
2. “And once, clinging like a lizard to the ridge-pole, high up under the peaked grass, he had heard Tonia” - და ერთხელ, ჩალით დახურული წვეტიანი სახურავის კოჭზე ხვლიკივით მიკრულმა კიდმა ნახა თავისი ტანია“. (ო. ჰენრი) - შედარება „like a lizard“ - „ხვლიკივით“ მოცემულია მარტივ წინადადებაში.
3. “The meeting brought a slight ripple of some undercurrent of feeling to his smooth, dark face that was usually as motionless as a clay mask” [<https://www.accuracyproject.org/t-Henry,O-Caballero.html>]. - შეხვედრისას უეცარი გრძნობის ჩრდილმა გადაურბინა მის მუქ, უნაოჭო სახეს, რომელიც ჩვეულებრივ თიხის ნილაბივით უძრავი იყო. - შედარება “as a clay mask“ - „თიხის ნილაბივით“ მოცემულია რთულ ქვეწყობილ წინადადებაში. ის წინადადების დამოკიდებულ ნაწილში დასტურდება, ეს წყობა კი შეგვიძლია მივიჩნიოთ ჩვეულებრივ ენობრივ ნორმად. მთარგმნელი ზედმიწევნით




ცდილობს არ დაარღვიოს წინადადების სტრუქტურა და, ამავდროულად, თარგმანი ქართული ენის ნორმებს დაუქვემდებაროს.

4. “And Lieutenant Sandridge sat in his saddle staring at her like a gannet agape at a sailorman” [<https://www.accuracyproject.org/t-Henry,O-Caballero.html>]. - ლეიტენანტი სენდრიჯი უნაგირზე გაშეშდა და ისე დააშტერდა მას, როგორც გოცებისაგან პირდაღებული პინგვინი მეზღვაურს (ო. ჰენრი) შედარება „like a gannet agape“ - „როგორც პინგვინი“ დასტურდება რთული ქვეწყობილი წინადადების დამოკიდებულ ნაწილში. მთარგმნელისაგან დაცულია ქართული წინადადების სტრუქტურის თავისებურება.....
5. “Then as it grew later he was like a wolf or a fox” [<https://www.accuracyproject.org/t-Henry,O-Caballero.html>] - მერე ისეთი გახდა, როგორც მგელი ან მელა. (ო. ჰენრი) მოცემულ შემთხვევაში შედარება „like a wolf or a fox“ - „როგორც მგელი ან მელა“ მოცემულია შერწყმულ წინადადებაში.
6. “He placed his pack on the ground and stalked them as a cat stalks a sparrow” [<https://books.google.ge/books?id=KUbPDAAAQBAJ&pg=PA308&lpg=PA308&dq>]. - მაშინ დადო თავისი ბოლჩა მიწაზე და ფრინველებთან მიპარვა იწყო, როგორც კატა ეპარება ხოლმე ბელურებს (ჯ. ლონდონი) შედარება „as a cat“ - „როგორც კატა“ დასტურდება რთულ ქვეწყობილ წინადადებაში.

შედეგების პროცენტული მაჩვენებელი ასახულია დიაგრამაზე.

## დიაგრამა N2



როგორც გრაფიკული გამოსახულებიდან ჩანს, მხატვრული შედარების 36% დადასტურდა მარტივ წინადადებებში, 17% დადასტურდა შერწყმულ წინადადებებში და 47% რთულ ქვეწყობილ წინადადებებში. აქედან გამომდინარე, ირკვევა, რომ შედარება ყველაზე აქტიურად გამოიყენება რთულ ქვეწყობილ და მარტივ წინადადებებში. რთულ თანწყობილ წინადადებაში მხატვრული შედარება არ შეგვხვედრია. ამ მხრივ ქართული და ინგლისური ენები მსგავს სურათს წარმოგვიჩენენ.

ჩვენ მიერ მოძიებულ მაგალითებზე დაკვირვება ცხადყოფს, რომ მხატვრული შედარება მარტივი წინადადების შემთხვევაში უფრო ხშირად წინადადების ბოლოს, ხოლო რთული ქვეწყობილი წინადადების შემთხვევაში, წინადადების დამოკიდებულ ნაწილში გვხვდება. იქიდან გამომდინარე, რომ შედარება წინადადებაში ძირითადად ვითარების გარემოების და იშვიათად უბრალო დამატების როლს ასრულებს, ეს ბუნებრივიცაა, რადგან ორივე მათგანი წინადადების არამთავარი წევრებია. აღნიშნულ ფაქტს ენათმეცნიერები ჩვეულებრივ ენობრივ ნორმად მიიჩნევენ. ჩვენი დაკვირვების

შედეგად ირკვევა, რომ სემანტიკურად მეტად ზუსტია თარგმანი. მთარგმნელი მაქსიმალურად იცავს წინადადების სტრუქტურას და, ამავდროულად, არგებს ქართული წინადადების დამახასიათებელ აგებულებას. მხატვრული შედარების ადგილი წინადადებაში თარგმანში არ იცვლება.

როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ „ვით“ თანდებულისანი შედარება, როგორც სიტყვა, წინადადების სრულფასოვანი წევრია და სინტაქსურ ფუნქციას ასრულებს. ჩვენს საანალიზო წყაროებზე დაკვირვება ცხადყოფს, რომ „ვით“ თანდებულისანი შედარება წინადადებაში ზოგჯერ **გარემოების** და ზოგჯერ **უბრალო დამატების** ფუნქციას ასრულებს. რაც შეეხება წყობას, იგი ჩვეულებრივ მოსდევს სახელს. თარგმანში, როგორც წესი, მაკავშირებელი სიტყვები “like” ან “as” ყოველთვის წინ უსწრებს სახელს.

1. „რა, სხვა უხეირო **კაცსავით** ფიქრი და ზრუნვა ძილს დაუფრთხოდა, მადას წაართმევდა?“ [ჭავჭავაძე, 1985: 276] – “When did he, **like any other man**, allow thought or care to rob him of sleep or of appetite?” [<http://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/3771/1/Works.pdf>] (კაცსა-ვით წინადადებაში უბრალო დამატება).

2. „ეს ამოდენა დედაკაცი, ჩაგოდრებული, ჩასორსლებული, ხშირად დილიდამ შუადღემდინ ფეხზედ იდგა და **გორგალსავით** დაგორავდა [ჭავჭავაძე, 1985: 277] - “This fat, dumpy woman often stood on her feet from morning till noon and rolled about **like a ball**” [<http://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/3771/1/Works.pdf>] (გორგალსა-ვით წინადადებაში გარემოება).

3. „და ეგრე ქანცგაწყვეტილი შეგორდებოდა ოთახში, საცა ხანდისხან ხოლმე **რუმბსავით** გაბერილი თავადი გორავდა და, თუ ზაფხული იყო, ჭერში ბუზებსა სთვლიდა“ [ჭავჭავაძე, 1985: 278] - “And thus worn out she rolled into the room, where sometimes the bloated prince had rolled over **like a wine-skin** and if it was summer, counted the flies on the ceiling”

[<http://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/3771/1/Works.pdf>] (რუმბსა-ვით წინადადებაში უბრალო დამატებაა).

4. „ეს გლეხები არიან: გაქირ ვირსავით თუ ერთხელ შედგა მერე, თუნდა შვინდის სახრით მოსდე, ფეხს ვერ გადაადგმევიანებ, თუ ადრევე დატუქსული არა გყავს“ [ჭავჭავაძე, 1985: 279] - “That’s what peasants are like, like a stubborn ass, if you one give it its head, then, even if you hold a bunch of berries before its nose you cannot make it budge a foot if you don’t rage at it” [<http://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/3771/1/Works.pdf>] (ვირსა-ვით წინადადებაში უბრალო დამატებაა).

5. „ქეთოს სარკესა-ვით გადაეშალა თვალწინ თავისი სიპატარავის დრო“ [<http://litklubi.ge/biblioteka/view-nawarmoebi.php?id=3738>] - “Her childhood rose before her as though in a looking-glass” [<http://www.worldcat.org/title/iavnanam-ra-hkmna-the-lullaby-iakob-gogebashvili>] (სარკესა-ვით წინადადებაში გარემოების როლს ასრულებს).

6. „ამ ხშირი ტყის წყალობით შუაგულ სოფელში მიწიდან შადრევანვით ამოჩუხჩუხებდა ვეებერთელა ანკარა წყარო, რომლის ყინულივით ცივი წყალი იყო საყვარელი სასმელი მთელი სოფლისა“ [<http://litklubi.ge/biblioteka/view-nawarmoebi.php?id=3738>] - “Dense forest covered the mountainside and caused a spring of clear water to shoot up like a fountain in the middle of the village. Its icy water was the favorite drink of the villagers” [<http://www.worldcat.org/title/iavnanam-ra-hkmna-the-lullaby-iakob-gogebashvili>]. (შადრევანი-ვით წინადადებაში გარემოების როლს ასრულებს, ხოლო ყინული-ვით წინადადებაში უბრალო დამატებაა. თარგმანში „შადრევანვით“ გადმოცემულია მაკავშირებელი სიტყვით „like“ და არსებითი სახელის „fountain“ მეშვეობით, ხოლო „ყინულივით“ გამოხატულია ზედსართავი სახელის საშუალებით - „icy water“)

7. „მარგოს რომ თვალს მოკრავდა, თოვლივით დადნებოდა, თეფშივით გაიზადრებოდა და ფეხქვეშ გაემლებოდა“ [ჯავახიშვილი, 2000: 22]. - წინადადებაში

შედარება ორჯერ გვხვდება - „თოვლივით“ და „თეფშივით“. ორივე შემთხვევაში ის გარემოების ფუნქციას ასრულებს.

8. „მღვდელი ივანე თეიმურაზს და მარგოს აჩრდილივით დასდევდა“ [ჯავახიშვილი, 2000: 22]. - შედარება -აჩრდილი-ვით წინადადებაში გარემოებაა.

9. „ჩემი სახე გუმბათი-ვით ელავს“ (ტ. გრან.) - შედარება გუმბათი-ვით წინადადებაში გარემოებაა.

10. „ბაღში შემლილი-ვით კვდება თებერვალი“ (გ. ტაბ.) - შედარება შემლილი-ვით წინადადებაში გარემოების ფუნქციას ასრულებს.

11. „ფრინველი-ვით ვზივარ ღამის უბეში“ (ტ. გრან.) - შედარება ფრინველი-ვით წინადადებაში ვითარების გარემოებაა.

12. „ჯაყოს დაგუბებული ჰქონდა სიცოცხლის ნიშატი, ხოლო ალღო - გარეულ ძალღივით განვითარებული და გაფიტული“ [ჯავახიშვილი, 2000: 57]. - შედარება „გარეულ ძალღივით“ წინადადებაში უბრალო დამატებაა.

13. „თევზივით ნაპირზე გარიყული ნაადამიანევი სულს ძლივსღა ჰლაფავდა“ [ჯავახიშვილი, 2000: 71]. - შედარება „თევზივით“ წინადადებაში უბრალო დამატებაა.

14. „ფეხები ძლივს აითრია და ფეხდათათხულ ძალღივით გამოტრიალდა“ [ჯავახიშვილი, 2000: 90]. - წინადადებაში შედარება „ძალღივით“ უბრალო დამატებაა.

15. „ელდანაკრავმა თეიმურაზმა ერთხელ კიდევ შეჰბლავლა პირუტყვივით და ჩაიკეცა“ [ჯავახიშვილი, 2000: 100]. - შედარება „პირუტყვივით“ წინადადებაში უბრალო დამატებაა.

„ვით“ თანდებულისანი სიტყვა წინადადებაში ძირითადად გარემოების, ზოგჯერ კი, უბრალო დამატების ფუნქციას ასრულებს. ჩვენ მიერ მოძიებულ მაგალითებში „ვით“ თანდებულისანი სიტყვა ყოველთვის წინ უსწრებს ზმნა-შემასმენელს.

შედარება ვითარების გარემოების ფუნქციით ინგლისურში:

ინგლისურენოვან საანალიზო წყაროებში “like” და “as” მაკავშირებლებით გამოხატულ შედარების ნიმუშებზე დაკვირვებამ გვიჩვენა, რომ წინადადებაში შედარება ვითარების გარემოების ფუნქციას ასრულებს.

1. “And any one could see that he shook with fear, and that there broke out upon his lips, curious white flakes, like thin snow” [Dickens, 2009: 41]. - „ყველას შეეძლო დაენახა, რომ მას შიშისაგან გააკანკალა და ტუჩებზე გამოესახა ცნობისმოყვარე თეთრი ფანტელები, როგორც თხელი თოვლი“. შედარება „like thin snow“ ქართულ თარგმანშიც ვითარების გარემოების ფუნქციით გადმოდის „როგორც თხელი თოვლი“.
2. “With my heart thumping like a blacksmith at Joe’s broad shoulder, I looked all about for any sign of the convicts” [Dickens, 2009: 38]. – „ჩემი გული როგორც მჭედელი ისე სცემდა ჯოს ფართო მხარზე და მე ვეძებდი მსჯავრდებულის ნებისმიერ ნიშანს“. შედარება „like a blacksmith“ წინადადებაში ვითარების გარემოებაა და თარგმანშიც არ იცვლის ის ფუნქციას, კვლავ ვითარების გარემოების ფუნქციით გადმოდის „როგორც მჭედელი ისე სცემდა“.
3. “The man took strong sharp sudden bites, just like the dog” [Dickens, 2009: 25]. - „კაცმა ძალლივით ღონივრად დაიწყო კბეჩა“. შედარება „like the dog“ თარგმანშიც ვითარების გარემოების ფუნქციით გადადის „ძალლივით ღონივრად“.
4. „Johny would indeed sail down, down like the leaf” [https://americanenglish.state.gov/files/ae/resource\_files/the-last-leaf.pdf] - ჯონსი მართლაც დაჰკვნებოდა და გაუფრინდებოდა ხელიდან, როგორც უსურვაზის ყვითელი ფოთოლი [ო. ჰენრი, 1968: 8]. – შედარება „like the leaf“ ქართულ თარგმანში ფუნქციას არ იცვლის და კვლავ ვითარების გარემოების როლში გვევლინება „როგორც უსურვაზის ყვითელი ფოთოლი“.
5. „Went into the rush-grass on hands and knees, crunching and munching like some bovine creature” [http://carl-bell.baylor.edu/JL/LoveOfLife.html]. - ოთხზე ბობღვით

ლერწმებისაკენ აცოცდა, თან ცხოველივით იცოხნებოდა [ლონდონი, 1968: 43]. – შედარება „like some bovine creature“ თარგმანშიც ვითარების გარემოების ფუნქციით გადადის „ცხოველივით“.

6. “Looked at it as a miser looks at gold” [<http://carl-bell.baylor.edu/JL/LoveOfLife.html>] – დააცქერდებოდა, როგორც ძუნწი ოქროს დასცქერის [ლონდონი, 1968: 45]. – შედარება „as a miser“ რომელიც წინადადებაში ვითარების გარემოების ფუნქციას ასრულებს, ქართულ თარგმანშიც ინარჩუნებს ფუნქციას „როგორც ძუნწი“.

მოძიებულ მაგალითებზე დაკვირვება საინტერესო აღმოჩნდა სინტაქსური წყვილების, სინტაქსური ერთეულების თვალსაზრისითაც. როგორც ცნობილია, ასეთ ერთეულს სინტაგმას უწოდებენ. ის სიტყვათა შეკავშირებისაგან წარმომდგარი უმცირესი სინტაქსური ერთეულია. წინადადება, ჩვეულებრივ, ასეთი ერთეულებისაგან შედგება.

1. “This is like a woman! – shouted Behrman” [[https://americanenglish.state.gov/files/ae/resource\\_files/the-last-leaf.pdf](https://americanenglish.state.gov/files/ae/resource_files/the-last-leaf.pdf)]. - ნამდვილი ქალივით ლაპარაკობთ, - შეუტია ბერმანმა [ო. ჰენრი, 1968: 9]. - „ქალივით ლაპარაკობთ“ - წამყვან სიტყვას „ლაპარაკობთ“ რომელიც ზმნა-შემასმენელია, ახლავს მირთული „ქალივით“. ამდენად, შედარება გამოხატული „ვით“ თანდებულთ მირთული სიტყვაა.
2. “The fingers were curved like talons” [<http://london.sonoma.edu/writings/LoveLife/life.html>]. - თითები ბრჭყალებსავით მოუკაუჭდა [ლონდონი, 1968: 48]. – „ბრჭყალებსავით მოუკაუჭდა“ - წამყვან სიტყვას „მოუკაუჭდა“, რომელიც ზმნა-შემასმენელია, ახლავს მირთული „ბრჭყალებსავით“, ამიტომაც შედარება გამოხატული „ვით“ თანდებულთ ქმნის მირთვას.
3. “He shook as with a palsy” [<http://london.sonoma.edu/writings/LoveLife/life.html>] - ციებიანივით ძაგძაგებდა [ლონდონი, 1968: 50]. – მოცემულ მაგალითშიც წამყვანი

სიტყვა ზმნა-შემასმენელია - „მაგმაგებდა“, ხოლო შედარება გამოხატული „ვით“ თანდებულთ მართული სიტყვაა.

4. “The bottom of the valley was soggy with water... **spongelike**, close to the surface”  
[<http://london.sonoma.edu/writings/LoveLife/life.html>] - დაჭაობებული ხეობის ფსკერზე ხავსის სქელი ფენა **ღრუბელივით** წყლით იყო გაჟღენთილი [ლონდონი, 1968: 55]. - **„ღრუბელივით იყო გაჟღენთილი“** - „ვით“ თანდებულთ გამოხატული შედარება წინ უსწრებს შემასმენელს. ამდენად, ქმნის მირთვას.
5. “A sigh pulsed through the air – they did not seem to actually hear it, but rather felt it, **like the premonition of movement** in a motionless void”  
[<http://london.sonoma.edu/writings/LoveLife/life.html>] - უეცრად, თითქოს ჰაერი გაიპოო, ოხვრა გაისმა, ადამიანებმა კი არ გაიგონეს, უფრო შეიგრძნეს იგი, **როგორც მოძრაობის მაცნე** ამ უძრავ სივარდიელში [ლონდონი, 1968: 57]. - **„შეიგრძნეს როგორც მოძრაობის მაცნე“** - შედარება მოსდევს ზმნა-შემასმენელს. შესაბამისად, შედარება, რომელიც „როგორც“ მაკავშირებელი სიტყვის საშუალებითაა გამოხატული, მართული სიტყვაა.
6. “His knees had become raw meat **like his feet**”  
[<http://london.sonoma.edu/writings/LoveLife/life.html>] - მუხლები ისეთსავე ხორცის ნაფლეთებს დაემსგავსნენ, **როგორც მისი ფეხები იყო** [ლონდონი, 1968: 55]. - **„როგორც ფეხები იყო“** - შედარება, რომელიც „როგორც“ მაკავშირებელი სიტყვის საშუალებითაა გამოხატული წინ უსწრებს ზმნა-შემასმენელს და ქმნის მირთვას.

როგორც დაკვირვება ცხადყოფს, მხატვრული შედარება, რომლის სინტაქსური ფუნქციაა, შეასრულოს ვითარების გარემოების და იშვიათად უბრალო დამატების ფუნქცია, ძირითადად წყვილდება შემასმენელთან და ქმნის მირთვას.

ჩვენ შევეცადეთ შევხებოდით შედარების, როგორც მხატვრული ხერხის სინტაქსურ ასპექტებს, კერძოდ, რომელი წევრის ფუნქციას ასრულებს ის წინადადებაში. დაკვირვებამ გვიჩვენა, რომ წინადადებაში შედარების ძირითადი ფუნქციაა შეასრულოს ვითარების გარემოების ფუნქცია და იშვიათად უბრალო დამატების ფუნქცია. უფრო



ზუსტად, წინადადება, სადაც შედარება მოიპოვება, მთლიანად არის ვითარების გარემოებითი დამოკიდებული წინადადება, რომელიც შედარების სინტაქსურ ფუნქციას ასრულებს. აღსანიშნავია შემთხვევა, როდესაც მხატვრული შედარება წინადადებაში ვითარების გარემოების ფუნქციას ასრულებს, ხოლო თარგმანში ის უკვე უბრალო დამატებაა.

- „It was composed of stringy filaments saturated with water, like the berries“ - „ძირხვენა კენკრის მსგავსად წყლიანი იყო“ (ჯ. ლონდონი) - მოცემულ მაგალითში ინგლისურ ორიგინალში შედარება ვითარების გარემოების ფუნქციას ასრულებს, „like the berries“, ხოლო თარგმანში ის უკვე უბრალო დამატებაა „კენკრის მსგავსად“.

როგორც შუქია აფრიდონიძე შენიშნავს, უბრალო დამატების პოზიციისათვის გარკვეული მნიშვნელობა აქვს წინადადების სიგრძეს. მოკლე წინადადებაში იგი თავკიდური პოზიციისაკენ მიისწრაფვის, გრძელში კი ბოლოკიდურ პოზიციაში ინაცვლებს. მაგრამ ეს ზოგადად. არსებითი მნიშვნელობა ენიჭება უბრალო დამატების ფორმას და ფუნქციას.

ვითარების ფორმით წარმოდგენილი უბრალო დამატება ზმნა-შემასმენელს უპირატესად უშუალოდ ემეზობლება. სხვა ფორმის მქონე სახეები მეტი თავისუფლებით გამოირჩევიან.

ვითარების გარემოება შემასმენელთან აზრობრივად ყველაზე მჭიდროდ დაკავშირებული წევრია და ისე შეეფარდება შემასმენელს, როგორც მსაზღვრელი საზღვრულს. იგი უშუალოდ უსწრებს შემასმენელს. პოზიციის სიმყარის მხრივ შემასმენელთან დაკავშირებულ წევრებს შორის ვერც ერთი შეედრება ვითარების გარემოებას.

ხშირია ვითარების გარემოების პრეპოზიციის შემთხვევები, თუ იგი ხარისხის, ინტენსივობის, სისრულის და ა.შ. გამომხატველი უფორმო სიტყვებით - ზმნისართებით არიან გამოხატულნი [აფრიდონიძე, 1979: 29-37].

### III თავი

#### შედარების სემანტიკური ასპექტები და ენობრივი ექსპრესია

##### 3.1. შედარების სემანტიკური ასპექტების ტიპოლოგიური ურთიერთმიმართებანი

სემიოტიკაში მნიშვნელოვანია ნიშნის პრობლემა, ხოლო ნიშნის კვლევისას დიდი როლი აკისრია სიტყვის სემანტიკის განსაზღვრას. ლექსემის მნიშვნელობა შესაძლებელია, გამოკვლეულ იქნეს ენის ფარგლებში და მეტყველების ფარგლებში. პირველ შემთხვევაში იგულისხმება სალექსიკონო მნიშვნელობა, ხოლო მეორე შემთხვევა სიტყვის სემანტიკის დასადგენად უფრო რთულია, იქიდან გამომდინარე, რომ მნიშვნელობას სწავლობენ ენის გამოყენებისას სხვადასხვა დისკურსის ფარგლებში. რაც შეიძლება იყოს - სამეცნიერო, სასაუბრო, მხატვრული, საქმიანი და ა.შ. მიჩნეულია, რომ ამ მხრივ მხატვრული დისკურსი ყველაზე რთული და მრავალგანზომილებიანი სივრცეა და ენის თითქმის ყველა შესაძლებლობა პოეზიაში ვლინდება. მხატვრული შედარების სემანტიკური ფუნქციის კონტრასტულ ჭრილში შესწავლამ გამოავლინა ქართული და ინგლისური ენების პოტენციალი, სიღრმეები და საშუალება მოგვცა, გამოგვევლინა ორ ენაში არსებული იზომორფიზმები და ალომორფიზმები, აგრეთვე უნივერსალური და სპეციფიკური სახე-სიმბოლოები.

ტერმინი სემანტიკა სიტყვის, გამოთქმის, მთლიანი წინადადების შინაარსეული გააზრების შემსწავლელი დარგია ენათმეცნიერებისა. მას პოეტიკაში აინტერესებს სიტყვის პოეტური არსი და სწავლობს გადატანითი მნიშვნელობით ნახმარი სიტყვების შინაარსეულ, საკომუნიკაციო, ექსპრესიულ ხასიათსა და ემოციურ ფუნქციას [ჭილაია, 1971: 411-412]. პოეტური სემანტიკა - პოეტიკური სტილისტიკის მთავარი შემადგენელი ნაწილია, რომელიც სიტყვის არაპირდაპირი, ანუ გადატანითი მნიშვნელობით გამოყენების სპეციფიკას და ხასიათს შეისწავლის. სწორედ პოეტურ სემანტიკაში იჩენს თავს სიტყვის მხატვრული იერი, ემოციური ხასიათი, მისი პოეტური ფორმისა და

შინაარსის ურთიერთობის ყველა თავისებურება. აღნიშნული ერთნაირად ეხება როგორც ლექსით, ისე პროზაულ მეტყველებას.

ნებისმიერ საზოგადოებას აქვს ენა და ყოველი ენა საკმაოდ რთული და დახვეწილია. მას შეუძლია გამოხატოს ადამიანების ფიქრები და საჭიროებები [Kreidler, 1998: 5].

ინგლისელი ენათმეცნიერები ტერმინს - „სემანტიკა“ განსაზღვრავენ როგორც ენაში მნიშვნელობების შესწავლას. მშობლიურ ენაზე მოსაუბრე ადამიანები ძირითად წყაროს წარმოადგენენ მნიშვნელობების მიმართებით. პროფესორმა, რომელიც სემანტიკას ასწავლის, შესაძლოა, საინტერესოდ ახსნას მნიშვნელობები და ისაუბროს მათ ზოგადთეორიულ საკითხებზე. თუმცა, მას უპირატესობა ვერ ექნება მშობლიურ ენაზე მოსაუბრეზე, რომელსაც მნიშვნელობების სრულყოფილ ბაზაზე მიუწვდება ხელი. ინგლისურ ენას მრავალი დიალექტი აქვს. გამოთქმაც დიალექტების მიხედვით განსხვავდება ერთმანეთისაგან. შესაბამისად, სემანტიკური მიმართებით არსებობს სხვაობა დიალექტებს შორის [Hurford, Heasley, 2007: 7].

როგორც ჭილაია განმარტავდა, სიტყვის არაპირდაპირი მნიშვნელობით გამოყენების ყველა შესაძლებლობა ტროპულ მეტყველებაში ვლინდება. პოეტური სემანტიკის შინაარსს სწორედ ტროპის სპეციფიკა ქმნის და პოეტური სემანტიკის შესწავლის ობიექტიც გადატანითი მნიშვნელობით ნახმარი სიტყვის მხატვრული შინაარსის მახასიათებლებია. სიტყვას ძირითადი მნიშვნელობის გარდა გადატანითი მნიშვნელობაც აქვს. ენობრივი მასალა იძლევა იმის შესაძლებლობას, რომ ერთმა და იმავე სიტყვამ კონტექსტში სხვადასხვა აზრი გამოხატოს. სიტყვის მრავალმნიშვნელობა და სიტყვის შინაარსეული ნიუანსები ხელს უწყობს მეტყველებას პირდაპირი მნიშვნელობის სიტყვათა სხვადასხვა აზრით გამოყენებაში. გადატანითი მნიშვნელობით გამოყენება უფრო მეტად აფართოებს სიტყვის შინაარსეულ და პოეტურ სფეროს და აძლიერებს მხატვრული წარმოსახვის მომენტს [ჭილაია, 1971: 343].

არისტოტელე თანამედროვე სემანტიკის წინაპრად ითვლება. იმის მიუხედავად, რომ ენებმა სახე იცვალეს (თანამედროვე ბერძნული მეტად განსხვავდება ძველბერძნულისაგან), ძირითადი მნიშვნელობის მახასიათებლები საერთოდ არ შეცვლილა [Hurford, Heasley, 2007: 13]. კონცეპტუალური მნიშვნელობა (იგივე „დენოტაციური“ ან „კომუნიკაციური“ მნიშვნელობა) ცენტრალურ ფაქტორად ითვლება ენობრივ კომუნიკაციაში, რაც შესაძლოა იყოს ენის ფუნქციონირების განუყოფელი ნაწილი იმ მიმართებით, რომ სხვა ტიპის მნიშვნელობები მსგავს ხასიათს არ ამჟღავნებენ [Leech, 1981: 22].

ნებისმიერ საზოგადოებას აქვს ენა და ყოველი ენა საკმაოდ რთული და დახვეწილია. მას შეუძლია გამოხატოს ადამიანების ფიქრები და საჭიროებები. ამერიკელი ენათმეცნიერი კრეიდლერი (Kreidler, 1998) წერდა, რომ ზოგადად მნიშვნელობების შესწავლით დაინტერესებულია სამი დისციპლინა: ფსიქოლოგია, ფილოსოფია და ლინგვისტიკა. მათი მიდგომა და ინტერესი სხვადასხვაგვარია. ლინგვისტებს აინტერესებთ გამოარკვიონ თუ როგორ ფუნქციონირებს ენა. ლინგვისტური სემანტიკა სწავლობს იმ საშუალებებს, რითაც ენები მნიშვნელობებს გამოხატავენ [Kreidler, 1998: 2].

ჭილაია მიუთითებდა, რომ ხშირად სიტყვა პოეზიაში სულ სხვა მნიშვნელობით იხმარება, ვიდრე პრაქტიკულ ან მეცნიერულ მეტყველებაში. ეს სხვაობა სიტყვის არაპირდაპირი მნიშვნელობით ხმარებაში, ახალ ემოციურ ჩარჩოში ჩასმით მჟღავნდება და მისი მხატვრული შინაარსი განპირობებულია როგორც შემეცნებითი, ისე ესთეტიკური ფუნქციით. საგნის თუ მოვლენის არსი რომ მხატვრულად გვაჩვენოს, მწერალს ერთი საგნის თვისება გადააქვს მეორეზე. სიტყვას თავისი მნიშვნელობით კი არ იყენებს, არამედ გადატანით. ამ გზით მწერალი აძლიერებს წარმოსახვის ემოციურობას და თვალსაჩინოებას. გადატანითი მნიშვნელობით ნახმარი ყველა სიტყვის მხატვრული შინაარსის თვისებები პოეტური სემანტიკის ობიექტია [ჭილაია, 1971: 343-344].

ქართულ პოეზიაში მოძიებული მხატვრული შედარების ნიმუშები შინაარსობრივად განსაკუთრებულად მრავალფეროვანია. აქ ნამი შედარებულია

ბროლთან, წყარო - ცის ვნებასთან, ოცნება - ხანძართან, ხეები კი სულიერ არსებებთან, კაცის გული - ზღვასთან, ქალი აჩრდილთან, ნაკადული ყვავილების დედოფალთან, წვიმა აფთართან, ადამიანი სიზმართან, სიზმარი კი ვარსკვლავთან, ვარდები თოვლთან, და ასე შემდეგ.

1. „კაცის გული ისეთია,

ვით მორევი შავი ზღვისა“ [ასათიანი, 1984: 356].

2. „როგორც სიზმარი დავიწყებული,

თრთის და კანკალებს ცაზე ვარსკვლავი“ [ტაბიძე, 1966: 55].

სემანტიკური თვალსაზრისით მეტყველი მხატვრული შედარებები მკითხველს მეტ საშუალებას აძლევენ პოეტური სამყაროს აღქმისათვის, განსაკუთრებით, თუ ის ტაეპის თავკიდურ პოზიციაშია. ხოლო, იმ შემთხვევაში, როდესაც შედარება ბოლოკიდურ პოზიციაშია, ვფიქრობთ, პოეტი მეტი ინტრიგის შესაქმნელად, ყველაზე საინტერესო ამბავს ტაეპის ბოლოს აცხადებს.

დაკვირვება ცხადყოფს, რომ პოეზიაში სხვადასხვა გრამატიკული კონსტრუქციით მიღებული მხატვრული შედარების მოდელები სემანტიკურად მრავალფეროვანია. ისინი შესაძლოა, შინაარსობრივად გამოხატავდნენ შეგრძნებებს, რაც, თავის მხრივ, შეგვიძლია დავყოთ კატეგორიებად: მხედველობითი, სმენითი, ყნოსვითი, გემოსი, შეხების და შესაძლოა, გამოხატავდნენ შეფასებას, რაც შეიძლება იყოს - დადებითი და უარყოფითი.

**შეგრძნებების გამომხატველი შედარებანი ქართულში:**

**ა) მხედველობითი შეგრძნებები:**

1.,,მე აღარ ვიცი რას შეგადარო:

ყვავილს თუ მთვარეს, ცასა თუ მიწას!“ [გელოვანი, 1972: 211]. - შედარების მეშვეობით პოეტი მხედველობაში წარმოიდგენს ყვავილს, მთვარეს, ცას და მიწას და ცდილობს ერთ-ერთს მიადაროს ლექსის ადრესატი.

2.,,დავთრთვილე გულის თმები,

- მთის ბალახივით მწვანე“ [გელოვანი, 1972: 169]. - პოეტი თავისი გულის ნადებს მთის მწვანე ბალახს ადარებს. მას ამ დროს წარმოდგენაში აქვს მთის მწვანე ბალახი.
- 3.,წუხელ მრუმე ღამე მთის კალთებზე ღრუბელივით იწვა“ [გელოვანი, 1972: 157]. - პოეტი ერთმანეთს ადარებს ღამეს და მთის კალთებზე ჩამოწოლილ ღრუბელს, შესაბამისად ვხვდებით რომ ის ხედავს ამ ორ ფენომენს თავის წარმოდგენაში.
- 4.,მზე კრუხივით ჩაეშვა მთებში“ [გელოვანი, 1972: 139]. - კრუხს შედარებულია მთებში ჩამავალი მზე.
- 5.,ვიტრინაში ჩანდი, როგორც დილა“ [გელოვანი, 1972: 170]. - პოეტმა ლექსის ადრესატი დაინახა ფანჯარაში და ამსგავსებს დილას.
- 6.,რუხად ჩანან სახლები, ვით აკინძული წიგნთა ტომები“ [გელოვანი, 1972: 172]. - აკინძული წიგნების ტომებს ადარებს პოეტი რუხ სახლებს. შესაბამისად ვხვდებით, რომ მას ორივე მათგანი თავის წარმოსახვაში აქვს.

#### ბ) სმენითი შეგრძნებები:

- 1.,მილეულ მთვარეს სოფლის ძაღლები  
უყეფენ, როგორც ასტრონომები“ [გელოვანი, 1972: 172]. - ძაღლების მთვარისადმი ყეფას პოეტი ასტრონომების მთვარისადმი დამოკიდებულებას ადარებს. შესაბამისად, მკითხველს გონებაში წარმოუდგება ყეფის ხმა.
- 2.,როგორც ვერხვი, ვუსმენდი ღამეს“ [გელოვანი, 1972: 146]. - პოეტი ყურს უგდებს ღამეს, როგორც ვერხვის ხე.
- 3.,ქარი ატირდება ტკბილ საყვედურივით“ [გელოვანი, 1972: 187]. - ქარის ხმა შედარებულია ტკბილი საყვედურის ტონს.
- 4.,დაჭრილივით დაიგმინა  
მთამ ნაკაწრი გულის ფიცრით“ [გელოვანი, 1972: 26]. - მთის განწყობას პოეტი დაჭრილი ადამიანის გმინვის ხმას ადარებს.

გ) შეხების შეგრძნება:

1. „მიგიგავდა ტანი ისარს,

მე მშვილდივით აგეკარი“ [გელოვანი, 1972: 182]. - პოეტი ლექსის ადრესატის ტანს ისარს ადარებს და მშვილდივით ეკვრის მას. გამოხატულია შეხების შეგრძნება.

2. „და მინდა, მიწას ლექსების ჩქერი

შენი შხეფივით გადმოვაყარო“ [გელოვანი, 1972: 154]. - შხეფის გაგონებისას მკითხველი წარმოიდგენს წყლის შხეფის სხეულზე შეხების შეგრძნებას.

შეგრძნებების გამომხატველი შედარებანი ინგლისურში:

ა) მხედველობითი შეგრძნებები:

1. “Their heads wobbling from side to side, like heads on sticks” [Williams Hugo]. - „თავები ქანაობდნენ აქეთ-იქით, როგორც ჯოხებზე წამოცმულები“. ავტორი თავის წარმოდგენაში ხედავს მოქანავე თავებს და ადარებს ჯოხებზე წამოცმულ თავებს.

2. “The castle

Brown as owls” [Dylan Thomas]. - „ციხესიმაგრე, ისეთივე ყავისფერი, როგორც ბუ“. ციხეს ისეთივე ყავისფრად ხედავს პოეტი, როგორი ყავისფერიც ბუა.

3. “Then softly as a rain-mist on the sward,

Came to the Rose the Answer of the Lord” [Kipling Rudyard]. – „შემდეგ ნაზად, როგორც წვიმის ნისლი მახვილზე, როუზთან მოვიდა მეფის პასუხი. პოეტი წარმოიდგენს როგორ ედება ნისლი ბალახიან მდელოს და ადარებს პასუხის მოსვლის სცენას.

4. “Watched the compass chase

Its tail like a cat at play” [Kipling]. - „ვუყურებდი კომპასს, რომელიც მისდევდა თავის ისარს, როგორც კატა თავის კუდს“. პოეტი წარმოიდგენს კომპასის ისარს და კატის კუდს და ადარებს ერთმანეთს, კომპასი ისე დასდევს თავის ისარს, როგორც კატა საკუთარ კუდს თამაშის დროს.

ბ) სმენითი შეგრძნებები:

1. "That sounded **like a better idea**" [Williams Hugo]. - „ეს უკეთესად ჟღერდა“. პოეტს ესმის ახალი და უკეთესი იდეა.

2. "I felt a funeral in my brain,  
When they all were seated,

A service **like a drum**

Kept beating – beating-..." [Kipling]. - „დაკრძალვას ვგრძნობდი გონებაში, შემდეგ ისინი დასხდნენ და **დოლისმაგვარი** უკრავდა და უკრავდა“. პოეტს გაუთავებლად ესმის ხმა, რომელსაც დოლის ხმას ამსგავსებს. გამოხატულია სმენითი შეგრძნება.

3. "Diadems drop and doges surrender

**Soundless as dots** on a disk of snow" [Kipling]. - „ძაღვები ნებდებიან და ეცემიან, ისევე **უხმოდ, როგორც უხმო წერტილები** თოვლზე“. გამოხატულია სმენითი შეგრძნება.

შეფასების გამომხატველი შედარების ნიმუშები ქართულში:

ა) დადებითი შეფასება:

1. „**მზესავით მზეო**“ [გელოვანი, 1972: 162]. - შედარების საშუალებით გამოხატულია დადებითი განწყობა, ადამიანი შედარებულია მზეს.

2. „ბულია ირგვლივ, მზე აშარია,

და შადრევანი, **შენსავით კარგი**“ [გელოვანი, 1972: 186]. - დახატულია სასიამოვნო გარემო და ადამიანი შედარებულია ლამაზ შადრევანს, შესაბამისად, შედარების საშუალებით გამოხატული შეფასება დადებითია.

3. „ლამაზი, **როგორც მზის ანაკვეცი,**

**ივრის ფშანივით ლალი და წმინდა**“ [გელოვანი, 1972: 222]. - შედარების მეშვეობით გამოხატულია დადებითი განწყობა და შეფასება, ადამიანი შედარებულია მზის ანარეკლს და ლამაზ, დაგუბებულ ტბას.

4. „ეს სურვილი ძლიერია, **როგორც ქარიშხალი,**



სისპექტაკით შემოსილი, ვით ეს თოვლი წმინდა“ [გელოვანი, 1972: 220]. - გამოხატულია დადებითი შეფასება. მიუხედავად იმისა, რომ სურვილი შედარებულია ძლიერ ქარიშხალს, ის თოვლივით სპექტაკი და წმინდაა.

5.,,მინდა ელავდე ჩემში მზესავით...“ [გელოვანი, 1972: 164]. - გადმოცემულია დადებითი განწყობა და შეფასება. სიტყვა „მზე“ უკვე თავის თავში შეიცავს დადებით შინაარსს.

## ბ) უარყოფითი შეფასება:

უარყოფითი შეფასების შესაქმნელად პოეტი ხშირად იყენებს სიტყვას „გველი“. როგორც ჯორბენაძე მიიჩნევს, აღნიშნულ სიტყვას ორგვარი ემოცია სდევს თან: გველივით გესლიანი, გველივით მაცდური და, იმავდროულად, გველივით ბრძენი [ჯორბენაძე, 1997: 66]. ჩვენ მიერ მოძიებულ საანალიზო წყაროებში სიტყვა „გველი“ ძირითადად უარყოფითი შეფასების შესაქმნელად მიიჩნევა, რასაც ქვემოთ მოყვანილი მაგალითებითაც დავადასტურებთ.

1.,,ბაღში აუზი გველივით თრთოდა“ [გელოვანი, 1972: 201]. -

2.,,გზები კი, რა ვქნა, იკლაკნებიან,

როგორც გველები მსხვერპლებს გარშემო“ [გელოვანი, 1972: 211].

3.,,გზის პირას ხევი გველივით იწვა“ [გელოვანი, 1972: 155].

4.,,შორს მთაზე მოჩანს ციხის ნანგრევი,

როგორც იმედი გულგადახრული“ [გელოვანი, 1972: 211]. - გამოხატულია უარყოფითი შეფასება. ციხის ნანგრევი შედარებულია იმედს, რომელიც არარეალური და წარმავალია.

5. „ზოგჯერ ქარი, ყაჩაღით შემოსეული, დალეწავს ხეებს“ [გელოვანი, 1972: 151]. - სიტყვა „ყაჩაღი“ თავისთავად უარყოფითი შინაარსის შემცველია და როდესაც პოეტი ქარს ადარებს ყაჩაღს, მკითხველი ხვდება, რამდენად დაუნდობელი და სასტიკია ქარი.

6.,,მერე ვფორთხავდი საფლავებზე, როგორც ღამურა“ [გელოვანი, 1972: 179]. - სიტყვა „ღამურა“ შინაარსობრივად დაკავშირებულია ღამესთან და შესაბამისად, უარყოფით განცდებთან. როცა მკითხველი წარმოიდგენს ადამიანს, რომელიც საფლავებზე ისე ფორთხავს, როგორც ღამურა, მას აუცილებლად უარყოფითი განწყობა დაეუფლება. გამოხატულია უარყოფითი შეფასება.

შეფასების გამომხატველი შედარების ნიმუშები ინგლისურში:

ა) დადებითი შეფასება:

1.“An’ Aggie was clever as sin  
Older than me, but my first un-  
More like a mother she were” [https://www.poetryfoundation.org/poems-and-poets/poets/detail/rudyard-kipling#about] - „ეგი ჭკვიანი იყო როგორც ცოდვა, ჩემზე უფროსი, მაგრამ ჩემი პირველი სიყვარული, უფრო მეტად კი დედასავით იყო ჩემთვის“. ავტორი ლექსის ლირიკულ გმირს საკუთარ დედას ადარებს. ამიტომაც ვთვლით, რომ ამით დადებით შეფასებას გამოხატავს.

2.“But we lived on the square, like a  
True – married pair” [https://www.poetryfoundation.org/poems-and-poets/poets/detail/rudyard-kipling#about]. - „ჩვენ ვცხოვრობდით სკვერთან, ბედნიერი დაქორწინებული წყვილივით“. პოეტი თავისი და ლექსის ლირიკული გმირის თანაცხოვრებას ადარებს დაქორწინებული წყვილის ჰარმონიულ თანაცხოვრებას. გამოხატულია დადებითი შეფასება.

3.,,Love is like the wild rose-briar,  
Friendship like the holy-tree” [https://www.poetryfoundation.org/poems-and-poets/poems/detail/50537]. - „სიყვარული ველურ ვარდს ჰგავს, მეგობრობა კი წმინდა ხეს“. პოეტი სიყვარულს ველურ ვარდს ადარებს, მეგობრობას კი სწმინდედ მიიჩნევს. გამოხატულია დადებითი შეფასება.

ბ) უარყოფითი შეფასება:

1."A stranger has come

To share my room in the house not right in the head,

**A girl mad as birds**" [<https://www.poemhunter.com/poem/love-in-the-asylum/>]. - „მოვიდა უცხო, და დასახლდა ჩემს ოთახში და არა ჩემს თავში, გოგონა **ჩიტებივით შემოიღო**“. უცხო გოგონა, რომელიც შეუსახლდა პოეტს, შედარებულია გადარეულ ჩიტებს. გამოხატულია უარყოფითი შეფასება.

2."That one small boy with a face

**like pallid cheese**" [<https://www.poemhunter.com/poem/incendiary/>]. - „პატარა ბიჭი **უფერული ყველივით გაცრეცილი** სახით“. პატარა ბიჭის სახე შედარებულია უფერულ ყველს. შედარება უარყოფითი შინაარსისაა. გამოხატულია უარყოფითი შეფასება.

3."Whereat the withered flower, all content,

Died **as they die whose days are innocent**" [<http://www.bartleby.com/364/195.html>]. - „და მოკვდა მცენარე უწყლოდ, **ისე, როგორც კვდებიან უდანაშაულო ადამიანები**“. სიტყვები „სიკვდილი“ და „მოკვდა“ თავის თავში შეიცავენ უარყოფით შინაარსს. გამხმარი ყვავილები ისე მოკვდნენ, როგორც კვდებიან უდანაშაულო ადამიანები. გამოხატულია უარყოფითი შეფასება.

4."They pushed him into a Mental Home,

And **that is like the grave**" [<https://www.poetryfoundation.org/poems-and-poets/poets/detail/rudyard-kipling#about>]. - „ის ფსიქიატრიულ კლინიკაში წაიყვანეს, რომელიც **ძალიან ჰგავს სამარეს**“. ფსიქიატრიული კლინიკა შედარებულია სამარეს. გამოხატულია უარყოფითი შეფასება.

საანალიზო მასალაზე დაკვირვებამ კონკრეტული დასვნების გამოტანის საშუალება მოგვცა. ქართულენოვან წყაროზე დაკვირვების შედეგად გამოიკვეთა, რომ შედარების საშუალებით გამოიხატება როგორც შეგრძნებები, ისე შეფასებები. შეგრძნებები ძირითადად გვხვდება მხედველობითი, სმენითი და შეხების. ყნოსვითი და გემოს

შეგრძნება არ შეგვხვედრია. განსაკუთრებული სიხშირით ვხვდებით მხედველობითი შეგრძნების გამომხატველ შედარების ნიმუშებს, ხოლო რაც შეეხება შეფასებას, დაკვირვება ცხადყოფს, რომ შედარების საშუალებით უმეტესწილად უარყოფითი შეფასების გამომხატვა სურს პოეტს.

მხედველობითი შეგრძნების გამოსახატავად პოეტი თავის წარმოდგენაში მყოფ ქალს ადარებს მთვარეს, ცას, მიწას, ყვავილს, დილას, თავისი გულის ფიქრებს ადარებს მწვანე ბალახს, ხოლო ღამეს მთის კალთებზე ჩამოწოლილ ღრუბელს. შედარების შესაქმნელად გამოყენებულია „ვით“ თანდებული, „როგორც“ და „ვით“ მაკავშირებელი სიტყვები და ცალკეული სიტყვა „შეგადარო“.

სმენითი შეგრძნების გამოსახატავად კი პოეტი ძაღლების მთვარის მიმართულებით ყეფას, ასტრონომების მთვარისადმი დამოკიდებულებას ადარებს, ღამეს ის ყურს უდგებს, როგორც ვერხვი, ქარის ხმა კი ტკბილი საყვედურის ხმას ედარება. შედარების შესაქმნელად გამოყენებულია „როგორც“ მაკავშირებელი სიტყვა და „ვით“ თანდებული.

შეხების შეგრძნებას ავტორი „ვით“ თანდებულის სახელზე დართვით გამოხატავს „მშვილდით აგეკარი“, „შხეფივით გადმოვაყარო“.

ინგლისური პოეზიიდან მოძიებულ საანალიზო მასალაზე დაყრდნობის შედეგად იკვეთება, რომ სემანტიკურად ძირითადად მხედველობითი შეგრძნებაა გამოხატული მხატვრული შედარების მეშვეობით, ხოლო იშვიათად სმენითი შეგრძნების გამომხატველ შეგრძნებებსაც ვხვდებით. შეხების, ყნოსვითი და გემოს შეგრძნებების შემთხვევები მოძიებულ მასალაში არ შეგვხვედრია. რაც შეეხება შეფასებას, აღმოჩნდა, რომ ისევე როგორც ქართულ ენაში, ინგლისურშიც შედარების საშუალებით გამოხატულია უარყოფითი შედარება.


მხედველობითი შეგრძნების გამოსახატავად ერთმანეთს ედარება ციხე და ბუ, ნისლის ჩამოწოლის პროცესი პასუხის მოლოდინის დროს, კომპასის ისრის მოძრაობა კატის საკუთარ კუდთან თამაშს. მხედველობითი შეგრძნებების შესაქმნელად გამოყენებულია „like“ და „as“ მაკავშირებლები.

შედარების საშუალებით სმენითი შეგრძნების გადმოსაცემად ვხვდებით უმეტესად „like” მაკავშირებელს, ხოლო იშვიათად „as” მაკავშირებელს ვხვდებით.

გრაფიკული სახით თუ წარმოვადგენთ აღნიშნულს, შემდეგ სურათს მივიღებთ:


### დიაგრამა N3

#### შეგრძნებები ინგლისურში



## დიაგრამა N4

### შეგრძნებები ქართულში



რაც შეეხება შეფასების გამომხატველი შედარების ნიმუშებს ქართულ ენაში, იკვეთება, რომ დადებით განწყობას პოეტი უმეტესად „ვით“ თანდებულის სახელზე დამატებით ქმნის. ზოგჯერ კი „ვით“ და „როგორც“ მაკავშირებელ სიტყვებსაც იყენებს. აქ ადამიანი შედარებულია მზესთან, შადრევანთან, მზის ანაკვესთან და ლამაზ ტბასთან, სურვილი ქარიშხალთან და სპეტაკ თოვლთან.

უარყოფითი შეფასების შესაქმნელად კი, როგორც უკვე აღვნიშნეთ, პოეტი ხშირად მიმართავს სიტყვას „გველი“, რომელსაც ადარებს ბაღში აუზს, გზებს, ხევებს, რითაც უარყოფით შეფასებას გამოხატავს. ქარი შედარებულია ყაჩაღს, ადამიანი ღამურას, ხოლო იმედი ციხის ნანგრევს. შედარების შესაქმნელად თანაბარი რაოდენობითაა გამოყენებული „როგორც“ მაკავშირებელი და სახელზე დართული „ვით“ თანდებული.

ინგლისურ ენაში იკვეთება, რომ შედარების მეშვეობით უმეტესად უარყოფითი შეფასება გამოიხატება. ერთმანეთს ედარება ადამიანი და გარეული ჩიტი, ადამიანის სახე უფერულ ყველს, გამხმარი ყვავილები მიცვალებულებს, ხოლო ფსიქიატრიული

საავადმყოფო სამარეს. შედარების გამოსახატავად გამოყენებულია „as” და “like” მაკავშირებლები. დადებითი შეფასების შემთხვევაში კი სიყვარული ედარება ველურ ვარდს, ხოლო მეგობრობა სიწმინდეს. შედარების მეშვეობით დადებითი შეფასების გამოსახატავად ძირითადად გამოყენებულია „like” მაკავშირებელი. ვხვდებით „as” მაკავშირებელსაც.

შედარების მაგალითებზე დაკვირვება საინტერესო აღმოჩნდა გამოხატვის კლასიფიცირების თვალსაზრისითაც. ამ მიმართებით ძირითადად გამოიკვეთა ორი ჯგუფი: **პეიზაჟისა და პერსონაჟის** გამომხატველი შედარებები, თუმცა რაოდენობრივად თუ შევადარებთ ამ ჯგუფებს, სხვაობა ძალზე დიდია – პეიზაჟის გამომხატველი შედარებები 20%, პერსონაჟის კი – 80%. მწერალი ამ ხერხით პერსონაჟის (პიროვნების) სახელსა და სულიერ სამყაროს მეტად შთამბეჭდავად და უდიდესი ექსპრესიით გვიხატავს:

#### პეიზაჟის გამომხატველი შედარებები:

1. „The warren was **as lonely as a prairie**“ [<https://dailylit.com/read/151-the-forsyte-saga?page=23>]. – „**ტრამაღივით უკაცრიელ** მინდორზე“ [გოლზუორთი, 1965].
2. „The sky was **so blue**, and the sun **so bright**, that an eternal summer seemed to reign over this prospect“ [<https://dailylit.com/read/151-the-forsyte-saga?page=23>]. – „**ცა ისე ლაჟვარდოვანი** ჩანდა და მზე **ისე ბრდღვიალებდა**, **თითქოს ამ მიდამოში მარადიულ ზაფხულს დაედო ბინა**“ [გოლზუორთი, 1965].
3. „The heat danced over the corn, and, pervading all, was a soft, insensible hum, **like the murmur of bright minutes** holding revel between earth and heaven“
4. [<https://dailylit.com/read/151-the-forsyte-saga?page=23>] – „მინდორზე უჩვეულო სიცხე ჩამოწოლილიყო და ამო სურნელით გაჟღენთილ ეთერში **ისეთი ზუზუნი** ისმოდა, **თითქოს ის ბრწყინვალე წუთები დამდგარიყო**, როცა მიწას შუა მხოლოდ ნადიმი და ლხინი იმართება ხოლმე“ [გოლზუორთი, 1965].

პერსონაჟის გამომხატველი შედარებები:

1. „His curly hair had a ruffled appearance **as though he found what was going on** around him unusual“ [<https://dailylit.com/read/151-the-forsyte-saga?page=23>] – „ხუჭუჭა თმები ისე აშლოდა, თითქოს გარეშემო ყველაფერი უცნაურად და უჩვეულოდ ეჩვენებოდ“ [გოლზუორთი, 1965].
2. „Swithin Forsyte, with a chest **like a pouter pigeon’s** in its plumage of bright waistcoats“ [<https://dailylit.com/read/151-the-forsyte-saga?page=23>] – „სუითინ ფორსაიტმა ბრწყინვალე ჟილეტებით დამშვენებული მკერდი **ჩინჩახვიანი მტრედივით წამოაგდო წინ**“ [გოლზუორთი, 1965].
3. „The old lady’s round, steel-grey eyes, over which a film **like a bird’s** was beginning to come“ [<https://dailylit.com/read/151-the-forsyte-saga?page=23>] – „მოხუცი ლედის ფოლადისფერ თვალებს, წელთა სიმრავლით დამძიმებულ **ფრინველთა მსგავსად**, უკვე თანდათანობით ეკვროდა ბინდი“ [გოლზუორთი, 1965].

თუმცა, როდესაც ვსაუბრობთ შედარებაზე, როგორც მხატვრულ ხერხზე, უმთავრესი ისაა, მწერალი მისი საშუალებით რამდენად აღწევს ექსპრესიას. ენათმეცნიერებაში მიჩნეულია, რომ ტროპები საუკეთესო საშუალებებია ემოციების გამოსახატავად. ტროპის ბუნება სიტყვის არაპირდაპირი მნიშვნელობით გამოყენების ხასიათით ისაზღვრება, რაც სიტყვას ფორმით ხდის პოეტურს, მეტყველებას ექსპრესიულს და აზრს მრავალფეროვანს. დროთა განმავლობაში ტროპები ლექსიკის სამკაულებად, პოეტურ-ემოციური ძალის მქონე გამოსახვის საშუალებებად იქცნენ. მათ გარეშე რთულია საჭირო ემოციის გამოვლენა [გვენცაძე, 1991: 23].



### 3.2. ემოციური დისკურსების ექსპრესიული მოდელები და მათი კონტრასტული

#### მიმართებანი

სიტყვა ემოცია (ფრანგ. Émotion - ლათ. emovere-“აღელვება; ადგზნება”) აღნიშნავს ძლიერ შეგრძნებას, როგორცაა: შიში, სიხარული, სევდა და მისთანები, რასაც შეუძლია გამოიწვიოს ფსიქიკური და ფიზიოლოგიური აშლილობა [ძინგარელი,1995: 603]. ცნობილია, რომ ფსიქოლოგიაში ემოციის გამოხატვას ემოციის ექსპრესიას უწოდებენ. ექსპრესია გრძნობებისა და განწყობის აშკარა გამოვლინებაა. ექსპრესიულ საშუალებებს განეკუთვნება სიტყვები, რომელთაც მდიდარი პალიტრა აქვთ და რომელთა მეშვეობითაც შეიძლება გადმოვცეთ განცდილი შეგრძნებები. “ემოცია სუბიექტური მდგომარეობის განცდაა, რომელიც ამავე დროს ობიექტური ვითარების, როგორც თავისი მიზეზის ან საგნის, განცდასაც გულისხმობს” [უზნაძე 1998, 132].

მიუხედავად მყარი მეცნიერული პოზიციებისა, ფსიქოლოგების აზრით, ემოციის ფსიქოლოგია ჯერაც არ არის დამაკმაყოფილებლად შესწავლილი. დღემდე არ არის ჩამოყალიბებული ერთიანი, სრულყოფილი თეორია ემოციების შესახებ. საკმაოდ რთულია ემოციების აღწერის პროცესიც. არც ფსიქოლოგიაში და არც ფიზიოლოგიაში არ არის დადგენილი ძირითადი ემოციების საბოლოო ჩამონათვალი.

ემოციური დისკურსის ანალიზის მთავარი მიზანია სხვადასხვა ენობრივ საშუალებათა აზრობრივი სტრუქტურების ზოგადი და სპეციფიკური ნიშნების გამოვლენა: გამოავლინოს ემოტივების ლექსიკურ მნიშვნელობათა ტიპოლოგია, გამოავლინოს მათი სახასიათო, კანონზომიერი ფუნქციები, ასევე მათი კავშირი კონტექსტთან, მოძებნოს ობიექტური კრიტერიუმები ემოტივების გასაერთიანებლად, კლასიფიკაციის ნიშნების ერთობლიობით [ნოვიკოვი 1982, 121-122]. ემოციური დისკურსის სემანტიკური ანალიზის სპეციფიკა უმეტესწილად დამოკიდებულია ემოციების გამოხატველი სიტყვების ლექსიკური მნიშვნელობის განხილვის ასპექტზე.

ლინგვისტური ტერმინი „ექსპრესია“ კი უნდა გავიგოთ, როგორც გრძნობებისა და აზრების მნიშვნელოვანი გამოვლენა. მწერლის ენის ექსპრესიულობას მრავალი მომენტი

განსაზღვრავს. ენაში არსებობს სხვადასხვა გამომხატველობითი საშუალება, რომლებიც რეალურ ვითარებას ემოციურ ელფერს ანიჭებს. ერთ-ერთი ასეთი საშუალებაა ტროპი. შედარება, როგორც ტროპის სახე, მეტად ექსპრესიულ-ემოციური ძალის მიმნიჭებელია ენის დასრულებული ფაქტისათვის [გვენცაძე, 1974: 54]. მისი საშუალებით მწერალი უფრო წარმოსადგეს, გამომსახველობითა და ემოციურს ხდის სათქმელს. აქედან გამომდინარე, შედარება, როგორც ემოციების გამომხატველობითი საშუალება, ექსპრესიული ხასიათისაა. შედარება დაპირისპირებასაც შეიცავს, ერთი საგნის თვისებით განიმარტება მეორე საგანი ისე, რომ თვისება გადატანილად არ ჩანს. ამ ხერხით შედარებაში გარკვეული მხატვრული ეფექტის მიღწევა ხერხდება.

ექსპრესიულობის თვალსაზრისით შედარებები მეტად საინტერესოა. ისინი იმდენად მიახლოებითა და მაღალმხატვრულს ხდიან ტექსტს, რომ მკითხველს ცოცხლად წარმოუდგება სურათი, პერსონაჟი თუ სცენა, რომლის აღწერასაც მწერალი ცდილობს. შედარებაა ის მხატვრული ხერხი, რომელშიც ძალზე ადვილად ვლინდება მთქმელის სუბიექტური თვალსაზრისი. სწორედ შედარებით ხორციელდება უაღრესად ექსპრესიულ-ემოციური ძალის მინიჭება ენის დასრულებული ფაქტისათვის [გვენცაძე, 1974: 54].

ჩვენ მიერ მოძიებულ მაგალითებში უფრო ხშირად საგანი ედარება საგანს, მაგ: „მერცხლის **ბუდესავით** ერთი მცირედი ფიცრული“ - ფიცრებით ნაშენი პატარა ოთახი შედარებულია მერცხლის ბუდეს, რათა ხაზი გაესვას იქ არსებულ სივიწროვეს და მკითხველმა უკეთესად წარმოიდგინოს იგი. „მისი ბუჩო... **გორასავით** გაწოლილი იყო“ - პერსონაჟის მოსასვენებელი ადგილი შედარებულია გაწოლილ გორას. „ცისა ლაჟვარდი, **ვით ნაკვერჩხალი**“ - ცის ფერი შედარებულია ნაკვერჩხალთან, შესაბამისად, მკითხველი ადვილად წარმოიდგენს, თუ როგორი გაწითლებულია ცა. „წითელ **თურაშაულ ვაშლსავით** ხაშხაში ლოყები“ - მწერალი პერსონაჟის ლოყებს ხაშხაში ვაშლს ამსგავსებს, ამით მკითხველს მიახვედრებს, რომ ლოყები მას წითელი ვაშლივით აქვს გაწითლებული. „**მორგვივით სქელი** კისერი“ - ადამიანის კისერი შედარებულია ხის მორგვთან. ჩვენც მაშინვე თვალწინ წარმოგვიდგება სქელი და გაერთიანებული კისერი.

ზოგჯერ კი ადამიანი ედარება ფრინველს ან ცხოველს. მაგ: „ლორის ჯაგარსავით მოღებული ჰქონდა“ - ადამიანის გულმკერდი შედარებულია ლორის ჯაგართან, ამით ექსპრესია ძლიერდება და ადამიანს ცოცხლად წარმოუდგება თვალწინ ადამიანის გულმიუსვლელი გულმკერდი. „შავარდენივით გადმოფრინდებოდა ტახტიდამ“ - ადამიანის მოქმედება შედარებულია შევარდენის მკვეთრ და სწრაფ მოძრაობასთან, ამგვარი შედარებით მწერალი ზედმიწევნით გვიხატავს პერსონაჟის ხასიათს და მის მოქმედებებს. „ეს გლეხები არიან გაქირ ვირსავით“ - ადამიანებს მწერალი ვირს ადარებს, ამით უკეთ ხატავს მათ ჯიუტ ხასიათს. ხანდახან კი ადამიანი ედარება საგანს, მაგ: „გორგალსავით დაგორავდა“, „რუმბსავით გაბერილი თავადი“, - პერსონაჟი შედარებულია გორგალთან და რუმბთან, რაც ცოცხლად გვიხატავს მის უფორმო სხეულს.

„ვით“ (ვითა) მაკავშირებლების გამოყენებით, რომლებიც ენაცვლება „როგორც“ მაკავშირებელს ფაქტობრივად თითქმის ყველგან, ჩვენი დაკვირვებით, ავტორი უფრო მაღალმხატვრულს ხდის ნაწარმოებს (და ეშხსა, ვითა იადონსა ვარდზედ, ვით მინდვრის შველი ყელმოღერებით, ღვთის სახესავით გარს შუქმოსხმული) მოცემულ მაგალითებში ავტორი სილამაზესა და სიწმინდეს აძლიერებს შედარებების მეშვეობით.

წერა ემოციების, გრძნობების, საკუთარი თავის გამოხატვის საუკეთესო საშუალებაა. ყველას როდი შეუძლია, წერის დროს მხატვრული ხერხები გამოიყენოს და თხრობა უფრო მიმზიდველი გახადოს. ნაწერი ღირებულია მაშინ, როდესაც ექსპრესიულია, მხატვრულ-გამომსახველობითია. ტროპული მეტყველება ნაწერს განსაკუთრებულად ამდიდრებს [<http://mastsavlebeli.ge/?p=3568>].

როგორც ენათმეცნიერები მსჯელობენ, სურათს უფრო მეტის თქმა შეუძლია, ვიდრე ათას სიტყვას, მაგრამ ზოგჯერ ერთი ან ორი სიტყვითაც შეიძლება მთლიანი სურათის წარმოსახვა. სწორედ მხატვრული ხერხები ეხმარება მკითხველს სურათის ცოცხლად წარმოდგენაში და კითხვის პროცესს მეტად საინტერესოს ხდის. ასე რომ, თუ სწორად ვწვდებით მხატვრული ხერხის მიზანს, წაკითხულსაც ბევრად უკეთ ვიგებთ. საინტერესოა, როგორია ამ მხრივ მხატვრული შედარების როლი ტექსტში. უპირველეს

ყოვლისა კი, იმ თვალსაზრისით, რამდენად თანხვდება მისი გადმოცემის შესაძლებლობები და ძირითადი ემოციური დისკურსები ინგლისურ (ორიგინალ) და ქართულ (ნათარგმნ) ტექსტს შორის. მთარგმნელი რამდენად ახერხებს შეინარჩუნოს მხატვრულობის ხარისხი ისე, რომ არ დაირღვეს ტექსტის არც გრამატიკული სტრუქტურა და არც ემოციურობის ხარისხი. ვფიქრობთ, შედარებაზე დაკვირვება, როგორც ტროპის ერთ-ერთ სახეზე, მეტად საინტერესო სურათს წარმოგვიდგენს ამ მიმართებით. შედარება რთული ერთეულია და შეუძლია შეასრულოს არა მარტო აღწერით-გამომხატველობითი, არამედ ემოციურ-გამომეტყველებითი ფუნქციაც. შედარებაში მრავალფეროვანია ენის ლექსიკური ინვენტარი. მასში მყდავდება მთქმელის ცხოვრებაზე დაკვირვების უნარი, ბუნების მოვლენებისა და საზოგადოებრივი ყოფის ცოდნა, ადამიანთა მისწრაფებებისა და შეგნებულობის დონე და სხვა.

ჯონ გოლზუორთის სტილი ნიშანდობლივია თავისი გამომსახველობით, სიცოცხლისუნარიანობითა და ლაკონურობით. პოეტური დეტალების სიმრავლე და მხატვრული ხერხები მას გაურკვეველსა და ბუნდოვანს კი არა, პირიქით, უფრო ლაკონურსა და ემოციურს ხდიან. მათი მეშვეობით ავტორი ახერხებს დიდი ზომის ინფორმაციის მოკლედ გადმოცემას. ინგლისურ ენაში შედარებებს გააჩნიათ გარკვეული ჩამოყალიბებული სტრუქტურა. მაკავშირებელი სიტყვები, როგორიცაა: „as“, „like“, „as“ „such“, „as if“, „as... as“, „so ... as“, „as though“, „seem“.

საანალიზო ტექსტზე დაკვირვება გვიჩვენებს, რომ შედარების გამოსახატად მწერალი იყენებს „as“ და „like“ მაკავშირებლებს, ხოლო მთარგმნელი, იმისათვის, რომ შეინარჩუნოს შედარების მნიშვნელობები და ორიგინალთან მიახლოებით ზუსტად და ცხოველმყოფელობით გადმოსცეს სათქმელი, ხვადასხვა საშუალებას მიმართავს. ნათარგმნ ტექსტში ინგლისურ „as-as“ და „like“-ს ენაცვლება:

- როგორც + ზმნა;
- თითქოს + ზმნა;
- როგორც + სახელი;

- მსგავსად + სახელი;
- ისეთივე + სახელი;
- სახელი + ვით თანდებული;
- სახელზმნა + ვით თანდებული

1. „He had enjoyed them all with moderation, **so as to keep himself young**“  
[<https://dailylit.com/read/151-the-forsyte-saga?page=23>] – „როგორც თავშეკავებულ ადამიანს შეშვენის, სიამოვნებაშიც ზომიერებას იცავდა, რომ ახალგაზრდობა შეენარჩუნებინა“ [გოლზუორთი, 1965: 23]
2. „He was carrying his nose... **as though despising an egg** which he knew he could not digest“ [https://dailylit.com/read/151-the-forsyte-saga?page=23] – „ცხვირი ისე აებზუებინა, თითქოს საძულველი კვერცხი შეეჭამოს, რომლის მონელებაც იცოდა რომ არ შეეძლო“ [გოლზუორთი, 1965: 25].
3. „He prized nothing **so highly as a distinguished appearance**“  
[https://dailylit.com/read/151-the-forsyte-saga?page=23]– „იგი არაფერს არ აფასებდა ისე, როგორც გამორჩეულ გარეგნობას“ [გოლზუორთი, 1965: 30].
4. „**Like an artist** for ever seeking to discover the significant trifle“  
[<https://dailylit.com/read/151-the-forsyte-saga?page=23>] – „მსგავსად მხატვრისა, რომელიც მუდამ იმის ძიებაშია, რომ დამახასიათებელი წვრილმანი გამომსახველობითი საშუალებები იპოვოს“ [გოლზუორთი, 1965: 45].
5. „His sight was **as good – almost as good**“ [<https://dailylit.com/read/151-the-forsyte-saga?page=23>] – „მხედველობაც ისეთივე გამჭრიახი – თითქმის ისეთივე გამჭრიახი შერჩა“ [გოლზუორთი, 1965: 34].
6. „Nikolas Forsyte with his **bird-like rapidity**“ [https://dailylit.com/read/151-the-forsyte-saga?page=23] – „ჩიტვიით მკვირცხლ ნიკოლას ფორსაიტს“ [გოლზუორთი, 1965: 55].

7. „Her hands dropped to her sides, she stood **like stone**“ [<https://dailylit.com/read/151-the-forsyte-saga?page=23>] – „ხელები ჩამოუვარდა და **გაქვავებულივით** იქცა“ [გოლზუორთი, 1965: 56].

დასახელებული მაგალითები ცალსახად ცხადყოფენ ნათარგმნი ტექსტის სიმლიერეს და ქართული ენის მდიდარ გამომსახველობით ბუნებას.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, პოეტები ხატოვან შედარებას ძირითადად ექსპრესიის გასაძლიერებლად იყენებენ. ქართულ საანალიზო წყაროებზე დაკვირვების შედეგად აღმოჩნდა, რომ უმეტესად მათი დახმარებით უარყოფითი ემოციაა გამოხატული. ხშირად პოეტები მაშინ მიმართავენ შედარებას, როდესაც უნდათ შექმნან სევდიანი, უიმედო, პესიმისტური ან უმოძრაო ფონი. ქართული ენის გამორჩეულად გამომხატველობითი ბუნება მათ ნამდვილად დიდ დახმარებას უწევს ამ საქმეში.

1. „დრო **სანთელივით** დნება“ (ტ. გრანელი) - გამოხატულია უარყოფითი ემოცია, დრო მიდის, ქრება, როგორც სანთელი.
2. „სადღაც **ლანდივით** დადის მიწაზე ვიღაც მწუხარე ადამიანი“ (ტ. გრანელი) - ადამიანი შედარებულია ლანდს, ამით უკეთესადაა გადმოცემული, თუ რამდენად დამწუხრებულია ის.
3. „ჩანს ფიქრების დარაზმული რიგი, და ცივია ხელი, **როგორც** რკინა“ (ტ. გრანელი) - ფიქრებში ჩაფლული ადამიანის ხელები იმდენად ცივია, რომ მათ პოეტი რკინას ადარებს, ამით უარყოფითი ემოცია გაძლიერებულია.
4. „და შემოდია, **მკვდარივით** სადმე მინდორში დავწვე“ (ტ. გრანელი) - პოეტის მდგომარეობა იმდენად მძიმეა, რომ ის მზად არის მკვდარივით, ანუ უმოძრაოდ იწვეს მინდორში.
5. „ისევ დუმილი სვამს მრავალწერტილს და მიაფენს კვამლს, **როგორც** შავ ზეწარს“ (გ. ტაბიძე) - კვამლს პოეტი შავ ზეწარს ადარებს, რაც უარყოფით ემოციებს აღძრავს მკითხველში.
6. „ღრუბელთა შორის ისე წევს მთვარე, **როგორც** ცხედარი ვერცხლის კუბოში“ (გ. ტაბიძე) - მთვარე რომელიც ღრუბლებს შორისაა ცაზე, შედარებულია

ვერცხლის კუბოში მწოლიარე ცხედარს. სიტყვები ცხედარი და კუბო თავისთავად უკვე იმდენად უარყოფითია, რომ ისინი აუცილებლად უარყოფით ემოციებს იწვევენ მკითხველში.

7. „გაქვრე ისე, როგორც ნისლი, როგორც ღამის მოჩვენება“ (გ. ტაბიძე) - ერთ წინადადებაში მოცემული გვაქვს ორი შედარება, ორივე გამოხატულია მაკავშირებლით „როგორც“, პოეტს სურს გაუჩინარდეს როგორც ნისლი და როგორც ღამეული მოჩვენება, შესაბამისად გადმოცემული ემოცია უარყოფითია.

ინგლისურ პოეზიაზე დაკვირვების შედეგად იკვეთება, რომ არანაკლები ექსპრესიულობით გამოირჩევა შედარებები, რომლებსაც აქ ვხვდებით. ისინი ძირითადად შექმნილია მარკერებით - „so“, „as“ და „as...as“. ამ შემთხვევაში რთული აღმოჩნდა ხატოვანი შედარებების მეშვეობით გამოხატულ ემოციებზე მსჯელობა, რადგანაც შედარებები, რომლებიც აქ გვხვდება არის როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი განწყობის შემცველი. ისინი ძლიერ ექსპრესიულ ბუნებას ამჟღავნებენ.

1. “I laughed as one who some great prize had earned”  
[[http://www.englishverse.com/poems/sonnet\\_on\\_approaching\\_italy?lang=fr](http://www.englishverse.com/poems/sonnet_on_approaching_italy?lang=fr)] - „მე ისე გავიცინე, როგორც ადამიანმა, რომელმაც რაიმე დიდი პრიზი მიიღო“.
2. “You left me Boundaries of pain capacious as the Sea”  
[<https://www.poetryfoundation.org/poems-and-poets/poems/detail/52201>] - „შენ მე დამიტოვე ტკივილის საზღვრები, ისეთივე ფართო, როგორც ზღვა“.
3. “The pine-trees waved as waves a woman’s hair”  
[[http://www.englishverse.com/poems/sonnet\\_on\\_approaching\\_italy?lang=fr](http://www.englishverse.com/poems/sonnet_on_approaching_italy?lang=fr)]- „ფიჭვის ხეები ქალის თმებივით ირხეოდა“.
4. “My soul, like some heat-maddened summer fly, keeps buzzing at the sill  
[<https://www.poetryfoundation.org/poems-and-poets/poems/detail/43347>] - „ჩემი სული ბზუის ფანჯრის რაფასთან, როგორც სიცხისგან გათანგული ზაფხულის ბუზი“.

ტიპოლოგიური ურთიერთმიმართებების დადგენისას ძალზე საყურადღებო აღმოჩნდა საანალიზო ტექსტის ორიგინალისა და თარგმანის შედარება. ჩვენ აუცილებლად ჩავთვალეთ პასუხი გაგვეცა კითხვაზე, რამდენად კარგად ახერხებს მთარგმნელი ენობრივი ბარიერის გადალახვას და მთავარი ამოცანის შესრულებას - სხვა ენის მეშვეობით სრულად და ზუსტად გადმოსცეს ორიგინალის შინაარსი, არ დაარღვიოს ტექსტის სტილისტიკური და ექსპრესიული თავისებურებანი. ამ მიმართებით კვლევამ გვიჩვენა, რომ ძირითადი ემოციების შემცველი დისკურსების უმრავლესობა (თითქმის 90%) უარყოფითი ემოციის გამომხატველია, ხოლო დადებითი ემოციის გამომხატველი დისკურსები კი (დაახლოებით 10%) მოკრძალებულად გამოიყენება:

**გამოხატულია სიხარული/აღტაცება/ აღფრთოვანება:**

- “Till his face was **like the harvest moon**” [<http://gutenberg.spiegel.de/buch/moon-face-and-other-stories-3000/2>] – „ვიდრე სახე **მთვარესავით არ გაებადრა**“ [ლონდონი, 1968: 35]. – აქ შედარების საშუალებით ადამიანის სახე შედარებულია სავსე მთვარესთან, შესაბამისად, მკითხველისათვის უფრო წარმოსადგენია, თუ როგორი გახარებულია პერსონაჟი.
- “The sky was **so blue**, and the sun **so bright**, that an eternal summer seemed to reign over this prospect” [<https://dailylit.com/read/151-the-forsyte-saga?page=23>] – ცა **ისე ლაჟვარდოვანი** ჩანდა და მზე **ისე ბრდღვიალებდა**, თითქოს ამ მიდამოში მარადიულ ზაფხულს დაედო ბინა [გოლზუორთი, 1965]. – გარემო შედარებულია მარადიულ ზაფხულთან, როდესაც ცა ლაჟვარდოვანია და მზე ყველაზე მეტად აცხუნებს. შესაბამისად, გამოხატულია ბუნებით აღტაცება.

**მოლოდინი**

- “His lips opening and closing **as though in anticipation** of a delicious morsel” [<https://dailylit.com/read/151-the-forsyte-saga?page=23>] – „ტუჩებს **ისე** აცმაცუნებდა, **თითქოს აქედანვე გრძნობს**, გემრიელი ლუკმის გადასანსვლა მომელისო“



[გოლზუორთი, 1965]. – იგრძნობა რაღაც სასიამოვნო ამბის მოლოდინი, რაც შედარებულია გემრიელი ლუკმის შეჭმასთან.

### ინტერესი

- „And he would stand before them for minutes together, **as though peering into the real quality** of their substance“ [<https://dailylit.com/read/151-the-forsyte-saga?page=23>]. – „თითოეული სვეტის წინ რამდენიმე წუთით შედგებოდა ხოლმე, **თითქოს მათი ღირებულებისა და ხარისხის ნამდვილ არსში სურსო ჩაწვდომაო**“ [გოლზუორთი, 1965]. – მოცემულ მაგალითში იგრძნობა პერსონაჟის ინტერესი, რომ ჩაწვდეს რაიმეს არსს, და უკეთ შეიმეცნოს იგი. შესაბამისად იგი დადებითადაა განწყობილი.

### გაკვირება

- „You talk of them... **as if they were half England**“ [<https://dailylit.com/read/151-the-forsyte-saga?page=23>] – „თქვენ ისე ლაპარაკობთ, **თითქოს ისინი ნახევარ ინგლისს შეადგენდნენ**“ [გოლზუორთი, 1965]. შედარების გამოყენების შედეგად მკითხველი ადვილად ხვდება, რომ მოსაუბრე გაკვირვებულია მეორე პირის საუბრით და არ ეთანხმება მას.

### სირცხვილი/უხერხულობა

- „June gazed at her intently, with a look in her eyes **as if her conscience had suddenly leaped up** into them“ [<https://dailylit.com/read/151-the-forsyte-saga?page=23>] – „ჯუნის დაჟინებულ ცქერაში **თითქოს სინდისის ქენჯნა გამოკრთა**“ [გოლზუორთი, 1965]. – აღწერილია უხერხული მდგომარეობა, როცა ადამიანი სინდისის ქენჯნას გრძნობს და ამას ვერ მალავს, თუნდაც გამოხედვით.

### განრისხება/გაშმაგება/გალიზიანება/გულისწყრომა

- “When Jo saw her, wandered back for a minute – **like a wounded animal** to its hole after seeing that news” [<https://dailylit.com/read/151-the-forsyte-saga?page=23>]. – „როგორც ჯომ ნახა, ალბათ სულ ერთი წუთით დაბრუნდა იგი, დაბრუნდა, **როგორც დაჭრილი მხეცი** ბრუნდება თავის ბუნაგში“ [გოლზუორთი, 1965]. – პერსონაჟის საკუთარ სახლში დაბრუნება შედარებულია დაჭრილი ნადირის ბუნაგში დაბრუნებასთან. ამით მკითხველისათვის ცხადია თუ როგორი განრისხებული, გაშმაგებული და გალიზიანებულია პერსონაჟი ამ მომენტში.

### სიძულვილი/ზიზღი

- “He stumped his umbrella on the ground, **as though to drive it into the heart** of that unfortunate body” [<https://dailylit.com/read/151-the-forsyte-saga?page=23>]. – „მოხუცმა ქოლგის ტარი ისე დაარტყა მიწას, **თითქოს გულში ხანჯალი უნდა ჩასცეს იმ ეგრეთწოდებულ საზოგადოებასო**“ [გოლზუორთი, 1965]. – მოხუცის ქმედებით, ავტორი მიგვანიშნებს, რომ მას სიძულვილი და ზიზღი ამოდრავებს გარშემო მყოფი საზოგადოების მიმართ. იმდენად, რომ სურს ერთი დარტყმით მოსპოს იგი. მივიჩნევთ, რომ თარგმანი მეტი ექსპრესიულობის მატარებელია, რადგანაც მთარგნელი ქოლგას ხანჯალს ადარებს და ემოციურად აძლიერებს სათქმელს.

### მწუხარება/ნალველი/დარდი/სასოწარკვეთილება

- “When she was left alone again, a frown, **like a cloud** presaging a rainy morrow, crossed her face” [<https://dailylit.com/read/151-the-forsyte-saga?page=23>]. – „როცა პაპიდა ენი კვლავ მარტო დარჩა, სახე **ისე** მოეღრუბლა, **თითქოს მოქურუხებული ცა საწვიმრად ემზადებო**“ [გოლზუორთი, 1965]. – პაპიდა ენის სახე შედარებულია მოღრუბლულ და საწვიმრად გამზადებულ ცასთან. ის მეტად ნალვლიანი, დარდიანი და სასოწარკვეთილია. ექსპრესია შედარების საშუალებითაა გაძლიერებული.

## შიში/შეძრწუნება

- “Again he looked at her, huddled **like a bird** that is shot and dying” [<https://dailylit.com/read/151-the-forsyte-saga?page=23>]. – „კვლავ ცოლისაკენ გააპარა თვალი, იგი კუთხეში მიყუჟულიყო, **როგორც სასიკვდილოდ დაკოდილი ფრინველი**“ [გოლზუორთი, 1965]. – აირენი შედარებულია სასიკვდილოდ დაჭრილ ფრინველს, რომელიც შეშინებული და შეძრწუნებული კუთხეშია მიყუჟული და განაჩენს ელოდება. ამგვარი შედარების საშუალებით მწერალი ცხადყოფს აირენის იმჟამინდელ უმწეო მდგომარეობას. ის შეშინებული და შეძრწუნებულია.

მოყვანილი მაგალითების უმრავლესობიდან ჩანს, რომ თარგმანში აბსოლუტური სიზუსტითაა შენარჩუნებული ემოცია და ამ მხრივ ორიგინალი და თარგმანი თანხვედრაშია, თუმცა, არაერთ მაგალითში იკვეთება ის ფაქტი, რომ ქართულ ვერსიაში შინაარსობრივი და ემოციური სიზუსტის გარდა, უფრო მეტადაა ექსპრესია, რაც ტექსტს მეტად მიმზიდველსა და საინტერესოდ წასაკითხს ხდის.


მაგ: „Standing by the open door, **as though about to usher company** into the room“ [<https://dailylit.com/read/151-the-forsyte-saga?page=23>]. – „შემდეგ ღია კარებში ჩადგა და **თითქო სტუმართა კრებულს მიმართავსო**, ისეთი სადღესასწაულო ხმით წარმოთქვა“ [გოლზუორთი, 1965]. – შედარების საშუალებით ადვილად აღვიქვამთ პერსონაჟის სულიერ განწყობას, ის იმდენად გახარებულია, რომ ოჯახის წევრებს სადღესასწაულო ხმით მიმართავს ისე, თითქოს სტუმრებს მიმართავსო. ამ შემთხვევაში ვხედავთ, რომ თარგმანში უფრო მეტი ემოციურობითაა გადმოცემული სათქმელი,

ვიდრე დედანში. შესაბამისად ვამბობთ, რომ მთარგმნელის მიერ ძლიერდება ექსპრესია.

ყოველივე ეს, რა თქმა უნდა, მთარგმნელის დიდ გემოვნებაზე მეტყველებს. აშკარაა, რომ იგი ყოველ ღონეს ხმარობს, თარგმანიც ისეთივე მძაფრი და აღქმადი იყოს, როგორც თავად ორიგინალი, თუნდაც მცირედი ცვლილების შეტანა მოუწიოს მასში.

გრაფიკული გამოსახულების სახით თუ წარმოვადგენთ შედარებით გადმოცემული ძირითადი ემოციების დისკურსებს, ასეთ სურათს მივიღებთ:

დიაგრამა N5



ამდენად, საანალიზო მასალაზე დაყრდნობით, შეიძლება ითქვას, რომ მხატვრული შედარება, როგორც ტროპის ერთ-ერთი სახე, მეტად საინტერესო და მნიშვნელოვანია, როგორც გრამატიკული, ასევე სტილური თვალსაზრისით. ამ მხრივ ინგლისური და ქართული ენები თითქმის იდენტურ შედეგს იძლევა. თუმცა, აშკარად იგრძნობა ქართული ენის ხატოვნება და მოქნილობა, როგორც ზოგადად ტროპების ნაირსახეობის, ასევე კერძოდ, შედარების გამოხატვის უნივერსალური შესაძლებლობების მიხედვით.

### 3.3. ლინგვოკულტუროლოგიური ასპექტები

ენაში უკუფენილია ერის ისტორია. კაცობრიობის განვითარების უწყვეტობას ენაში დაგროვილი ცოდნა უწყობს ხელს. ეს ცოდნა ნაყოფია ეროვნული კულტურის გარკვეული ეტაპების მონაცვლეობის შედეგისა. საზოგადოების განვითარების დიდი და რთული გზის მონაკვეთებში ყოველთვის ყალიბდებოდა შესაბამისი ენობრივი აზროვნება. ამ პროცესის მეცნიერული შესწავლით არაერთი ფილოსოფოსი, სოციოლოგი, ფსიქოლოგი და ენათმეცნიერი დაინტერესებულა. აღნიშნული საკითხი განსაკუთრებით პრობლემური გახდა XX საუკუნის შუა წლებში, როდესაც ევროპის თითქმის ყველა განვითარებულ ქვეყანაში ჩამოყალიბდა ენისა და კულტურის ურთიერთობის შემსწავლელი მიმართულებები. ამერიკაში აზროვნების ამ ახალმა მიმართულებამ საკუთარი ტერმინი „სოციოლინგვისტიკა“ დაიმკვიდრა, რომლის მთავარი საკვლევი თემა ენისა და კულტურის ურთიერთობის, მათი ურთიერთზეგავლენის საკითხი იყო.

ენათმეცნიერი ბესარიონ ჯორბენაძე მიუთითებდა, რომ „ენა ერის კულტურის პროდუქტიცაა და მისი შემდგომი საფუძველიც“ [ჯორბენაძე, 1997: 5]. მან სპეციალური სალექციო კურსი მიუძღვნა სოციოლინგვისტიკის საფუძველების შესწავლას, რომლითაც გაამდიდრა ქართული ენათმეცნიერული აზროვნება ენისა და ერის, ენისა და საზოგადოების, ენისა და აზროვნების და საერთოდ, ენისა და კულტურის ურთიერთმიმართების ირგვლივ. ლექციების კურსი გამოიცა ენათმეცნიერის გარდაცვალების შემდეგ, „ბესარიონ ჯორბენაძის საზოგადოების“ ინიციატივით, 1997 წელს. „ენა კაცობრიობის ყველაზე მნიშვნელოვანი მონაპოვარია. სწორედ ენით შეძლო კაცობრიობამ ამაღლებულიყო თავის ინსტიქტებზე და აქტიურად ჩაერთო თავის შემოქმედებით განვითარებაში ცნობიერება. ამან კი, თავის მხრივ, საფუძველი დაუდო ყოველივე იმის შექმნას, რასაც ცივილიზაცია მოიცავს... მთელი ესთეტიკური და ეთიკური სისტემა მხოლოდ ენით ისხავს ხორცს, მხოლოდ ენის საშუალებით არსებობს მშვენიერი, ამაღლებული, ტრაგიკული“ [ჯორბენაძე, 1997: 196].

ვილჰელმ ჰუმბოლდტის (Wilhelm Humboldt 1767-1835) მიხედვით „ენა არის სამყარო, რომელიც მდებარეობს ადამიანის ინდივიდუალურ სამყაროსა და გარე სამყაროს შორის, იგი არის კულტურის ნაწილი და იარაღი, როგორც სული ეთნოსისა, რომელიც ასახავს ეთნოსის მენტალიტეტს“.

ერთსა და იმავე ენაში, მისი განვითარების სხვადასხვა პერიოდში, ერთი და იგივე აზრი შეიძლება გამოითქვას სხვადასხვაგვარად, რადგან ენა ვითარდება, იცვლება მისი გამომსახველობითი საშუალებები ეპოქის კულტურათა განვითარების შესაბამისად. არნოლდ ჩიქობავა მიუთითებდა, რომ „ენის მეცნიერულ შესწავლას არასოდეს არ ჰქონია და არც ახლა აქვს უფრო მნიშვნელოვანი მიზანი, ვიდრე ენის შესწავლა, ერთი მხრივ ენობრივი კოლექტივის ცხოვრებასთან კავშირში (ენა - ტომის, ხალხის, ერის არსებითი ნიშანია), ხოლო, მეორე მხრივ, აზროვნებასთან კავშირში, ე.ი. კულტურის ისტორიასთან, აზროვნების ისტორიასთან კავშირში [ჩიქობავა, 1967]. ყოველი ადამიანი იმ კულტურის ნაწილია, რომელთანაც დაკავშირებულია თავისი წარმოშობით, გარემო პირობებით, აღზრდის მეთოდებით, ტრადიციებით და იმ ენით, რომელზედაც ლაპარაკობს და აზროვნებს. ჩიქობავას აზრით „ძირითად ამოცანად რჩება - ენის შესწავლა სათანადო ისტორიულ სინამდვილესთან, კერძოდ, კულტურის ისტორიასთან კავშირში. ერთი მხრივ, აზრის კატეგორიასთან და აზროვნების ისტორიასთან მიმართებაში, მეორე მხრივ [ჩიქობავა, 1967: 6].

თანამედროვე ენათმეცნიერული გაგებით ენა ერის კულტურის შემადგენელი ნაწილია, მისი უშუალო ელემენტი და გამომხატველი. ერის კულტურა, სულიერი წყობა, ისტორია აისახება ხატოვან გამოთქმებში, რომელიც აუცილებელ ელემენტს წარმოადგენს სიტყვაკაზმული მწერლობისათვის. მხატვრულ ლიტერატურაში ხასიათების ძერწვისას და ამ ხასიათთა შინაგანი ექსპრესიის გადმოსაცემად მრავალფეროვანი საშუალებები გამოიყენება. შედარება ტროპის უნივერსალური სახეა, რომლის საშალებით ადამიანი იძლევა გარესამყაროს დახასიათებას იმგვარად, როგორც ის ამას შეიძნობს. ადამიანის აზროვნება ყალიბდება ენის ფორმირების პროცესში. იგი მოიცავს ასოციაციურ ასპექტებს, რომელიც გამომდინარეობს ნაციონალური

სპეციფიკიდან [ცისკარიშვილი, 2015: 572]. ენათმეცნიერულ შრომებში მითითებულია, რომ შედარება მკითხველზე რეაგირების განსაკუთრებული საშუალებაა.

ფილოლოგიაში შედარება განიხილება, როგორც ტროპის ერთ-ერთი სახე, ფსიქოლოგიაში - როგორც აზროვნების პროცესი, ფილოსოფიაში - სამყაროს აღქმის აზრობრივი საშუალება. ენათმეცნიერული გამოკვლევები ძირითადად ეხება შედარების სტრუქტურულ და სემანტიკურ ასპექტებს. იგი ნაკლებადაა განხილული ლინგვოკულტუროლოგიური თვალსაზრისით.

შედარების ლინგვოკულტუროლოგიური თვალსაზრისით განხილვისათვის მოვიხმობთ მასალას XIX-XX საუკუნის ქართულ - ინგლისური სიტყვაკაზმული მწერლობიდან. ვფიქრობთ, საკითხის ამ ჭრილში შესწავლა უკეთ გვიჩვენებს ეპოქის გავლენას შედარების ექსპრესიულ ბუნებაზე.

როგორც აღვნიშნეთ, შედარებას ექსპრესიულ-გამომსახველობითი ფუნქცია აქვს. იგი ყველაზე ექსპრესიული ხდება მაშინ, როდესაც მწერალს მიზნად აქვს შექმნას გარკვეული სოციალური ფონი შესაბამისი სახეებით. ძირითადად ასეთი ტიპის შედარებები შეიცავს მხილებას, იმ ნაკლის საამკარაოზე გამოტანას, რომელიც მოიტანა ეპოქამ, დროთა ცვლილებამ, კლასობრივმა დიფერენციაციამ, მთავრობის შეცვლამ და ა. შ. ილია ჭავჭავაძემ ლუარსაბ თათქარიძის სახით ამხილა დეგრადირებული, გადაგვარებული თავადაზნაურის სახე, შესაბამის გარემოში. ეპოქა, რომელიც „კაცია-ადამიანშია“ აღწერილი, გარკვეული წინააღმდეგობებით გამოირჩევა ქართულ სინამდვილეში. ინგრევა ძველი ფეოდალური სამყარო და მისი ნაშთები ცდილობენ, შეინარჩუნონ თვიანთი პოზიციები, უკვე საკმაოდ მოძველებული და უმომავლო. ილიამ მწარე სარკაზმით სავსე მხატვრული ხერხებით შეძლო ეჩვენებინა ასეთი პიროვნების სახე. ნაწარმოებში გამოყენებულია შედარების ნიმუშები, რომლებიც შეიცავს გარეგნულ თუ შინაგან სულიერ მახასიათებლებს უარყოფით ასპექტში. როდესაც ლუარსაბის გარეგნულ იერ-სახეზეა საუბარი, მწერალს შედარების ისეთი სახეები აქვს გამოყენებული, რომელშიც ხაზგასმულია ჭამა-სმისადმი განსაკუთრებული მისწრაფება და მისი ცხოველური იერი, ამის ნათელსაყოფად საკმარისია შემდეგი მაგალითები:

1. „თავადი ლუარსაბ თათქარიძე გახლდათ კარგად ჩასუქებული ძველი ქართველი, მრგვალი - უკაცრავოდ არ ვიყო ამ სიტყვაზედ - როგორც კარგი ნასუქი კურატი“ [ჭავჭავაძე, 1985: 273].
2. “- არტალაზედ? ვაცი-ვითა ვარ, ვაცი-ვით, - უპასუხა მსუნაგსავით სულწასულმა თავადმა“ [ჭავჭავაძე, 1985: 304].
3. „თავი ისეთი მსხვილი, რომ თითქო იმის სიმძიმეს მორგვი-ვით სქელი კისერი მხრებში ჩაუძვრენიაო“ [ჭავჭავაძე, 1985: 274].
4. „წითელი, თურაშაულ ვამლსა-ვით ხაშხაში ლოყები“ [ჭავჭავაძე, 1985: 274].
5. „ლუარსაბის ტანისა კი რა მოგახსენოთ და გული კი, რო გენახათ, ღორის ჯაგარსა-ვით მოდებული ჰქონდა, ასე რომ მრავალ საეჭვო სულიერებს შეეძლოთ შიშინაობის დროს აქ თავი შეეფარათ“ [ჭავჭავაძე, 1985: 276].
6. „რა, სხვა უხეირო კაცსა-ვით ფიქრი და ზრუნვა ძილს დაუფრთხობდა, მადას წაართმევდა?“ [ჭავჭავაძე, 1985: 276].
7. „და ეგრე ქანცგაწყვეტილი შეგორდებოდა ოთახში, საცა ხანდისხან ხოლმე რუმბსა-ვით გაბერილი თავადი გორავდა და, თუ ზაფხული იყო, ჭერში ბუზებსა სთვლიდა [ჭავჭავაძე, 1985: 278].
8. „გამოსაცდელად ერთს კიდევ დაიკრავდა მუცელზედ ხელსა, თითქო სინჯავსო, კარგად არის გატენილი, თუ არა, და რა ჰნახავდა, რომ კარგად არის, როგორც ცხენი დააკრაჭუნებდა კბილებს მეტის სიამოვნებისაგან“ [ჭავჭავაძე, 1985: 286].

იმ გარემოს დასახატად, სადაც ეს დეგრადირებული თავადი ცხოვრობდა მწერალი გროტესკული ხასიათის შედარებებს იყენებს. ეს გარემოც დალდასმულია ძირმომპალი ბატონყმური წყობილების ნიშნით. ირგვლივ ყველაფერი ლპობაშეპარული, სნეული და დაბინძურებულია. შედარების ნიმუშებად ილია იყენებს ისეთივე ძირმომპალ, დანგრეულ, გაჩანაგებულ სახეებს, ნივთებს, როგორც საზოგადოებრივი წყობილება იყო.

1. „მერცხლის ბუდესავით ერთი მცირედი ფიცრული“ [ჭავჭავაძე, 1985: 271].



2. „ძველი ჩალური, დროთა ბრუნვისაგან ისე გვერდზედ წამოღებული და წამოხრილი, თითქოს გრილოში წამოწოლას აპირებსო, მაგრამ ბებერივით ნეკრესის ქარის ტკივილებს ისე წამოხრილი და დაღრეჯილი შეუკავებიათო“ [ჭავჭავაძე, 1985: 271].
3. „ბუჩო კალოს სამხრეთის ნაპირზედ გორასავით გაწოლილი იყო“ [ჭავჭავაძე, 1985: 271].
4. „შიგ თითონ ეზო ისე უწმინდური იყო, როგორც ძველი ჩინოვნიკის გული“ [ჭავჭავაძე, 1985: 272].
5. „ადმოსავლეთის კედელზე მოჩანდა კბილებჩაცვივებული ბებერი დედაკაცის დაღებულ პირსავით ერთი ამოჭვარტლული გარედან და შიგნიდან, ერთი მწუხარე და დაღრეჯილი ბუხარი“ [ჭავჭავაძე, 1985: 273].

სულ სხვა სურათს ვხედავთ XX საუკუნის დასაწყისის მწერლობაში. ამ დროს აშკარად იგრძნობა მხილების პათოსი, იმ რთული საზოგადოებრივ-სოციალური ფაქტორისა, რომელიც საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველივე წლებში დამკვიდრდა საქართველოში. ქართველი მწერალი მიხეილ ჯავახიშვილი ტრაგიკულად აღიქვამდა ამ ცვლილებებს და ერის ფიზიკურ და კულტურულ დაღუპვად მიიჩნევდა. ამიტომაც, რომანში „ჯაყოს ხიზნები“ მან განსაკუთრებული ექსპრესიით დახატა გარკვეული სოციალური ფენების წარმომადგენელთა ღრმა ფსიქოლოგიური რყევა, არაჯანსაღი საზოგადოებრივი მდგომარეობის ფონზე. რომანში ძირითადად უარყოფითი შინაარსის შედარებებს ვხვდებით, რომელიც აგვიწერს ერთი მხრივ ინტელიგენციის წარმომადგენელთა სასიცოცხლო ნიშატის განელებას და სრულ ჩაქრობას, ხოლო მის ადგილზე საექვო ჯიმ-ჯილაგის, მხეცური ინსტიტუტების მქონე, გაუნათლებელი პირების გაბატონებას. მაგალითად მოვიყვანთ შედარებებს, რომლითაც მწერალი თეიმურაზ ხევისთავის გარეგნულ თუ შინაგან სამყაროს გვიხატავს:

1. „თევზივით ნაპირზე გარიყული ნაადამიანევი სულს ძლივსღა ჰღაფავდა“ [ჯავახიშვილი, 2000: 71].

2. „სწყევლიდა თეიმურაზი ყოველივეს, ჟინიან ბავშვებით ანჩხლობდა, ავადმყოფივით კაპასობდა და ხრინწიანი ხმი გაჰკიოდა“ [ჯავახიშვილი, 2000: 80].
3. „ფეხები ძლივს აითრია და ფეხდათათხულ ძალლივით გამოტრიალდა“ [ჯავახიშვილი, 2000: 90].
4. „თეიმურაზმა გულის კბენას ვეღარ გაუძლო და იმ სურათისკენ ცეცხლ-ნაკრავით გაიწია. გაიწია და ბავშვებით ამოიკვნესა“ [ჯავახიშვილი, 2000: 100].
5. „მაშ ღმერთმა ადღეგრძელოს ჩემსავით დამარცხებული გიჟი, რომელმაც თვითონ გაითხარა საფლავი“ [ჯავახიშვილი, 2000: 94].
6. „თეიმურაზმა უცნაური ხმით შეჰკვივლა და დაჭრილ პირუტყვით შეჰბლავლა“ [ჯავახიშვილი, 2000: 100].
7. „თეიმურაზი ჩაბნელებულ დუქანში რეტიანვით იდგა... წნორის ფოთოლივით თრთოდა და კანკალებდა“ [ჯავახიშვილი, 2000: 100].
8. „ძილშიც აგოდებულ გულზე ლოდივით ედო აყროლებული ლეში“ [ჯავახიშვილი, 2000: 102].
9. „ბავშვებით ატირდა თეიმურაზი“ [ჯავახიშვილი, 2000: 104].

ჯაყოს დასახასიათებლად განსაკუთრებულად უარყოფითი შინაარსის მქონე შედარების ნიმუშებს ვხვდებით:

1. „გაგიჟებულ დათვივით დაჰხტის, მორგვის ხელებს მოშლილ ბორბლებით იქნევს, კუნძის ფეხებით მიწას თხრის, განიერ თემოებს ბურთეზით ახტუნავებს, ზღარბის თავს გოგრასავით აგორავებს... და დროგამოშვებით ცხენით ჭიხვინებს“ [ჯავახიშვილი, 2000: 55].
2. „მარგო წყვდიადში ბინდ-ბუნდად ჰხედავდა ჯაყოს, რომელიც ფოფხვით მომავალს ორანგუტანს ჰგავდა“ [ჯავახიშვილი, 2000: 56].
3. „შეადარა თავისი ნაკაცარი ქმარი... გამხეცებულ ჯაყოს - ნადირით თავაგლეჯილს... დათვივით ღონიერს“ [ჯავახიშვილი, 2000: 56].

4. „ჯაყო მხოლოდ მეათე თაობა თუ იქნებოდა მაიმუნისა... პირუტყვივით ბნელი და უმეცარი“ [ჯავახიშვილი, 2000: 57].
5. „ჯაყოს დაგუბებული ჰქონდა სიცოცხლის ნიშატი, ხოლო ალღო - გარეულ ძალღვივით განვითარებული და გატიფული“ [ჯავახიშვილი, 2000: 57].
6. „თვითონ კი, ზურგზე ხელდაწყობილი, ეზოსა და ბაღში ბატვივით დაბაჯბაჯებდა, ან თავის სამფლობელოს მაღალ აივნიდან ფაშასავით გადმოსცქეროდა“ [ჯავახიშვილი, 2000: 62].

ილია ჭავჭავაძისა და მიხეილ ჯავახიშვილის დასახელებულ თხზულებებში ეპოქის უდიდესი ტრაგიზმი აისახა და ეს, უპირველესად, გადმოიცა მხატვრული ხერხების საშუალებით, კერძოდ, მხატვრული შედარების გამორჩეული ნიმუშებით, რომლებიც განსაკუთრებულად უსვამდა ხაზს ადამიანთა ფიზიკურსა თუ სულიერ დაცემულობას.

ამერიკელი მწერალი ფრენსის სკოტ ფიცჯერალდი XX საუკუნის ერთ-ერთ უდიდეს მწერლად მიიჩნევა. მისი ნამუშევრები მიეკუთვნება „ჯაზის ეპოქას“, ტერმინს, რომელიც მან თვითონ გამოიგონა. ფიცჯერალდი ითვლება 1920-იანი წლების „დაკარგული თაობის“ წევრად. ეს იყო ეპოქა, რომელიც ცდილობდა, განთავისუფლებულიყო წინაპართა ტრადიციებისაგან. ამ ეპოქის ახალგაზრდებს მხოლოდ ერთი მიზანი ამოძრავებდათ - დაევიწყებინათ ომის საშინელება და ცხოვრებით დამკტბარიყვნენ. მწერალმა შეულამაზებლად დაგვიხატა სიმდიდრის ბნელი მხარეები, ამერიკული ცხოვრების კრაზი, გამოკვეთა ამერიკელთა ფსიქოლოგია. ნოველის შექმნის იდეა ავტორს იმ მდიდრულმა წვეულებებმა შთააგონა, რომლებიც იმ დროს იმართებოდა ლონგ აილენდზე და რომელსაც მაღალი წრის საზოგადოება ესწრებოდა. წვეულებები ფართო მასშტაბის და მეტად იდუმალი იყო. აღწერილი სიტუაციების საშუალებით ძალიან კარგად შეიძლება იმ ბოზოქარი 20-იანი წლების სურათის აღდგენა. მთხრობელის და წიგნის ერთ-ერთი მთავარი გმირის სარკასტული იუმორი, იშვიათი გულწრფელობა და მახვილგონიერება მიმზიდველს ხდის მასში აღწერილ ამბავს.

შემთხვევით გამდიდრებული ჯეი გეტსბი ლონგ აილენდზე იწყებს ცხოვრებას იმისათვის, რომ დაიბრუნოს ქალი, რომელიც მას 5 წლის წინ უყვარდა. სასიყვარულო ურთიერთობის ფონზე რომანში აღწერილია ამერიკელი მდიდრების ცხოვრება. იმ დროს, XX საუკუნის დასაწყისში, მნიშვნელოვანი საკითხი იყო მემკვიდრეობით მდიდრებისა და შემდეგ გამდიდრებულების ურთიერთობები, იმის ჩვენება, თუ როგორ ექცევიან ადამიანები ერთმანეთს და ხაზგასმა იმაზე, რომ ფული პრობლემების მოგვარებას არ ნიშნავს. დიდი გეტსბი, ეს იყო კაცი, რომელსაც ჰქონდა ყველაფერი და თან არაფერი!

მხატვრული შედარების საშუალებით მწერალი უდიდესი სიცხადით აღწერს იმ მიდამოს სადაც რომანში აღწერილი მოვლენები ვითარდება:

1. “About half way between West Egg and New York the motor-road hastily joins the railroad and runs beside it for a quarter of a mile, **so as to shrink away from a certain desolate area of land**”

[[https://ebooks.adelaide.edu.au/f/fitzgerald/f\\_scott/gatsby/contents.html](https://ebooks.adelaide.edu.au/f/fitzgerald/f_scott/gatsby/contents.html)]. „ვიდრე უესტ-ეგიდან ნიუ-იორკში ჩავიდოდეთ, შუა გზაზე, სამანქანო გზატკეცილი უეცრად რკინიგზას ებჯინება და მეოთხედი მილის მანძილზე გვერდიგვერდ მიჰყვება, **თითქოს გაურბისო იქვე გაშლილ უკაცრიელ მიდამოს**“  
[<http://gnt.ge/catalog/dahuaipcamera.pdf>].

2. “This is a valley of ashes – a fantastic farm where ashes grow **like wheat** into ridges and hills and grotesque gardens where **ashes take the forms of houses** and chimneys and rising smoke and finally, with a transcendent effort, of men who move dimly and already crumbling through the powdery air  
[[https://ebooks.adelaide.edu.au/f/fitzgerald/f\\_scott/gatsby/contents.html](https://ebooks.adelaide.edu.au/f/fitzgerald/f_scott/gatsby/contents.html)]. „ნაცრის

ველს, ამ ფანტასტიკურ ხოდაბუნს, სადაც **ხორბლის ხვავივით იზრდება** ნაცრის ქედები, მთები და მახინჯი ბაღნარები, სადაც **ნაცარი ხან სახლებს ემსგავსება**, ხან საკვამურებს, ხან ახრჩოლებულ კვამლს და თუ ზებუნებრივ ძალას მოიკრებთ, შეამჩნევთ, რომ რაღაც ადამიანთა მსგავსნიც გამოისახებიან ხოლმე -

აჩრდილებივით დაბორიალებენ ისინი და უმაღვე ქრებიან ნაცრით გაჯერებულ სივრცეში [http://gnt.ge/catalog/dahuaipcamera.pdf].

აგრეთვე დიდი მხატვრულობითაა დახატული პერსონაჟების უშინაარსო და სურვილდაშრობილი ყოფა, გულგრილი თვალები, აფორიაქებული და აგზნებული განწყობა, სიცრუე და თვალთმაქცობა:

1. “Sometimes she and Miss Barker talked at once, unobtrusively and with a bantering incosequence that was never quite chatter, that was as cool as their white dresses and their impersonal eyes in the absence of all desire” [https://ebooks.adelaide.edu.au/f/fitzgerald/f\_scott/gatsby/contents.html].

„დროდადრო დეიზი და მისს ბეიკერი ორიოდ სიტყვით გამოელაპარაკებოდნენ ხოლმე ერთმანეთს; უაზროდ ქილიკობდნენ, ამას საუბარი არც კი ეთქმოდა; ცივი, უშინაარსო იყო ყოველი სიტყვა, ვით მათივე თეთრი კაბები და სურვილდაშრეტილი, გულგრილი თვალები“ [http://gnt.ge/catalog/dahuaipcamera.pdf].

2. “As if his absence quickened something within her Daisy leaned forward again, her voice glowing and singing” [https://ebooks.adelaide.edu.au/f/fitzgerald/f\_scott/gatsby/contents.html]. „თითქოს ამან ააფორიაქაო, დეიზი კვლავ გადმოიხარა და აღგზნებულმა ნარნარი ხმით მიიხრა [http://gnt.ge/catalog/dahuaipcamera.pdf].

3. “This was untrue. I am not even faintly like a rose. She was only extemporizing but a stirring warmth flowed from her as if her heart was trying to come out to you concealed on one of those breathless, thrilling words” [https://ebooks.adelaide.edu.au/f/fitzgerald/f\_scott/gatsby/contents.html]. „სცრუობდა. ვარდის აჩრდილიც არა ვარ. რაღაც გამოიგონა. მაგრამ ისეთი ამაღელვებელ სიტბოს აფრქვევდა, თითქოს ლამობდა დაგუდულ ხმასა და მთრთოლვარე სიტყვებში თავისი გულიც ჩაემალა და მოერთმია“ [http://gnt.ge/catalog/dahuaipcamera.pdf].

4. “Tom and Miss Barker, with several feet of twilight between them strolled back into the library, **as if to a vigil** beside a perfectly tangible body” –  
 [https://ebooks.adelaide.edu.au/f/fitzgerald/f\_scott/gatsby/contents.html]. „ტომმა და მის ბეიკერმა დინჯად გასწიეს ბიბლიოთეკისკენ. საღამოს ბინდი ჩამდგარიყო მათ შორის. ისე მიდიოდნენ, თითქოს მიცვალებულისთვის ღამე უნდა ეთიათ“ [http://gnt.ge/catalog/dahuaipcamera.pdf].
5. “It made me uneasy, **as though** the whole evening had been a trick of some sort to exact a contributory emotion form me”  
 [https://ebooks.adelaide.edu.au/f/fitzgerald/f\_scott/gatsby/contents.html]. „გუნება ამემღვრა. მომეჩვენა, თითქოს, ჩემი თანაგრძნობის მოსაპოვებლად თვალთმაქცობდნენ მთელი საღამო“ [http://gnt.ge/catalog/dahuaipcamera.pdf].
6. “She was extended full length at her end of the divan, completely motionless and with her chin raised a little **as if she were balancing something on it** which was quite likely to fall”  
 [https://ebooks.adelaide.edu.au/f/fitzgerald/f\_scott/gatsby/contents.html]. – „იგი ტახტის ერთ მხარეს იყო გამოტოლი. იწვა უძრავად, ნიკაპი ოდნავ აეწია, თითქოს ზედ ჯამბაზივით რაღაცას ათამაშებდა - უნდა გადმოვარდნოდა და მაინც ახერხებდა გაწონასწორებას“.
7. “She laughed again **as if she said something very witty**”  
 [https://ebooks.adelaide.edu.au/f/fitzgerald/f\_scott/gatsby/contents.html]. „ისევ გაეცინა, თითქოს საოხუნჯო ეთქვას რამე“ [http://gnt.ge/catalog/dahuaipcamera.pdf].

ლინგვოკულტუროლოგიური თვალსაზრისით შედარების განხილვამ ქართულ კონტექსტში მოგვცა დამაჯერებელი ფაქტი იმისა, თუ როგორ იცვლება შედარების გამოხატვის შესაძლებლობები ლექსიკოლოგიური თვალსაზრისით, ეპოქის კულტურულ განვითარებასთან ერთად. შედარების ისეთ უნივერსალიებს, როგორცაა შედარება რუბთან, ვაცთან, ღორთან, მორგვთან, პირუტყვთან, დათვთან, ძაღლთან, ნადირთან იქცა წარსულის კუთვნილებად. დღევანდელ სალიტერატურო ქართულში

იშვიათად გვხვდება მსგავსი შესადარებელი ობიექტები. კულტურის განვითარების მაღალმა საფეხურმა გარკვეულწილად შეცვალა ადამიანთა ლექსიკა და შემოიტანა ისეთი სიახლეები, რომელიც თანამედროვე ენობრივი სამყაროს შემადგენელი ნაწილია.

ამერიკული ტექნიკურ-კულტურული პროგრესი თავისებურად მოქმედებდა ენის მხატვრულ მხარეზე, რითაც აიხსნება მხატვრული ხერხების, კერძოდ კი, ტროპების ბუნდოვანება და პესიმისტური განწყობა. ამერიკულ პროზაში მოძიებული საანალიზო მასალა, ერთი შეხედვით, მშრალი და მეტად პროზაულია. სავარაუდოდ, მწერალი ფართო საზოგადოებისათვის მოიაზრებდა თავის ნაწარმოებს და მათ სხვადასხვა ხარისხის ლიტერატურულ გემოვნებას არგებდა თავის ნაწარმოებს.

საინტერესო სურათი მოგვცა თანამედროვე ქართველი მწერლის სალომე ბენიძის მოთხრობებიდან ამოკრებილმა მხატვრული შედარების ნიმუშებმა. დაკვირვება ცხადყოფს, რომ დღევანდელ მხატვრულ ლიტერატურაში შედარებები მეტად რთულია, როგორც შინაარსობრივად, ისე აგებულების თვალსაზრისით. შესადარებელი ობიექტი უშუალოდ კი არ არის წარმოდგენილი, მარტივად, არამედ აბსტრაქტულობაში, უსაზღვრობაში განფენილია. ასეთი ელფერი ნაწილობრივ ბუნდოვანს ხდის შედარების სემანტიკურ მნიშვნელობას, თუმცა, ექსპრესიულობის მხრივ საკმაოდ ძლიერია. აზრის ნათელსაყოფად, მოვიყვანთ რამდენიმე მაგალითს:

1. „მე კი ისევ მეძინა კლდის თავზე და ჩემს გაშლილ მკლავებზე ჩემივე სიყვარულივით გამჭვირვალე და ფერმკრთალი ჩრდილოეთი ირწეოდა“ [ბენიძე, 2015: 11].
2. „ძილი ზოგჯერ უფრო მტკივნეულია, ვიდრე ყველა დამღლეი დღე, ერთად აღებული“ [ბენიძე, 2015: 12].
3. „გაბრიელი არ დამინახავს, მაგრამ ვიგრძენი, რომ მის კანს ზუსტად ისეთივე სურნელი ჰქონდა, როგორც ცისკენ თავაშვერილ მზესუმზირებს აქვთ შუადღის თავარა სიცხეში“ [ბენიძე, 2015: 12].
4. „შენი სული დამსხვრეულია, - განაგრძო ქალმა, - და შენი ლამაზი სხეული ისე ნიღბავს მას, როგორც ჭრელი ყუთი - დაფშვნილ ლარნაკს“ [ბენიძე, 2015: 13].

5. „დაღარული, წაბლისფერი კანი ჰქონდა და ფოსოებში ღრმად ჩამჯდარი, ჩემი მდინარის წყალივით გამჭვირვალე, ცისფერი თვალები“ [ბენიძე, 2015: 13].
  6. „იოჰანესი ირინეს უყურებდა, ირენე კი საკუთარ ხელებს, რომლებიც უფრო გამჭვირვალე გახდომოდა, ვიდრე ოდესმე“ [ბენიძე, 2015: 18].
  7. „ლიდია გრძნობდა, როგორ გადადიოდა მისი სიმხურვალე დედის კანზე, წყალს საბანივით იფარებდა და მშვიდად იძინებდა“ [ბენიძე, 2015: 20].
  8. „მათი ქალაქის ნავსადგურს დიდი ამბიციები არ ჰქონდა, ისევე, როგორც ქალაქის ბინადრებს“ [ბენიძე, 2015: 22].
  9. „ჩვენი ბალის ტირიფს შადრევანვით სდის წყალი ფოთლებიდან“ [ბენიძე, 2015: 29].
  10. „ამ დროს ის ჰგავდა ფარვანას, რომელიც გაპარტახებული სახლის კერში გამოკიდებულ ერთადერთ ნათურას ეთამაშება და თეოდორს არაფერი უნდოდა, გარდა იმისა, რომ ეს თაფლის სანთელივით გამჭვირვალე ფეხები თავისი სხეულის სიმხურვალით დაედნო“ [ბენიძე, 2015: 30].
- აღნიშნული პრობლემა მომავალი კვლევის საგნად მიგვაჩნია.



## თავი IV

### შედარების თარგმანში გადატანის პრობლემები და ტიპოლოგიური

#### ურთიერთმიმართებანი

##### 4.1. თარგმანის ზოგადი პრობლემისათვის

მხატვრული თარგმანის კვლევა ხშირად ხდება ისტორიულ, ლიტმცოდნეობით, ენათმეცნიერულ, სტილისტიკურ, ფილოსოფიურ ან ფსიქოლოგიურ ჭრილში და ყოველ მათგანს თავისი მეცნიერული ღირებულება გააჩნია, თუმცა კვლევის შედეგად ირკვევა, რომ თარგმანი ისეთი რთული მხატვრული ფენომენია, რომ თარგმანის თეორია ვერ თავსდება მხოლოდ ზემოთ ჩამოთვლილ ერთ რომელიმე დისციპლინაში და ახდენს მათ სინთეზს. უკანასკნელი 30 წლის მანძილზე, როგორც საქართველოში, ისე საზღვარგარეთ, მრავალი ნაშრომი მიეძღვნა თარგმანის ზოგადთეორიულ, თუ კერძო საკითხებს, რაც, თავისთავად, მოწმობს თარგმანის თეორიის მომძლავრებას და მის დამკვიდრებას სხვა ფილოსოფიური დისციპლინების გვერდით. თარგმანის თეორიას ერთი საერთო აზრი წარმართავს: მხატვრული თარგმანი შემოქმედებაა, ოღონდ ფილოლოგიურ შრომასთან შერწყმული შემოქმედება [ფანჯიკიძე, 1988: 3].

თარგმანის თეორიაში არსებული წმინდა შემოქმედებითი პრობლემების გვერდით დგება პრაქტიკული საკითხებიც, რომლებიც უშუალოდ თარგმანის პროცესთან, ან თარგმანის ტექნიკის დაუფლებასთანაა დაკავშირებული. შემოქმედებითი პრობლემების კვლევისას მიღებული შედეგები საერთოა ნებისმიერი ენიდან შესრულებული თარგმანისათვის. თარგმანი ისეთი პროცესია, რომლის დროსაც შესაძლებელია, დამყარდეს ეკვივალენტური დამოკიდებულება ორ სხვადასხვა ენაზე გამოხატულ ტექსტს შორის. თარგმანი მეტყველების რთული და მრავალწახნაგოვანი მოვლენაა, რომლის სხვადასხვა ასპექტი ლიტერატორების, ფსიქოლოგების, ეთნოგრაფებისა და ლინგვისტების ყურადღებას იპყრობს. თარგმანის პროფესია უძველესია. მას დიდი მნიშვნელობა აქვს დღეს განსაკუთრებით საქართველოსათვის. თარგმანი დიდ როლს

ასრულებს საერთაშორისო ურთიერთობების დროს, სამეცნიერო, ტექნიკური თუ კულტურული გაცვლების დროს. იგი ეხმარება სხვადასხვა ენაზე მოლაპარაკე ადამიანებს, გადალახონ ენობრივი ბარიერი. მთარგმნელის ამოცანაა სხვა ენის მეშვეობით სრულად და ზუსტად გადმოსცეს ორიგინალის შინაარსი ისე, რომ არ დაირღვეს მისი სტილისტიკური და ესპრესიული თავისებურებები. მან უნდა მოახდინოს არა ცალკეული გრამატიკული, ან სინტაქსური კონსტრუქციების შეპირისპირება, არამედ სტრუქტურულ-სემანტიკური ჯგუფების შეპირისპირება, რომლებიც ერთ აზრობრივ მთლიანობას შეადგენენ. წერითი თარგმანის დროს შესაძლებელია ტექსტის წინასწარი წაკითხვა და ანალიზი, რომლითაც განისაზღვრება შინაარსის ხასიათი, მისი სტილისტიკური თავისებურება. თარგმანისას დიდი მნიშვნელობა ენიჭება სხვადასხვა ტიპის ლექსიკურ ტრანსფორმაციებს, რომლებიც ექვემდებარება ლოგიკურ-სემანტიკურ პრინციპს და ითვალისწინებს სტილისტიკურ და ესპრესიულ ფაქტორებს [ჯაში, ჯაში, 2003].

რუსი ენათმეცნიერი პროშინა (Proshina, 2008) განიხილავს თარგმანს, როგორც ერთი ენის სიტყვიერი ნიშნების მეორე ენის სიტყვიერი ნიშნებით შეცვლას, ან ერთი ენობრივი კოდიდან მეორე ენობრივ კოდზე გადართვას. სწორედ აღნიშნული კოდის გადართვაა თარგმანის შინაარსი, მთარგმნელობითი კვლევების ობიექტი. ენათმეცნიერი თვლის, რომ სამიზნე ტექსტი შესაბამისობაში უნდა მოდიოდეს წყარო ტექსტთან, რათა თარგმანი ადეკვატური და ეფექტური იყოს. როდესაც მკითხველი შექსპირის ტრაგედიებს კითხულობს რუსულად, მან იცის, რომ სიტყვები, რომლებსაც ის კითხულობს, შექსპირს არ დაუწერია. ისინი მთარგმნელის მიერაა შექმნილი [Proshina, 2008: 9-11].

მხატვრული თარგმანის ისტორიული და მეთოდოლოგიური საკითხები საკმაოდ დაწვრილებით გამოიკვლია ლიტერატორმა და მთარგმნელმა გივი გაჩეჩილაძემ წიგნში „მხატვრული თარგმანის თეორიის შესავალი“. მიუხედავად იმისა, რომ წიგნში გადმოცემული კვლევა გასულ საუკუნეში მოხდა, სადღეისოდ ის მაინც აქტუალურ

თეორიულ ნაშრომადაა აღიარებული. მასში წარმოდგენილი კვლევა იმგვარადაა შერჩეული, რომ გარკვეულიყო ორი პრაქტიკული მიზანი:

ა) ზოგადი თეორიული პრინციპების ჩამოყალიბება არა მხოლოდ აბსტრაქტული ფორმულების სახით, არამედ, მათი კონკრეტული მოქმედების მიხედვით;

ბ) სხვადასხვა ქვეყნების მთარგმნელობითი თეორიისა და პრაქტიკის ანალოგიით ქართული მხატვრული თარგმანის პრაქტიკული ამოცანების გარკვევა.

გარდა ამისა, „თარგმანის საერთო ისტორია წარმოდგენილია მხოლოდ იმდენად, რამდენადაც საჭიროა ნათელვყოთ ის დამახასიათებელი ტენდენციები, რომლებიც თავს იჩენს ყოველი ქვეყნის მთარგმნელობით თეორიასა და პრაქტიკაში, მათ შორის საქართველოშიც, და დღესაც წარმოადგენენ ამ დარგის მოღვაწეთა ყურადღების ძირითად საგანს“ [გაჩეჩილაძე, 1966: 5]. მხატვრული თარგმანის საჭიროებას ორი სხვადასხვა ენის მქონე ხალხის ურთიერთობა განაპირობებდა. ამ კუთხით კვლევა შეიძლება მხოლოდ იმ ისტორიული პერიოდიდან, რომელშიც ხალხის კულტურულმა ცხოვრებამ მაღალ საფეხურს მიაღწია და შესაძლებელი გახდა მხატვრულ თარგმანსაც შეევესო ამ კულტურის საგანძური.

საქართველოს სახელმწიფოებრივი ყოფა მუდმივად იყო დაკავშირებული მეზობელ ქვეყნებთან. ქართველი ხალხის მჭიდრო კავშირი სხვა ერების კულტურასა და ხელოვნებასთან, მოითხოვდა მათი ენობრივი ურთიერთობის ჩამოყალიბებასაც. ინტერესი უცხოური მწერლობისადმი მუდმივი თანამდევი იყო ქართული მოწინავე საზოგადოებისათვის. ქართულ ეკლესია-მონასტრებში ღვთისმსახურების პარალელურად ოდითგანვე სრულდებოდა უცხოური ლიტერატურის თარგმანი მშობლიურ ენაზე. აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ ქართველი მთარგმნელები უმეტესად თავისუფალ თარგმანს მიმართავდნენ, რაკი სურვილი ჰქონდათ ამ თარგმანში ჩაედოთ საკუთარი სურვილები, მისწრაფებები და, ზოგადად, ეროვნული ნიშატი, რაც მეტ ინტერესს აღძრავდა მკითხველში. ცნობილია, რომ სასულიერო თხზულებებში, რომელთა საშუალებითაც საქართველოში სულ უფრო მტკიცდებოდა ქრისტიანული მოძღვრება, თარგმნისას ზედმიწევნით ზუსტად უნდა ყოფილიყო

დაცული არა მარტო თვით ნაწარმოების ფორმა და შინაარსი, არამედ ის ამალღებული სტილიც, რომელიც აძლევდა მას სპეციფიკურ ჟღერადობას.

ინტერესი უცხო ენების შესწავლისა და უცხო ენობრივი ლიტერატურის თარგმნისადმი განსაკუთრებით გაღვივდა XIX საუკუნეში. ახალი, ეროპული აზროვნების სისტემის გადმონერგვამ ქართულ ნიადაგზე განაპირობა საზღვარგარეთული ლიტერატურის ცალკეულ ნიმუშთა გაცნობისა და ქართულ ენაზე გადმოთარგმნის აუცილებლობა. აზროვნების რომანტიკულმა ნაკადმა ღრმად მოიკიდა რა ფეხი ქართულ მწერლობაში, ამავდროულად, შემოიტანა ევროპელ რომანტიკოსთა იდეები, რომელიც ძალზე ახლობელი გახდა ქართველი მოწინავე იდეოლოგებისა და მოაზროვნეთათვის. რომანტიკოსი პოეტები: ალექსანდრე ჭავჭავაძე, გრიგოლ ორბელიანი და ნიკოლოზ ბარათაშვილი ინტერესით ეცნობოდნენ ევროპელ რომანტიკოსთა შემოქმედებას და ცდილობდნენ მის თარგმნას მშობლიურ ენაზე. სათარგმნელი თხზულებები წინასწარ შერჩეული თემატიკის მიხედვით ეროვნული იდეებით გაჟღენთილი განსაკუთრებულ რევოლუციურ რომანტიკას შეიცავდა.

განიხილავდა რა XIX საუკუნის ქართული ლიტერატურის ფუძემდებელთა შემოქმედების ნიუანსებს, პავლე ინგოროყვა უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდა მათ მიერ გადმოთარგმნილ ნაწარმოებებს, რომელაც განსაკუთრებული ემოციური მუხტი შემოჰქონდათ ეროვნული ცნობიერების ნაკადში. განსაკუთრებულ ყურადღებას მიაპყრობს რა ნიკოლოზ ბარათაშვილის მთარგმნელობით საქმიანობას, რომელმაც ჭაბუკობაშივე თარგმნა ტრაგედია ლეიზევიცის „იულიუს ტარენტელი“, შენიშნავს: „იულიუს ტარენტელი“ გერმანელი დრამატურგის იოჰან ლეიზევიცისა (1752-1806), რომელიც ნიკოლოზ ბარათაშვილს უთარგმნია, მნიშვნელოვან ნაწარმოებს წარმოადგენს. იგი პირველი და განსაკუთრებით საჩინო პიესა იყო Sturm und Drang-ის პერიოდისა, რომელიც ლესინგს იმდენად მოეწონა, რომ გოეთეს დაწერილად მიიჩნია. ცნობილია, რომ შილერმა თავისი „ყაჩაღები“ ლეიზევიცის ამ პიესის გავლენით დაწერა“ [ინგოროყვა, 1975: 175].

იყენებდნენ რა რომანტიკოსების და, კერძოდ, ნიკოლოზ ბარათაშვილის მთარგმნელობითი სკოლის ტრადიციებს, ილია ჭავჭავაძემ და ივანე მაჩაბელმა მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს ქართული მთარგმნელობითი საქმიანობის უწყვეტ განვითარებაში. XIX საუკუნის მეორე ნახევრის ორმა ქართველმა ბუმბერაზმა მოაზროვნემ ერთად თარგმნა შექსპირის ტრაგედია „მეფე ლირი“, რითაც საფუძველი ჩაეყარა შექსპირის მაჩაბლისეული თარგმანის ტრადიციას. დღეისათვის, ეს თარგმანი კვლავ ერთ-ერთ საუკეთესო ნიმუშად ითვლება. „ივ. მაჩაბლის მიერ თარგმნილმა შექსპირის მონოლოგებმა შეიძლება ყველაზე უფრო ნ. ბარათაშვილის ღრმად ჩაფიქრებული პოეტური მსჯელობანი მოაგონოს ქართველ მკითხველს. თავის მხრივ, ივ. მაჩაბლის ლექსის ტრადიცია მიიღო და გააგრძელა შემდგომმა ქართულმა პოეზიამ [შექსპირი, 1953: 13].

„ისტორიამ დაადასტურა ის დიდი როლი, რომელიც შექსპირის ტრაგედიებმა ითამაშეს ქართული თეატრის აღორძინების საქმეში და ის დიდი წვლილი, რომელიც მაჩაბლის თარგმანებმა შეიტანეს არა მარტო ქართული მხატვრული თარგმანის, არამედ ორიგინალური ქართული ლიტერატურისა და კერძოდ, პოეზიის განვითარების საქმეშიც“ [გაჩეჩილაძე, 1966: 86]. ილია ჭავჭავაძემ განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა მთარგმნელობითი პრაქტიკის შემდგომ განვითარებას. XIX საუკუნის ქართულ სალიტერატურო აზროვნებას შემორჩა „მამათა და შვილთა ბრძოლის“ მძაფრი პერიპეტიები. აღსანიშნავია, რომ ამ „ბრძოლაში“ დიდი წვლილი შეიტანა ილია ჭავჭავაძის პირველმა კრიტიკულმა წერილმა „ორიოდე სიტყვა თავად რევაზ შალვას ძის ერისთავის მიერ კაზლოვიდან „შემლილის“ თარგმანზედა“, რომელიც დაიბეჭდა ჟურნალ „ცისკარში“ 1861 წელს №4-ში. წერილში ავტორი გამოთქვამს საკუთარ აზრს მხატვრული თარგმანისათვის მასალის შერჩევას და თარგმანის ხარისხს.

„თავად ერისთავის „შემლილის“ თარგმანი, როგორც ხელოვნება, არ შეიძლება განიხილოს კაცმა, რადგანაც თვით ნამდვილი უხელოვნოა. თუ სათავე მღვრივეა ბოლოში ამაო იქნება წმინდა წყლის ძებნა... მისი თარგმანი ასეთი რამ არის, რომ

შთამომავლობას უნდა გადასცეს კაცმა, რათა გამოუთქმელ სიცუდის მაგალითად სახეში ჰქონდეთ მომავალ მწერლებს [ჭავჭავაძე, 1985: 459].

ილიას აზრით, უცხო ენიდან უნდა გადმოითარგმნოს ისეთი სოციალური თემის და ესთეტიკური სახის ნაწარმოები, რომელიც გაამდიდრებს ქართულ სალიტერატურო აზროვნებას.

ილია ჭავჭავაძის თარგმანები ქართველი მკითხველის განათლების ამდლებსათვის ძალიან მნიშვნელოვანი იყო. ამ პერიოდში ქართულ ჟურნალ-გაზეთებში დამკვიდრებულა სწრაფი და ზედაპირული მთარგმნელობითი პრაქტიკაც. „ასეთი თარგმანები მიზნად ისახავდა ორიგინალური პროზაული თხზულების შინაარსის და ძირითადი სათქმელის გადმოცემას და უცხოური ლიტერატურის გაცნობას მკითხველისათვის. მათში ხშირად იყო გამოტოვებული ორიგინალის ენისა და კულტურისათვის დამახასიათებელი სპეციფიკური რეალიები და მხოლოდ ნაწილობრივ იყო შენარჩუნებული მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებები. ასეთი თარგმანები ზოგჯერ არა დედნიდან, არამედ მთარგმნელისათვის უფრო კარგად ნაცნობი შუალედური ენიდან ხორციელდებოდა“ [ნინიძე, 2016: 114]. ამ პრინციპით უთარგმნია ილიას არაერთი უცხოელი ავტორის პროზაული ტექსტი. მათ შორის ჯორჯ პარსონს ლეთროპის ნოველა „უბინაო კაცი ნიუ იორკში“ ქართული, რომელიც 1878 წელს გამოქვეყნდა გაზეთ „ივერიაში“. ლეთროპის ნოველის თარგმნა მასში დასმული დასმული აქტუალური პრობლემით იყო განპირობებული. მიუსაფარი ადამიანის ბედი უაღრესად ახლობელი იყო ილიას პროზისათვის. მისი პროზაული ნაწარმოებების ძირითადი თემა სწორედ ქრისტიანული ღირებულებები და ადამიანური მორალი გახლდათ.

კულტურისა და თარგმანის განუყოფლობაზე საუბრობს რუსი ენათმეცნიერი პროშინა (Proshina, 2008). მისი მოსაზრებით, თარგმანი ვერ განვითარდება კულტურის გარეშე. ლიტერატურა, მეცნიერება და ფილოსოფია გავლენას ახდენენ მთარგმნელის კონცეპტუალიზაციაზე. მეორეს მხრივ კი, კულტურაც ვერ განვითარდება თარგმანის გარეშე, იქიდან გამომდინარე, რომ თარგმანები ამდიდრებს ერებს სხვა ერების

კულტურული ღირებულებებით [Proshina, 2008: 12]. იგივე თემაზე საუბრობს თავის სამეცნიერო ნაშრომში ინგლისელი ენათმეცნიერი ჰასანი. მისი თქმით, თარგმანი მნიშვნელოვან როლს ასრულებს სხვადასხვა კულტურასა და ერს შორის კავშირების დამყარებაში. მთარგმნელს უწევს ტექსტებთან შეხება, რომლებიც მოიცავს ლინგვისტურ, პრაგმატულ და კულტურულ ელემენტებს [Hassan, 2011: 11].

XX საუკუნის 20-იან წლებამდე პერიოდი მთარგმნელობით საქმიანობაში შედარებით ღარიბია, რაც განაპირობა სამწერლო ასპარეზზე დეკადენტური მიმართულების მქონე პოეტური ჯგუფების გამოსვლამ. ცნობილია, რომ მათ ქართულ პოეზიაში ერთგვარი გადაფასება შემოიტანეს. უარყვეს ძველი, ტრადიციული სალექსო ფორმები და თემები და ნაკლები ყურადღება დაუთმეს თარგმანის ხელოვნებას. 20-იანი წლების შემდეგ კი შეიმჩნევა თარგმანთა რაოდენობის მკვეთრი ზრდა და მრავალფეროვნება. გაიზარდა თარგმანის ტექნიკა და შესაბამისად, ითარგმნა უცხოელ კლასიკოსთა მრავალი ნაწარმოები. ასევე გაიზარდა თეორიული და პოლემიკური ხასიათის წერილთა რაოდენობაც თარგმანებთან დაკავშირებით. ამ პერიოდის აკადემიური ხასიათის ჟურნალი კავკასიონი მთელ განყოფილებას უთმობს თარგმნილ ნაწარმოებებს, სადაც იბეჭდება ედგარ პოს იგავის „სიჩუმე“ ერეკლე ტატიშვილისეული თარგმანი. მასში ყურადღებას იქცევს ღრმად შესწავლილი ქართული ენის ნიუანსები, მარჯვედ გამოყენებული ინგლისური დედნის შესატყვისად და ძალდაუტანებელი სტილი, რომელიც ხელსაყრელად გამოირჩეოდა ამ პერიოდის სტილისტურ ექსპერიმენტთა არეულობაში... უმცროსი თაობის მთარგმნელებს თუნდაც ამ მცირე ნიმუშიდან შეეძლოთ და კიდევაც შეუძლიათ ბევრი რამ მიიღონ და განავითარონ ჩვენი დროის მთარგმნელობითი ხელოვნების გასამდიდრებლად [გაჩეჩილაძე, 1966: 107].

დღეისათვის აქტუალურ საკითხად რჩება თარგმანის თეორიული და პრაქტიკული ასპექტების გამორკვევა და შესწავლა. ტექნიკის არნახულმა პროგრესმა, კომპიუტერული სისტემების საოცარმა განვითარებამ ვერ შეანელა ინტერესი უცხოური ლიტერატურის ქართული თარგმანების მიმართ. თანამედროვე ევროპელი და ამერიკელი მწერლების ნაწარმოებების ქართული თარგმანები ბესტსელერებად ითვლება ჩვენში. ეს

განუზომელი ინტერესი იწვევს თარგმანის თეორიისა და პრაქტიკის უფრო ღრმა წვდომას. ლიტერატურულ ჟურნალებსა და სხვა კრიტიკულ გამოცემებში ხშირად იბეჭდება სტატიები, რომელიც ამ მნიშვნელოვან საკითხებს განიხილავს. მაგალითად დავასახელებთ საერთაშორისო რეფერირებად ჟურნალ „ენა და კულტურას“, რომელიც სისტემატურად აშუქებს თანამედროვე კვლევებს თარგმანის სპეციფიკის შესახებ. ჩვენი ყურადღება მიიპყრო მანანა მიქაძის, ნუნუ გელდიაშვილის, ნინო გორგიშელის სამეცნიერო ნაშრომებმა ცნობილი უცხოური ლიტერატურის ქართული თარგმანების ლინგვისტური კუთხით შესწავლის შესახებ.

ნაშრომის მოცემულ თავში შევეცადეთ, განგვეზოგადებინა თარგმანის ტიპოლოგიური მიმართებანი XX საუკუნის ინგლისელი მწერლის ჯ. გოლზუორთის ნოველა „მესაკუთრეს“ ორიგინალ და ნათარგმნ ვერსიებზე დაყრდნობით. ნაშრომში სათანადო ყურადღება დავუთმეთ პროზის თარგმნის პრობლემებს, ლინგვისტური საკითხების კვლევისას კი უპირატესობა მივანიჭეთ ინგლისური და ქართული ენების შეპირისპირებით ანალიზს. საინტერესო აღმოჩნდა ამ თვალსაზრისით შედარების მაგალითებზე დაკვირვება. გამოვყავით მაგალითები, სადაც შედარება უცვლელადაა გადმოტანილი მთარგმნელის მიერ და მაგალითები, სადაც შედარება იკარგება, ან იცვლება მთარგმნელის მიერ. ვფიქრობთ, თარგმანი, თავისთავად, რთული პროცესია, რადგან ამ დროს მთარგმნელს მრავალი ნიუანსის გათვალისწინება უწევს. მან უნდა შეინარჩუნოს ორიგინალის შინაარსი, სწორად შეარჩიოს ლექსიკა და, რაც ყველაზე მთავარია, შეინარჩუნოს მხატვრული ხერხი, რაც უზრუნველყოფს ექსპრესიის იმავე ხარისხით გადმოტანას თარგმანში, როგორც ეს ორიგინალის ტექსტშია გამოხატული.

გაჩეჩილაძე თვლის, რომ პროზის მთარგმნელი თავისუფალია პოეტური პირობითობისაგან და შეუძლია, თავისუფლად გამოიჩინოს ენის ცოდნაცა და შემოქმედებითი უნარიც. თუმცა, აღნიშნული ფაქტი მას უფრო მკაცრ მოთხოვნილებას უყენებს დედნისადმი ერთგულების თვალსაზრისით. მხატვრული პროზა წარმოდგენილია როგორც მხატვრული ქსოვილის განსაკუთრებული კომბინაციური ორგანიზაციის ფორმა, როგორც პოეტური რეგლამენტაციის საპირისპირო მოვლენა, ამ



უკანასკნელის სპეციფიკურ თვისებათაგან თავისუფალი. მასში იგულისხმება ყოველგვარი ხასიათის პროზაული ნაწარმოები, სხვადასხვა სტილის, მოცულობისა და ფორმის მქონე ნაწარმოებები, რომელთაც აერთიანებთ ერთი ძირითადი ნიშანი: ისინი პროზად არიან დაწერილი. გაჩეჩილაძე წერს, რომ გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს „გასაღების“ პოვნას თარგმნის დასაწყისში, რომელმაც მთარგმნელი სწორ გზაზე უნდა დააყენოს. მთარგმნელმა უნდა შეიცნოს დედნის რიტმი, ინტონაცია, აზრის გადმოცემის მანერა, მათი გადმოცემის მანერა, მათი კავშირი ნაწარმოების ფაბულასა, სიუჟეტსა და კომპოზიციასთან, რომლებიც ემსახურებიან ნაწარმოების ერთიანი იდეის გახსნას. ზემოთ აღნიშნულ „გასაღებს“ პირობითად „სტილისტური გასაღები“ შესაძლოა ეწოდოს [გაჩეჩილაძე, 1966: 227-230].

განხილვის საგანს წარმოადგენს, უნდა იყოს თუ არა მთარგმნელი ერთგული სათარგმნი ტექსტის მიმართ? ამ შემთხვევაში მკვლევრები თანხმდებიან, რომ მთარგმნელი თავისუფალია სიტყვების შერჩევაში, მაგრამ მან მკაცრად უნდა დაიცვას სათარგმნი ტექსტის შინაარსი.

წერითი თარგმანის დროს დიდ დახმარებას გვიწევს ლექსიკონი. ლექსიკონი არ გვაძლევს სიტყვის კონტექსტუალურ მნიშვნელობას. თუმცა, ორენოვან ლექსიკონში, რამდენადაც სრულყოფილი არ უნდა იყოს ის, შეუძლებელია გათვალისწინებული იქნეს ენის ყველა ნიუანსი. ამ შემთხვევაში უმჯობესია განმარტებითი ლექსიკონის გამოყენება, რომელიც ყველა კითხვას ამომწურავ პასუხს გასცემს. აგრეთვე, საფრთხილოა ფრაზეოლოგიური ერთეულების თარგმნა. ასეთ დროს სწორედ უნდა იქნეს გაგებული და თარგმნილი ფრაზეოლოგიზმი არსებული შესატყვისის მეშვეობით. ა. ფეოდოროვის სიტყვები რომ მოვიშველიოთ: „სრულყოფილი თარგმანი ნიშნავს ორიგინალის სემანტიკური სტრუქტურის ამომწურავ გადმოცემას ისე, რომ თარგმანი სრულიად შეესაბამებოდეს ორიგინალს ფუნქციურად და სტილისტურად. თარგმანში ლექსიკური ვაკუუმი არსებობს, ანუ როდესაც სიტყვის თარგმნა შეუძლებელია. ეს ეხება ძირითადად ისეთ საგნებს და ჩვევებს, რომლებიც უცხოა სხვა ქვეყნის კულტურისათვის. ესაა ძირითადად კერძების სახელწოდებანი, ადათ-წესები, მეცნიერული თუ ტექნიკური

სიახლეები. ასეთ დროს დიდი მნიშვნელობა ენიჭება მთარგმნელის მიერ გაკეთებულ შენიშვნებს, რათა მკითხველისათვის გასაგები იყოს ესა თუ ის ცნება [ჯაში, ჯაში, 2003].

მთარგმნელს მზამზარეული მასალა არ ხვდება. მას ორივე ენის სრულყოფილი ცოდნა ესაჭიროება, რომ გამოთქმა თუ ტერმინი რაც ორიგინალში ხვდება სათარგმნი ენის ყალიბში მოაქციოს და ბუნებრივ ფორმად აქციოს [მიქაძე, 2014: 48].

თარგმანის სტილის განსაზღვრისათვის ეყრდნობიან, ერთი მხრივ, მხატვრული თარგმანის შემოქმედებით კონცეფციას, მეორე მხრივ, კი კვლევის ინტერდისციპლინარულ და პარადიგმულ მეთოდოლოგიას [მარდალეიშვილი, 2013]. არსებობს კრიტერიუმები, რომელთა გათვალისწინებაც აუცილებელია თარგმანის შეფასებისას. გერმანელი მეცნიერის ვერნერ კოლერის მიერ დასახელდა ეკვივალენტების ხუთი კატეგორია, რისი მემშვეობითაც თარგმანი შეფასდება იმის მიხედვით, კარგია თუ არა იგი.

ა) თარგმანმა უნდა გადმოსცეს ის ინფორმაცია, რაც მოცემულია ორიგინალში ექსტრალინგვისტური რეალობის შესახებ.

ბ) თარგმანში შენარჩუნებული უნდა იყოს სტილი.

გ) თარგმანი უნდა შეესაბამებოდეს თარგმნილი ტექსტის ხასიათს.

დ) თარგმანი უნდა მიესადაგებოდეს მკითხველის ცოდნის დონეს, რათა მისი გაგება შესაძლებელი იყოს.

ე) თარგმანმა იგივე ესთეტიკური ზეგავლენა უნდა მოახდინოს, როგორც ორიგინალმა [ჯაში, ჯაში, 2003].

თომას მანი საკმაოდ სკეპტიკურად უყურებდა თარგმანში არათუ სტილის, არამედ იდეური მხარის აღდგენის შესაძლებლობასაც კი, მაგრამ თარგმანს ეროვნული კულტურის აღორძინების საქმეში მაინც უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდა. მწერალი თავის უნგრულ გამომცემელს ენე დიემორის სწერდა: „...პოეტური ქმნილების სხვა ენაზე თარგმნა შეუძლებელია. ეს ფაქტი უკვე დიდი ხანია აღიარებულია, მაგრამ ვინ იცის, იქნებ ეს აზრი მაღალი პროზის მიმართაც სწორი გამოდგეს? თარგმანში ხომ იკარგება

მისი ბუნებრიობა, ირღვევა რიტმი, იკარგება ყველა ფაქიზი ნიუანსი, უფრო მეტიც, ნაწარმოების შინაგანი მიზანსწრაფვა, სულიერი წყობა და იდეური ჩანაფიქრიც კი ისე მახინჯდება, რომ მისი ცნობაც კი ჭირს, მახინჯდება სრულ გაუგებრობამდე, თუმცა მთარგმნელს შეიძლება სულით და გულით სურდა შეექმნა ზუსტი თარგმანი“. მწერლის ამ მოსაზრებას მეცნიერები მეტად მკაცრად და გადაჭარბებულად მიიჩნევენ, თუმცა ფიქრობენ, რომ მასში არის ჭეშმარიტების მარცვალი [ფანჯიკიძე, 1980].

როგორც გაჩეჩილაძე აღნიშნავს, ყოველგვარი პროზა, მათ შორის მხატვრულიც, კომპოზიციურად ორგანიზებულია სინტაქსური კონსტრუქციებით და ამიტომ თარგმანის პროცესში დიდი მნიშვნელობა ენიჭება იმ სემანტიკურ ურთიერთობას, რომელიც კერ კიდევ დედანშია დამყარებული სიტყვიერ სახეებში გამოხატულ აზრსა, ინტონაციასა, რიტმსა და სინტაქსურ წყობას შორის და რომელიც უნდა აისახოს თარგმანში. პროზა მიჩნეულია, როგორც ცოცხალი სინამდვილის მხატვრული ანარეკლი [გაჩეჩილაძე, 1966: 135].

სხვადასხვა ენაში არსებული სიტყვის სხვადასხვა სემანტიკური ტევადობა, სიტყვების სხვადასხვა კომბინატორული ცვლილებანი, სიტყვათშეკავშირების სხვადასხვა კანონები თუ ფრაზეოლოგიური ერთეულების სხვადასხვა მეტასომიოტური საფუძველი თარგმნისას გარკვეულ სიძნელეებს წარმოშობს, მაგრამ სათარგმნ ტექსტში ასახული სინამდვილის სწორი და ღრმა გაგების შესაძლებლობა ამ სიძნელეებს დასაძლევს ხდის [ფანჯიკიძე, 1980]. როგორც მანანა მიქაძე შენიშნავს, უმჯობესია, თუ მთარგმნელი სიტყვასიტყვით არ იცავს დედნის ტექსტს და ცდილობს აზრობრივი თარგმანი შეასრულოს, ოღონდ შეასრულოს მაღალმხატვრულად. მთარგმნელმა უნდა შეძლოს სათქმელი ბუნებრივი ფრაზებითა და სიტყვებით გადმოსცეს და ამავე დროს იმ ენის წინადადების წყობილება საიდანაც თარგმნის, გახადოს დამახასიათებელი სათარგმნი ენისათვის. ამ შემთხვევაში, შესაძლოა ჩაითვალოს, რომ თარგმანი მხატვრული სახეებით შორდება ორიგინალს, შინაარსობრივი სივრცე შეუცვლელადააა შენარჩუნებული, და რაც მთავარია, ჟღერადობით არ ჩამორჩება დედანს [მიქაძე, 2014: 53].

თარგმანი კულტურათაშორისი კომუნიკაციის ერთ-ერთი ნაირსახეობაა და ყველა ის პრობლემა, რომლებიც აღნიშნულ პროცესს ახასიათებს - კომუნიკაციური კონფლიქტები, პარტნიორთა ურთიერთგაუგებრობა, პოზიციათა დაპირისპირება - ამა თუ იმ ფორმით მასშიც აირეკლება. თარგმანი საშუალებას გვაძლევს არა მარტო მივიღოთ ინფორმაცია სხვა კულტურაზე, არამედ ცდილობს განსხვავებულ ეროვნულ კულტურებში მოიძიოს ეთნოენობრივი ცნობიერებების თანხვედრისა და ჰარმონიზაციის გზები. ამ თვალსაზრისით თარგმანი კულტურათაშორისი კომუნიკაციისა და კონფლიქტოლოგიისთვის წარმოადგენს ისტორიულად ჩამოყალიბებულ ემპირიულ ბაზას, რომლის საფუძველზეც შესაძლოა დავსახოთ ეთნოენობრივ ცნობიერებათა ერთიანობის მიღწევის გზები [წურწუშია 2013: 8].

ტერმინში „ლიტერატურა“ იგულისხმება სხვადასხვა ლიტერატურული ჟანრი. პოეზია, შეიძლება ითქვას, მათ შორის ყველაზე საინტერესოა, რადგანაც, ის კონცენტრირებული ენაა. მასში თითოეული სიტყვა დიდი სიფრთხილით უნდა იქნეს შერჩეული. პოეზიას განსაკუთრებული სიფრთხილით უნდა ეპყრობოდეს მთარგმნელი. იქიდან გამომდინარე, რომ ძირითადად პოეზია დიდი ექსპრესიულობის შემცველია, თარგმანმა უნდა შეძლოს იგივე ემოციის შენარჩუნება [Noras, 2013: 4-5].

პროზის თარგმანში განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს სინტაქსურ წყობას. გაჩეჩილაძე მიიჩნევს, რომ ეს გარემოება ზრდის პროზის მთარგმნელის პასუხისმგებლობას. მისი წინადადება არ უნდა არღვევდეს ნორმებს, სინტაქსურ წყობას. მან უნდა იპოვოს მშობლიურ ენაში სინტაქსური წყობის ისეთი ფორმა, რომელიც მოცემულ შემთხვევაში მას ესაჭიროება. ამ ფორმათა ძიებისა და პოვნის უნარზეა დამოკიდებული დედნის სწორი სტილისტური გადმოცემაც თარგმანში და თარგმანის საბოლოო გამარჯვებაც [გაჩეჩილაძე, 1966: 263-264].

თარგმანი, იქნება ეს პროზა თუ პოეზია, მხატვრული, თუ არამხატვრული, ჩაითვლება მისაღებად, როდესაც მასში არსებული ლინგვისტური თუ სტილისტური მახასიათებლები გამორჩეულია და მასში იგრძნობა უცხოელი მწერლის პიროვნული

მახასიათებლები, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, როდესაც თარგმანი ფაქტიურად თარგმანი არ არის და ის „ორიგინალი“ [Durduneanun, 2011: 61].

უკანასკნელი 30 წლის მანძილზე მრავალი სამეცნიერო ნაშრომი მიემდვნა თარგმანის ზოგადთეორიულ, თუ პრაქტიკულ საკითხებს, როგორც საქართველოში, ისე საზღვარგარეთ, რაც, თავისთავად, მოწმობს თარგმანის თეორიის მომძლავრებას და მის დამკვიდრებას სხვა ფილოსოფიური დისციპლინების გვერდით. თარგმანის თეორიას ყოველთვის ერთი საერთო აზრი წარმართავს: მხატვრული თარგმანი შემოქმედებაა, ოღონდ ფილოლოგიურ შრომასთან შერწყმული შემოქმედება [ფანჯიკიძე, 1988: 3]. მხატვრული ნაწარმოები ყოველთვის იზიდავს მთარგმნელის ყურადღებას, რათა ახალი სიცოცხლე შთაბეროს ნაწარმოებს და, ამავდროულად, მაქსიმალურად ასახოს დედანში მოქცეული განცდა თუ შინაარსი, რაც ხშირად გარკვეულ სირთულეებთანაა დაკავშირებული.

მხატვრული თარგმანის კვლევა ხშირად ხდება ისტორიულ, ლიტმცოდნეობით, ენათმეცნიერულ, სტილისტიკურ, ფილოსოფიურ ან ფსიქოლოგიურ ჭრილში და ყოველ მათგანს თავისი მეცნიერული ღირებულება გააჩნია, თუმცა, კვლევის შედეგად ირკვევა, რომ თარგმანი ისეთი რთული მხატვრული ფენომენია, რომ თარგმანის თეორია ვერ თავსდება მხოლოდ ზემოთ ჩამოთვლილ ერთ რომელიმე დისციპლინაში და ახდენს მათ სინთეზს [ფანჯიკიძე, 1988: 3].

მხატვრული თარგმანი გაგებული უნდა იქნეს, როგორც კულტურათა დიალოგი, რომელიც არა მარტო კულტურათა ურთიერთობასა და გაცვლას გულისხმობს, არამედ, როგორც გოეთე წერდა: „ენებს შორის შემოქმედებით პაექრობასაც“. თარგმანის დროს მთარგმნელი ემსახურება არა მარტო თავის ერს, არამედ იმ ერსაც, რომლის ენიდანაც თარგმნის ნაწარმოებს.

იმის გამო, რომ არ არსებობს ორი იდენტური ენა, შეუძლებელია ენათა შორის ზუსტ შესაბამისობათა დადგენა. შესაბამისად, სავსებით ზუსტი თარგმანის არსებობა წარმოუდგენელი რამ არის. კონსტანს ბ. უესტი წერდა: „ის ვინც ხელს ჰკიდებს

თარგმნას, ვალს იღებს, რომლის გასტუმრებისას მან უნდა გადაიხადოს იგივე თანხა, ოღონდ სხვა ფულით“ [ნაიდა, 2013: 137].

გოლზუორთის ტექსტის ქართულად თარგმნისას ე. მალრაძესა და ვ. ჭელიძეს უნდა გაეთვალისწინებინათ ნაწარმოებში აღწერილ მოვლენათა „ევროპული სპეციფიკა“ და ინგლისელი მკითხველის გემოვნება, რამაც განსაზღვრა რომანის სტილისტიკა და, შესაბამისად, გამოყენებული მთარგმნელობითი მეთოდებისა და ხერხების ხასიათი. რა თქმა უნდა, მხატვრული თარგმანისა და ორიგინალის შეპირისპირებითი ანალიზი კრიტიკოსის საქმეა. ენათმეცნიერი აკბარი თარგმანის შესახებ მსჯელობისას აღნიშნავს, რომ კარგი მთარგმნელი უნდა იცნობდეს კულტურას, წეს-ჩვეულებებს და სოციალურ მდგომარეობას იმ საზოგადოებისა, რომლის ენიდანაც თარგმნის ნაწარმოებს. ამით თარგმანის ხარისხი მეტად ამალდება [Akbari, 2013: 13]. მკითხველის გონებაში ორიგინალისა და თარგმანის სტილური შესაბამისობა თუ შეუსაბამობა ანალიზური გზით როდი ფიქსირდება. მკითხველისათვის მხოლოდ მაშინ გახდება ცხადი ორიგინალისა და თარგმანის სტილური შესაბამისობა, თუ იგი თარგმანშიც გამოარჩევს ავტორისეულ ენასა და პერსონაჟების ენობრივ პორტრეტებს, თუ თარგმანიდანაც ნათლად დაამახსოვრდება მწერლის მიერ გამოკვეთილი ხასიათები, თუ მის ცნობიერებაში ერთნაირად არ ისაუბრებენ არისტოკრატი და მდაბიო, გაუნათლებელი და განათლებული, თუ მკითხველს გაუჩნდა შეგრძნება, რომ მშობლიურ ენაზე წაიკითხა ჭეშმარიტად მხატვრული ნაწარმოები, რომელსაც უცხო სურნელიც ახლდა თან [ფანჯიკიძე, 1980]. ინგლისურ და ქართულ ენებს შორის არსებული ლინგვისტური განსხვავებების გამო, რთულია თარგმანში სრული იდენტურობის მიღწევა [გორგიშელი, გელდიაშვილი, 2016: 21].

ტროპი მხატვრულ ნაწარმოებში ასრულებს განსაკუთრებულ ფუნქციას გმირის სულიერი სამყაროს შექმნაში, პოეტური სურათისა და მძაფრი კონტრასტების დაცვაში. შედარებების გადატანა ზოგჯერ არ არის ძნელი, რადგანაც ხშირ შემთხვევაში მას კონკრეტულობის მომენტი ახლავს. საგნის შინაარსი ამ შედარებაშია ჩასმული. ტრადიციული შედარებები არ ქმნიან სირთულეს, მათი გადატანა ხდება ლექსიკური

ერთეულის მნიშვნელობათა გადატანით და ამისათვის ვიყენებთ მთარგმნელის ენის სინონიმებს, ან კიდევ მთარგმნელის ენის სრულფასოვან შედარებას. მაგრამ კონტექსტში ისინი სხვადასხვანაირად არ უნდა იძლეოდნენ, არ უნდა ქმნიდნენ დედნისაგან განსხვავებულ პოეტურ სურათს [ასათიანი, 2014: 22-23].

პროშინას აზრით, ტროპები მხატვრული ენის ორნამენტული ლექსიკური მნიშვნელობებია, რომლებიც ძირითადად ლიტერატურულ ნაწარმოებებში პოეზიას თავიანთ ადგილს. მთარგმნელს, რომელსაც მათთან შეხება უწევს, ევალება, რომ იმავე ექსპრესიულობითა და სიძლიერით გადმოიტანოს ისინი თარგმანში და მკითხველში აღძრას ისეთივე ემოცია, როგორც ამას ორიგინალი ტექსტები ახერხებენ [Proshina, 2008: 208]. ლიტერატურულმა თარგმანებმა უცვლელად უნდა გადაიტანონ წყარო ტექსტის ყოველი ლიტერატურული შტრიხი, როგორცაა ბგერითი ეფექტები, მორფო-ფონეტიკური სიტყვათა შერჩევა, მხატვრული ხერხები [Hassan, 2011: 13].

მხატვრული მეტყველების სისტემაში განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვთ ეპითეტს, მეტაფორას, შედარებას. მათი საშუალებით იქმნება გამომსახველი და კოლორიტული მხატვრული სახეები და პოეტური ნიუანსები. შესაბამისად, მთარგმნელმა უნდა გაითვალისწინოს მათი სემანტიკა. ამასთან, საჭიროა, გათვალისწინებულ იქნეს ყველა მომენტი, რათა არ მოიშალოს მათი ხასიათი. თუ ტროპს დაკისრებული აქვს რიტმული ფუნქცია, ამ ფუნქციის შენარჩუნება თარგმანში აუცილებელია [თ. ასათიანი, 2014: 23].

## 4.2. ლექსიკო-სემანტიკური მახასიათებლები

მხატვრული ხერხის - შედარების თარგმანის ლექსიკო-სემანტიკურ მახასიათებლებზე დაკვირვებამ საკმაოდ საინტერესო შედეგი მოგვცა. გამოიკვეთა შემთხვევები, როდესაც თარგმანში შედარება არ იცვლება და თავის ადგილს ინარჩუნებს და შემთხვევები, როდესაც ვერ ხერხდება მისი თარგმანში გადატანა.

### თანხვედრები თარგმანთან:

ამ შემთხვევაში, მთარგმნელის მიერ გათვალისწინებულია შედარების ხასიათი და ფუნქცია. შესაბამისად, ისინი თარგმანში უცვლელად და დიდი სიზუსტითაა გადატანილი.

1. **Like an artist** for ever seeking to discover the significant trifle [Galsworthy, 1974: 32] - მსგავსად მხატვრისა, რომელიც მუდამ იმის ძიებაშია, რომ დამახასიათებელი წვრილმანი გამომსახველობითი საშუალებები იპოვოს [გოლზუორთი, 1965: 11] - ინგლისურში შედარება გამოხატულია მაკავშირებლით **like**, ხოლო ქართულში სიტყვით - მსგავსად.
2. Looks to me for all the world **like an alf-tame leopard** [Galsworthy, 1974: 34] - გაშმაგებულ ავაზასავით იყურება, [გოლზუორთი, 1965: 13] - ინგლისურში შედარება გამოხატულია მაკავშირებლით **like**, ხოლო ქართულში იგივე შედარება მოცემულია სიტყვით ავაზასავით.
3. He prized nothing **so highly as a distinguished appearance** [Galsworthy, 1974: 38]- იგი არაფერს არ აფასებდა ისე, როგორც გამორჩეულ გარეგნობას [გოლზუორთი, 1965: 17] - ინგლისურში შედარება გამოხატულია მაკავშირებლით **so... as**, ქართულში კი სიტყვით როგორც.
4. In a house high up on Campden Hill, shaped **like a giraffe** [Galsworthy, 1974: 43]- კემპდენ ჰილის თავზე ცხოვრობდნენ, ჟირაფის მსგავს სახლში [გოლზუორთი, 1965: 23]- ინგლისურში მაკავშირებელი **like** გამოხატავს შედარებას, ხოლო ქართულში შედარება გადმოცემულია სიტყვით მსგავსი.



5. He was **as upright** – very nearly – **as in those old times** when he came every night [Galsworthy, 1974: 54] - მას ისევე სწორად ეჭირა სხეული - თითქმის ისევე, როგორც ძველად, როცა ყოველდღე ოპერაში დადიოდა [გოლზუორთი, 1965: 34] - ინგლისურში შედარება გამოხატულია მაკავშირებლით **as...as**, ქართულში კი შედარება გამოხატულია სიტყვებით **ისევე, როგორც**.
6. The perfect luxury of his latter days had embedded him **like a fly in sugar** [Galsworthy, 1974: 61] - ფუფუნებამ ის შაქარნასუსენი ბუზივით გააბრუნა [გოლზუორთი, 1965: 42] - ინგლისურში შედარება გამოხატულია მაკავშირებლით **like**, ქართულში კი სიტყვით **ბუზივით**.
7. It has a past and a future, **like a deposit paid into a bank** [Galsworthy, 1974: 67] - მას ბანკში შენახული ფულივით თავისი წარსული და მომავალი გააჩნია [გოლზუორთი, 1965: 48]- ინგლისურში მაკავშირებლით - **like** გამოხატული შედარება, ქართულში მოცემულია სიტყვით **ფულივით**.
8. His sleek hair under the brim of the tall hat had a sheen, **like the hat itself** [Galsworthy, 1974: 76] - ქუდიდან გამოჩრილი სწორი თმები საკუთარი ცილინდრივით უბრწყინავდა [გოლზუორთი, 1965: 59]. - ინგლისურში შედარება გამოხატულია მაკავშირებლით **like**, ქართულში კი სიტყვით **ცილინდრივით**.
9. His sight was **as good – almost as good** as in those old times when he came every night [Galsworthy, 1974: 54]- მხედველობაც ისეთივე გამჭრიახი - თითქმის ისეთივე გამჭრიახი შერჩა, როგორც ძველად, როცა ყოველდღე ოპერაში დადიოდა [გოლზუორთი, 1965: 34] - შედარება ინგლისურში გამოხატულია მაკავშირებლით **as...as**, ქართულ თარგმანში კი შედარება გამოხატულია „ისეთივე“, „თითქმის ისეთივე, როგორც“ მაკავშირებელი სიტყვებით.

### განსხვავებები თარგმანთან:

ასეთ დროს ვერ ხერხდება შედარების უცვლელი სახით გადატანა. მთარგმნელს უწევს სხვა სიტყვებით გადმოსცეს სათქმელი, რათა უფრო ზუსტი და ადვილად აღსაქმელი გახადოს მკითხველისათვის ორიგინალში ჩადებული აზრი.

1. Forsyte and Treffry, whose tea, **like no other man's tea**, had a romantic aroma [Galsworthy, 1974: 49] – „ფორსაიტი და ტრეფრის“ ჩაი რომანტიკული არომატით სრულიად განსხვავდებოდა სხვა ფირმის ჩაისაგან [გოლზუორთი, 1965: 29]- ინგლისურში შედარება გამოხატულია მაკავშირებლით **like**, ხოლო ქართულ თარგმანში შედარების გამომხატველი სიტყვა არ მოიძებნება. ორი ტიპის ჩაი ერთმანეთთან კონტრასტულია.
2. It was cold too, the wind, **like some slow, disintegrating force** [Galsworthy, 1974: 122] - თანაც სიცივე ძვალსა და რბილში უჯდებოდათ [გოლზუორთი, 1965: 106] - ინგლისურში შედარება გამოხატულია მაკავშირებლით **like**, ხოლო ქართულ თარგმანში შედარება სრულიად დაკარგულია.
3. That promised to autumn lovers **such cover as was never seen before** [Galsworthy, 1974: 198] - ტყე და ბუჩქნარი იმგვარად გაფოთლილიყო და ისეთი პირი უჩანდა, რომ შემოდგომისათვის შეყვარებულებს ჯერ არნახულ თავშესაფარს ჰპირდებოდა [გოლზუორთი, 1965: 189] - ინგლისურში შედარება გამოხატულია მაკავშირებლით **such as**, ქართულ თარგმანში კი შედარება დაკარგულია.
4. The dog Balthasar, **as close as might be** to the tea – table, had fixed his eyes on the cake [Galsworthy, 1974: 103] - ბალთაზარი კი რაც შეიძლება ახლოს მიცუცქებოდა მაგიდას და ტორტს შესციცინებდა [გოლზუორთი, 1965: 87] - დედანში შედარება გამოხატულია მაკავშირებლით **like**, ხოლო ქართულ თარგმანში შედარება საერთოდ დაკარგულია.
6. June gazed at her intently, with a look in her eyes **as if her conscience had suddenly leaped up** into them [Galsworthy, 1974: 108] - ჯუნის დაჟინებულ ცქერაში სინდისის

ქენჯნა გამოკრთა [გოლზუორთი, 1965: 93] - დედანში შედარება გამოხატულია მაკავშირებლით **as if**, ქართულ თარგმანში კი შედარება სრულიად დაკარგულია.

დაკვირვებამ გვიჩვენა, რომ მაგალითების უმრავლესობა უცვლელად შეიცავს შედარებას როგორც ორიგინალ, ისე ნათარგმნ ვერსიებში. შესაბამისად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მთარგმნელი დიდი სიფრთხილით ეპყრობოდა მხატვრული ხერხის - შედარების თარგმანს და ცდილობდა, უცვლელად გადმოეცა, არ დაეკარგა იგი. ის ქართული შედარების გამომხატველ სხვადასხვა საშუალებას იყენებდა, რათა მისი თარგმანიც ისეთივე მძაფრი და აღქმადი ყოფილიყო, როგორც თვით ორიგინალია. ამ შემთვევაში ის ცდილობდა ისეთი ლექსიკით გადმოეცა სათქმელი, რაც ყველაზე მეტად გასაგები იქნებოდა ქართველი მკითხველისათვის. ამის გამო კი, ზოგჯერ, ცვლილებების შეტანაც უწევდა მას თარგმანში.

### 4.3. მორფო-სინტაქსური მახასიათებლები

მხატვრული შედარების მოძიებულ მაგალითებზე დაკვირვებამ გვიჩვენა, რომ ორიგინალში შედარება ძირითადად გამოხატულია **like** მაკავშირებლითა და არსებითი სახელით, ასევე გვაქვს შემთხვევები, როცა შედარება გამოხატულია **as...as** და **so... as** მაკავშირებლებით. **Like** მაკავშირებლით გამოხატული შედარებები მთარგმნელის მიერ უმეტეს შემთხვევაში ითარგმნება დამხმარე სიტყვის -**მსგავსად** დახმარებითა და არსებით სახელზე -**ვით** თანდებულის დართვით. ხოლო **so...as** და **as...as** მაკავშირებლებით გამოხატული შედარება ნათარგმნია **ისევე როგორც** მაკავშირებლის დახმარებით.

1. „**Like an artist** for ever seeking to discover the significant trifle“ [Galsworthy, 1974: 32] - „**მსგავსად მხატვრისა**, რომელიც მუდამ იმის ძიებაშია, რომ დამახასიათებელი წვრილმანი გამომსახველობითი საშუალებები იპოვოს“ [გოლზუორთი, 1965: 11] - ინგლისურში შედარება გამოხატულია მაკავშირებლით **like**, ხოლო ქართულში სიტყვით - **მსგავსად**. მთარგმნელს

შეეძლო ნაცვლად სიტყვისა -**მსგავსად** აზრი გადმოეცა -**როგორც** მაკავშირებლის დახმარებით (როგორც მხატვარი), თუმცა ჩანს, რომ კონკრეტულ შემთხვევაში სიტყვით -**მსგავსად** მთარგმნელმა უფრო მეტად გააძლიერა ექსპრესია.

2. „Looks to me for all the world **like an alf-tame leopard**“ [Galsworthy, 1974: 34] - „გაშმაგებულ **ავაზასავით იყურება**“ [გოლზუორთი, 1965: 13] - ინგლისურში შედარება გამოხატულია მაკავშირებლით **like**, ხოლო ქართულში იგივე შედარება მოცემულია არსებით სახელზე „ვით“ თანდებულის დართვით - **ავაზასა-ვით**. მთარგმნელს შეეძლო შედარება დამხმარე სიტყვა -**მსგავსად** ან -**როგორც** მაკავშირებლის საშუალებით გამოეხატა (გაშმაგებული ავაზის მსგავსად, როგორც ავაზა), თუმცა მიგვაჩნია, რომ მან სწორი არჩევანი გააკეთა, რადგან „ვით“ თანდებულის გამოხატული შედარება მეტად ექსპრესიულია მოცემულ შემთხვევაში.
3. „He prized nothing **so highly as a distinguished appearance**“ [Galsworthy, 1974: 38] - „იგი არაფერს არ აფასებდა **ისე, როგორც გამორჩეულ გარეგნობას**“ [გოლზუორთი, 1965: 17] - ინგლისურში შედარება გამოხატულია მაკავშირებლით **so... as**, ქართულში კი დამხმარე სიტყვით **როგორც**, რომელიც წინ უსწრებს არსებით სახელს -**გარეგნობა**. მიგვაჩნია, რომ აღნიშნულ შემთხვევაში -**როგორც** მაკავშირებელი სიტყვის გამოყენება ყველაზე მისაღები იყო, ვიდრე მთარგმნელს შეეძარება -**მსგავსად** დამხმარე სიტყვის საშუალებით გამოეხატა.
4. „In a house high up on Campden Hill, shaped **like a giraffe**“ [Galsworthy, 1974: 43] - „კემპდენ ჰილის თავზე ცხოვრობდნენ, **ჭირაფის მსგავს** სახლში“ [გოლზუორთი, 1965: 23] - ინგლისურში მაკავშირებელი **like** და არსებითი სახელი **giraffe** გამოხატავს შედარებას, ხოლო ქართულში შედარება გადმოცემულია სიტყვით **მსგავსი** და არსებითი სახელით **ჭირაფი**. ამით მთარგმნელი მეტად ექსპრესიულს ხდის აზრს.

5. „He was **as upright** – very nearly – **as in those old times** when he came every night“ [Galsworthy, 1974: 54] - „მას **ისევე სწორად** ეჭირა სხეული - **თითქმის ისევე, როგორც ძველად**, როცა ყოველდღე ოპერაში დადიოდა“ [გოლზუორთი, 1965: 34] - ინგლისურში შედარება გამოხატულია მაკავშირებლით **as...as**, ქართულში კი შედარება გამოხატულია სიტყვებით **ისევე, როგორც** და არსებითი სახელით - **ძველად**. მოცემულ შემთხვევაში მთარგმნელს არ ჰქონდა არჩევანი, თუ რა საშუალებით გამოეხატა შედარება. ვფიქრობთ, -**ისევე, როგორც** მაკავშირებელი ერთადერთი საშუალება იყო შედარების ისეთივე ექსპრესიულობით გამოსახატავად, როგორც ეს ორიგინალშია.
6. The perfect luxury of his latter days had embedded him **like a fly in sugar** [Galsworthy, 1974: 61] - ფუფუნებამ ის **შაქარნასუსენი ბუზივით** გააბრუნა [გოლზუორთი, 1965: 42] - ინგლისურში შედარება გამოხატულია მაკავშირებლით **like**, ქართულში კი არსებით სახელზე -**ვით** თანდებულის დართვით **ბუზი-ვით**. მთარგმნელს შეეძლო შედარება მაკავშირებელი სიტყვა - **როგორც** დახმარებითაც გამოეხატა თარგმანში, თუმცა ვფიქრობთ ამ შემთხვევაში ექსპრესია დაიკარგებოდა.
7. It has a past and a future, **like a deposit paid** into a bank [Galsworthy, 1974: 76] - მას ბანკში **შენახული ფულივით** თავისი წარსული და მომავალი გააჩნია [გოლზუორთი, 1965: 48] - ინგლისურში მაკავშირებლით - **like** და არსებითი სახელით -**deposit** გამოხატული შედარება, ქართულ თარგმანში გამოხატულია სიტყვით **ფული-ვით**. ამ შემთხვევაშიც მთარგმნელს შეეძლო შედარება გამოეხატა დამხმარე სიტყვა -**მსგავსად** დახმარებით.
8. „His sleek hair under the brim of the tall hat had a sheen, **like the hat** itself“ [Galsworthy, 1974: 76] - „ქუდიდან გამოჩრილი სწორი თმები საკუთარი **ცილინდრით** უბრწყინავდა [გოლზუორთი, 1965: 59] - ინგლისურში შედარება გამოხატულია მაკავშირებლით **like**, ქართულში კი არსებით სახელზე -**ვით** თანდებულის დართვით **ცილინდრი-ვით**. აღნიშნულ შემთხვევაშიც

მთარგმნელმა არჩია -ვით თანდებულის საშუალებით გამოეხატა შედარება ვიდრე დამხმარე სიტყვა -**მსგავსად** გამოეყენებინა.

#### 4.4. უთარგმნელობის პრობლემა

აღსანიშნავია შემთხვევები, სადაც მხატვრული შედარება მთარგმნელის მიერ იცვლება ან იკარგება. თუმცა, ჩვენეული დაკვირვება ცხადყოფს, რომ მთარგმნელის პოზიცია მსგავს შემთხვევებში გამართლებულია, რადგანაც ის მაქსიმალურად ცდილობს გადმოსცეს ორიგინალის ემოცია და განწყობა. მსგავსი შემთხვევები ნოველის თარგმანში უმნიშვნელო რაოდენობითაა, შესაბამისად, აღნიშნულს მთარგმნელის დანაშაულად და თარგმანის ნაკლად ვერ მივიჩნევთ.

1. Forsythe and Treffry, whose tea, **like no other man's tea**, had a romantic aroma [Galsworthy, 1974: 49] – „ფორსაიტი და ტრეფრის“ ჩაი რომანტიკული არომატით სრულიად განსხვავდებოდა სხვა ფირმის ჩაისაგან [გოლზუორთი, 1965: 29] - ინგლისურში შედარება გამოხატულია მაკავშირებლით **-like** და არსებითი სახელით **-tea**, ხოლო ქართულ თარგმანში შედარების გამომხატველი სიტყვა არ მოიძებნება.
2. It was cold too, the wind, **like some slow, disintegrating force** [Galsworthy, 1974: 122] - თანაც სიცივე ძვალსა და რბილში უჯდებოდათ [გოლზუორთი, 1965: 106] - ინგლისურში შედარება გამოხატულია მაკავშირებლით **like** და არსებითი სახელით **-force**, ხოლო ქართულ თარგმანში შედარების გამომხატველ სიტყვას ვეღარ ვხვდებით.
3. That promised to autumn lovers **such cover as was never seen before** [Galsworthy, 1974: 198] - ტყე და ბუჩქნარი იმგვარად გაფოთლილიყო და ისეთი პირი უჩანდა, რომ შემოდგომისათვის შეყვარებულებს ჯერ არნახულ თავშესაფარს ჰპირდებოდა [გოლზუორთი, 1965: 189] - ინგლისურში შედარება გამოხატულია მაკავშირებლით **such as**, ქართულ თარგმანში კი იგი საერთოდ დაკარგულია.

ცნობილი მთარგმნელი იუჯინ ნაიდა თავის სტატიაში „თარგმანის ხელოვნებისათვის“ აყალიბებს მახასიათებლებს, რომლებიც ზოგადად კარგ თარგმანს მოეთხოვება:

1. „მთარგმნელს უნდა ესმოდეს ან გაეგებოდეს ორიგინალის სიტყვა, როგორც აზრობრივად, ისე სტილურად“.
2. „მან უნდა დაძლიოს ორ ლინგვისტურ სტრუქტურას შორის არსებული განსხვავება“.
3. „თავის თარგმანში მან უნდა ახლად შექმნას ორიგინალის სტილისტური სტრუქტურა“ [ნაიდა, 2013: 140].

შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მთარგმნელი ჩვენს შემთხვევაში სამივე კრიტერიუმს აკმაყოფილებს. მას კარგად ესმის ორიგინალის ენა და განსაკუთრებული სიფრთხილით ეპყრობა მხატვრული ხერხის - შედარების თარგმნას; ცდილობს, უცვლელად გადმოსცეს, არ დაკარგოს იგი. მთარგმნელი ქართული შედარების სხვადასხვა გამომხატველ საშუალებას იყენებს, რათა მისი თარგმანიც ისეთივე მძაფრი და აღქმადი იყოს, როგორც თვით ორიგინალია. თუმცა, მას ზოგჯერ ცვლილებების შეტანაც უწევს თარგმანში. რაც გულისხმობს, ისეთი ლექსიკური ერთეულების გამოყენებას, რომლებიც ყველაზე მეტად გასაგები და აღქმადი იქნება ქართველი მკითხველისათვის.

საინტერესო აღმოჩნდა ქართული პოეზიის ნიმუშების ინგლისურ თარგმანებზე დაკვირვება, შედარების სტრუქტურის გათვალისწინებით. მიჩნეულია, რომ პოეზიის თარგმნა, პროზასთან შედარებით, რთულია, რადგან მთარგმნელმა უნდა შეძლოს ლირიკული გმირის (პოეტის) გრძნობებისა და ემოციების გადმოცემა იმავე ხარისხით, როგორც ეს ორიგინალშია. ქართული ლექსის ძირითადი რიტმული ერთეულია ტაეპი, რომლის შექმნაშიც მონაწილეობას იღებს შინაარსი, რიტმი, რითმა, შესაბამისად, ლექსის თარგმანისას სასურველია, დაცული იყოს სამივე მახასიათებელი, რაც თარგმანის ექსპრესიულობას განაპირობებს. პოეტის მიერ გამოყენებული მხატვრული ხერხები მის ოსტატობაზე მიუთითებს, მთარგმნელს კი მოეთხოვება, როგორმე სრულფასოვნად გადაიტანოს სტილური ნიშნების მთელი თავისებურებანი, რათა არ გაქრეს მისი ღირებულება. საკითხის შესწავლის მიზნით, საანალიზო მასალად შევარჩიეთ

გალაკტიონ ტაბიძის 4 ლექსი („რომელი საათია?“, „სილაჟვარდე, ანუ ვარდი სილაში“, „მე და ღამე“, „მესაფლავე“) და მათი ინგლისური თარგმანები შესრულებული ვენერა ურუშაძის მიერ. ამ შემთხვევაში ყურადღება გავამახვილეთ შედარების ადგილზე ლექსის ტაეპში, კერძოდ იცვლება, თუ არა მისი ადგილი მთარგმნელის მიერ და ინარჩუნებს თუ არა მის განსაკუთრებულ ექსპრესიულობას მხატვრულ თარგმანში.

„ღმერთო, როგორ მოხდა, წვიმა მოსისხარი,

**თითქოს უწყვეტი კუპრის ნაკადია,**

აღარ გათენდება ღამე საზიზღარი!

რომელი საათია? რომელი საათია?“ [ტაბიძე, 1973: 52].

„God, this sudden early – morning rain

**Attacks like an endless torrent of pitch**

Does this hateful night know any bounds?!

What time is it? What time is it?“ -

[<http://www.wordswithoutborders.org/article/what-time-is-it>].

ლექსის ორიგინალში მეორე ტაეპში ვხვდებით შედარებას, რომელიც წარმოებულია „თითქოს“ სიტყვის საშუალებით (წვიმა შედარებულია უწყვეტ კუპრის ნაკადს). თარგმანში შედარება არ იკარგება და არც ადგილს იცვლის, ის მეორე ტაეპის საწყის პოზიციაში გვევლინება იგივე შინაარსით და შესაბამისი ექსპრესიულობით (**rain... like an endless torrent**).

„დედაო ღვთისავ, მზეო მარიამ

**როგორც ნაწვიმარ სილაში ვარდი,**

ჩემი ცხოვრების გზა სიზმარია

და შორეული ცის სილაჟვარდე“ [ტაბიძე, 1973: 140].

„Ave Maria, sunny Virgin!

**As if a rose in rain-soaked sand,**

My life’s dream, in sleep imagined,

Of skies remote and azure-land” –



[<http://lyricstranslate.com/en/სილაჟვარდე-ანუ-სილაში-ვარდი-azure-land-or-rose.htm>].

ლექსის ორიგინალში მხატვრულ შედარებას ვხვდებით მეორე ტაეპის თავკიდურ პოზიციაში, გამოხატულს - **როგორც** მაკავშირებელი სიტყვით (როგორც სილაში ვარდი), პოეტის ცხოვრების გზა შედარებულია ნაწვიმარ სილაში გაშლილ ვარდთან. ლექსის თარგმანი უცვლელად იმეორებს შედარებას, როგორც შინაარსობრივად, ისე სტრუქტურულად. იწარმოება - **as if** კონსტრუქციით (**as if a rose in rain-soaked sand**). მთარგმნელის მიერ ზედმიწევნით დაცულია დედნის სტილი და სტრუქტურა.

„ცა მტრედისფერ, ლურჯ სვეტებით ისე არის დასერილი,

**ისე არის სავსე გრძნობით, ვით რითმებით ეს წერილი**

საიდუმლო შუქით არე ისე არის შესურდული,

**ისე სავსე უხვ გრძნობებით, ვით ამ ღამეს ჩემი გული**“ [ტაბიძე, 1973: 39].

„Blue columns rise, then lean against the softness of a dove-hued sky

**As full of passion as I would these lines with rhymes to glorify”**

Enchantment silently transforms the world with stealthy magic light

**As full of passionate emotions as my heart this very night” -**

[<http://rustaveli.tripod.com/tabidze.html>].

ლექსის ორიგინალში მხატვრული შედარების ორ მაგალითს ვხვდებით, გამოხატულს ისე...ვით კონსტრუქციით (ისე არის სავსე...ვით რითმებით ეს წერილი, ისე სავსე... ვით ამ ღამეს ჩემი გული). მათ სტროფის მეორე და მეოთხე ტაეპში უკავიათ ადგილი. თარგმანში უცვლელად გადადის შედარებები მთარგმნელის მიერ **as...as** კონსტრუქციით და უცვლელად იკავებს ადგილს სტროფის მეორე და მეოთხე ტაეპებში. ამ გზით მთარგმნელის მიერ დაცულია დედნის სტილი და სტრუქტურა და შესაბამისად შენარჩუნებულია ლექსის რიტმი. თარგმანი ორიგინალს ექვემდებარება.

„გავკრე **ისე, როგორც ნისლი, როგორც ღამის მოჩვენება**“ [ტაბიძე, 1973: 33].

„Let me disappear, **like mist, like ghost of night**” –

[<http://rustaveli.tripod.com/tabidze.html>].

ლექსის ორიგინალში ვხვდებით ორ მხატვრულ შედარებას, რომლებიც მიღებულია „ისე როგორც“ და „როგორც“ მაკავშირებელი სიტყვებით (ისე როგორც ნისლი, როგორც ღამის მოჩვენება). თარგმანში „like“ მაკავშირებლის დახმარებით სტუქტურულად უცვლელად გადმოდის ორივე შედარება (**like mist, like ghost**).

საგულისხმოა შემთხვევა, როდესაც ტაეპში მთარგმნელის მიერ შედარება დაკარგულია.

„ის ქალი კი, წელან რომ ვთქვი, ისევ მოდის თმაგაშლილი,

და სამარეს, დაუვიწყარს, თავს ადგება, **ვით აჩრდილი**“ [ტაბიძე, 1973: 33].

“That woman, which we mentioned still comes,

And doesn't leave that grave” [<http://rustaveli.tripod.com/tabidze.html>].

ორიგინალში ქალი შედარებულია აჩრდილს „ვით აჩრდილი“. თარგმანში შედარება მთარგმნელის მიერ დაკარგულია და შინაარსიც დედანთან არ არის დაქვემდებარებული. დედანში ვკითხულობთ, რომ ქალი ხშირად სტუმრობს სამარეს, როგორც აჩრდილი. თარგმანის მიხედვით კი, ქალი არასოდეს ტოვებს სამარეს.

ქართული პოეზიის ნიმუშების ინგლისურ თარგმანებზე დაკვირვებამ შედარების სტრუქტურის გათვალისწინებით ცხადყო, რომ მთარგმნელი დედანის ერთგულია. თუმცა, ორიგინალი სხვადასხვა მთარგმნელისაგან განსხვავებულ ტრანსფორმაციას განიცდის. თითოეულ მათგანს ხომ ინდივიდუალური სტილი და პოეტური ხელოვნების განსხვავებული უნარი აქვს. დედანის ერთგულება ნებისმიერ შემთხვევაში მთავარი კრიტერიუმია, რაც მიჯაჭვულობას ერთიანად გამორიცხავს. მთარგმნელმა უნდა შეძლოს დედანი და თარგმანი ერთმანეთს ზედმიწევნით კი არ დაამთხვიოს, არამედ მათ შორის დინამიკური კავშირი დაამყაროს. ვფიქრობთ, ჩვენ მიერ საანალიზო მასალად გამოყენებული ქართული პოეზიის ნიმუშები და მათი ინგლისური თარგმანები აღნიშნულ კრიტერიუმებს სრულიად აკმაყოფილებს. მთარგმნელი დედანის სტილს ანიჭებს უპირატესობას და, ამავდროულად, ინგლისური ლექსისათვის დამახასიათებელ საბურველში ხვევს თარგმანს, რაც მისი ოსტატობის დამადასტურებელია.

## დასკვნა

მხატვრული შედარების ენობრივი ექსპრესიის მოდელების კონტრასტულ ჭრილში კვლევამ შესაძლებლობა მოგვცა, დაგვედგინა:

- ტროპი, მართლაც, ექსპრესიული მეტყველების სასიცოცხლო ელემენტია, როგორც ქართულ, ისე ინგლისურ მხატვრულ ლიტერატურაში. ყოველი მწერლის შემოქმედებაში იგი უხვადაა წარმოდგენილი. ზოგადად, ტროპების ექსპრესიული ხასიათი განსაზღვრავს მათ ადგილს, როლსა და მნიშვნელობას მხატვრულ მეტყველებაში. ნაწარმოების ღირებულება განისაზღვრება მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებების სიხშირითა და ხარისხით. ტროპული მეტყველება ექსპრესიულობის განმაპირობებელია.
- ტროპული მეტყველების ბუნებიდან გამომდინარე, ლინგვისტიკისათვის მეტად მნიშვნელოვანია მისი სიღრმისეული კვლევა, გამომდინარე იქიდან, რომ მხატვრული ლიტერატურის ლინგვისტური კვლევისას გვერდს ვერ ავუვლით იმ ენობრივი შესაძლებლობების შესწავლას, რომლებიც ქმნიან ტროპულ მეტყველებას.
- მხატვრული შედარება ტროპის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სახეა. სტილისტური გამოსახვისა და მხატვრული დახასიათების ერთ-ერთ ფორმას, როგორც ქართულ, ისე ინგლისურ ენაში. დაკვირვება ცხადყოფს, რომ შედარების გამოყენების ინტენსივობის თვალსაზრისით, ქართულში მისი არეალი გაცილებით ფართოა და ექსპრესიულად უფრო მეტად გამომსახველია, რაც ქართული ენის სტილურ შესაძლებლობას უნდა მივაწეროთ.
- ქართული ენა შედარების გამოხატვის გრამატიკული საშუალებების ნაირგვარობით გამოირჩევა. ხოლო ინგლისურში, აღნიშნული არეალი უფრო კონკრეტულია.
- დაკვირვება ცხადყოფს, რომ ქართულ ენაში შედარებები უმეტესად გამოხატულია - „როგორც“ მაკავშირებლითა და სახელზე „ვით“ თანდებულის დართვით. „ვით“ თანდებული სახელს დაერთვის როგორც მიცემით, ისე - სახელობით ბრუნვაში.

თუმცა, უფრო ხშირად ის მიცემით ბრუნვაში მდგარ არსებითთან გვხვდება. „ვით“ თანდებული, ჩვეულებრივ, მოსდევს სახელს. ინგლისურში კი, მაკავშირებელი სიტყვები, როგორც წესი, წინ უსწრებენ სახელს. ინგლისურში მარკერი - „like“, ხატოვანი შედარების რეალიზაციის უნივერსალურ და ყველაზე ხშირად გამოყენებად საშუალებად შეგვიძლია მივიჩნიოთ.

- შედარება გადმოიცემა შემდეგი გრამატიკული მოდელებით:

„ვით“ თანდებულის შედარების გრამატიკული მოდელები:

ა) ქართულში:

- არსებითი სახელი სახელობით ბრუნვაში + „ვით“ თანდებული;
- „ისეთი“ + ზედსართავი სახელი + „ითიქო“ + „ვით“ თანდებული;
- არსებითი სახელი მიცემით ბრუნვაში + „ვით“ თანდებული

ბ) ინგლისურში:

- “like” მაკავშირებელი + არსებითი სახელი
- “so” + ზედსართავი სახელი + “as if” + არსებითი სახელი + “like” მაკავშირებელი + არსებითი სახელი;
- “like” მაკავშირებელი + ზედსართავი სახელი + არსებითი სახელი;
- „as” + არსებითი სახელი

„ებრ“ თანდებულის შედარების გრამატიკული მოდელები:

- ნაცვალსახელი + „ებრ“ თანდებული + შემასმენელი;
- არსებითი სახელი + „ებრ“ თანდებული + შემასმენელი;
- შემასმენელი + არსებითი სახელი + „ებრ“ თანდებული

„ვით“ მაკავშირებელი სიტყვით შედარების გამოხატვის მოდელები:

ა) ქართულში:

- „ვით“ მაკავშირებელი სიტყვა + სახელი;
- „ვითა“ მაკავშირებელი სიტყვა + სახელი

ბ) ინგლისურში:

- “like” მაკავშირებელი + სახელი;

- სახელი + “like” მაკავშირებელი

„როგორც“ და „ისე როგორც“ მაკავშირებელი სიტყვებით გამოხატული შედარების მოდელები:

- „ისე როგორც“ + სახელი;
- „როგორც“ + სახელი;
- „ისეთი როგორც“ + სახელი

„მსგავსი“ და „მსგავსად“ დამხმარე სიტყვებით გამოხატული შედარების მოდელები:

- სახელი ნათესაობით ბრუნვაში + „მსგავსი“;
- სახელი ნათესაობით ბრუნვაში + „მსგავსად“

„იმგვარი“, „იმგვარ“, „სადარი“ მაკავშირებელი სიტყვებით გამოხატული შედარების მოდელები:

- „იმგვარ“ + სახელი მიცემით ბრუნვაში;
- „იმგვარ“ + სახელი ნათესაობით ბრუნვაში;
- „იმგვარის“ + სახელი მოქმედებით ბრუნვაში;
- „იმგვარადვე“ + ზმნა-შემასმენელი;
- „იმგვარივე“ + სახელი მოქმედებით ბრუნვაში;
- „იმგვარივე“ + სახელი მიცემით ბრუნვაში;
- „იგივ“ + სახელი სახელობით ბრუნვაში;
- სახელი + „სადარი“

„თითქოს“ (თითქო) მაკავშირებელი სიტყვით გამოხატული შედარების მოდელები:

- „თითქოს“ (თითქო) + ზმნა-შემასმენელი;

ზმნა-შემასმენლის სემანტიკით გამოხატული შედარების მოდელები:

- სახელი მიცემით ბრუნვაში + ზმნა-შემასმენელი;
- „მიაგავს“ + სახელი მიცემით ბრუნვაში;
- სახელი მიცემით ბრუნვაში + „მიაგავდა“;
- სახელი სახელობით ბრუნვაში + „მიაგავდა“;

- „ვადარებ“ + სახელი მიცემით ბრუნვაში;
- სახელი მიცემით ბრუნვაში + „გვიდარებია“

შედარების გამოხატვის მოდელები ინგლისურ ენაში:

- “like” + სახელი (noun);
- “as” + სახელი (noun);
- “as” + ზედსართავი სახ. + “as” + ზედსართავი + სახელი (noun);
- “as” + ზედსართავი სახ. + „as” + სახელი (noun)

„Like“ მარკერით გამოხატული შედარებების მოდელი ინგლისურში:

- “Like” + სახელი (noun).

“as” მარკერით გამოხატული შედარების მოდელები ინგლისურ ენაში:

- “as” + noun (სახელი);
- “such” + noun (სახელი) + „as”;
- “as” + noun (სახელი) + verb (ზმნა-შემასმენელი)

“as if” კონსტრუქციით გამოხატული შედარების მოდელები ინგლისურ ენაში:

- “as if” + verb (ზმნა-შემასმენელი);
- “As if” + noun (სახელი)

“as...as” კონსტრუქციით გამოხატული შედარების მოდელი:

- “as” + adjective (ზედსართავი) + “as”
- ამერიკულ პოეზიაზე დაკვირვების შედეგად იკვეთება, რომ ამერიკელი პოეტები შედარების გამოსახატავად უპირატესობას ანიჭებენ მარკერებს: “so”, „as” და “as...as”. როგორც ჩანს, ამერიკულ ლექსს სწორედ ამგვარი აგებულების მხატვრული გამოსახვის საშუალებები ხდიან რიტმულს და ექსპრესიულს.
- ირკვევა, რომ ძირითად შემთხვევებში მხატვრული შედარება მარტივ და რთულ ქვეწყობილ წინადადებებში დასტურდება. თუმცა, იშვიათად მას ვხვდებით შერწყმულ წინადადებებშიც.

- დაკვირვებამ გვიჩვენა, რომ ქართულენოვან წინადადებაში შედარება ძირითადად ვითარების გარემოების, იშვიათად კი, უბრალო დამატების ფუნქციას ასრულებს.
- როგორც დაკვირვება ცხადყოფს, მხატვრული შედარება, რომლის სინტაქსური ფუნქციაა შეასრულოს ვითარების გარემოებისა და უბრალო დამატების ფუნქცია, ძირითადად წყვილდება შემასმენელთან და ქმნის სინტაქსურ შეკავშირებას - მირთვის.
- ქართულ საანალიზო მასალაზე დაკვირვება ცხადყოფს, რომ მხატვრული შედარება მარტივი წინადადების შემთხვევაში წინადადების ბოლოს, ხოლო რთული ქვეწყობილი წინადადების შემთხვევაში, წინადადების დამოკიდებულ ნაწილში გვხვდება. იქიდან გამომდინარე, რომ შედარება წინადადებაში ძირითადად ვითარების გარემოების და იშვიათად, უბრალო დამატების როლს ასრულებს, ეს ბუნებრივიცაა, რადგან ორივე მათგანი წინადადების არამთავარი წევრებია. აღნიშნულ ფაქტს ენათმეცნიერები ჩვეულებრივ ენობრივ ნორმად მიიჩნევენ.
- დაკვირვება ცხადყოფს, რომ ქართულ და ამერიკულ პოეზიაში მხატვრულ შედარებას ვხვდებით ტაეპის, როგორც თავკიდურ, ისე - ბოლოკიდურ პოზიციაში. ქართულში უფრო ხშირად ის თავკიდურ პოზიციაშია, როდესაც უმეტესწილად გამოხატულია - „ვით“ და - „როგორც“ მაკავშირებლებით. ნაკლებად ხშირია მხატვრული შედარება ტაეპის ბოლოკიდურ პოზიციაში. ამ შემთხვევაში ის უმეტად სახელზე - „ვით“ თანდებულის დართვითაა წარმოდგენილი. ვხვდებით ისეთ გამონაკლის შემთხვევასაც, როდესაც ის სახელზე „ებრ“ თანდებულის დართვით იწარმოება და ტაეპის თავკიდურ პოზიციაში იკავებს ადგილს.
- ინგლისურენოვან მასალაზე დაყრდნობით ვასკვნით, რომ ძირითადად შედარებას ტაეპის ბოლოკიდურ პოზიციაში ვხვდებით. ორივე შემთხვევაში მის გამოსახატავად გამოყენებულია „as“, „as...as“ და „like“ მაკავშირებლები. თუმცა,

როგორც თავკიდურ, ისე ბოლოკიდურ პოზიციაში, ქარბობს „like“ მაკავშირებელი.

- ქართულენოვან წყაროზე დაკვირვების შედეგად გამოიკვეთა, რომ შედარების საშუალებით გამოიხატება როგორც შეგრძნებები, ისე შეფასებები. შეგრძნებები ძირითადად გვხვდება მხედველობითი, სმენითი და შეხების. განსაკუთრებული სიხშირით ვხვდებით მხედველობითი შეგრძნების გამომხატველ შედარების ნიმუშებს, ხოლო რაც შეეხება შეფასებას, დაკვირვება ცხადყოფს, რომ შედარების საშუალებით უმეტესწილად უარყოფითი ემოციის გამოხატვა სურს პოეტს.
- ინგლისური პოეზიიდან მოძიებულ საანალიზო მასალაზე დაყრდნობის შედეგად იკვეთება, რომ სემანტიკურად მხატვრული შედარების მეშვეობით, ძირითადად მხედველობითი შეგრძნებაა გამოხატული, ხოლო იშვიათად სმენითი შეგრძნების გამომხატველ შეგრძნებებსაც ვხვდებით. რაც შეეხება შეფასებას, აღმოჩნდა, რომ ისევე, როგორც ქართულ ენაში, ინგლისურშიც შედარების საშუალებით გამოხატულია უარყოფითი ემოცია.
- გამოიკვეთა **პეიზაჟისა და პერსონაჟის** გამომხატველი შედარებები. დაკვირვებამ გვიჩვენა, რომ პერსონაჟის გამომხატველი შედარების ნიმუშები საგრძნობლად ქარბობს პეიზაჟის გამომხატველი შედარების მაგალითებს. მწერალი ამ ხერხით პერსონაჟის (პიროვნების) სახელსა და სულიერ სამყაროს მეტად შთამბეჭდავად და უდიდესი ექსპრესიით გვიხატავს.
- გამოიკვეთა ძირითადი ემოციური დისკურსების ექსპრესიული მოდელები. ამ მიმართებით კვლევამ გვიჩვენა, რომ ძირითადი ემოციების შემცველი დისკურსების უმრავლესობა (თითქმის 90%) უარყოფითი ემოციის გამომხატველია, ხოლო დადებითი ემოციის გამომხატველი დისკურსები კი (დაახლოებით 10%) მოკრძალებულად გამოიყენება.

ძირითადი ემოციური დისკურსები შემდეგნაირად ჩამოყალიბდა:

**სიხარული/აღტაცება/აღფრთოვანება;**

**მოლოდინი/ინტერესი/გაკვირვება;**



სირცხვილი/უხერხულობა;

განრისხება/გაშმაგება/გულისწყრომა;

სიძულვილი/ზიზღი;

მწუხარება/ნალველი/დარდი/სასოწარკვეთილება;

შიში/შეძრწუნება;

- შედარების ლინგოკულტუროლოგიური თვალსაზრისით განხილვამ გვიჩვენა ეპოქის გავლენა შედარების ექსპრესიულ ბუნებაზე. ილია ჭავჭავაძისა და მიხეილ ჯავახიშვილის თხზულებებში ეპოქის უდიდესი ტრაგიზმი აისახა და ეს უპირველესად გადმოიცა მხატვრული ხერხების საშუალებით, კერძოდ, მხატვრული შედარების გამორჩეული ნიმუშებით, რომლებიც განსაკუთრებულად მიუთითებდა ადამიანთა ფიზიკურსა თუ სულიერ დაცემულობაზე. ამავე დროს, გამოიკვეთა სურათი, თუ როგორ იცვლება შედარების გამოხატვის შესაძლებლობები ლექსიკოლოგიური თვალსაზრისით ეპოქის კულტურულ განვითარებასთან ერთად. შედარების ისეთ უნივერსალიებს, როგორიცაა შედარება რუმბთან, ვაცთან, ღორთან, მორგვთან, პირუტყვთან, დათვთან, ძაღლთან, ნადირთან იქცა წარსულის კუთვნილებად. დღევანდელ სალიტერატურო ქართულში იშვიათად გვხვდება მსგავსი შესადარებელი ობიექტები. კულტურის განვითარების მაღალმა საფეხურმა გარკვეულწილად შეცვალა ენობრივი ლექსიკა და შემოიტანა სიახლეები ლინგვისტური თვალსაზრისით.
- ამერიკული ტექნიკურ - კულტურული პროგრესი ზემოქმედებას ახდენდა ენის მხატვრულ მხარეზე, რითაც აიხსნება მხატვრული ხერხების, კერძოდ კი, ტროპების სიმწირე და აზრის ბუნდოვანება. ამერიკულ პროზაში მოძიებული საანალიზო მასალა გარკვეულწილად მოკლებულია მხატვრულობას და ერთი შეხედვით, მშრალი და მეტად პროზაულია. სავარაუდოდ, მწერალი მკითხველთა ფართო წრისათვის მოიაზრებდა თავის ნაწარმოებს საშუალო დონის ლიტერატურული გემოვნებით.

- თარგმანზე ტიპოლოგიური ურთიერთმიმართებების თვალსაზრისით დაკვირვებამ გვიჩვენა, რომ მაგალითების უმრავლესობა - 65%, უცვლელად ინარჩუნებს შედარებას, როგორც ორიგინალ, ისე ნათარგმნ ვერსიებში, დანარჩენ მაგალითებში კი შედარება ქართულ თარგმანში სრულიად დაკარგულია, რაც მაგალითების სრული რაოდენობის 35%-ს შეადგენს. შესაბამისად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მთარგმნელი დიდი სიფრთხილით ეპყრობა ამ მხატვრული ხერხის თარგმანს და ცდილობს უცვლელი სახით გადმოსცეს იგი. ირკვევა, რომ სემანტიკურად მეტად ზუსტია თარგმანი. მთარგმნელი მაქსიმალურად იცავს წინადადების სტრუქტურას და, ამავდროულად, არგებს ქართული წინადადებისათვის დამახასიათებელ აგებულებას. მხატვრული შედარების ადგილი თარგმანში არ იცვლება.
- აღსანიშნავია უთარგმნელობის შემთხვევები, სადაც მხატვრული შედარება მთარგმნელის მიერ საგრძნობლად იცვლება, ან საერთოდ იკარგება. მთარგმნელის პოზიცია მსგავს შემთხვევებში გამართლებულია, რადგანაც ის მაქსიმალურად ცდილობს, გადმოსცეს ორიგინალის ემოცია და განწყობა, მაგრამ არ ხერხდება განსხვავებული სისტემის ენათა გამომსახველობითი საშუალებების სრული დამთხვევა. მსგავსი განსხვავებები თარგმანში მეტად უმნიშვნელო რაოდენობითაა. შესაბამისად, უთარგმნელობის შემთხვევები თარგმანის ნაკლად ვერ მიიჩნევა.
- ქართული პოეზიის ნიმუშების ინგლისურ თარგმანებზე დაკვირვებამ შედარების სტრუქტურის გათვალისწინებით, ცხადყო, რომ მთარგმნელი დედანის ერთგულია. დედანის ერთგულება ნებისმიერ შემთხვევაში მთავარი კრიტერიუმია, რაც გამორიცხავს მთარგმნელის თავისუფლებას. ვფიქრობთ, ჩვენ მიერ საანალიზო მასალად გამოყენებული ქართული პოეზიის ნიმუშები და მათი ინგლისური თარგმანები აღნიშნულ კრიტერიუმებს სრულიად აკმაყოფილებს. მთარგმნელი დედანის სტილს ანიჭებს უპირატესობას და, ამავდროულად,

ინგლისური ლექსისათვის დამახასიათებელ საბურველში ხვევს თარგმანს, რაც მისი ოსტატობის დამადასტურებელია.

## გამოყენებული ლიტერატურა:

1. ალანია, ნ. დობორჯგინაძე, ბ. დედუჩავა, მ. (1966). ლიტერატურის-მცოდნეობის ტერმინთა მოკლე ლექსიკონი. თბილისი: გამომცემლობა „ნაკადული“.
2. არაბული, ა. (2007). ქართული მეტყველების კულტურა, მეორე გამოცემა. თბილისი: გამომცემლობა „უნივერსალი“.
3. არისტოტელე. (1944). პოეტიკა. თბილისი: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა.
4. არისტოტელე. (1981). რიტორიკა. თბილისი: შენიშვნები და საძიებელი დაურთოთ თამარ კუკავამ, რედაქტორი აკაკი ურუშაძე.
5. ასათიანი, თ. (2014). გალაკტიონ ტაბიძისა და ტიციან ტაბიძის პოეზიის ინგლისური თარგმანები. სადისერტაციო ნაშრომი. თბილისი.
6. ასათიანი, რ. (1982). მარტივი წინადადების ტიპოლოგიური ანალიზი. თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება“.
7. ახვლედიანი, გ. (1918). ენათმეცნიერების შესავალი, ლექციები, თბილისი: უნივერსიტეტის სტუდენტთა კავშირის გამგეობის გამოცემა.
8. ბახტაძე, დ. (2010). ლინგვისტური ტიპოლოგიის საფუძვლები, გერმანული და ქართული ენების სტრუქტურა. თბილისი: გამომცემლობა „მწიგნობარი“.
9. გამყრელიძე, თ. კიკნაძე, ზ. შადური, ი. და შენგელაია, ნ. (2003). თეორიული ენათმეცნიერების კურსი, ენათა სტრუქტურული ტიპოლოგია და ლინგვისტური უნივერსალები. თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.
10. გაჩეჩილაძე, გ. (1966). მხატვრული თარგმანის თეორიის შესავალი. თბილისი: გამომცემლობა „განათლება“.
11. გაჩეჩილაძე, ს. (1957). ლიტერატურისმცოდნეობის შესავალი. მეხუთე გამოცემა. თბილისი: სამეცნიერო-მეთოდური კაბინეტის გამომცემლობა.
12. გვენცაძე, ა. (1974). ზოგადი სტილისტიკის საფუძვლები. თბილისი: გამომცემლობა „განათლება“.

13. გვენცაძე, ა. (1991). ზოგადი სტილისტიკა. თბილისი: გამომცემლობა „განათლება“.
14. გორგიშელი, ნ. გელდიაშვილი, ნ. (2016). ლინგვოპერსონოლოგიური გალერეა ტენესი უილიამსის „ტრამვაი, რომელსაც „სურვილი“ ჰქვია“ გ. ჯაბაშვილისა და ლ. ინასარიძის თარგმანების მიხედვით. სამეცნიერო რეფერირებადი ჟურნალი „ენა და კულტურა“, №16: 21-25. ქუთაისი: გამომცემლობა „მერიდიანი“.
15. გობაძე, ც. ლიტერატურის თეორია. [http://cicinogobadzisportpolio.blogspot.com/p/blog-page\\_3896.html](http://cicinogobadzisportpolio.blogspot.com/p/blog-page_3896.html) (მოძიებულია 08.04.2017).
16. დავითიანი, ა. (1973). ქართული ენის სინტაქსი. თბილისი: გამომცემლობა „განათლება“.
17. დანელია, ი. (2002). მხატვრული შედარების (simile) როლი მთლიანი ტექსტის ორგანიზებისათვის. საენათმეცნიერო ძიებანი, XIII: 72-77. თბილისი: გამომცემლობა „ქართული ენა“.
18. დემეტრაძე, ნ. (2013). ტექსტის ლინგვისტიკა, როგორც სრულიად ახალი ფილოლოგიური დისციპლინა. სამეცნიერო რეფერირებადი ჟურნალი „ენა და კულტურა“, №10: 22-25. ქუთაისი: გამომცემლობა „მერიდიანი“.
19. დიდი ენათმეცნიერული ენციკლოპედიური ლექსიკონი. (1998). მოსკოვი.
20. ენათმეცნიერების შესავლის საკითხები, (1972). გ. ახვლედიანის რედაქციით, თბილისი.
21. ზვიადაძე, თ. (2009). მწერლის ენის საკითხები. თბილისი: გამომცემლობა „მერიდიანი“.
22. თავიდაშვილი, ნ. (2014). კვაზირეალიები, როგორც უნივერსალური ენობრივ-კულტურული ფენომენი და მათი ვერბალიზაცია სხვადასხვა სისტემის ენებში (ინგლისური და ქართული პროზის მასალაზე), ქუთაისი: ფილოლოგიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი სადისერტაციო ნაშრომი.
23. თვალაძე, თ. (2002). ემოცია და ემოტივები. საენათმეცნიერო ძიებანი, XII: 138-140.

24. თუთბერიძე, რ. (2005). ორი დადებითი ბაზისური ემოციის აღმნიშვნელი ლექსიკური ერთეულები ინგლისურ და ქართულ ენებში. საენათმეცნიერო ძიებანი, XX: 103-117.
25. ინგოროყვა, პ. (1975). ახალი ქართული ლიტერატურის ფუძემდებელი. თბილისი: გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“.
26. კვაჭანტირაძე, თ. (1978). მსგავსებითი შედარება ქართულში. თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.
27. კვაჭაძე, ლ. (1969). ქართული ენა, ნაწილი I. თბილისი: გამომცემლობა „განათლება“.
28. კვაჭაძე, ლ. (1988). თანამედროვე ქართული ენის სინტაქსი. თბილისი: გამომცემლობა „განათლება“.
29. კვაჭაძე, ლ. (1993). ქართული ენა, თბილისი: გამომცემლობა „რუბიკონი“.
30. კიკნაძე, გრ. (1957). მეტყველების სტილის საკითხები. თბილისი: საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს მთავარპოლგრაფგამომცემლობის 1-ლი სტამბა.
31. კობახიძე, შ. (2004). ხატოვან შედარებათა სისტემა და მათი ფუნქციონირების თავისებურებანი თანამედროვე ინგლისურენოვან პროზაულ ტექსტში, ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი დისერტაცია, თბილისი: ი. ჭავჭავაძის სახელობის ენისა და კულტურის სახელობის უნივერსიტეტი.
32. კოდუხოვი ვ. (1982). ზოგადი ენათმეცნიერება. თბილისი: გამომცემლობა „განათლება“.
33. კოშორიძე, ე. (2005). მწერლის ენისა და სტილის საკითხები. თბილისი: გამომცემლობა „მერიდიანი“.
34. ლემონჯავა, ნ. (1993). მწერლის ენის საკითხები. თბილისი: უნივერსიტეტის გამომცემლობა.
35. ლიტერატურის თეორიის საფუძვლები. (1972). მამია დედუჩავას საერთო რედაქციით. თბილისი: გამომცემლობა „განათლება“.
36. ლომია, ნ. (2012). ემოციური დისკურსის პრაგმაკომუნიკაციური ასპექტები იტალიურ და ქართულ ენებში, სადისერტაციო ნაშრომი, თბილისი: ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი.

37. მანდარია, მ. (2006). მეტაფორის წარმოქმნის სახეები და მექანიზმები. სადისერტაციო ნაშრომი. თბილისი: საქ. მეცნიერებათა აკადემია არნ. ჩიქობავას სახ. ენათმეცნიერების ინსტიტუტი.
38. მარდალეიშვილი, თ. (2013). მხატვრული თარგმანი, როგორც მრავალგანზომილებიანი დისკურსი და მთარგმნელობითი სტილი, საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „ენა და კულტურა“, შრომები, ქუთაისი: გამომცემლობა „მერიდიანი“.
39. მარღანია, მ. (2006). მხატვრული თარგმანი და მისი განვითარების გზები საქართველოში, ჟურნალი „კულტურათაშორისი კომუნიკაციები“.
40. მეგრელიშვილი, მ. (2009). კონტრასტივიკა - კერძო ტიპოლოგიის დარგი. ქუთაისი: სამეცნიერო ჟურნალი „ენა და კულტურა“, N1: 52-56.
41. მიქაძე, მ. (2014). „შობის მესამე დღე“ (უ. საროიანი) მ. დუმბაძისეული თარგმანის ენობრივ-სტილური ანალიზი. სამეცნიერო რეფერირებადი ჟურნალი „ენა და კულტურა“, №11: 48-54. ქუთაისი: გამომცემლობა „მერიდიანი“.
42. ნათაძე, მ. და ნათაძე. გ. (1988). რა არის ტროპი და როგორ აისახება მის ცვლაში ეპოქების სვლა. წიგნიდან დასავლეთ ევროპის ლიტერატურა XX საუკუნე, ლიტერატურის ისტორია, პოეტიკა, ურთიერთობანი. თბილისი.
43. ნაიდა, ი. (2013). თარგმანის ხელოვნებისათვის, წიგნიდან „თვალსაწიერი“, თამაზ ჩხენკელი, თარგმანები. თბილისი: გამომცემლობა შპს „პეტიტი“.
44. ნინიძე, მ. (2016). ტექსტოლოგიური კვლევები ილია ჭავჭავაძის ცხოვრებისა და შემოქმედების მატეანისათვის. თბილისი: გამომცემლობა „სამშობლო“.
45. ომიადე, ს. (2000). შედარება, როგორც მკვიდრ შესიტყვეებაში სიტყვათა დაკავშირების სემანტიკური საფუძველი. არნოლდ ჩიქობავას საკითხავები XI, მასალები. თბილისი: გამომცემლობა „ქართული ენა“.
46. სანიკიძე, თ. (1999). ქართული ენის პრაქტიკული სტილისტიკა. თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.

47. სიმონოვი, პ. (1975). ადამიანის უმაღლესი ნერვული ქმედება, მოტივაციურ-ემოციური ასპექტები. თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება“.
48. სოსიური, ფ. (2002). ზოგადი ენათმეცნიერების კურსი. თბილისი: გამომცემლობა „დიოგენე“.
49. უზნაძე, დ. (1947). ენის შინაფორმა, ფსიქოლოგია, IV. თბილისი.
50. ფანჯიკიძე, დ. (1980). წერილები. თბილისი: გამომცემლობა „მერანი“.
51. ფანჯიკიძე, დ. (1988). თარგმანის თეორია და პრაქტიკა. თბილისი: გამომცემლობა „განათლება“.
52. უზნაძე, დ.. 1998. ზოგადი ფსიქოლოგია. თბილისი: აღმაშენებელი.
53. ფოცხიშვილი, ა. (1979). ქართული გრამატიკული აზრის ისტორიიდან. თბილისი: გამომცემლობა „განათლება“.
54. ფეიქრიშვილი, ჟ. (2010). ქართული ენის მორფოლოგია. ქუთაისი: გამომცემლობა „სარანდი“.
55. ქართული სიტყვის კულტურის საკითხები, (1979). წიგნი მეორე. სარედაქციო კოლეგია: ივანე გიგინეიშვილი (რედაქტორი), ლია ლეჟავა, ქეთევან ლომთათიძე და სხვა, თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება“.
56. შალამბერიძე, გ. (1966). ილია ჭავჭავაძის ენა. თბილისი: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა.
57. შანიძე, ა. (1973). ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, I, მორფოლოგია, მეორე გამოცემა, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.
58. შარაძენიძე, თ. (1972). თანამედროვე ენათმეცნიერების თეორიული საკითხები. თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება“.
59. შელია, მ. (2007). ტროპები და ფიგურალური მეტყველება ინგლისურენოვან მხატვრულ ტექსტში. თბილისი: გამომცემლობა „მარსი“.
60. შექსპირი, უ. (1953). ტრაგედიები. თბილისი. ტ I.
61. ჩიქობავა, ა. (1935). ზოგადი ენათმეცნიერება, პროპედევტიკური ნაწილი. თბილისი: სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობის სტამბა.
62. ჩიქობავა, ა. (1945). ზოგადი ენათმეცნიერება, ტ II, თბილისი.
63. ჩიქობავა, ა. (1946). ზოგადი ენათმეცნიერება, ტ I, თბილისი.



64. ჩიქოზავა, ა. (1952). ენათმეცნიერების შესავალი. თბილისი: სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა.
65. ცანავა, რ. (2009). მეტაფორა. სერია: ლიტერატურისმცოდნეობა. თბილისი: შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი.
66. ცისკარიშვილი, მ. (2015). შედარების ლინგვოკულტუროლოგიური ასპექტები. „კულტურათაშორისი დიალოგები“, III საერთაშორისო კონფერენცია, შრომები. თელავი. გამომცემლობა „მერიდიანი“.
67. ძიძიგური, შ. (1971). ქართველ კლასიკოსთა ენობრივი მემკვიდრეობა. თბილისი: გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“.
68. ძიძიგური, შ. (1975). საენათმეცნიერო საუბრები. მეორე შევსებული გამოცემა. თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება“.
69. ძიძიგური, შ. (1982). საენათმეცნიერო საუბრები. თბილისი: გამომცემლობა „ნაკადული“.
70. წურწუშია, მ. (2013). ერნესტ ჰემინგუეის რომანის „მშვიდობით, იარაღო!“ ქართული თარგმანი (მთარგმნელი ვახტანგ ჭელიძე). ფილოლოგიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი სადისერტაციო ნაშრომი. თბილისი: საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი.
71. ჭავჭავაძე, ი. (1985). თხზულებანი. თბილისი: გამომცემლობა „ნაკადული“.
72. ჭილაია, ა. (1971). ლიტერატურისმცოდნეობის ძირითადი ცნებები. თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.
73. ჭოხონელიძე, გ. (1975). მხატვრული ენის სპეციფიკური კომპონენტებისა და ძირითადი ნიშნების შესახებ. წიგნიდან ლიტერატურის თეორიისა და ესთეტიკის საკითხები. თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება“.
74. ჯაში, მ. ჯაში, ქ. (2003). თარგმნის ტექნიკა. თბილისი: გამომცემლობა „ლინგვაპლუსი“.

75. ჯორბენაძე, ბ. (1987). ბალავარი მწერლობისა. თბილისი: გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“.
76. ჯორბენაძე, ბ. (1987). ბალავარი მწერლობისა. თბილისი: გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“.
77. ჯორბენაძე, ბ. (1997). ენა და კულტურა. თბილისი: გამომცემლობა „ქართული ენა“.
78. Akbari, M. (2013). The Role of Culture in Translation. *Journal of Academic and Applied Studies (Special Issue on Applied Linguistics)*. Vol. 3(8). Pp.13-21. Available online.
79. Aznaurova, E.S. Fomenko and others (1990). Interpretation of literary text, IV-V course, Tashkent “Ukituvchi” Publishing.
80. Bertens, H. (2001). *Literary Theory, the Basics*. New York: Routledge publishing.
81. Bromberek – Dyzman, K. (2005). Irony Processing in L1 and L2: Same or Different? From the book “Bilingual Figurative Language Processing. NY: Cambridge University Press.
82. Cary, R. (1998). *Critical Art Pedagogy. Foundations for postmodern art education*. New York: Routledge Publishing.
83. Comrie, B. (1989). *Language Universals and Linguistic typology*, 2<sup>nd</sup> edition. Oxford.
84. Dupriez, B. (1991). *A Dictionary of Literary Devices, Gradus, A-Z*. Canana: University of Toronto Press. ISBN 0-8020-2756-3.
85. Durduneanu, I.I. (2011). *Translation of Cultural Terms: Possible or Impossible?* Romania: Alexandru Ioan Cuza University of Iasi.
86. Eagleton, T. (1996). *Literary Theory, An Introduction*, second edition. Great Britain: Blackwell Publishers Ltd.
87. Fadaee, E. (2011). Symbols, Metaphors and Similes in Literature: A case study of “Animal Farm”. *Journal of English and Literature* Vol. 2(2). Academic Journals.
88. Freeman, M.S. (2006). *Crafting Comparison Papers*. Maupin House Publishing, Inc.
89. Galperin, I.R. (1997). *Stylistics*. Moscow: Higher School.
90. Gargani, A. (2014). *Poetic Comparisons. How Similes are understood*. Dissertation submitted for the degree of Doctor of Philosophy. UK: University of Salford.

91. Habib, M.A.R. (2011). *Literary Criticism from Plato to the Present*. Singapore: A John Wiley and sons, INC., Publication.
92. Hassan, A. B. (2011). *Literary Translation: Aspects of Pragmatic Meaning*. UK: Cambridge Scholars Publishing.
93. Hurford, J. R. Heasley B. Smith M.B. (2007). *Semantics. A coursebook. Second Edition*. UK: Cambridge University Press.
94. Hussain, R. (2014). *Metaphors and Similes in Literature*. *International Journal of Humanities and Social Science Invention*. ISSN (Online): 2319-7722. Volume 3. Doha. PP. 01-02.
95. Katz, A.N. (2008). *Discourse and sociocultural factors in understanding nonliteral language*. From the book "Figurative language comprehension". London: Lawrence Elbaum Associates Publishers.
96. Johnson, M. (1981). *Philosophical Perspectives on Metaphor*. USA: University of Minnesota Press.
97. Kharitonov, I.K., (2008). *Theoretical English Grammar*, Novaia Kniga.
98. Kreidler, Ch. (1998). *Introducing English Semantics*. New York: Routledge Publishing.
99. Lakoff, G. Johnson, M. (2003). *Metaphors we live by*. London: The University of Chicago Press.
100. Leech, G. (1981). *Semantics. The study of Meaning. Second Edition*. England: Penguin Books Ltd.
101. Leech, G. Short, M. (2007). *Style in Fiction, second edition*. Great Britain: Pearson Education Limited.
102. Lehtsalu, U. Liiv, G. Mutt, O. (1973). *An Introduction to English Stylistics*. Tartu: Tartu State University Press.
103. Maanen, V. J. (1995). *Style as Theory*. *Organization Science*, Vol. 6. INFORMS Publishers.

104. Mukarovsky, J. (1932). Standard Language and Poetic Language. From the journal "History of Czech Functional Linguistics". Prague: Georgetown University Press.
105. Niculae, V. Danescu. C. (2014). Brighter than Gold: Figurative Language in User Generated Comparisons. Conference on Empirical Methods in Natural Language Processing (EMNLP) pages 2008-2018. Doha, Qatar. Association for computational Linguistics.
106. Noras U.M. (2013). Function and Relevance in Literary Translation. A systematic functional and relevance-theoretic approach to the evaluation of Norwegian translations of Leonard Cohen. Master Thesis. University of Oslo. Norway.
107. Nuessel, F. (2006). Figurative Language: Semiotics. USA: Elsevier Ltd.
108. Proshina, Z. (2008). Theory of Translation (English and Russian). 3<sup>rd</sup> edition, revised. Vladivostok: Far Eastern University Press.
109. Ramat, P. (1987). Linguistic Typology. Berlin, New York, Amsterdam.
110. Rivkin, J. Ryan, M. (2004). Introduction: Language and Action. From the book Literary Theory: an anthology, edited by Julie Rivkin and Michael Ryan, United Kingdom: Blackwell Publishing Ltd.
111. Rousseau, J.J. Herder, J. G. (1966). On the Origin of Language. Chicago: The University of Chicago Publishing.
112. Sachkova, E. V. (2012). Lectures on English Stylistics. Moscow: Moscow State University Press.
113. Saussure, F.D. (2004). Course in General Linguistics. From the book Literary Theory: an anthology, edited by Julie Rivkin and Michael Ryan, United Kingdom: Blackwell Publishing Ltd.
114. Simpson, P. (2004). Stylistics. New York: Routledge English Language Introductions.
115. Szczepanska – Wloch, J. (2012). An art of self-defence, rhetorical discourse in the language of politicians. From the book "What's in a text? Inquiries into the textual Cornucopia. Britain: Cambridge Scholars Publications.

116. Timucin, M. (2010). Exploring the Language of Poems. A stylistic study. Turkey: Novitas Royal. Research on Youth and Language.
117. Thornborrow. J. Wareing. Sh. (1998). An Introduction to Language and Literary Style. USA: Routledge Publishing.
118. Zharikov, S.S. Gentner, D. (2002). Why do metaphors seem deeper than similies? In W.D. Gray and C.D. Schumn (Eds.). Proceedings of the twenty-fourth Annual Conference of the Cognitive Science Society (pp. 976-981). Fairfax, VA: USA: George Mason University.
119. Zingarelli, 1995. Vocabolario della lingua italiana, Bologna: Zanichelli.
120. Новиков, Л.А. 1982. Семантика русского языка. Москва: Знание.

## საანალიზო წყაროები:

1. ამერიკული ნოველა, (1968). ტ. II. თბილისი: გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“.
2. ასათიანი, ლ. (1984). XX საუკუნის პოეზია, ტომი 15. თბილისი: გამომცემლობა „ნაკადული“.
3. ბენიძე, ს. (2015). ქალაქი წყალზე. ბათუმი: გამომცემლობა „წიგნები ბათუმში“.
4. გელოვანი, მ. (1972). თეთრი მიწა. თბილისი: გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“.
5. გოგებაშვილი, ი. იავნანამ რა ჰქმნა? [http://www.nplg.gov.ge/ebooks/authors/iakob\\_gogebashvili/motxrobeci/iavnanam%20ra%20hkmna.pdf](http://www.nplg.gov.ge/ebooks/authors/iakob_gogebashvili/motxrobeci/iavnanam%20ra%20hkmna.pdf) (მოძიებულია 20.12.2015).
6. გრანელი, ტ. (1972). ლირიკა. თბილისი: გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“.
7. გოლზუორთი, ჯ. (1965). ფორსაიტების საგა. თბილისი: გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“.
8. ტაბიძე, გ. (1977). რჩეული. თბილისი: გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“.
9. ფშაველა, ვ. (2012). მოთხრობები. თბილისი: გამომცემლობა „წიგნიერი“.
10. ფიცჯერალდი, ს. (1985). დიდი გეტსბი. თბილისი: გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“.
11. ჭავჭავაძე, ი. (1985). ლექსები, პოემები, მოთხრობები, წერილები, ქართული საყმაწვილო ლიტერატურის ბიბლიოთეკა, თბილისი: გამომცემლობა „ნაკადული“.
12. ჯავახიშვილი, მ. (2000). ქართველი მწერლები სკოლაში, მიხეილ ჯავახიშვილის „ჯაყოს ხიზნები“ სკოლაში. თბილისი: გამომცემლობა „დია“.
13. American Poems and Poets. <http://100.best-poems.net/> (მოძიებულია 06.05.2016)
14. Bronte, E. Poems <http://www.wuthering-heights.co.uk/emily-bronte-poetry.php> (მოძიებულია 27.02.2017)
15. Chavchavadze, I., Is that a Man?! <https://iberiana.wordpress.com/about/i-chavchavadze/is-that-a-man/> (მოძიებულია 20.12.2015)

16. Chavchavadze, I., The Hermit <https://iberiana.wordpress.com/about/i-chavchavadze/the-hermit/> (მოდირებულია 20.12.2015)
17. Dickens, Ch. (2009). Great Expectations. Germany: Arcturus Publishing Limited;
18. Dickinson, E. Poems <https://allpoetry.com/Emily-Dickinson> (მოდირებულია 20.03.2017)  
 Fitzgerald, S. Great Gatsby  
[https://ebooks.adelaide.edu.au/f/fitzgerald/f\\_scott/gatsby/contents.html](https://ebooks.adelaide.edu.au/f/fitzgerald/f_scott/gatsby/contents.html)  
 (მოდირებულია 25.04.2017)
19. Galsworthy, J. (1974). The Forsyte Saga – The Man of Property. Moscow: Progress Publishers.
20. Kilmer, J. Poems <https://www.poemhunter.com/joyce-kilmer/> (მოდირებულია 27.02.2017)
21. Kipling, R. Poems. [http://famouspoetsandpoems.com/poets/rudyard\\_kipling/poems](http://famouspoetsandpoems.com/poets/rudyard_kipling/poems)  
 (მოდირებულია 02.02.2017)
22. London, J. Short story collections.  
[https://en.wikipedia.org/wiki/Jack\\_London#Short\\_story\\_collections](https://en.wikipedia.org/wiki/Jack_London#Short_story_collections)  
 (მოდირებულია 20.04.2016)
23. O. Henry. (2012). 100 Selected Stories. Hertfordshire: Wordsworth Editions Limited.
24. Rossetti, Ch. Poems. <https://theliterarysisters.wordpress.com/tag/christina-rossetti/> (მოდირებულია 17.04.2017)
25. Scannell, V. Poems. [http://famouspoetsandpoems.com/poets/vernon\\_scannell/poems](http://famouspoetsandpoems.com/poets/vernon_scannell/poems)  
 (მოდირებულია 15.03.2017)
26. Thomas, D. Poems. [http://famouspoetsandpoems.com/poets/dylan\\_thomas/poems](http://famouspoetsandpoems.com/poets/dylan_thomas/poems)  
 (მოდირებულია 15.03.2017)
27. Williams, H. Poems. [http://famouspoetsandpoems.com/poets/hugo\\_williams/poems](http://famouspoetsandpoems.com/poets/hugo_williams/poems)  
 (მოდირებულია 15.03.2017)